საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

დავით პაიჭაძე

ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო XV საუკუნის 60-იან წლებში

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1989

63.3(2Г)
З 142

ნაშრომში განხილულია დასავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკა მახლობელ აღმოსავლეთში XV ს. შუა წლებში, ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ცდა და საქართველოს ელჩობის ისტორია ევროპის ქვეყნებში 1460—1461 წლებში.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისათვის, აგრეთვე ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი ისტ. მეც. დოქტორი ი. ტ ა ბ ა ღ უ ა

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტ. მ. ს ვ ა ნ ი ძ ე,
ისტ. მეცნ. კანდ. ჯ. ო დ ი შ ე ლ ი

З $\frac{0503020900}{М\ 607(06)—89}$ 176—89 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1989

ISBN 5—520—00426—9

შესავალი

ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე XV საუკუნეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ეს იყო გარდატეხის ხანა, რომელმაც ფეოდალური საქართველო ურთულეს მდგომარეობამდე მიიყვანა. ერთიანი და მძლავრი ქართული ფეოდალური სახელმწიფო, რომელიც XII—XIII საუკუნეებში კავკასიის გამაერთიანებლის როლში გამოდიოდა, XV ს-ის მეორე ნახევრისათვის საბოლოოდ დაიშალა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად. ყოველივე ამის მიზეზი ქვეყნის შიდა სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებასთან ერთად უაღრესად არახელსაყრელი საგარეო პოლიტიკური მდგომარეობაც იყო, და საგარეო ფაქტორს ქვეყნის განვითარების ასეთ გარდატეხაში წამყვანი როლი უნდა მივაკუთვნოთ. ეს იყო მონღოლთა დაპყრობები XIII—XIV სს., შემდეგ თემურ ლენგის რვაგზის შემოსევა XIV ს-ის ბოლოსა და XV ს-ის დასაწყისში და ბოლოს, XV ს-ის შუა წლებში უზარმაზარი აგრესიული იმპერიის — ოსმალეთის საბოლოოდ ჩამოყალიბება, რამაც საფრთხე შეუქმნა არამარტო ამიერკავკასიისა და აღმოსავლეთის ხალხებს, არამედ აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპასაც. ყოველივე ამან, რასაკვირველია, გარკვეული და საკმაოდ ღრმა დაღი დაასვა ქართველი ხალხის ცხოვრებას. ბუნებრივია, რომ ოსმალური საშიშროების ზრდასთან ერთად მის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოსათვის უმთავრესი ამოცანა გახდა.

XV ს-ის 50-იან წლებში რომის პაპმა პიუს II-მ სცადა ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიციის შექმნა. განზრახული იყო ამ კოალიციაში აღმოსავლეთის ქვეყნებისა და მათ შორის საქართველოს ჩაბმაც.

თავისთავად ცხადია, რომ ოსმალეთთან ფართო, საერთაშორისო მასშტაბით ბრძოლის შესაძლებლობას არ შეეძლო არ გამოეწვია ინტერესი და თანაგრძნობა ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოთა პოლიტიკურ მესვეურებს შორის, და მათ ევროპაში თავიანთი ელჩები მიავლინეს, რათა გაცნობოდნენ პოლიტიკურ ვითარებას, გამოეთქვათ მზადყოფნა ბრძოლისათვის და დაეწყოთ მოლაპარაკება კონკრეტულ საკითხებზე.

ამგვარად, ჩვენი მონოგრაფიის ძირითადი თემა ორი პრობლემით განისაზღვრება. ერთი არის დიდი და მნიშვნელოვანი პრობლემა — ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის ისტორია ოსმალთა აგრესიასთან, ხოლო მეორე კი დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხი.

ჩვენი მიზანია წინამდებარე ნაშრომში გავაშუქოთ საქართველოს მდგომარეობა XV საუკუნის შუა წლებისათვის და დავადგინოთ მისი საგარეო პოლიტიკის ძირითადი ამოცანები ოსმალთა აგრესიული იმპერიის საბოლოო ჩამოყალიბების გამო; ვაჩვენოთ ევროპის სახელმწიფოთა მდგომარეობა XV საუკუნის შუა წლებისათვის. მათი პოლიტიკა კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ და ოსმალური საშიშროების ზრდის პირობებში; გავარკვიოთ რომის პაპის პიუს II-ის პოლიტიკა ევროპასა და აღმოსავლეთში, მის მიერ ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მცდელობის მიზეზები და მიზნები; გავაშუქოთ ლუდოვიკო ბოლონიელის მისია; დავადგინოთ ქართველთა ელჩობის ისტორია, შემადგენლობა და ამოცანები; გავარკვიოთ მისიის წარუმატებლობის მიზეზები.

სავსებით ბუნებრივია, რომ ევროპის სახელმწიფო და საეკლესიო არქივთსაცავებში თავი მოიყარა ევროპის ქვეყნებში 1460—61 წლებში ქართველთა ელჩობის ამსახველმა მასალამ. დროთა განმავლობაში ამ მასალის ძირითადი დოკუმენტები კიდევაც გამოქვეყნდა.

მაგალითად, ლუდოვიკო ბოლონიელისა და მისი მისიის ფლანდრიაში მოგზაურობა აისახა ქალაქ გენტის ქრონიკაში[1]. აღმოსავლეთის ქვეყნების და ქართველი ელჩების სიისა და დახასიათების გარდა აქ მოთხრობილია მათი გენტში ყოფნის თაობაზეც.

ვლაპარაკობთ რა საარქივო მასალებზე, აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ რომის საღვთო იმპერიის ხელმწიფის, იმპერატორ ფრიდრიხ III-ის წერილი საქართველოს მეფე გიორგი VIII-სადმი. წერილი დაიწერა 1460 წლის 17 ოქტომბერს და დაცულია ავსტრიის ფინანსთა სამინისტროს არქივში[2].

როგორც ცნობილია, ავსტრიის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემია დაარსდა 1847 წელს. იმავე წელს აკადემიასთან შეიქმნა ე. წ.

---

[1] Dagboek der Gentsche Collatie beraltende een Nauwrkeurig verhail vande Geheurtenissen te Gent, en elders in Vlaenderen, voorgerallen vande jaren 1446—tot 1515 ed. A. G. B. Schages Gent-Rotterdam, 1842, s. 441-443. ამ ქრონიკის ქსეროპირი გადმოგვცა ქ. იენის ფ. შილერის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის თანაშემწემ, მედიევისტმა გეორგ ლინდენლაუბმა, ხოლო ფლამანდურიდან გერმანულად გვითარგმნა იმავე უნივერსიტეტის პროფესორმა ჰაინც მეთკემ, რისთვისაც მათ დიდ მადლობას მოვახსენებთ.

[2] Codex des K. K. Finanzministrial-Archives, D. 43, fol. 141.

საისტორიო კომისია, რომელმაც განიზრახა ავსტრიის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების გამოცემა სათაურით — Archiv für Kunde Österreichischer Geschichts — Quellen. ამ კრებულის გამოცემა დაიწყო მომდევნო 1848 წელს, 1853 წელს კი გამოვიდა მისი XI ტომი, რომლის 156-ე გვერდზე მოთავსებულია ჩვენთვის საინტერესო წერილი[3].

მილანის არქივის ვენეციის საქმეებში აღმოჩნდა ყვარყვარე ათაბაგის წერილი ვენეციის დოჟისადმი[4]. იგი გამოქვეყნებულია ბ. ბუგეტის მიერ.

ასევე ლუდოვიკო ბოლონიელის ოჯახის არქივში ნაპოვნი იქნა კალიქსტ III-ის წერილი დიდი ათაბაგისადმი. ეს დოკუმენტი გამოაქვეყნა ბოლონიელის შთამომავალმა ანჯელო ბარჯელეზი სევერიმ. სევერისა და ბუგეტის პუბლიკაციებზე საგანგებოდ ქვემოთ შეეჩერდებით.

დაბოლოს, უნდა ვახსენოთ ფლორენციის საარქივო მონაცემებიც; აქ შემონახულია ტრაპიზონის ელჩის ალიგიერის სიტყვა სენატის წინაშე, ელჩების სია და ფლორენციის სენატის საპასუხო წერილების პროექტები ტრაპიზონის კეისრისა და ყვარყვარე ათაბაგისადმი. ბუნებრივია, რომ ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ გამოქვეყნებულ დოკუმენტებს[5].

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ ძირითადად ვიხელმძღვანელეთ იმ დოკუმენტებით, რომლებიც დასავლეთ ევროპაში გამოქვეყნდა. ამ მხრივ აღსანიშნავია ისეთი საეკლესიო ანალისტები, როგორც ლუკა ვადინგი და ოდორიკო რაინალდო.

ლუკა ვადინგი — ირლანდიელი ისტორიკოსი და ბიოგრაფი, დაიბადა 1588 წ. უოტერფორდში (ირლანდია), გარდაიცვალა რომში 1657 წელს. იგი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როდესაც ოჯახს ესპანეთში გაჰყვა, საიდანაც შემდეგში პორტუგალიაში გადასახლებულა. ლუკა სწავლობდა ლისაბონის ირლანდიურ სემინარიაში. 16 წლის ასაკში იგი ფრანციისკანელთა ორდენის წევრი გამხდარა. შემდეგ სალამანკაში სპეციალურად დაუფლებია თეოლოგიას, რომში გაჰყოლია კართაგენის ეპისკოპოსს, სადაც ერთხანს თეოლოგიის კათედრაზე ყოფილა და ეწეოდა აქტიურ პროპაგანდას თავისი ორდენის სასარგებლოდ. აღსა-

---

[3] ქართული თარგმანი იხ. დ. პაიჭაძე, იმპერატორ ფრიდრიხ III-ის წერილი საქართველოს მეფე გიორგი VIII-სადმი. „მაცნე", ისტ., არქ., ეთნ. და ხელოვნებათმცოდნ. ისტორიის სერია № 4, 1981, გვ. 104.

[4] Arcivo di stato di Milano—(A. S. M.) Archivo Sforzesco, Venezia, cart 325,

[5] G. Müller, Documenti sulle relazioni delle citta Toscane coll'oriente cristiano e coi Turchi, Firenze, 1879, გვ. 185.

ნიშნავია, რომ ლ. ვადინგი თავისსავე სიცოცხლეში მოესწრო ნაშრომის გამოქვეყნებას მის შესახებ (ლიონი, 1644 წელი, შრომის ავტორი ყოფილა ვინმე Duns Scott-ი).

ვადინგის მთელი შემოქმედება მიზნად ისახავდა ფრანცისკანელთა ორდენის ისტორიის გაშუქებას. მის კალამს მრავალი საისტორიო ნაშრომი ეკუთვნის, მათ შორის ჩვენთვის საინტერესო Annales Ordinis Minorum (Lyon et Romae, 1628—1654)[6].

ვადინგის ეს ნაშრომი უდავოდ წყაროს ტოლფასია. ამაზე თვით სათაურიც მიგვითითებს. მის ნაშრომში თავმოყრილია ის წყაროები, რომლებიც მინორიტთა ორდენის[7] ისტორიას ეხება, ლუდოვიკო ბოლონიელსაც, როგორც მინორიტს, მის თხზულებაში საგანგებო ადგილი უკავია.

ვადინგზე დაყრდნობით შექმნა თავისი ნაშრომი ოდორიკო რაინალდომაც (დაიბადა 1595 წელს ტრევიზოში — გარდაიცვალა რომში 1671 წელს). რაინალდოც სასულიერო პირი იყო, 1618 წელს იგი ორატორიაში[8] შეავიდა და ძმობის ბიბლიოთეკარი გახდა. ცნობილია ძირითადად, როგორც ბარონიუსის საეკლესიო ანალების გამგრძელებელი[9].

უნდა ითქვას, რომ რაინალდო საკმაოდ დაწვრილებით ეხება ლუდოვიკოს მისიას. აქვე მოყვანილია გიორგი VIII-ის, ყვარყვარე ათაბაგისა და დავით კომნენოსის წერილები ბურგუნდიის ჰერცოგ ფილიპე კეთილისადმი[10].

დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე სევერისა და ბუგეტის პუბლიკაციებს[11].

---

6 ხშირად ამ ნაშრომის მეორე გამოცემას უთითებენ, რომელსაც შემოკლებულად ჰქვია—Annales Minorum, Romae, 1734· ამ უნიკალური გამოცემის პირები პარიზიდან და რომიდან ჩამოიტანა და გადმოგვცა ილია ტაბაღუამ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

7 მინორიტთა ორდენი ფრანცისკანელთა ორდენის განშტოებაა, რომელიც პერიოდულად თავის გენერალსაც კი ირჩევდა, ე. წ. მცირე ძმათა ორდენი — Ordinis Fratrum Minorum.

8 ორატორია (დააარსა რომში 1558 წელს ფილიპე ნერიმ) — სასულიერო პირთა კონგრეგაციაა, რომლებიც არ დებდნენ ბერების აღთქმასა და ფიცს. სახელწოდება მიღებულია კაპელიდან (oratorium), სადაც იკრიბებოდნენ, რათა ერთად წაეკითხათ და განეხილათ საეკლესიო წიგნები.

9 Raynaldo Odorico, Annales ecclesiastici, Lucae, 1747-56, t. 21—34.

10 იქვე, 1459, № 48, 49, 50.

11 A. Bargelessi Severi, Nuovi documenti su fr. Lodovico da Bologna, al secolo Lodovico Severi nunzio apostolico in Oriente—Archivum Franciscanum historicum, 69, 1976.

B. Bughetti, Nuovi documenti intorno a fr. Lodovico da Bologna OFM. Missionario e Nunzio Apostolico in oriente (1460—61)—Studi Francescani, ser 3 a, anno X (XXXV), 1938.

სეევერი ლუდოვიკოს ჩამომავალი ყოფილა და მან გამოაქვეყნა ბოლონიელის გენეალოგია. გარდა ამისა, თავის საგვარეულო არქივში მიაკვლია ლუდოვიკოს მიერ დატოვებულ კალიქსტ III-ის წერილის ასლს ყვარყვარე ათაბაგისადმი. ბუგეტის მრავალი საინტერესო წყარო მოჰყავს. მათ შორის აღსანიშნავია ყვარყვარე ათაბაგის წერილი ვენეციის დოჟისადმი და პაპ სიქსტ IV-ის ბულა, რომლითაც იგი ლუდოვიკოს საბოლოოდ უბრუნებს ანტიოქიის პატრიარქის ტიტულს.

სეევერისა და ბუგეტის პუბლიკაციებმა დიდი დახმარება გაგვიწიეს გავრკვეულიყავით ვადინგის ანალების ქრონოლოგიაში.

რაც შეეხება ევროპელ მოგზაურთა ცნობებს, აქ ყურადღება უნდა გავამახვილოთ ორი ვენეციელი ელჩის — ჯოსაფატ ბარბაროსა და ამბროჯო კონტარინის მონაცემებზე[12]. როგორც ნარატიული ხასიათის პირველწყაროს, მათ ნაშრომებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ იმ მხრივ, რომ შეიცავენ ეპოქის მოვლენათა აღწერას, ასახავენ ევროპელთა გარკვეული წრეების საზოგადოებრივ აზრს, გადმოგვცემენ ევროპელთა ცოდნის დონეს მახლობელი აღმოსავლეთისა და კავკასიის შესახებ და მოწმობენ ამ რეგიონში ევროპის ქვეყნების სავაჭრო-ეკონომიკურსა და პოლიტიკურ ინტერესებს.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ კონკრეტული ფაქტების თვალსაზრისით კონტარინის ნაშრომი უნდა გამოვყოთ. 1474—77 წწ. მან, როგორც ვენეციის რესპუბლიკის ელჩმა, იმოგზაურა აყ-ყოიუნლუს მბრძანებელ უზუნ-ჰასანთან. 1475 წელს იქ მას შეხვედრია ლუდოვიკო ბოლონიელი, რომელიც ამჯერად აღმოსავლეთში ბურგუნდიის ჰერცოგს გამოუგზავნია, ამდენად კონტარინის მიერ მოთხრობილი ფაქტები. მართალია უფრო გვიანდელ პერიოდს — 70-იან წლებს ეხება, მაგრამ ჩვენთვის გარკვეულ ინტერესს წარმოადგენენ 60-იანი წლების პერიოდთან ურთიერთკავშირის თვალსაზრისით.

სამწუხაროდ, ქართულენოვანი დოკუმენტები ან რაიმე ცნობა ქართულ წყაროებში ამ ელჩობის შესახებ საერთოდ არ მოგვეპოვება, რაც ალბათ, იმ მიზეზით აიხსნება, რომ XV საუკუნის პერიოდის ქართულმა წყაროებმა ჩვენამდის დიდი სიმცირით მოაღწიეს. საკმარისია აღინიშნოს თუნდაც ის გარემოება, რომ ქართველ მეფეთა, ანუ სახელმწიფო არქივი საერთოდ არ შემოგვრჩენია.

---

[12] Иосафат Барбаро. Путешествие в Тану.—Библиотека иностранных писателей о России. Отделение I, том I, СПб , 1836, с. 1—65; Амвросий Контарини, Путешествие Амвросия Контарини, посла Святейшей Венецианской республики к знаменитому персидскому государю Узун-Гассану, Библиотека иностранных писателей о России, отд. I, т. I, СПб., 1836, с. 5—130.

მ. თამარაშვილის „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ დუალისტურად შეიძლება განვიხილოთ. იგი წყაროების კატეგორიასაც ეკუთვნის და ამავე დროს გამოკვლევაც არის. აღსანიშნავია, რომ როგორც წყაროს, მას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ჯერჯერობით ერთადერთი პრეცედენტია ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე ევროპული დოკუმენტების ქართულად თარგმნისა. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ თამარაშვილი ძირითადად ვადინგისა და რაინალდოს მონაცემებს ეყრდნობა.

ევროპაში ქართველთა ელჩობის ისტორიამ ასახვა ჰპოვა იმდროინდელ ევროპელ მოღვაწეთა მემუარებშიც.

ამ მხრივ აღსანიშნავია ბურგუნდიის ჰერცოგის მრჩეველისა და მემატიანის — ჟაკ დიუ კლერკის (1420—69) მემუარები[13]. პირველი გამოცემა ეკუთვნის ვინმე რაიფენბერგს (ბრიუსელი — 1823). ეს თხზულება მდიდარია ფაქტობრივი მასალით. აქ ფილიპე კეთილის ცხოვრებიდან (მემუარები მოიცავენ 1448—67 წწ.) ისეთი ფაქტებია მოთხრობილი, რომლებიც სხვაგან არსად გვხვდება. დიუ კლერკს მოთხრობილი აქვს ელჩობის მოგზაურობა საფრანგეთსა და ბურგუნდიაში. აქვეა მოცემული ელჩების სია და მათი დახასიათება.

დაბოლოს, მემუარული ხასიათის წყაროებს შორის უპირველესი ადგილი თვით პაპ პიუს II-ის მემუარებს ეკუთვნის[14].

პიუს II-ის მემუარები („კომენტარები“) — ჟანრობრივად საკმაოდ მრავალფეროვანი ნაწარმოებია. იგი აერთიანებს ავტობიოგრაფიის, მემუარების, დღიურისა და ისტორიული თხზულების ნიშანთვისებებს. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი და მნიშვნელოვანი ძეგლია ევროპის რენესანსის პერიოდისა. „კომენტარებს“, თავის მხრივ, დრამატული ისტორია აქვს. ინახებოდა რა საუკუნეზე მეტ ხანს ხელნაწერის სახით, ნაშრომი პირველად XVI საუკუნეში დაიბეჭდა, დამახინჯებული ტექსტითა და სხვისი ავტორობით. ავტორის ვინაობის გაურკვევლობის მიზეზი ერთი მხრივ, თვითონ პიუსი იყო, რომელიც მესამე პირში წერდა, რაც იულიუს კეისრისაგან ნასესხები ლიტერატურული ხერხი გახლავთ. ტექსტის გადამწერმა ვინმე გობელინუსმა (გერმანელი იოჰან გობელი, ლათინური ტრანსკრიპციით გობელინუსი) სამუშაოს შესრულების შემდეგ ხელი მოაწერა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე

---

[13] Jacques du Clercq, Les Memoires, dans J. A. C. Buchon, Choix de chroniques et memoires relatifs l'histoire de France (8), Paris, 1875, p. 172.

[14] The Commentaries of Pius II, translated by Florence A. Gragg, edited by Leona C. Gabel, N.-V., 1959.

და საკუთარი პიროვნება უნებლიედ გარია. ამ საქმეში. ასე რომ. როცა „კომენტარები“ პირველად დაიბეჭდა, იგი ითვლებოდა არა პიუსის, არამედ მისი მდივნის, გერმანელი იოჰან გობელის ნაწარმოებად. ამავე დროს წიგნის პირველი გამოცემა კონტრრეფორმაციის პერიოდს ემთხვევა და პიუსის ნათესავებს საჭიროდ არ ჩაუთვლიათ გამოეცხადებინათ ჰუმანისტი ავტორის ვინაობა. ამრიგად, XIX საუკუნის ბოლომდე „კომენტარებს“ გობელინუსის ნაშრომად თვლიდნენ. ამაში ნათლად გვარწმუნებს იმდროინდელ ევროპელ ისტორიკოსთა თხზულებები, რომლებიც „კომენტარებს“ გობელინუსის ნაშრომად მიიჩნევენ.

ჭეშმარიტების დადგენა კათოლიკე ისტორიკოსის, „პაპების ისტორიის“ ავტორის, ლუდვიგ პასტორის დამსახურებაა[15]. მან აღმოაჩინა ვატიკანის ხელნაწერი, რომლის დიდი ნაწილი თვით პაპის ხელით იყო დაწერილი, ნაწილი კი, როგორც ჩანს, სხვისთვის უკარნახია.

„კომენტარები“ ერთიანი, მთლიანი ნაწარმოებია, რომელშიც ასახულია პიუს II-ის პოლიტიკა, თავგადასავალი და ამასთან ევროპის ვითარება 1458—64 წლებში. ამავე დროს აქ საკმაოდ კარგადაა ნაჩვენები ამა თუ იმ პოლიტიკური მოღვაწის სახე. ასე რომ. ეს ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანი წყაროა ევროპის ისტორიის შესწავლისათვის.

ნაწარმოების მეხუთე თავში პიუსი გადმოგვცემს მასთან ქართველი ელჩების ჩასვლის ამბავს. მიუხედავად სკეპტიკური კილოსი. იგი მრავალმნიშვნელოვან ფაქტს გვაწვდის, როგორც მაგალითად. ელჩობის მარშრუტი, შემადგენლობა და გაკვრით ზოგიერთი პირის გარეგნულ აღწერასაც კი იძლევა.

აღსანიშნავია, რომ პიუს II-ის თხზულება ერთობ ტენდენციურადაა დაწერილი. მას გამოთქმული აქვს ეჭვები ელჩების ნამდვილობასა და ლუდოვიკოს კეთილსინდისიერებაში. აქედან გამომდინარე, ევროპელი ისტორიკოსები თვლიან რა „კომენტარებს“ უმთავრეს წყაროდ (და ეს მართლაც ასეა), ულაპარაკოდ ღებულობენ პაპის ყველა ეჭვსა და ბრალდებას. თუმცაღა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, პიუსს მართლაცდა ჰქონდა „საფუძველი“ ელჩობა ფალსიფიცირებულად გამოეცხადებინა. უფრო მეტიც, მისი ავტორიტეტისათვის შექმნილ არახელსაყრელ, რომ არა ვთქვათ არასახარბიელო პირობებში, ეს მისი ერთადერთი გამოსავალი იყო.

და მართლაც, ლაპარაკი იყო კავშირის შექმნაზე დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, მაგრამ იგი ვერ განხორციელდა. ასეთ ვითარე-

---

15 Pius II, დასახ. ნაშრომი, შესავალი და კომენტარები დაურთეს ფლორენს ა. გრეგმა და ლეონა კ. გაბელმა, გვ. 22.

ბაში. ბუნებრივია, ჩრდილი თვით ამ საქმის ორგანიზატორს ეცემა და პიუსმა. როგორც გამჭრიახმა პოლიტიკოსმა, ეს განჭვრიტა, მთელი პასუხისმგებლობა მოიხსნა და ლუდოვიკო ბოლონიელს გადააბარა, მით უფრო, რომ ამაში პაპს თვით ლუდოვიკო „დაეხმარა", რომელსაც სავსებით გასაგები პირადული ინტერესი ამოძრავებდა — გამხდარიყო ანტიოქიის პატრიარქი. ამრიგად, პიუსის „კომენტარებმა" სამეცნიერო ლიტერატურაში (უმთავრესად დასავლეთში) დასაბამი მისცა გაბატონებულ შეხედულებას ლუდოვიკოს თაღლითობისა და ელჩობის ფალსიფიცირების შესახებ. აქვე უნდა ითქვას, რომ მეცნიერებმა აღნიშნულ საკითხს ყურადღება ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაუთმეს.

XIX საუკუნის ევროპელ ისტორიკოსთა უმრავლესობა, როგორც ვთქვით. პიუს II-ის „კომენტარებში" გამოთქმულ ეჭვებს იზიარებს, თუმცაღა არც ერთ მათგანს სპეციალურად ეს საკითხი არ შეუსწავლია. დასავლეთ ევროპელ ისტორიკოსთა ნაშრომები ძირითადად რომელიმე დიდ პრობლემას ეძღვნება და აქ გაკვრით, ხშირად ერთ-ორ გვერდზეა ლაპარაკი ლუდოვიკოს შესახებ. ამრიგად, XIX საუკუნის „ეჭვიან" მკვლევართა შორის უნდა დავასახელოთ გ. ფოიგტი, ვ. ჰეიდი, ი. ჰამერი, ი. ვ. ცინკაიზენი, ლ. პასტორი[16].

განსაკუთრებული ყურადღება გვინდა მივაპყროთ პიუს II-ის ბიოგრაფს, გერმანელ ისტორიკოსს, კენიგსბერგის, მიუნხენის, როსტოკისა და ლაიფციგის უნივერსიტეტების საპატიო პროფესორს — გეორგ ფოიგტს. იმისათვის, რომ წარმოდგენა შეგვექმნას ამ მკვლევარის დამსახურებაზე მსოფლიო ისტორიის შესწავლაში, საკმარისია დავასახელოთ მისი ნაშრომი „კლასიკური ანტიკური ხანის აღორძინება ანუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა პირველი საუკუნე" (ბერლინი, 1859).

გ. ფოიგტის სამტომიანი მონოგრაფია — „ენეა სილვიო და პიკოლომინი, პაპობაში პიუს II და მისი დროება". უაღრესად ფასეული გამოკვლევაა როგორც თვით პაპ პიუს II პიროვნების შესასწავლად, ასევე საერთოდ რენესანსის პერიოდისათვის. თუმცაღა ამ ნაშრომის დახასიათება ჩვენს ამოცანაში არ შედის, მაგრამ უაღრესად ნიშანდობლივი და საინტერესოა ფაქტების ფოიგტისეული შეფასება. აღსანიშნავია, რომ ქართველი მეფისა და მთავრის და ტრაპიზონის კეისრის

---

[16] G. Voigt, Enea Silvio de Piccolimini als Papst Pius der Zweite und sein Zeitalter, Bd III, Berlin, 1863, გვ.643—650; W. Heyd, Geschichte des Levantehandels im Mittelalter, Bd. II, Stuttgart. 1879, გვ. 362—374; J. Hammer, Geschichte des Osmanischen Reiches, Bd II, Pest, 1834, გვ. 111—116; J. W. Zinkeisen, Geschichte des Osmanischen Reiches in Europa, Bd II, Gotha, 1854, გვ. 327—334; L. Pastor, Histoire des Papes depuis la fin du Moyen-âge, trad. de l'allemand par F. Raynaud, II, Paris, 1888, გვ. 234—237.

წერილებში ეჭვის შეტანა სწორედ ფოიგტისაგან იწყება. ამასთან გვინდა გავამახვილოთ ყურადღება ერთ გარემოებაზე: ჩამოთვლის რა ელჩებსა და მათ პატრონებს, ფოიგტი ანსხვავებს „სპარსეთის მეფის“ ელჩსა და იმერეთის მეფის ელჩს. ეს ერთადერთი შემთხვევაა, სადაც იმერეთის ელჩი იხსენიება. ჩვენ ვერ შევამოწმეთ ფოიგტის წყარო, მაგრამ ამ საკითხის ირგვლივ არსებული არც ერთი სხვა ძირითადი წყარო არ ასახელებს იმერეთის ელჩს, უბრალოდ ნათქვამია, რომ ბაგრატი კავშირს მიემხროო.

ამრიგად, აღნიშნული საკითხის კვლევაში ფოიგტის ნაშრომს ეტაპური მნიშვნელობა ენიჭება.

XIX საუკუნის დანარჩენი ისტორიკოსები არ გამოთქვამენ არავითარ ეჭვს ელჩობის თაობაზე, მაგრამ არც ელჩობის ნამდვილობის სასარგებლოდ გამოდიან, ისინი მხოლოდ ფაქტებს მოგვითხრობენ (მ. დე ბარანტე, ი. ფ. ფალმერაიერი და მარი ბროსე)[17].

და მხოლოდ ორმა გამოთქვა ვარაუდი ლუდოვიკო ბოლონიელის სასარგებლოდ. ესენი იყვნენ მარცელინო დე ჩივეცა, რომელმაც, როგორც ფრანცისკანელთა ორდენის წევრმა, სცადა დაეცვა თავისი წინამორბედი მოძმის ღირსება და კარლ იოზეფ ჰეფელე. რომელმაც თავის მრავალტომიან ნაშრომში — „საეკლესიო ყრილობების ისტორია“ პირველმა მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ 1471 წელს სიქსტ IV-ემ კვლავ დაუბრუნა ლუდოვიკოს მისი უფლებები[18].

არც ჩვენს საუკუნეში განელებულა ინტერესი და აზრთა სხვადასხვაობა ამ „არაჩვეულებრივი ბერისა“ და „უეპარქიო პატრიარქისადმი“.

განსაკუთრებული ადგილი მორიც ლანდვერ ფონ პრაგენაუს ნაშრომს უნდა მივაკუთვნოთ[19]. ავტორი გვაწვდის მრავალ ახალ ფაქტობრივ მასალას, რაც უეჭველად ლუდოვიკო ბოლონიელის სასარგებლოდ მეტყველებს, მაგრამ ამისდა მიუხედავად იგი ნეიტრალური რჩება დასკვნების გაკეთებისას და საბოლოოდ ახალი მასალების

---

[17] M. de Barante, Histoire des Ducs de Bourgogne de la maison de Valois, t. 11, Bruxelles, 1838, p. 179; J. Ph. Fallmerayer, Geschichte des Kaiserthums von Trapezunt. München, 1827, P. 264—274; M. Brosset, Additions et ecclaircissements à l'histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'en 1469, St-Petersbourg, 1856, p. 406—111.

[18] M. da Civezza, Storia universale della missione Francescane, vol. V, Romae, 1861, p. 135—204; K. J. Hefele. Conciliengeschichte, Bd VIII, Freiburg im Breisgau, 1887, s. 141.

[19] M. L. von Pragenau, Ludwig von Bologna Patriarch von Antiochien, Mitteilungen des Instituts fur Osterreichische Geschichtsforschung. Bd. XXII, Innsbruck, 1901.

მოძიებისაკენ მოგვიწოდებს. უნდა ითქვას, რომ პრაგენაუს სტატია არის პირველი ნაშრომი, რომელიც საგანგებოდ ლუდოვიკო ბოლონიელს მიეძღვნა.

ელჩობის ფალსიფიცირების აზრის მომხრენი XX საუკუნეშიც გამოჩნდნენ. ესენი არიან ფრანც ბაბინგერი და ენტონი ბრაიერი[20].

ბაბინგერის ვრცელი მონოგრაფია „მეჰმედ დამპყრობელი და მისი დროება" თავისთავად მნიშვნელოვანი ნაწარმოებია, მაგრამ ბუნებრივია, ჩვენ იგი მხოლოდ ლუდოვიკო ბოლონიელთან მიმართებაში გვაინტერესებს. აქ ბაბინგერი ძველი ტენდენციის ერთგული რჩება. იმდენად, რომ არც კი თვლის საჭიროდ შეცვალოს ფოიგტისეული თხრობის სტილი და ზოგ ადგილას კი ურცხვად, ყოველგვარი მითითების გარეშე სიტყვასიტყვით იმეორებს თავისი წინამორბედის ნააზრევს.

ბირმინჰემის უნივერსიტეტის პროფესორი ენტონი ბრაიერი იმათ რიცხვს ეკუთვნის, ვინც ლუდოვიკო ბოლონიელს საგანგებო ვამოკვლევა მიუძღვნა. როგორც ზემოთ ითქვა. თავისი აშკარა ტენდენციურობისდა მიუხედავად ბრაიერის ნაშრომს ის დადებითი მხარე აქვს. რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ბრალდებას და ეჭვს თავი მოუყარა და სცადა მეცნიერულად დაესაბუთებინა ამგვარი შეხედულებების სისწორე.

რაც შეეხება იმ მეცნიერებს, რომელთაც ლუდოვიკოსა და მისი მისიის დაცვა სცადეს, მათი რიცხვი ჩვენს საუკუნეში ევროპელ მკვლევართა შორის გაიზარდა. ამ ისტორიკოსების რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ზემოთ დასახელებული სევერი და ბუგეტი, რომლებმაც ლუდოვიკოს კეთილსინდისიერების სასარგებლოდ საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტები მოიყვანეს და აგრეთვე ჟან რიშარი[21]. მის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მან სააშკარაოზე გამოიტანა ლუდოვიკოს ურთიერთობა ბურგუნდიის ჰერცოგ შარლ მამაცთან.

ახლა რამდენიმე სიტყვა ჩვენს სამამულო ისტორიოგრაფიაზე. ლუდოვიკო ბოლონიელის სახელი ქართველ ისტორიკოსთათვის ცნობილი გახდა მ. თამარაშვილის ფასდაუდებელი მოღვაწეობის წყალობით. მან ქართულ ენაზე თარგმნა ბევრი დასავლეთევროპული დოკუმენტი, მათ შორის გიორგი VIII-ისა და ყვარყვარე ათაბაგის წერი-

---

20 F. Babinger, Mehmed der Eroberer und seine Zeit, Munchen, 1953, გვ. 196—210; A. Bryer, Ludovico da Bologna and the Georgian and Anatholyan Embassy of 1460—61, „Bedi Kartlisa, revue de Kartvelologie", vol. XIX—XX, Paris, 1965.

21 J. Richard, La Papautè et les missions d'Orient au Moyen-âge XIII—XV-e siècles, Rome, 1977, გვ. 274—279.

ლები ბურგუნდიის ჰერცოგ ფილიპე კეთილისადმი[22]. მიხეილ თამარაშვილის მიერ შეკრებილი დოკუმენტებით იხელმძღვანელა ივ. ჯავახიშვილმა და აღმოსავლეთელი მოკავშირეების დამახინჯებული სახელებისა და ტიტულების ახსნა მოგვცა[23]. ამ საკითხს საგანგებო სტატია მიუძღვნა აგრეთვე კორნელი კეკელიძემ[24].

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ხსენებული ქართველი მეცნიერები აღნიშნულ ელჩობას იმდენად რეალურად თვლიდნენ, რომ არც კი ცდილობდნენ ამის დასაბუთებას და მხოლოდ ფაქტის კონსტატირებით კმაყოფილდებოდნენ.

ახლანდელ დროში ჩვენთვის საინტერესო საკითხს ეხებიან ი. ბერაძე, ე. მამისთვალიშვილი და ს. კარპოვი[25], აქვე უნდა ითქვას, რომ თუ ი. ბერაძე და ე. მამისთვალიშვილი ერთგულნი დარჩნენ ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული აზრისა და ელჩობის ჭეშმარიტება ეჭვგარეშედ მიიჩნიეს, ს. კარპოვი თითქოსდა დაუბრუნდა ძველ ევროპულ, უკვე ტრადიციულ ტენდენციას და ლუდოვიკოს კეთილსინდისიერება და მისი მხლებლების უფლებამოსილება კვლავ კითხვის ქვეშ დააყენა.

ვლაპარაკობთ რა ქართულ ისტორიოგრაფიაზე, უნდა აღვნიშნოთ, რომ მ. თამარაშვილისა და ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევების საფუძველზე ბ. ლომინაძემ დაწერა სპეციალური პარაგრაფი „საქართველოს ისტორიის ნარკვევებისათვის“[26].

აი, ყოველივე ის, რაც აღნიშნულ საკითხზე სადღეისოდ გაკეთდა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ქართველთა ელჩობის ისტორია ლუდოვიკო ბოლონიელის მისიასთან დაკავშირებით ჯერჯერობით ჯეროვნად, ყოველმხრივ გაშუქებული არ არის. ამიტომაც მიზნად დავისახეთ სა-

---

22 მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 47—63.

23 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბ., 1967, გვ. 62—74.

24 К. К е к е л и д з е. Отклики в Грузии на падение Константинополя (к 500-летию взятия Константинополя турками).—ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. III, თბ., 1955, გვ. 87—95.

25 ი. ბ ე რ ა ძ ე, ჯვაროსნულ ლაშქრობასა და ანტიოსმალურ კოალიციებში საქართველოს ძონაწილეობის შესახებ, „მაცნე“ № 4, 1965; ე. მ ა მ ი ს თ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის II ნახევარსა და XVI საუკუნეში, თბ., 1981, გვ. 38—56; К а р п о в С. Трапезундская империя и западноевропейские государства в XIII—XV вв. М., 1981, с. 143—45; 158—65.

26 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 737—39.

განგებოდ, მონოგრაფიულად შეგვესწავლა დასავლეთ ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიციის ისტორია და ქართველთა ელჩობა დასავლეთ ევროპაში XV საუკუნის 60-იან წლებში, ასევე შეგვეფასებინა ისტორიოგრაფიაში გამოთქმული ორი ვარაუდი და გამოგვემზეურებინა პიუს II-ის დამოკიდებულება ლუდოვიკო ბოლონიელისა, და მის მიერ ევროპაში ჩაყვანილი ელჩობის მიმართ.

პირველი თავი

საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა XV საუკუნის შუა წლებში და მისი მცირეაზიელი მოკავშირეები

ქვეყნის ისტორიის შესწავლა რომელიმე ეპოქაში, როგორც ცნობილია, ძირითადად ორი მიმართულებით მიმდინარეობს: შიდაპოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობებისა და სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური კურსის შესწავლის გზით.

ჩვენი მიზანია შეძლებისდაგვარად განვიხილოთ საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი დროის გარკვეულ მონაკვეთსა და გარკვეულ სახელმწიფოებთან მიმართებაში.

როგორც კ. კლაუზევიცი აღნიშნავს, ნებისმიერი სახელმწიფოს საგარეო პილიტიკა წარმოადგენს მისი საშინაო პოლიტიკის გაგრძელებას და განისაზღვრება ამ უკანასკნელით[1]. რადგანაც სახელმწიფოს შიდაეკონომიკური მდგომარეობა საწინდარია ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ორიენტაციისა, უფრო ზუსტად კი განაპირობებს მას, ზედმეტად არ მიგვაჩნია ზოგადად შევეხოთ ამ უკანასკნელს.

აღნიშნული ხანა, ანუ XV საუკუნე ქართველი ხალხის ისტორიაში უმძიმესი და ჯერჯერობით, სამწუხაროდ, ჯეროვნად შეუსწავლელი პერიოდია. ეს ის პერიოდია, როდესაც ქვეყნის განვითარებამ რადიკალური ცვლილებები განიცადა როგორც სოციალურსა და ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ ასპექტში. საქართველო დაქვეითდა ეკონომიკურად და დაიშალა სამეფო-სამთავროებად. რა იყო ყოველივე ამის მიზეზი? რა იყო მიზეზი იმისა, რომ საქართველო, რომელიც XII—XIII სს. მახლობელ აღმოსავლეთში ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო იყო, იმდენად, რომ ამიერკავკასიის გამაერთიანებლის როლში ვამოდიოდა, XV საუკუნისათვის მთლიანობადაკარგულ და ეკონომიკურად დაქვეითებულ სამეფო-სამთავროებად იქცა?

---

[1] Carl von Clausewitz, Vom Krieg, Berlin, 1880.

ყოველივე ამის მიზეზად გარეგანი ფაქტორი — უცხოელ დამპყრობთა განუწყვეტელი და დამანგრეველი შემოსევები უნდა მივიჩნიოთ.

შემდგომი მსჯელობის წინა პირობად ის გარემოება უნდა ჩავთვალოთ, რომ საქართველო მისი მეზობელი აგრესორებისაგან განსხვავებულ, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე იდგა. საქართველოში უფრო მოწინავე, პროგრესული საწარმოო ურთიერთობანი იყო დამკვიდრებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თურქულ, თურქმანულ, სეფიანთა ირანის ე. წ. „ბარბაროსული ფეოდალიზმის" (კ. მარქსი) საპირისპიროდ საქართველოში ევროპული ტიპის ფეოდალური ურთიერთობები იყო გაბატონებული[2]. ეს, თავის მხრივ, განპირობებული იყო საქართველოს პრობიზანტიური პოლიტიკითა და ჯერ კიდევ IV საუკუნეში ქრისტიანული სარწმუნოების მიღებით. ქრისტიანული სარწმუნოება, როგორც იდეოლოგიური ზედნაშენი, დიალექტიკურ ერთიანობაშია ეკონომიკურ ბაზისთან და საქართველოც ამ იდეოლოგიური ზედნაშენისათვის დამახასიათებელ ეკონომიკური ბაზისის რელსებზე იდგა. აქედანვე გამომდინარეობს ქართველ პოლიტიკოსთა შემდგომი საგარეო პოლიტიკური კურსი. ეკონომიკურად დაბალგანვითარებული ქვეყნებისაგან შეკიწროებული საქართველო ქრისტიან მოკავშირეებს ეძებდა, რაც საქართველოს მსგავსი ეკონომიკური წყობის მქონე ქვეყნებთან დაახლოების სურვილის გამოხატულება იყო. ყოველივე ამან განსაკუთებულად მწვავე ფორმა მიიღო კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ, როდესაც საქართველო იზოლირებული აღმოჩნდა ეკონომიკურად განვითარებული ევროპისაგან.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ქართველთა მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა თავის გადარჩენისათვის ემყარებოდა ბრძოლას პროგრესული წარმოების წესისა და მისი იდეოლოგიური ზედნაშენის შენარჩუნებისათვის.

ახლა ორიოდე სიტყვით შევეხოთ იმ ძირეულ ცვლილებებს, რაც XIV საუკუნიდან მოყოლებული საქართველოში მოხდა.

ჩვენ ამოვდივართ ნ. ბერძენიშვილის ცნობილი მოსაზრებიდან, რომ XII—XIII სს. საქართველო მომწიფებული ფეოდალიზმის ხანაში იყო, ე. ი. ქვეყანაში არსებობდა ყველა პირობა იმისა, რომ ფეოდალური ურთიერთობების სიღრმეში წარმოქმნილიყო ახალი კლასი, რომელიც საშუალებას მისცემდა ქვეყანაში ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ჩასახვას.

---

[2] ივ. ჯ ავ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი I, ტფილისი, 1928, გვ. 95, 105.

მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენში ყოველივე ამან ლოგიკური განვითარება ვერ ჰპოვა. ქვეყანა დაიშალა პოლიტიკურად და ეკონომიკურადაც დაქვეითდა.

ვლაპარაკობთ რა ქვეყნის პოლიტიკურ დაშლაზე, მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ, რომელმაც შეძლო გაემარჯვა ცენტრიდანულ ძალებთან ჭიდილში, XIII საუკუნეში მძიმე დარტყმა განიცადა და დასუსტდა. ამის შედეგად ფეოდალებმა თავი გაინთავისუფლეს მეფის ყმობიდან. ამის თაობაზე ნ. ბერძენიშვილი წერს, რომ საქართველოს დაპყრობისთანავე მონღოლებმა ხერხიანად გამოიყენეს ქართული სისტემა ერისთავთ-ერისთაობისა და ქართველი მეფის ეს მოხელეები თვით დაიქვემდებარეს იმის მეშვეობით, რომ თითოეულს „ჯელთ უდვეს მამული მისი“, მათ შეიწყნარეს ამ უკანასკნელთა „მთავრობა“[3].

ეს სხვა არაფერია, თუ არა ქვეყნის პოლიტიკური დაშლა. განაგრძობს რა მსჯელობას ამ საკითხის ირგვლივ, ნ. ბერძენიშვილი დასკვნის: „XIII—XIV საუკუნეების ქართველი მოღვაწენი ხელდადებით მონღოლებსა სთვლიან იმის მიზეზად, რომ მეფემ „ვერ სცვალნის მთავარნი და ერისთავნი“ და ეს „შიშისათჳს ყაენისაო“... მათი წარმოდგენით საქართველო ერთი მთლიანი ფეოდალური ქვეყანაა, მაგრამ მონღოლთა მფლობელობის ქვეშ და მათი პოლიტიკის წყალობით დანაწევრებული. ეს შეხედულება იმ შესწორებას საჭიროებს, რომ მონღოლთა ასეთი პოლიტიკის ეფექტურობა თვით საქართველოს ფეოდალური სინამდვილის ნაყოფი იყო“[4].

ჩვენ არ შევცდებით, თუ ამ ხაზგასმულ განსაზღვრებას განვაზოგადებთ. ჭეშმარიტად ყველგან და ყოველთვის, ფეოდალური წყობილების შინაგან წინააღმდეგობათა შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბრძოლას მეფესა და ფეოდალებს შორის. ამრიგად, ეს გარემოება არ არის სპეციფიკური მხოლოდ ქართული ფეოდალიზმისათვის. უბრალოდ, ჩვენში ფეოდალებმა შეძლეს მეფის ხელისუფლების დაძლევა და ისიც გარეშე ძალის დახმარებით.

როგორც მართებულად აღნიშნავს მ. დუმბაძე: „განვითარებული ფეოდალიზმის ერთ ნიშნად მიიჩნევენ პოლიტიკური დაშლილობის დასაწყისს, რაც ამ ფორმაციის საყოველთაო გავრცელებას, მის დამკვიდრებას, სრულყოფას მოსდევს; მის პარალელურად იქმნება პირობები ეკონომიკური დაშლილობის გადალახვისათვის; მაგრამ ფეოდალიზმის სიფართოვითა და სიღრმით გავრცელება იმას როდი ნიშნავს,

---

[3] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბ., 1965, გვ. 59.

[4] იქვე.

რომ მას ერთდროულად ყველგან უნდა მოჰყვეს დაშლა, რომლის კონტურები ადრეფეოდალური სახელმწიფოს წიაღში არსებობენ. ეკონომიკური და პოლიტიკური დაშლა, ქვეყნის „ნორმალური“ (თავისთავადი) განვითარების პირობებში არის გარდამავალი საფეხური უფრო ძველ, მყარ ეკონომიკურ საფუძველზე გაერთიანებისაკენ“[5].

ყოველივე ეს საქართველოსათვის უკვე განვლილი ეტაპი იყო, ხოლო ის დაშლა, რაც ჩვენში XIV საუკუნიდან წარმოებს, მხოლოდ პოლიტიკური შინაარსისაა, რომელიც ნაკარნახევია არა ქვეყნის ეკონომიკით, არამედ ქვეყნის „არანორმალურ“ ანუ მონღოლთა დაპყრობების შედეგად არათავისთავად განვითარებაზეა აღმოცენებული.

ცენტრიდანული ძალების მოქმედების ერთ-ერთ მკაფიო მაგალითს სამცხე-საათაბაგოს ცალკე პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბების პროცესი წარმოადგენს.

მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ოპოზიციურად განწყობილი მსხვილი ფეოდალების გაძლიერების შედეგად საქართველოში XIII საუკუნეში დამკვიდრდა ათაბაგის თანამდებობა, რომლის ფუნქციაში შედიოდა ტახტის მემკვიდრის აღზრდა. იგი იმთავითვე დაუპირისპირდა წწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის (პირველი ვაზირის) თანამდებობას. შემდგომ ათაბაგობასთან ხშირად შეთავსებული იყო ამირსპასალარის თანამდებობაც. 1334 წელს გიორგი V-მ ათაბაგობა უბოძა თავის ბიძას, სამცხის მთავარს სარგის ჯაყელს. საქართველოს პოლიტიკური დანაწილების შემდეგ ათაბაგობა, როგორც ვაზირობა მოისპო და სამცხის მთავართა ტიტულად იქცა, ხოლო სამთავროს სამცხე-საათაბაგო ეწოდა.

XV საუკუნეში ათაბაგმა სცადა თავისი სამთავრო ჩამოეცილებინა მცხეთის სასულიერო პრიმატისათვის[6]. რაც შეეხება ქვეყნის ეკონომიკურ დაქვეითებას, აქ „სიპატიო“ ადგილი თემურლენგს უნდა მივაკუთვნოთ.

XV საუკუნის საქართველოს მემკვიდრეობად ერგო უკიდურესად შემცირებული მოსახლეობა, გაპარტახებული სოფლის მეურნეობა, აოხრებული ქალაქები, ამოშრეტილი საერთო-სახალხო დოვლათი. მოკლედ რომ ვთქვათ, ფეოდალურ საწარმოო ძალთა და საშუალებათა დაქვეითება[7]. ჩვენი ქვეყნის ამ სავალალო მდგომარეობის მიზეზი იყო

---

5 მ. დუმბაძე, საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია (XV საუკუნემდე), კრებულში „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია“, თბ., 1980, გვ. 30.

6 თ. ყორდანია. ქრონიკები, II, თბ., 1897, გვ. 267—269; Toncmelis, Правда об автокефалии Грузинской церкви, Кутаиси, 1905, с. 23.

7 დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, II ნაწ., თბ., 1965, გვ. 139.

თემურლენგი, რომლის რვაგზის ლაშქრობის შედეგად საქართველო აცდა თავისი განვითარების ბუნებრივ გეზს და გიორგი V-ის ბრწყინვალე წამოწყებები სამუდამოდ განუხორციელებელ ოცნებად დარჩა. „არა სადა მოწევნილ არს ქართლსა ზედა ჴირი ესევითარი, რაოდენიცა ამ ბოროტმა მოაწივა“. თუ ადრე საქართველოს მტრები ხარკით კმაყოფილდებოდნენ (ხვარაზმელები, მონღოლები), თემური უფრო შორს წავიდა და ძირითადი დარტყმები ქვეყნის ეკონომიკას მიაყენა. თემური ცდილობდა მტკიცედ დამკვიდრებულიყო საქართველოში და გადაექცია იგი თავისი სახელმწიფოს ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად[8]. „ამ მიზნის მისაღწევად კი, თემურს მშვენივრად ესმოდა, არ კმაროდა აქაური ქვეყნების მარტოოდენ პოლიტიკური დაქვემდებარება, არამედ საჭირო იყო მათი (ე. ი. ამიერკავკასიის ქვეყნების) საშინაო ცხოვრების გარდაქმნაც მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების მუსლიმან ხალხთა ყაიდაზე“[9].

როგორც აღვნიშნეთ, თემურლენგმა ძირითადი დარტყმა ეკონომიკას მიაყენა. მან დააზარალა „ქართველური“ ფეოდალური წყობის უშუალო შემოქმედი, მისი ბირთვი — ქართველი გლეხკაცი. ამის საბოლოო შედეგი იყო ის, რომ სოფლის მეურნეობა საგრძნობლად დაკნინდა, რამაც გამოიწვია თანაფარდობის დარღვევა მწარმოებელსა და გაბატონებულ კლასებს შორის, რასაც, თავის მხრივ, მოჰყვა ქვეყნის საერთო ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება. ამის ნათლად წარმოსადგენად დაგვეხმარება იმ პერიოდის თანამედროვე უცხო თვალი. ა. კონტარინი, რომელსაც 70-იან წლებში არაერთხელ მოუხდა საქართველოზე გავლა, საინტერესო ცნობებს გვაწვდის. მაგალითად. მას თუ დავუჯერებთ, იმ დროს სამეგრელოში ღვინო ტრაპიზონიდან მოჰქონდათ[10], რაც მოწმობს ქართული მეევნახეობის მდგომარეობას. გარდა ამისა, კონტარინი აგვიწერს იმდროინდელ ქართულ სუფრასაც ქუთაისის „გუბერნატორის“ კარზე, რომელიც საკმაოდ ღარიბად გამოიყურებოდა[11].

სოფლის მეურნეობასთან ერთად დაქვეითდა საქალაქო ცხოვრებაც. ვენეციის ელჩის თქმით, თბილისის მოსახლეობა განახევრებული იყო. ომისგან შემცირებულ მოსახლეობას ახლა სხვადასხვა მოარული სენი დარევია (მისი მსხვერპლი გახდა კონტარინიც). თბილისს იგი

---

8 კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV—XV სს. მიჯნაზე, თბ., 1974, გვ. 48—59.

9 კ. ტაბატაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 225.

10 Путешествие Амвросия Контарини. Библиотека иностранных писателей о России. т. I, отд. 1, Спб., 1836, с. 32.

11 იქვე, გვ. 34.

აგვიწერს შემდეგნაირად: „ქალაქი ტფილისი განთქმული იყო აღრე თავისი სივრცით, მაგრამ ახლა გაკოტრებულია, მიუხედავად ამისა, ის ნაწილი, რაც ნგრევას გადაურჩა, მჭიდროდ არის დასახლებული“[12].

თავისი მიზნის მისაღწევად თემურს პოლიტიკური თვალსაზრისით ცენტრალური ხელისუფლება უნდა დაემარცხებინა და მისი მთავარი დარტყმებიც სწორედ სამეფო ხელისუფლებას დაატყდა თავს.

როგორც ვხედავთ, თემურლენგმა საგრძნობი ზიანი მიაყენა როგორც პროვინციას, ისე ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრსაც. მაგრამ პირველი უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რაც არ არის გასაკვირი ფეოდალიზმის ეპოქაში, და მან საბოლოო გამარჯვება მოიპოვა ცენტრზე.

სამეფო ხელისუფლებას ამ დროს აღარ ძალუძს თავისი ძირითადი კლასობრივი ფუნქციის შესრულება — ყმაგლეხობის მორჩილებაში მოყვანა და ქვეყნის შიგნით წესრიგის დამყარება. მეფისა და მსხვილი ფეოდალების პოლიტიკური მდგომარეობა და სიძლიერე გათანასწორდა. ფაქტობრივად ქვეყანა ფეოდალურმა ანარქიამ მოიცვა. გაიზარდა გლეხთა ექსპლუატაცია. „ძირითად საგლეხო გადასახადს ემატება ახალი დამატებითი გადასახადები. თვით „თავი ბეგარაც“ გაზრდილია და ეს ძირითადად არაპირდაპირი გზით, ზომა-საწყაოების გაზრდის საშუალებით“[13].

გარდა ამისა, მსხვილი ფეოდალები, როგორც აღვნიშნეთ, მეფის ხელისუფლებას აღარ ემორჩილებიან და იბრძვიან იმუნიტეტის მისაღწევად, რაც მოახერხეს კიდევაც. საკარგავ ინსტიტუტზე საბოლოოდ გაიმარჯვა ფეოდალურმა იმუნიტეტმა. ამიერიდან მამულის გაცემა მხოლოდ „მკვიდრად გაცემას“ ნიშნავდა, რის ნათელ დამადასტურებელ საბუთად მიგვაჩნია „წყალობის სიგელი ალექსანდრე მეფისა ავთანდილ ზევდგინიძისადმი“ 1425 წ.

სიგელში ვკითხულობთ: „და ვისმინეთ აჯა მათი და მიუბოძეთ ქარუმისძე ქავთარ და მისი შვილი და მომავალნი სახლისა მათისანი. მათითა მამულითა, საჯდომითა, სახლითა, ყანითა, ვენახითა, წყლითა და ბარითა... სამკუიდროდ, სამამულოდ და უცილობლად ყოვლისა დამბადებელისაგან... აწ ვინცა ნახოთ ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი: შემდგომად ჩვენსა მომავალთა (მეფეთა) და დედოფალთა, ერისთავთ-ერისთავთა... დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშალავთ მტკიცედ ბოძებულსა ამას ჩუენსა“[14].

---

[12] Путешествие Амбросия Контарини, გვ. 67.

[13] ნ. ასათიანი, საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად (ხელნაწერი).

[14] ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 118.

ამრიგად, საქართველო ფეოდალურმა ანარქიამ მოიცვა და ამ ანარქიის პირმშო იყო სათავადოები. სათავადოების სისტემა ჩამოყალიბებას იწყებს XIV ს. მეორე ნახევარში და მთავრდება XVI ს-ში. ასე რომ, აღებული ხანა სათავადოების წარმოქმნის ყველაზე აქტიური პერიოდია[15].

ქვეყნის ასეთ რთულ შიდაეკონომიკურ მდგომარეობას თან დაერთო არასახარბიელო საგარეო პოლიტიკური ვითარებაც. თემურ ლენგის სიკვდილის შემდეგ (1405) მისი უზარმაზარი იმპერია შინაომებმა მოიცვა. ამით ისარგებლეს დაპყრობილმა ხალხებმა და ბრძოლა დაიწყეს თემურიანთა ბატონობის წინააღმდეგ. საქართველოში ამ ბრძოლას გიორგი VII (1393—1407) მეთაურობდა. მან არაერთხელ დაამარცხა მტერი ქვეყნის ფარგლებში, მნიშვნელოვანი ბრძოლა მოუგო ბატონიშვილ ომარს ალათაღთანაც. აქ ქართველთა 15-ათასიანმა ჯარმა სასტიკად დაამარცხა ომარ-მირზას 150000-იანი ლაშქარი.

არც თემურის მუსლიმან ვასალებს დაუკარგავთ დრო. იმ ხანად ირანში გაძლიერდნენ თურქმანთა ტომების მეთაურები: ჯელაირიდების სახელმწიფოს უკანასკნელი მბრძანებელი აჰმედ იბნ-ოვეის ჯელაირი და შავბატკნიანთა (ყარა-ყოიუნლუ) მთავარი ყარა-იუსუფი. 1410 წელს ყარა იუსუფმა თავი მოჰკვეთა ჯელაირს და სპარსეთის უცილობელი ბატონი გახდა.

განმათავისუფლებელი მოძრაობა აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც მიმდინარეობდა. აღსანიშნავია, რომ ამ დროს შირვანშაჰ იბრაჰიმსა და გიორგი VII შორის ურთიერთდახმარების კავშირი დაიდო[16].

მაგრამ სამხრეთში ყარა-ყოიუნლუს სახელმწიფო უკვე მრისხანე ძალაა, რომელიც თემურის იმპერიის პოლიტიკურ მემკვიდრეობას ცდილობს. ამ ვითარებაში ყარა-იუსუფს თავისი პრეტენზიები ჰქონდა ამიერკავკასიაზე... „1407 წელს დიდი ომი მოხდა, რომელშიც გიორგი მეფე მოკლულ იქნა და საქართველოს ჯარის უდიდესი ნაწილი ამოსწყდა. უეჭველია, ეს დიდი ომი უნდა იმავე ყარა-იუსუფის სამხედრო მოღვაწეობასთან ყოფილიყო დაკავშირებული"[17].

ტახტზე გიორგის ძმა კონსტანტინე I ავიდა (1407—1411). მასაც რთულ ვითარებაში მოუხდა მეფობა. ყარა-იუსუფი მრისხანე ძალა იყო და სულ უფრო მოიწევდა საქართველოზე. ამიერკავკასიის პოლიტიკურმა მესვეურებმა ამ საფრთხის გამო შეკავშირება დაიწყეს. ამ კავ-

---

15 სათავადოების შესახებ იხ.: დ. გვრიტიშვილი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1955; გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1955.

16 Петрушевский И. П. Государства Азербайджана в XV в.— Сборник статей по истории Азербайджана, вып. I, Баку," 1949. с. 154

17 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია XI—XV ს. თბ., 1949, გვ. 224.

შირის წევრები იყვნენ კონსტანტინე მეფე, შირვანის მბრძანებელი იბრაჰიმი და შაქის პატრონი სიდი ახმედი. ყარა-იუსუფმა კონტრზომები მიიღო და დაშალა ეს კავშირი. ნაწილი მოისყიდა, მაგალითად, სამხრეთ აზერბაიჯანის ტომთა მეთაურები ამირა ბოსტამ ჯაგირი, ამირ ბაბა ჰაჯი ქავერდი და სხვ.[18], ნაწილს კი ომი გამოუცხადა. შირვან შაჰმა საქართველოს დახმარება სთხოვა. კონსტანტინემ არ დააყოვნა და 2000 კაცით (როგორც ჩანს, მსხვილმა ფეოდალებმა უარი უთხრეს მეფეს დახმარებაზე) მიეშველა მას. ბრძოლა ჩალაღანთან მომხდარა 1411 წელს. ძალთა თანაფარდობა ყარა-იუსუფის მხარეზე აღმოჩნდა და გამარჯვებაც მას ერგო. კონსტანტინე მეფე თავისი ნებლებლებით ტყვედ ჩავარდა. ტყვეობაში ქართველებს თავი მედიდურად ეჭირათ და განრისხებულმა ყარა-იუსუფმა ტყვეები ადგილზევე დაახოცვინა. „მეფე კონსტანტინეს ყარა-იუსუფის ვაჟმა ფირ-ბუდაყმა მოჰკვეთა თავი საკუთარი ხელით“[19].

შირვანშაჰი იბრაჰიმი 1200 თუმნის ფასად განთავისუფლდა ტყვეობიდან, მაგრამ ყარა-ყოიუნლუ თავის სიუზერენად სცნო...

კონსტანტინეს შემდეგ საქართველოს მეფეა მისი შვილი ალექსანდრე I დიდი (1412—1442). მართალია, მას ისევ სრულიად საქართველო ემორჩილებოდა, მაგრამ დაკარგული ჰქონდა ხაჩენი, ანისი, ლორე.

ალექსანდრემ უპირველეს ყოვლისა სცადა, საქართველოს უზრუნველყოფა გარეშე მტრებისაგან, და აქედან მოყოლებული 1416 წ. იგი წარმატებით ატარებს „უსჯულოთა“ წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკას. აღნიშნულ წელს კი ივანე ათაბაგის სამფლობელოში ინციდენტი მოხდა. აქ გაქრისტიანებულ ქართველ, სპარს და სომეხ ყმაწვილებს ღორის ხორცი უჭამიათ და ამ „უწმინდური ცხოველის“ ძვლები მაჰმადიანთა სამლოცველოში შეუყრიათ. ეს გახდა საბაბი ყარა-იუსუფის ლაშქრობისა სამცხეში, სადაც ახალციხის ადგილობრივ მუსლიმანთა მხარდაჭერით ეს ქალაქი თუქმანებმა აიღეს[20].

ამის შემდეგ ალექსანდრე შინაური საქმეებით იყო დაკავებული. მხოლოდ 1431 წ. ილაშქრა მან სივნიეთის მიმართულებით და შეძლო ისეთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ციხის შემოერთება, როგორიც ლორე იყო, და ამ გამარჯვებაში აქტიური მონაწილეობისათვის

---

18 დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1965, გვ. 127.

19 კ. ტ ა ბ ა ტ ა ძ ე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV—XV სს. მიჯნაზე, თბ., 1974, გვ. 223.

20 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია XI—XV ს., თბ., 1949, გვ. 226.

ბეშქენ ორბელიანს ლორე უწყალობა, რომელიც, როგორც ცნობილია, გიორგი III დროიდან ჩამოართვეს მის საგვარეულოს.

დიდმნიშვნელოვანი იყო, აგრეთვე, ალექსანდრე I ქვეყნის შიგნით ჩატარებული აღმშენებლობითი სამუშაოები, რის გამოც ქართველმა ხალხმა მას „დიდი“ უწოდა.

ამ დიდი საქმისათვის ხაზინას საკმარისი სახსრები არ გააჩნდა და ამიტომ მეფემ 1425 წ. შემოიღო გადასახადი — 40 თეთრის რაოდენობით სრულფუძიან კომლზე. 15 წლის შემდეგ იგი გაუქმებულ იქნა. ალექსანდრეს ამგვარ მოღვაწეობაში დიდი წვლილი მიუძღოდა მის აღმზრდელ ბებია რუსას, რომელმაც ითავა თემურისაგან განადგურებული სვეტიცხოვლის აღდგენა. ეს საქმე ალექსანდრემ დააბოლოვა 1431 წლისათვის. მის ეპოქაში აღდგენილ იქნა რუისის ტაძარიც.

ალექსანდრეს სახელთანაა დაკავშირებული „ნასოფლარების“ სოფლებად და „უკაცრიელი ადგილების“ „კაცრიელებად“ გადაქცევა. მოკლედ რომ ვთქვათ, „ალექსანდრე მეფემ საქართველოს დაუბრუნა ყველაფერი, რაც მას ეკუთვნოდა. შიგნით ქვეყნის ერთობა და მთლიანობა განამტკიცა“[21]. აქ ივ. ჯავახიშვილს მხედველობაში აქვს, ალბათ, საათაბაგოს შემოერთება 1413 წელს, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ალექსანდრეს დროს თავს იჩენს ქვეყნის შიგნით განკერძოებისაკენ სწრაფვა.

მაგალითად, იგივე საათაბაგოში მაწყვერელი ეპისკოპოსი დამოუკიდებლობას ცდილობს უკვე 1428 წელს და ანტიოქიის პარტიარქს ეკედლება[22].

გარდა ამისა. ალექსანდრე I იძულებული იყო ანგარიში გაეწია თავისი ოჯახის წევრებისათვის. ასპარეზზე გამოდიან არა მარტო მეფის ნათესავები, არამედ მისი თანამეცხედრის ოჯახობაც. აღსანიშნავია. რომ ალექსანდრეს სიცოცხლეშივე თავისი შვილი ვახტანგი მეფედ ჰყავს მოხსენიებული.

რასაკვირველია, ყველაფერი ეს საქართველოს მეფის ხელისუფლებისა და გავლენის შესუსტებას მოწმობს. სწორედ ამ უძლურების გამო ჩამოსცილდა ალექსანდრე პოლიტიკურ მოღვაწეობას და 62 წლის ასაკში ათანასეს სახელით ბერად აღიკვეცა სვეტიცხოველში. მისი მემკვიდრე ზემოთ მოხსენიებული ვახტანგია. იგი მეფობდა 1442—1446 წწ.

ვახტანგ IV-ის ხანმოკლე მეფობაზე ცოტა ცნობა გაგვაჩნია, ცნობილია მხოლოდ, რომ საქართველოს ჯეჰან შაჰი შემოსევია. გარ-

---

21 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბ., 1948. გვ. 36.

22 T o n c m e l i s, Правда об автокефалии Грузинской церкви. Кутаиси, 1905, с. 23.

და ამისა, ვახტანგს დიდგვარიანებთანაც ჰქონია უთანხმოება. ღალატისათვის მან ამილახორი ზევდგენიძე შეიპყრო და მამულები ჩამოართვა.

როგორც ვხედავთ, დიდგვარიანები სულ უფრო და უფრო „ღალატობენ“ მეფეს. ეს ასუსტებს ამ უკანასკნელის ხელისუფლებას და ბოლოს მეფე (გიორგი VIII) თვითონ ხდება დიდგვარიან აზნაურთა მსხვერპლი.

ვახტანგ IV-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა ფაქტობრივად ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე, მისი ძმა გიორგი VIII (1446—1466).

ქართველი მეფეები ცდას არ აკლებდნენ თავი დაეღწიათ ასეთი მძიმე მდგომარეობისათვის. მათ ყურადღება ისევ გარეშე ძალას დაუთმეს და ნაცადი ფეოდალური ხერხებით ცდილობდნენ მოკავშირეების შეძენას. ფეოდალურ ეპოქაში ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად დინასტიურ ქორწინებას მიიჩნევდნენ და ქართული სამეფო სახლიც დაუკავშირდა ტრაპიზონისა და ბიზანტიის დინასტიებს. არაპირდაპირად ბაგრატიონები აყ-ყოიუნლუს ბაიანდურთა დინასტიასთანაც იყვნენ დაკავშირებულნი. ეჭვგარეშეა, რომ ქართველ მეფეთა ამგვარი კავშირები, პირველ რიგში, ქვეყნის შიგნით საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებისა და შემდეგ კი საგარეო მტრების წინააღმდეგ იყო მიმართული.

აი, ასეთ ვითარებაში მოუსწრო საქართველოს კონსტანტინოპოლის დაცემის ამბავმა. ეს საქართველოსათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე მოვლენა იყო. კ. კეკელიძე ასე განსაზღვრავს ამ ფაქტს: „კონსტანტინოპოლის დაცემის შედეგები საქართველოსათვის საგრძნობი იყო პირველ რიგში პოლიტიკური თვალსაზრისით. ოდესღაც დიდი ქრისტიანული სახელმწიფოს ნაცვლად საქართველოს უშუალო მეზობლობაში აღმოჩნდა აგრესიული, ძლიერად შეიარაღებული ოსმალური სახელმწიფო, რომელიც სხვა ქვეყნების დაპყრობას ცდილობდა. ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი, რომ იგი საზღვრებს დაარღვევდა, როგორც ეს შემდეგში მოხდა კიდეც...“[23]. თუ ოსმალებს ბიზანტიისა და ტრაპიზონის შემოერთებისთანავე საქართველოს წინააღმდეგ არავითარი სერიოზული საომარი მოქმედება არ განუხორციელებიათ, ეს გამოწვეული იყო მხოლოდ იმით, რომ მეჰმედ II-მ ძირითადი ყურადღება ევროპის კონტინენტზე ტერიტორიების შეძენას მიაპყრო. თუმცაღა

---

[23] К. Кекелидзе. Отклики в Грузии на падение Константинополя (к 500-летию взятия Константинополя турками).— წიგნში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. III, თბ., 1955, გვ. 89.

ცალკეული შემოსევები ოსმალთა მხრიდან საკმაოდ მრავლად ხდებოდა.

„შემდეგ, — განაგრძობს კ. კეკელიძე — ეკონომიკური თვალსაზრისით კონსტანტინოპოლის დაცემამ საქართველო მსოფლიო ბაზრებს მოსწყვიტა, რადგანაც შავი ზღვის გზების დახურვით ევროპელთათვის, კერძოდ კი იტალიელ ვაჭართა და სავაჭრო სახლებისათვის დაიხურა პირდაპირი გზა აღმოსავლეთისაკენ, რომელიც გადიოდა საქართველოზე როგორც ხმელეთით, ასევე რიონისა და მტკვრის გზებით. ეს გარემოება თურქების გამუდმებულ თავდასხმებსა და შემოსევებთან ერთად ხელს უწყობდა ქვეყნის ეკონომიკის დაშრეტას.

და ბოლოს, კონსტანტინოპოლის დაცემა ყველაზე მძიმე იყო ქვეყნისათვის კულტურული თვალსაზრისით. აქამდე საქართველო დასავლურ ცივილიზებულ სამყაროს ბიზანტიის მეშვეობით უკავშირდებოდა, რომლის კულტურულ-საგანმანათლებლო ტრადიციები ათასწლეულებით ისაზღვრებოდა“[24].

კონსტანტინოპოლის დაცემით საქართველო საბოლოოდ მოსწყდა ევროპულ კულტურულ ცენტრს, რომელმაც ბიზანტიიდან დასავლეთით გადაინაცვლა და სადაც ჰუმანიზმი და რენესანსი ვითარდებოდა. იქ, მოღვაწეობდნენ ლეონარდო და ვინჩი (1452—1519) და ლუკა პაჩიოლი (1445—1514); ნიკოლოზ კოპერნიკი (1473—1543) და რაფაელი (1483—1520); იოჰან გუტენბერგი (1400—1468) და სანდრო ბოტიჩელი (1445—1510); მოპოვებულ იქნა კაცობრიობის უდიდესი მიღწევები მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში. ყოველივე ეს საქართველოსაგან შორს იდგა. ამავე დროს საქართველო მოკლებული იყო შესაძლებლობას თავისი წვლილი შეეტანა კაცობრიობის გონებისა და სულის ამ უდიდეს და არნახულ აღმავლობაში, ვინაიდან ერის რაიმე დიდი წარმატება მეცნიერებასა თუ ხელოვნებაში უპირველესად მხოლოდ მშვიდობიანობის დროს არის შესაძლებელი და ემყარება ერის სტაბილურ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას. ქართველ ხალხს მთელი თავისი არსებობის მანძილზე ასეთი სტაბილური მდგომარეობა მხოლოდ ერთხელ თუ ჰქონია. მაშინ ჩვენს წინაპრებს საშუალება ჰქონდათ თავისი სიტყვის თქმისა და თქვეს კიდეც. ქართველმა ხალხმა თავისი წვლილი მსოფლიო აღორ-

---

[24] К. Кекелидзе. Отклики в Грузии на падение Константинополя (к 500-летию взятия Константинополя турками).—წიგნში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. III, თბ. 1955, გვ. 89.

ძინების საქმეში შეიტანა და თავისი სიტყვა თქვა იმაზე ადრე, ვიდრე რენესანსის პირველმა მერცხალმა — დანტემ (შ. ნუცუბიძე)[25].

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად ასახავს მომხდარი ფაქტის სავალალო შედეგს ქართველი ერისათვის. ამასთან, კონსტანტინოპოლის დაცემა პირადი უბედურება იყო ქართული სამეფო სახლისთვისაც. თურქებთან ბრძოლაში დაიღუპა გიორგი VIII-ის სასიძო, ბიზანტიის უკანასკნელი კეისარი — კონსტანტინე XI პალეოლოგი.

1450 წელს კონსტანტინე XI-მ თავისი პროტოვესტარიუსი (შემდგომში ისტორიკოსი) სფრანძესი მიავლინა ტრაპიზონსა და საქართველოში საცოლის ასარჩევად[26]. ტრაპიზონის იმდროინდელ კეისარს უმშვენიერესი ასული ჰყავდა, სახელად კატარინა (თეოდორა), რომლის სილამაზე მთელს აღმოსავლეთსა და დასავლეთშიაც განთქმული ყოფილა. იგი გიორგი VIII-ის დისშვილი იყო (მისი მამა, იოანე IV დაქორწინებული იყო ალექსანდრე I-ის ასულზე). ამასთანავე სფრანძესს გიორგი VIII ასულიც უნახავს. სფრანძესმა კეისარს ორივე ქალის პორტრეტები ჩაუტანა. მიუხედავად ტრაპიზონის მეფის ასულის განთქმული სილამაზისა, კონსტანტინეს არჩევანი ქართველი მეფის ქალზე შეჩერდა.

საინტერესოა სფრანძესის საუბარი გიორგი VIII-სთან. მეფემ მას უთხრა: აზიური ჩვეულებაა, რომ კაცები თავიანთ ცოლებს მზითევს მიართმევენ. სფრანძესს გაოცებისაგან წამოუყვირია: ეს მას არარსებულად, გაუგონარ რამედ მოეჩვენა. გიორგიმ მას დიდი განსწავლულობით აუხსნა ვინმე კესარიელის წიგნის მიხედვით, სადაც სხვადასხვა ხალხის ზნეჩვეულებანი იყო მოცემული, რომ ყველა ხალხს აქვს დაუწერელი ჩვეულება, რომელიც კანონის ძალას ატარებს, რომ მაგალითად პელეველებთან ქალები ასრულებენ ყოველგვარ მძიმე სამუშაოს, რომ „ბრიტანელებთან" ხან ქალს ჰყავს რამდენიმე ქმარი, ხან კაცს რამდენიმე ცოლი. ბოლოს მეფემ დაასკვნა, რომ წინააღმდეგი არ იყო დაერღვია თავისი ხალხის ჩვეულება და მისცემდა უფლებას თავის ქალიშვილს ეტარებინა ყველა თავისი სამკაული, დაპირდა. რომ იგი მას ამჯერად გაატანდა 56 000 ოქროს მონეტას და ყოველ-

---

[25] იხ. Нуцубидзе Ш. И Руставели и Восточный Ренессанс, Тбилиси, 1947, с. 261.

[26] К. Кекелидзе. დასახ. ნაშრომი, გვ. 88; Ф. И. Успенский. Очерки из истории Трапезундской империи, Л., 1929, с. 130; ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. IV თბ., 1967, გვ. 46—48; M. Brosset, Additions et eclaircissements à l'histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'en 1469, St-Petersbourg, 1851, p. 406; Раснимен С. Падение Константинополя в 1453 г., М., 1983, с. 59.

წლიურად 3 000-ს გაუგზავნიდა[27]. გიორგი მეფის ასული კონსტანტინოპოლში 1453 წლის გაზაფხულზე უნდა ჩასულიყო, მაგრამ მოუსწრო საქმროს დაღუპვის ამბავმა...

ახლა ორიოდე სიტყვით საქართველოს მცირეაზიელ მოკავშირეებს შევეხოთ.

ტრაპიზონის საკეისრო, ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ, ის ერთადერთი (პელოპონესის გარდა) პოლიტიკური ერთეული იყო, რომელიც დარჩა ბერძენთა იმპერიის დამსხვრევის შემდეგ, მაგრამ ისიც საგარეო და შიდაბრძოლების შედეგად იმდენად შესუსტებული, რომ სამხედრო ძალას თითქმის აღარ წარმოადგენდა[28].

1446 წელს ტრაპიზონის კეისარი გახდა იოანე IV, ან როგორც მას უძახდნენ — კალოიოჰანესი, რომელმაც ძალაუფლებას მიაღწია მამის მკვლელობის გზით[29]. უფრო ადრე კი იგი აუჯანყდა თავის მამას — ალექსი IV-ს და იძულებული გახდა საქართველოში გაქცეულიყო. თავშესაფარი მან მიიღო ალექსანდრე I-ის კარზე, აქ ცოლად შეურთავს ქართველი მეფის ასული[30] (გიორგი VIII-ის და), რომლისგანაც შეეძინა ტახტის მომავალი მემკვიდრე ალექსი V, ულამაზესი ქალი კატარინა (თეოდორა) და კიდევ ერთი ასული, რომელიც მომავალში ცოლად გაჰყვა არქიპელაგის ჰერცოგს, ვენეციელ ნიკოლო კრესპოს,

იოანე IV არ გამოირჩეოდა პოლიტიკური შორსმჭვრეტელობით. როდესაც მასთან იმყოფებოდა ბიზანტიელი პროტოვესტარიუსი სფრანძესი, რომელმაც შეატყობინა საქართველოში გაგებული ამბავი, რომ მაგნეზიაში გარდაიცვალა ოსმალთა სულთანი მურად II, იოანე IV-მ უპასუხა, რომ ახალ სულთანთან მშვიდობა გარანტირებული ექნე-

---

27 გ ი ო რ გ ი ს ფ რ ა ნ ძ ე ს ი, მკირე ქრონიკა. წიგნში: „გეორგიკა", ტ. XIII, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1970, გვ. 63—73; M. B r o s s e l, დასახ. ნაშრომი, გვ. 406—407; Р а н с и м е н С., დასახ. ნაშრომი, გვ. 59; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 88.

28 W. H e y d, Geschichte des Levantehandels im Mittelalter, Bd II, Stuttgart, 1879, s. s. 360—365; У с п е н с к и й Ф. И. დასახ. ნაშრომი, გვ. 129; К а р п о в С. Трапезундская империя и западноевропейские государства в XIII-XV в. в., М., 1981, с. 90—123.

29 Ф. И. У с п е н с к и й. დასახ. ნაშრომი, გვ. 128—129; J. Ph. F a l l m e r a y e r, Geschichte des Kaiserthums von Trapezunt. Munchen, 1827, s. 251, 261.

30 აღსანიშნავია, რომ იოანე IV-ის მამა — ალექსი IV ასევე ქართველი ქალის შვილი იყო, ვინაიდან მამამისი მანუელ III დაქორწინდა ქართველი მეფის ასულზე—ევდოკიაზე 1377 წ., რომლისგანაც შეეძინა ალექსი, იხ. Ф. И. У с п е н с к и й. დასახ. ნაშრომი, გვ. 121.

ბოდა[31]. კეისრის ეს მოსაზრება, როგორც ჩანს, იმას ემყარებოდა, რომ მურად II ტრაპიზონის მიმართ საკმაოდ ლოიალურ პოლიტიკას ახორციელებდა. სულთანს ესმოდა, რომ ტრაპიზონის კეისრებს არ შეეძლოთ საკუთარი ძალებით გამკლავებოდნენ ოსმალთა სულთნებს, მაგრამ ამავე დროს შეეძლოთ შეეკრათ სერიოზული დაჯგუფება მათ წინააღმდეგ აღმოსავლეთში ოსმალთა მტრებთან — შავსა და თეთრბატკნიან თურქმანებთან[32]. მაგრამ ტრაპიზონელმა კეისრებმა კონსტანტინოპოლის დაცემამდე ოსმალების წინააღმდეგ ეს არ განახორციელეს. უფრო მეტიც, მათ იმდენად უგულებელჰყვეს ოსმალური საშიშროება, რომ როგორც ზემოთ ითქვა, იმედოვნებდნენ მშვიდობას მეჰმედ II-თანაც კი; მაგრამ მას შემდეგ, რაც ოსმალებმა კონსტანტინოპოლი აიღეს, კეისარი სერიოზულად დაფიქრდა. თავის გადასარჩენად იოანე IV-მ ოსმალებთან ხელშეკრულება დადო, რომელიც ითვალისწინებდა წლიურ ხარკს 2 000 ოქროს ოდენობითა და პირობას, რომ კალოიოჰანესი ყოველ წელიწადს თავად ჩავიდოდა ბრწყინვალე პორტას კარზე[33].

ახლა კი კეისარი სერიოზულად უნდა დაფიქრებულიყო. როგორც ჩანს, მიმხვდარა კიდეც, რომ ამგვარი მდგომარეობით თავს დიდხანს ვერ გადაირჩენდა და ადრე თუ გვიან ოსმალთა ლუკმა შეიქნებოდა. აი, ასეთ ვითარებაში კალოიოჰანესი იწყებს მოკავშირეთა ძებნას. ტრაპიზონელთა იმდროინდელი მეზობლებიდან მხოლოდ ორი სახელმწიფო წარმოადგენდა ისეთ რეალურ ძალას, რომელიც შეიძლებოდა დაპირისპირებოდა მეჰმედ II-ეს. ორივე თურქმანული მომთაბარეების მბრძანებლები იყვნენ; ერთი — ყარა-ყოიუნლუსი — ჯეჰან შაჰი, ხოლო მეორე კი აყ-ყოიუნლუსი — უზუნ-ჰასანი. მაგრამ ჯეჰან შაჰი დაკავებული იყო ბრძოლით ხორასანსა და ბაღდადში. ასე რომ, რჩებოდა მხოლოდ უზუნ-ჰასანი, რომელიც, როგორც ყარა-იულუქის შთამომავალი, ტრაპიზონელთა პოტენციური მოკავშირე იყო (ყარა-იულუქს ცოლად ჰყავდა მანუილ III-ის და).

უზუნ-ჰასანმა კავშირზე თანხმობა განაცხადა და კისრულობდა მთელი თავისი ჯარისა და ქონების ტრაპიზონელთა განკარგულებაში გა-

---

31 გ. სფრანძესი, მცირე ქრონიკა. წიგნში: „გეორგიკა", ტ. VIII, გვ. 54—57. J. Ph. Fallmerayer, დასახ. ნაშრომი, გვ. 254; Ф. И. Успенский. დასახ. ნაშრომი, გვ. 130.

32 გ. სფრანძესი, მცირე ქრონიკა. წიგნში: „გეორგიკა", ტ. VIII, გვ. 54—57. J. Ph. Fallmerayer. დასახ. ნაშრომი, გვ. 254; Ф. И. Успенский. დასახ. ნაშრომი, გვ. 130.

33 J. W. Zinkeisen, Geschichte des Osmanischen Reiches in Europa, Bd. 2, Gotha, 1854, s. 18. მოგვიანებით ხარკის ეს რაოდენობა 3000 დუკატამდე გაიზარდა. J. Ph. Fallmerayer, დასახ. ნაშრომი. გვ. 256.

დაცემას იმ შემთხვევაში, თუ კეისარი მას თავის ქალიშვილ კატარინას (თეოდორას) მიათხოვებდა და მზითევში მისცემდა კაპადოკიას[34]. ამ მოლაპარაკებების დროს იოანე IV გარდაიცვალა (1458). ტახტის მემკვიდრედ მან დატოვა ოთხი წლის ალექსი, რომლის რეგენტად დაინიშნა იოანე IV-ის ძმა — დავით კომნენოსი. ფალმერაიერს მოაქვს ერთი დოკუმენტი, რომელიც ასახავს ხელშეკრულებას უზუნ-ჰასანსა და იოანე IV-ს შორის[35]. ეს ხელშეკრულება უკანასკნელი აქტია, რომლითაც ტრაპიზონის კეისარი მთელი ანატოლიის სიუზერენად იწოდებოდა, ვინაიდან უზუნ-ჰასანმა მოითხოვა კაპადოკიის პროვინცია. რაც ფაქტობრივად ტრაპიზონს აღარ ეკუთვნოდა; მაგრამ „გრძელი ჰასანი" კაპადოკიას ტრაპიზონელ კომნენოსთა უცილობელ სამფლობელოდ თვლის. იოანე IV-ის სიკვდილის შემდეგ დავით კომნენოსმა უზუნ-ჰასანს თავად გადასცა თავისი ძმისშვილი და მასთან მთელი უფლებები კაპადოკიაზე.

ამრიგად, ამ ქორწინებით ქართული სამეფო სახლი გარკვეულად დაუმოყვრდა უზუნ-ჰასანს, ვინაიდან კატარინა გიორგი VIII-ის დისშვილი იყო. ცნობილია, რომ უზუნ-ჰასანის მეუღლე დიდ როლს ასრულებდა თავისი ქმრის საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციაში, რაც ნათლად გამოჩნდა უზუნ-ჰასანის ვენეციასთან კავშირის დროს. ასე რომ, თამამად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ ქორწინებით საქართველოსა და აყ-ყოიუნლუს შორის გარკვეული კავშირი დაიდო, ისეთივე შინაარსისა, როგორც უზუნ-ჰასანსა და ტრაპიზონს შორის.

ახლა რამდენიმე სიტყვა იოანე IV-ის შთამომავლობის შესახებ, რაც, ჩვენის აზრით, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს. კალოიოჰანესს ალექსისა და კატარინას გარდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კიდევ ერთი შვილი ჰყოლია, რომელიც ცოლად გაჰყოლია არქიპელაგის ჰერცოგს — ნიკოლო კრესპოს[36], რომლისგანაც მას ხუთი ქალიშვილი შესძენია; ერთ-ერთი მათგანი ცოლად გაჰყოლია ვინმე კორნაროს, რომლისგანაც შეეძინა კვიპროსის მომავალი დედოფალი, მეორე კი გათხოვილა ვენეციელ რაინდზე — კატერინო ძენოზე[37]. ეს ის პიროვნებაა, რომელიც 1471 წელს ვენეციის სენატმა ელჩად მიავლინა უზუნ-ჰასანთან და რომელსაც დავალებული ჰქონდა გადაეცა წერილი საქართველოს მეფისათვის.

---

34 L. Waddingo, Annales Minorum. t. XIII, p. 47; J. Ph. Fallmerayer, დასახ. ნაშრომი, გვ. 259—261.

35 J. Ph. Fallmerayer, დასახ. ნაშრომი, გვ. 260—261.

36 J. Ph. Fallmerayer, დასახ. ნაშრომი, გვ. 262.

37 XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ელდარ მამისთვალიშვილმა, თბ., 1981, გვ. 21.

ამრიგად, ყოველივე ზემონათქვამი, ჩვენი აზრით, საკმაოდ მოწმობს იმას, რომ საქართველოს, ტრაპიზონსა და უზუნ-ჰასანს შორის ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადებისათვის ანდა ანტიოსმალური კავშირის შესაქმნელად გარკვეული ნაბიჯები იყო გადადგმული.

ახლა შევეხოთ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთელ მეზობლებს.

თემურლენგის სიკვდილის შემდეგ (1405 წ.) მის მიერ შექმნილი სახელმწიფო, რომელიც წარმოადგენდა სხვადასხვა ხალხების კონგლომერატს და არსებობდა მხოლოდ ამ რკინის კოჭლის ძალით, დაიშალა. თემურიდების შინაური ომები ხელს უწყობდნენ დაპყრობილ ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლას. მახლობელ აღმოსავლეთში თემურის იმპერიის ნანგრევებზე ჩამოყალიბებას იწყებს მომთაბარე ტომთა ორი უდიდესი გაერთიანება — შავი (ყარა) და თეთრი (აყ) ბატკნიანთა სახელმწიფოები (ეს სახლები მათ მიიღეს დროშებზე გამოსახული ბატკნების ფერის მიხედვით). თურქმანთა ეს ტომები ჯერ კიდევ თემურის დროიდან ერთმანეთის დაუძინებელი მტრები იყვნენ[38]. ყარა-ყოიუნლუში შიიტობა იყო გავრცელებული, ხოლო აყ-ყოიუნლუ კი სუნიტობის მიმდევარი იყო.

1408 წელს ყარა-ყოიუნლუს მმართველმა ყარა-იუსუფმა დაამარცხა თავისი მთავარი მტერი — მირანშაჰი და ძლიერი სახელმწიფო შექმნა. ამავე დროს მას უდიდეს წინააღმდეგობას უწევს აყ-ყოიუნლუს ჯერ კიდევ სუსტი დინასტიის დამაარსებელი — ყარა-იულუქ ოსმანი, მაგრამ სერიოზული მტრობა ვერ გაუწია. ყარა-ყოინლუს ბოლო მოუღო ყარა-იულუქის შთამომავალმა[39] უზუნ-ჰასანმა (1453—1478). მან 1467 წელს საბოლოოდ დაამარცხა ყარა-იუსუფის ვაჟი ჯეჰან შაჰი, რომელიც ბრძოლაში დაიღუპა. მართალია, უზუნ-ჰასანმა თავისი მთავარი მეტოქე მხოლოდ 1467 წელს ჩამოიცილა, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო დროს, ე. ი. XV ს-ის 50-იანი წლების ბოლოს, 60-იანი წლე-

---

38 ყარა-ყოიუნლუ თემურს ებრძოდა, აყ-ყოიუნლუ კი მისი მოკავშირე იყო. Петрушевский И. П. Государства Азербайджана в XV в.—Сборник статей по истории Азербайджана вып. I, Баку, 1949, с. 167.

39 ისტორიოგრაფიაში საერთოდ მიღებულია შეხედულება იმის შესახებ, რომ უზუნ-ჰასანი ყარა-იულუქის შვილიშვილად ჩაითვალოს და ჯიჰან-გირის ვაჟად. იხ. К. Э. Босворт. Мусульманские династии, М., 1971, с. 223—224, მაგრამ გამოთქმულია აგრეთვე ვარაუდი, რომ უზუნ-ჰასანი მიჩნეული იყოს ყარა-იულუქის ვაჟად და ჯიჰანგირის ძმად. იხ. M. Brosset, დასახ., ნაშრომი, გვ. 403—404. ჩვენს ხელთ არსებული ყველა წყარო უზუნ-ჰასანს ყარა-იულუქის შვილად ასახელებს, ასე რომ, ჩვენი აზრით, უზუნ-ჰასანის წარმომავლობა დაზუსტებას მოითხოვს.

ბის დასაწყისში იგი აღმოსავლეთში საკმაოდ ძლიერ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა. ყარა-ყოიუნლუსთან ბრძოლაში უზუნ-ჰასანმა გარდატეხა ხომ სწორედ XV ს-ის 50-იან წლებში მოახდინა, როდესაც ჯეჰან შაჰს წაართვა სომხეთის დიდი ნაწილი და ქურთისტანი[40].

აყ-ყოიუნლუს კავშირი ტრაპიზონთან, შეიძლება ითქვას, ტრადიციული იყო, ვინაიდან, როგორც ზემოთ ვთქვით, თეთრბატკნიანთა ბაიანდურთა დინასტიის ფუძემდებელი ყარა-იულუქი დაქორწინებული იყო ტრაპიზონის კეისარ მანუილ III-ის დაზე[41].

მიუხედავად იმისა, რომ უზუნ-ჰასანი მზად იყო მთელი მისი ძალებით გაჭირვების შემთხვევაში დახმარებოდა ტრაპიზონს, მეჰმედ II-სთან ჭიდილში იგი უძლური გამოდგა და 1461 წელს ტრაპიზონი ოსმალებმა დაიპყრეს.

ტრაპიზონის დაცემის მიზეზი ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა კუთხით განიხილება. ზოგი ისტორიკოსი ამაში თვით ლუდოვიკო ბოლონიელსაც ადანაშაულებს[42]. ეს, რა თქმა უნდა, არამეცნიერული კონცეფციაა, რაც არ არის დამყარებული იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაციის ღრმა ცოდნაზე.

რა თქმა უნდა, ამ ფაქტის მიზეზი თვით თურქეთის ექსპანსიურ პოლიტიკაში უნდა ვეძებოთ, მაგრამ საბაბი სულ სხვა რაიმე იყო.

დავით კომნენოსმა ქედმაღლურად უთხრა სულთანს უარი წლიური ხარკის გადახდაზე. ამავე დროს მას უთხოვია უზუნ-ჰასანისათვის იგივე მოთხოვნები წაეყენებინა სულთანისათვის, და აი, უზუნ-ჰასანმა მეჰმედ II-სთან ელჩები მიავლინა, რომლებმაც ტრაპიზონელთა მოთხოვნის გარდა სულთანს უზუნ-ჰასანის პირადი პრეტენზიებიც განუცხადეს. მათ მოსთხოვეს სულთანს იმ გრატიფიკაციების გაღახდა, რასაც მეჰმედ II-ის ბაბუა თურქმანებს უხდიდა და რომელთა გადახდაც ოსმალებს 60 წლის მანძილზე შეწყვეტილი ჰქონდათ[43].

როგორც ვხედავთ, უზუნ-ჰასანის ელჩებმაც საკმაოდ თამამი მოთხოვნებით მიმართეს მეჰმედ II-ს, რომლის სახელი აზანზარებდა მთელს ახლო აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთ ევროპას.

---

[40] Петрушевский И. П. დასახ. ნაშრომი გვ. 168.

[41] Успенский Ф. И. დასახ. ნაშრომი, გვ. 135.

[42] A. Bryer, დასახ. ნაშრომი, გვ. 195.

[43] დუკა, ისტორია. წიგნში: „გეორგიკა", ტ. VIII, გვ. 29; ლაონიკე ხალკოკონდილე, ისტორია, წიგნში: „გეორგიკა", ტ. VIII, 111. ფალმერაიერი ამ ფაქტს 1459 წლით ათარიღებს. იხ. J. Ph. Fallmerayer, დასახ. ნაშრომში, გვ. 272. ცინკაიზენი კი 1460 წ ლს ეთითებს, იხ. J. W. Zinkeisen, დასახ. ნაშრომი, გვ. 336.

აღსანიშნავია, რომ იმ დროს უზუნ-ჰასანი არცთუ ისე ძლიერად გრძნობდა თავს. მას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჰქონდა ჯეჰან შაჰთან; ასე რომ, მისთვის არასასურველი იყო ახალი და თანაც ისეთი მრისხანე მტრის შეძენა, როგორიც მეჰმედ ფათეჰი იყო.

ამრიგად, ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, უეჭველად უნდა დავასკვნათ, რომ „გრძელი ჰასანის“ ეს ნაბიჯი რაღაცის იმედით იყო ნაკარნახევი და ეს იმედი მხოლოდ ტრაპიზონისა და საქართველოს ძალები არ უნდა ყოფილიყო. მას უდავოდ ჰქონდა იმედი ევროპისა და ფიქრობდა, რომ სულთანი მოერიდებოდა ორ ფრონტზე ბრძოლას, ამავე დროს ეს შესანიშნავი საბაბი იყო შეტევითი ოპერაციების დაწყებისათვის.

ამრიგად, აღნიშნული ფაქტიდან შემდეგი დასკვნების გაკეთება შეიძლება:

1) ავტორები, რომლებიც ტრაპიზონის დაცემაში ლუდოვიკო ბოლონიელს ადანაშაულებენ, ცდებიან, იმიტომ, რომ ლუდოვიკოს საკუთარი ინიციატივით არ უმოქმედია, იგი აღმოსავლეთში მოვლენილი იყო სწორედ ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად, დასავლეთ ევროპელი მეცნიერები ამბობენ, რომ ამ თავისი „წანწალით“ ლუდოვიკომ არათუ საქმე ვერ გააკეთა, არამედ მიიპყრო სულთნის ყურადღებაო. როგორც დავინახეთ, ეს ასე არ ყოფილა. სულთნის ყურადღება თვით კომნენოსმა მიიქცია და საკმაოდ შეგნებულადაც. ასე რომ, უზუნ-ჰასანისა და დავით კომნენოსის ეს თამამი მოქმედება იმაზე მიგვანიშნებს. რომ ლუდოვიკო ბოლონიელს დაკისრებული მისია საკმაოდ კარგად შეუსრულებია;

2) აღიარებენ რა ლუდოვიკოს ხშირ მისვლა-მოსვლას ტრაპიზონში, თან ისეთ დონეზე, რომ ამ ვიღაც „გაიძვერას“ ყურადღება სულთანმაც კი მიაპყრო და მის გამო ომიც კი აწარმოა, ქვეცნობიერად აღიარებენ ლუდოვიკო ბოლონიელის კეთილსინდისიერებას დაკისრებული მისიის შესრულებაში.

ვლაპარაკობთ რა ტრაპიზონის საკეისროზე, ჩვენი თხრობა არ იქნება სრულყოფილი, თუ არაფერს ვიტყვით ბერძნული ცივილიზაციის ამ უკანასკნელი კერის აღსასრულის შესახებ. აქვე გვინდა ყურადღება მივაპყროთ იმ ფაქტს, თუ რა საოცარი მეთოდურობით გაანადგურა სულთანმა ტრაპიზონის ანატოლიელი მოკავშირეები.

როდესაც მეჰმედ II-მ მოისმინა აყ-ყოიუნლუს ელჩების მოთხოვნა, განუცხადა, რომ წასულიყვნენ და გაისად იგი თვითონ ჩავიდოდა სომხეთში და თავის შეცდომას გამოასწორებდა. ამის შემდეგ სულთანი გამალებით შედგომია სალაშქროდ მზადებას, მაგრამ ყოველივე საიდუმლოებით იყო მოცული. როდესაც მისმა აღმზრდელმა, ბრუსას ყადიმ მას შეკითხვით მიმართა, სულთანმა უპასუხა: „იცოდე, დარ-

წმუნებული რომ ვიყო, რომელიმე ჩემმა წვერის ღერმა ჩემი საიდუმ-ლოება იცის, მე მას ამოვიძრობდი და ცეცხლში ჩავაგდებდი"-ო[44].

1461 წელს კი პელოპონესში ლაშქრობის დასრულებისთანავე მეჰ-მედ II-მ 200 ხომალდი და სხვა მრავალი პატარა გემი შავი ზღვის სა-ნაპიროებისაკენ დაძრა. თვითონ კი ურიცხვი მხედრობის სათავეში ბრუსადან გამოვიდა. პირველი დარტყმა გენუელთა სავაჭრო კოლო-ნიებმა იგემეს, შემდეგ კი სინოპმა[45]. ოსმალებმა აიღეს ამასტრისი და გაეშურნენ სინოპისაკენ. მოკავშირეებისაგან მიტოვებულმა ისმაილ ბეგმა სულთანთან შესახვედრად თავისი ვაჟი გაგზავნა. მეჰმედმა იგი კეთილად მიიღო და მამასთან დააბარა, რომ თუ იგი სინოპს ნება-ყოფლობით დათმობდა, სამფლობელოდ ხარკისაგან თავისუფალ ფი-ლიპოპოლისის ოლქს მიიღებდა. ისმაილი დანებდა. აქედან კი ტრა-პიზონისაკენ გზა ხსნილი იყო.

ამასობაში ტრაპიზონს ოსმალთა ფლოტიც მიადგა, მაგრამ ზღვი-დან ქალაქი კარგად იყო გამაგრებული და მისი აღება ვერ მოხერხდა. საფრთხე შეიქმნა მას შემდეგ, რაც ოსმალები მაჰმუდ ფაშას სარდ-ლობით ქალაქს ხმელეთიდან მიადგნენ. სულთანმა დავითთან მოლაპა-რაკება არჩია და ეს ტრაპიზონის საკეისროს პროტოვესტარიუსის — გეორგიუს ამირუციუსის მეშვეობით მოხდა[46]. სულთანმა მორჩილება შესთავაზა და ამ შემთხვევაში იგივეს პირდებოდა, რაც მიიღო სინოპის მმართველმა: „თუ შენს სამფლობელოს დამითმობ, მე მოგცემ სამ-მართველოდ ადგილს, როგორც ეს ბერძენ მორეის მთავარ დემეტრიუსს მივეცი. მე მას ვაჩუქე ქალაქი ენოსი და კუნძულები, სადაც იგი ახლა მშვიდად და ბედნიერად ცხოვრობს"[47].

დავითი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. თანაც მისი ყველაზე საიმედო მოკავშირე უზუნ-ჰასანი სულთანს მაშინვე დაუზავდა. რო-გორც კი მაჰმუდ ფაშას ლაშქარი სომხეთს მიადგა. მან სულთანთან თავისი დედა სარა ხათუნი მიავლინა[48]. მოკავშირეებისაგან მიტოვე-ბული დავით კომნენოსი დათანხმდა სულთნის მოთხოვნაზე და მთე-ლი თავისი ოჯახით სულთანს ჩაბარდა.

---

[44] დ უ კ ა, ისტორია. გვ. 30; У с п е н с к и й Ф. И. დასახ. ნაშრომი, გვ. 136.

[45] J. W. Z i n k e i s e n, დასახ. ნაშრომი, გვ. 337. დაახლოებით ამ დროს ჩა-ვიდა პიუს II-თან მოზეს გილბეტი, რომელიც ისმაილ-ბეგის სახელით „ათოლი-კობის მიღებაზე თანხმდებოდა სამხედრო დახმარების მიღების შემთხვევაში.

[46] У с п е н с к и й Ф. И. დასახ. ნაშრომი, გვ. 139; J. W. Z i n k e i-s e n. დასახ. ნაშრომი, გვ. 340.

[47] ლ ა ო ნ ი კ ე ხ ა ლ კ ო კ ო ნ დ ი ლ ე, ისტორია, გვ. 112—113; I. Ph. F a l-l m e r a y e r, დასახ. ნაშრომი, გვ. 276.

[48] У с п е н с к и й Ф. И. დასახ. ნაშრომი, გვ. 137—139.

ტრაპიზონის ამ უკანასკნელი კეისრისა და მისი ოჯახის შემდგომი ბედის შესახებ სხვადასხვა ვერსიები მოგვეპოვება. ისინი უმნიშვნელოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, საბოლოოდ კი ორივე მის უიღბლო აღსასრულს აღიარებს.

დავით კომნენოსი და მისი ოჯახი კონსტანტინოპოლში წაიყვანეს. შემდეგ კი სულთნის ბრძანებით ადრიანოპოლში გადაიყვანეს. სფრანძესის მიხედვით მას იქ რამდენიმე პროვინცია გადასცეს სამმართველოდ[49], მაგრამ ის გარემოება, რომ ბერძნები დავით კომნენოსში ერის მეთაურს ხედავდნენ, მეჰმედს მოსვენებას არ აძლევდა. სულთანს მალე მიეცა საშუალება გაესწორებინა ანგარიში ბერძენთა უკანასკნელი დინასტიისათვის. 1463 წელს სულთნის ხელთ აღმოჩნდა უზუნ-ჰასანის მეუღლის, დესპინა-ხათუნის (კატარინა) წერილი, რომელშიც იგი თხოვდა დავითს ტახტის მემკვიდრე გაეგზავნა მისთვის[50]. სპანდუგინოს მიხედვით ეს წერილი დავითს მიუღია ორი წლის შემდეგ, ე. ი. მას შემდეგ რაც სამმართველოდ გადაეცა ქალაქი სერესი მაკედონიაში და მიუღია იგი ევროპიდან[51]. წერილში ლაპარაკი ყოფილა ჯვაროსნულ ომზე თურქების წინააღმდეგ.

ასეა თუ ისე, დავით კომნენოსი და მისი ოჯახი ამ წერილის მსხვერპლნი გახდნენ. 1463 წელს, 26 მარტს დავითი ადრიანოპოლში გადაიყვანეს და ციხეში ჩააგდეს. 1 ნოემბერს კი კომნენოსი და მისი ექვსი ვაჟი მათ შორის ტახტის მემკვიდრე ალექსი ჯალათის ხელით დაიხოცნენ კონსტანტინოპოლში. მათი გვამების დაკრძალვა აკრძალული იყო. ასე რომ, ,ისინი ძაღლებისა და ორბების საჭიჯგნი შეიქმნენ, სანამ დავითის მეუღლემ — ელენე კანტაკუზენმა ისინი თავისი ხელით არ დაკრძალა[52]. ამის გამო ელენეს ჯარიმა დააკისრეს 15 000 დუკატის ოდენობით, რაც სიკვდილის შიშით სამი დღის განმავლობაში უნდა გადაეხადა. მეგობრებმა ელენეს ეს თანხა შეუგროვეს. ამის შემდეგ იგი მონაზვნად შემდგარა. მისი უმცროსი ვაჟი — გიორგი მუსულმანური წესით აღიზარდა. მოგვიანებით მას ნება დართეს უზუნ-ჰასანთან წასულიყო, საიდანაც იგი გაქცეულა საქართველოში, ქრისტიანულ სარწმუნოებას დაბრუნებია და დაქორწინებულა ქართველი მეფისა თუ მთავრის ასულზე[53]. გადარჩენილა კეისრის ქალიშვილიც — ანა, რომელიც ცოლად გაჰყოლია მაკედონიის მმართველს, ზაგანოს ფაშას. გადარჩენილა აგრეთვე დავითის მეორე ძმის — ალექ-

---

[49] J. Ph Fallmerayer, დასახ. ნაშრომი, გვ. 282.

[50] J. W. Zinkeisen, დასახ. ნაშრომი, გვ. 341.

[51] J. Ph Fallmerayer, დასახ. ნაშრომი, გვ. 284; J. W. Zinkeisen, დასახ. ნაშრომი, გვ. 342.

[52] Рансимен С. დასახ. ნაშრომი, გვ. 163.

[53] იქვე.

ანდრეს ცოლი მარია გატაცლუზი თავისი ერთადერთი შვილით—ალექსით.

ისინი სულთნის ჰარამხანაში მოხვდნენ და ორივე მათი აუწერელი სილამაზის გამო პატივისცემითაც კი სარგებლობდნენ[54]. მოგვიანებით ალექსის გამოუყვეს მიწა პერას კედლებს გარეთ. ადგილობრივი მცხოვრებლები მას „ბეის ვაჟს" ეძახდნენ; მის საპატივცემულოდ დაერქვა სტამბოლის ერთ-ერთ უბანს სახელი ბეი-ოღლუ[55].

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად უთანხმოებისა, წყაროები გამცემლობაში გეორგიუს ამირუციუსს ერთხმად ადანაშაულებენ. იგი ყოფილა მაჰმუდ ფაშას ახლო ნათესავი (მისი დედა, სერბიელი ქალი, მაჰმუდ ფაშას დეიდა ყოფილა). დესპინა-ხათუნის წერილი მას მიუღია და ჯერ მაჰმუდ ფაშასათვის უჩვენებია. მას კი ივი სულთნისათვის გაუგზავნია. ამით აიხსნება ის ფაქტი. რომ კომნენოსების გაქცევის შემდეგ გეორგიუს ამირუციუსი ოსმალეთში საკმაოდ წარჩინებულ პიროვნებად დარჩენილა[56].

ტრაპიზონს კი ისეთივე ბედი ეწია, როგორც ყველა ქალაქს, რომელსაც ოსმალები იპყრობდნენ. ციტადელში იანიჩარები ჩადგნენ, ქალაქში კი ოსმალო მოლაშქრენი მძვინვარებდნენ. მოსახლეობის დიდი ნაწილი მონებად აქციეს. ქალაქის რვაასი რჩეული ყმაწვილი იანიჩარებად წაიყვანეს. შეძლებული ოჯახები კი იძულებულნი შეიქმნენ კონსტანტინოპოლში გადასულიყვნენ კოლონისტებად.

ასეთი იყო ტრაპიზონის საკეისროს, ბერძნული ცივილიზაციის ამ უკანასკნელი კერის ტრაგიკული ბედი. ამიერიდან კი ტრაპიზონი და მისი „ელინური" კულტურა გაუჩინარდნენ ბრწყინვალე პორტას შიდა ისტორიის წყვდიადში.

ასეთი იყო საერთაშორისო მდგომარეობა მახლობელ აღმოსავლეთში, როდესაც ამ მხარის ქვეყნებსა და საქართველოს დიპლომატიური მისიით ეწვია ლუდოვიკო ბოლონიელი რომის პაპის დავალებით. მას უნდა ეცადა, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებს და მათ შორის საქართველოს მონაწილეობა მიეღოთ ანტიოსმალურ კოალიციაში, რომლის ნიადაგსაც პაპი ევროპის ქვეყნებში უკვე ამზადებდა.

მსოფლიო მასშტაბით ანტიოსმალური კოალიციის შექმნა, ცხადია, ხელს აძლევდა ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებს და მათ, ბუნებრივია, რომის პაპის ცდა უყურადღებოდ არ დატოვეს. ლუდოვიკო ბოლონიელს ევროპაში თავისი წარმომადგენლები გააყოლეს რეალური ვითარების გასარკვევად და კონკრეტულ საკითხებზე მოსალაპარაკებლად.

---

[54] С. Рансимен, დასახ. ნაშრ., გვ. 163; J. Ph. Fallmerayer, დასახ. ნაშრომი, გვ. 285.

[55] С. Рансимен, დასახ. ნაშრომი, გვ. 164.

[56] J. W. Zinkeisen, დასახ. ნაშრომი, გვ. 341; J. Ph. Fallmerayer, დასახ. ნაშრომი, გვ. 279.



მეორე თავი

დასავლეთ ევროპის ქვეყნები XV საუკუნის შუახანისათვის და მათი პოლიტიკა მახლობელ აღმოსავლეთში კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ

XV საუკუნე ევროპის ისტორიაში ის ძირითადი გარდატეხის პერიოდია, როდესაც ევროპა საბოლოოდ განთავისუფლდა კლასიკური შუა საუკუნეების სიბნელისაგან და დაიწყო ბურჟუაზიული ურთიერთობების ჩამოყალიბება. ამ ახალ ურთიერთობათა დასაყრდენი კი იყო ის ახალი, ბურჟუაზიული კლასი, რომელიც განვითარების პროცესში იმყოფებოდა და რომელზედაც დაყრდნობით საბოლოოდ შესაძლებელი შეიქნა აბსოლუტური მონარქიის შექმნა. მართალია, აბსოლუტიზმმა ევროპაში ჩამოყალიბებული სახე მოგვიანებით მიიღო, მაგრამ მისი ფესვები სწორედ XV საუკუნეში უნდა ვეძებოთ[1].

აბსოლუტური მონარქია — წერდა მარქსი, — გვევლინება მაცივილიზებელ ცენტრად, ეროვნული ერთიანობის ფუძემდებლად[2].

ამასთან ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის კაცობრიობის გონებრივი და სულიერი განვითარების იმ ბრწყინვალე მწვერვალს, რომელსაც რენესანსი ეწოდება. „ეს ხანა ისტორიისა გამოჩენილია ვით, რომ ადამიანის ჭკვა-გონება დიდად გაძლიერდა, მრავალი რამ შეიგნო და ისწავლა ბერძნებისა და რომაელების მწერალთა ნაწერებისაგან და მრავალი რამ აღმოაჩინა. ყველაზედ უდიდესი აღმონაჩენი იმ დროისა... ადამიანია, ესე იგი, ამ საუკუნემ ახალის თვალით მიახედა კაცობრიობა ადამიანის ღირსებაზედ და იმის არსებობის საგანზედა“[3].

XV საუკუნის შუისათვის ეს გარდატეხის პერიოდი ყველაზე უფრო მწვავე ფაზაშია, რაც ნათლად ჩანს თუნდაც იმდროინდელი ევრო-

---

[1] იხ. Всемирная история, т. III, М., 1957, с. 605--725.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 10, с. 431.

[3] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. IV, თბ., 1955, გვ. 301.

პის პოლიტიკურ რუკაზეც. ამ დროს დასავლეთი ევროპა ფეოდალურად დაქუცმაცებულ და სუსტ პოლიტიკურ სხეულად გვევლინება. ის დიდი სახელმწიფოები, რომლებიც საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ და დღესაც თავიანთი მნიშვნელობა არ დაუკარგავთ, ჯერ კიდევ ძალების მოკრეფის სტადიაში იმყოფებოდნენ.

საფრანგეთი, რომელსაც ფეოდალიზმის განვითარების ეტალონად მიიჩნევენ, XV ს. დასაწყისისათვის ფაქტობრივად არ არსებობდა. ასწლიანმა ომმა ფრანგი ხალხი და საფრანგეთის სახელმწიფო ყოფნა-არყოფნის საკითხის წინაშე დააყენა. და აი, ასეთ კრიტიკულ დროს ეროვნული თვითშეგნებისა და გაერთიანებისაკენ ბიძგი მომდინარეობდა არა ქვეყნის პოლიტიკური მეთაურისაგან, არამედ თვით ხალხისაგან, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ფრანგი ხალხის საამაყო შვილი — ჟანა დ'არკი (1412—1431). მხოლოდ XV საუკუნის მეორე ნახევრიდან მომძლავრდა საფრანგეთის სამეფო საბოლოოდ და მიაღწია განვითარების იმ დონეს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ანდა საშუალება მისცა საფრანგეთში აბსოლუტიზმის განვითარებას.

ესპანეთიც, მისი ჩრდილო მეზობლის მსგავსად თავისი მიწების უკან დაბრუნების (რეკონკისტა) სტადიაში იყო, რაც საბოლოოდ დასრულდა მხოლოდ XV საუკუნის მიწურულს, მეფე ფერდინანდისა და დედოფალ იზაბელას დროს, რომლებმაც არაგონისა და კასტილიის გაერთიანებით საფუძველი ჩაუყარეს ერთიან ესპანურ სახელმწიფოს.

სულ სხვა მდგომარეობა იყო ინგლისში. ასწლიანი ომის შედეგად მან დაჰკარგა ყველა სამფლობელო კონტინენტზე და განკერძოებულად გადგა, ასე რომ, ევროპულ პოლიტიკაში უკვე მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა. ქვეყნის შიგნით კი სისხლისმღვრელი ომი მიმდინარეობდა „თეთრსა და წითელ ვარდებს" შორის (1455—1485). რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში ინგლისი არ წარმოადგენდა რაიმე რეალურ პოლიტიკურსა თუ სამხედრო ძალას. რაც შეეხება ინგლისის სახელმწიფოს გაძლიერებას, იგი უკვე ახალ, ტიუდორთა დინასტიის სახელთანაა დაკავშირებული. თუმცა საბოლოოდ ამ ქვეყანაში აბსოლუტიზმი არ დამყარებულა იმის გამო, რომ ინგლისში განაგრძობდა არსებობას პარლამენტი, თუნდაც მეფის მორჩილი.

ამ დიდი და სუსტი სახელმწიფოების ფონზე ბურგუნდიის საჰერცოგო იმდენად ძლიერად გამოიყურებოდა, რომ ბურგუნდიის ჰერცოგი თავისი ძალაუფლების დაკანონებასა და რომის საღვთო იმპერიის იმპერატორისაგან მეფის ტიტულის მიღებას ლამობდა. ბურგუნდია ამ ფეოდალური დაქუცმაცებულობის ხანაში შინაგანად ყველაზე უფრო ერთიანი და მტკიცე სახელმწიფო იყო, რომელიც თავის გავლენას ნიდერლანდებზეც ავრცელებდა. ასწლიანი ომის დროს ბურგუნდიის ჰერცოგი დამოუკიდებელ პოლიტიკას ეწეოდა აღმოსავლეთ-

შიც. 1421 წელს ბურგუნდიის ჰერცოგმა ფილიპე კეთილმა ინგლისის მცირეწლოვანი მეფის ჰენრი VI-ის რეგენტთან, ჰერცოგ ბედფორდთან ერთად აღმოსავლეთში მიავლინა ჟილბერ დე ლანუა, რათა ოსმალთა სულთნის შესახებ შეეგროვებინა ცნობები[4]. 1431 წელს იგივე მისიით იქნა მივლენილი ჰერცოგის მრჩეველი და მეჯინიბე ბერტრადონ დე ლა ბროკიერი[5]. 1443 წელს უნგრეთის მხედართმთავრის იანოშ ჰუნიადის მისახმარებლად ბურგუნდიის ჰერცოგმა საზღვაო ექსპედიცია მოაწყო ვალერან დე ვავრინის მეთაურობით, მაგრამ 1444 წელს ვარნასთან განცდილი მარცხის შემდეგ ექსპედიციამ დაკარგა თავისი დანიშნულება და აშკარა მძარცველური ხასიათი მიიღო. ამ ექსპედიციის ერთ-ერთი რაზმი ჟოფრუა დე ტუაზის მეთაურობით თავს დაესხა ბათუმს, მაგრამ ბურგუნდიელთა რაზმი თავიანთ მეთაურთან ერთად ტყვედ ჩაიგდო გურიელმა[6]. ტუაზი გაანთავისუფლეს მხოლოდ ტრაპიზონის კეისრის შუამდგომლობით. ამრიგად, როგორც ვხედავთ, აღნიშნულ დროს აღმოსავლეთის საკითხებით დასავლეთ ევროპის ხელისუფალთაგან მხოლოდ ბურგუნდიის ჰერცოგია დაინტერესებული, თუ არ ჩავთვლით კლავიხოსა და პერო ტაფურის მოგზაურობებს, რომლებსაც წმინდა კომერციული ხასიათი ჰქონდათ. მართებული იქნებოდა გვეთქვა, რომ მხოლოდ ბურგუნდიის ჰერცოგს შესწევდა ძალა ესოდენ შორი ექსპედიციის მოწყობისა.

ვლაპარაკობთ რა ევროპის სახელმწიფოებზე, ყურადღება უნდა მივაპყროთ ნომინალურად ყველაზე ძლიერსა და დიდ სახელმწიფოს— „გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერიას". იმპერატორი ევროპის ყველა მონარქის სიუზერენად ითვლებოდა, ვინაიდან ძველი რომის კეისრების (აქედან გერმანულად: „Kaiser") მემკვიდრე იყო, რაზეც თვით სახელმწიფოს სახელიც მიგვანიშნებს. მიუხედავად ასეთი დიდი სახელწოდებისა, რომის საღვთო იმპერია და მისი „კეისარი" პოლიტიკურად საკმაოდ უძლურნი იყვნენ. გერმანია დაყოფილი იყო სამასზე მეტ სახელმწიფოდ, საჰერცოგოებად, სათავადოებად, საგრაფოებად, რაც პირველ რიგში ქვეყნის ეკონომიკური დაქსაქსულობით აიხსნებოდა. გერმანულ სახელმწიფოთა შორის ყველაზე დიდი იყო ჰაბსბურგთა მამულები (მომავალი ავსტრია). გერმანიის გაერთიანების

---

[4] С. Карпов. Трапезундская империя и западноевропейские государства в XIII—XV вв., М., 1981, с. 156.

[5] იქვე.

[6] С. Карпов. დასახ. ნაშრომი, გვ. 157; A. Bryer, Ludovico da Bologna and the Georgian and Anatholian Embassy of 1460—61; „Bedi Kartlisa, revue de Kartvelologie", vol. XIX—XX, Paris, 1965, p. 182—183. ეს მიგვანიშნებს, რომ ბათუმი ამ დროს გურიელს ეკუთვნოდა და არა ათაბაგს, როგორც ფიქრობდა ბ. ბროსე.

ერთადერთ გზად თელიდნენ ტერიტორიის გაზრდას ძველი ფეოდალური საშუალებებით.

სწორედ ამ პოლიტიკას დაადგა ფრიდრიხ III, რომელსაც საკმაო სირთულენი აღმოაჩნდა თავის მოუწესრიგებელ იმპერიაში. და ბოლოს. საინტერესოა, რომ ავსტრია საბოლოოდ (XVI საუკუნის დასაწყისში) იქცა მრავალეროვან აბსოლუტურ მონარქიად, მხოლოდ თურქთა შემოსევის საშიშროების პირობებში[7].

იტალია კულტურული აღმავლობისა და აღორძინების კერა იყო და ერთი შეხედვით გაკვირვებას იწვევს, რომ სწორედ იგი, იმ საერთო პოლიტიკური ტენდენციისდა მიუხედავად, რაც სხვა ქვეყნების გაერთიანებისაკენ სწრაფვით გამოიხატებოდა, პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაშლილი რჩებოდა. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ იტალია ეკონომიკურად სხვა ევროპულ სახელმწიფოებზე ბევრად ადრე იწყებს განვითარებას, რომ სწორედ იტალიაში ჩამოყალიბდა პირველად მდიდარი და მძლავრი ბურჟუაზია, რომელმაც ზოგ ქალაქში ხელისუფლებაც კი ჩაიგდო ხელთ. ეს აისახა ამ ქალაქი-რესპუბლიკების შინაგან სტრუქტურაში[8]. მაგრამ იტალიის პოლიტიკური დაქუცმაცებულობა იმით აიხსნება, რომ სავაჭრო რესპუბლიკები და ფეოდალური ტირანიები ლევანტთან სატრანზიტო ვაჭრობაზე აღმოცენდნენ, რომელსაც შემდეგ წარმოებაც შეუერთდა, მაგრამ ისიც საგარეო ბაზრისაკენ იყო მიმართული. შინა ბაზარი იტალიაში თითქმის არ არსებობდა და იტალიელ ვაჭრებს არც აინტერესებდათ, ხოლო ლევანტის ბაზრებისათვის კი იტალიის რესპუბლიკები ერთმანეთის კონკურენტები იყვნენ, რაც იწვევდა ხშირ შეტაკებებს მათ შორის. ყოველივე ეს ხელს უშლიდა ქვეყნის გაერთიანებას და ერთიან პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბებას. სწორედ ეს პოლიტიკური დაქსაქსულობა და ურთიერთქიშში იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ იტალიელებმა დაკარგეს ლევანტის სავაჭრო კოლონიები, რამაც მათ დიდი ეკონომიკური ზიანი მიაყენა.

რაც შეეხება ბალკანეთის სახელმწიფოებსა და უნგრეთს, ვარნასთან თურქეთთან ომში დამარცხების შემდეგ ისინი დახმარებას თვითონ საჭიროებდნენ.

ასე რომ, დასავლეთ ევროპაში XV საუკუნის შუა წლებში არ არსებობდა არავითარი რეალური ძალა ბურგუნდიის ჰერცოგის გარდა,

---

[7] Сказкин С. Д. Международные отношения в Европе в конце XV и первой половине XVI в.—в кн.: Из истории социально-политической и духовной жизни западной Европы в средние века. М., 1981, с. 148.

[8] იხ. Тарле Е. В. История Италии в новое время, СПб., 1901, с. 2—10.

რომელიც დაუპირისპირდებოდა ოსმალეთს და მით უფრო, არ არსებობდა არავითარი წინაპირობა ევროპის პოლიტიკური მესვეურების გაერთიანებისა. ნათელზე ნათელია, რომ ამგვარი იდეა იმთავითვე განწირული იყო. ის ფაქტი, რომ რომის პაპი პიუს II ამგვარ არარეალურ ცდას მიმართავდა, უნდა ვიფიქროთ, მისი დიდი შემართებით უნდა იყოს გამოწვეული, ვინაიდან პოლიტიკურ სიბეცეს ვერ დავწამებთ. აღსანიშნავია, რომ პიუს II-ის ამ სწრაფვას თავისი წინაისტორია აქვს.

იმ დროისათვის რომის პაპის ძალაუფლება საგრძნობლად შერყეული იყო. ევროპა აღარ ცნობდა პაპის საერო ძალაუფლებას და მას მხოლოდ სასულიერო იმპერიის გამგებლად თვლიდა. თუმცა რომის პაპებს აქაც მოუწიათ პოზიციების დათმობა. ჯერ საფრანგეთმა შეიმუშავა ე. წ. პრაგმატული სანქცია, შემდეგ ინგლისის ეკლესია განუდგა მას, დაბოლოს, კალვინისა და ლუთერის მოღვაწეობათა შედეგად პაპებმა თავიანთი სასულიერო ძალაუფლებაც ბევრგან დაკარგეს. ჯერჯერობით კი პიუს II ცდილობდა დაებრუნებინა პაპების პოლიტიკური ძალაუფლება (მოუწოდებდა რა ევროპის მონარქებს გაერთიანებულიყვნენ თურქებთან საბრძოლველად) და გაეფართოვებინა სასულიერო იმპერიის საზღვრები (თუ კი შემოიერთებდა ე. წ. „ბიზანტიურ მემკვიდრეობას“ და იქ კათოლიციზმს გაავრცელებდა). დაახლოებით ასეთი გეგმები ჰქონდა რომის პაპ პიუს II-ს. უნდა ითქვას, რომ იგი ორიგინალური არ ყოფილა. ასეთი მისწრაფებანი მის წინამორბედებსაც ჰქონდათ და უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ იგი მათ მიერ დაწყებული საქმის ღირსეული გამგრძელებელი იყო; მაგრამ პაპების ოცნებებს განხორციელება არ ეწერათ, ვინაიდან უკვე საკმაოდ შერყეული იყო პაპის სასულიერო ავტორიტეტი და დაცემული იყო მისი პოლიტიკური ძალაც.

პაპების პოლიტიკური ძლიერების დაცემა ავინიონის ტყვეობიდან დაიწყო, მას შემდეგ, რაც საფრანგეთის მეფე ფილიპე IV-მ დაამარცხა პაპი ბონიფაციუს VIII, რომელიც ცდილობდა დაემორჩილებინა საერო ხელისუფალნი. პაპის რომში დაბრუნების შემდეგ კი კათოლიკურ ეკლესიაში დიდი განხეთქილება (სხიზმა) დაიწყო. გრიგოლ XI-ის სიკვდილის შემდეგ ორი პაპი გაჩნდა, კარდინალთა ერთმა ნაწილმა აირჩია „უხეში კალაბრიელი“ ურბან VI, ხოლო მეორე კი „საშინელ პირუტყვს“ — კლიმენტი VII-ს მიემხრო. პირველის რეზიდენცია იყო რომი, მეორისა კი ავინიონი. შექმნილი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი საეკლესიო კრების მოწვევა იყო. და აი, ჩვენ ვხედავთ ამ კრებათა მთელ სერიას: პიზაში — 1409 წ.; კონსტანცაში — 1414—1418 წწ.; ბაზელში — 1431—1449 წწ. და მის. პარა-

ლელურად ფერარას — 1438 წ., ფლორენციასა — 1439—1443 წწ. და რომში — 1445 წ.

პიზას კრებამ ვერ მოახერხა „დიდი სხიზმის“ მოსპობა. მან ახალი პაპი — ალექსანდრე V დანიშნა. ორივე მისი წინამორბედი არ დაემორჩილა კრების გადაწყვეტილებას და ახლა ორის ნაცვლად სამი პაპი გაჩნდა. ალექსანდრე V მალე გარდაიცვალა. მისი ადგილი ყოფილმა მეკობრემ — იოანე XXIII დაიკავა. ზოგიერთი ცნობის მიხედვით მან მოწამლა თავისი წინამორბედი (1410 წ.)[9].

კონსტანცას საეკლესიო კრებამ გადააყენა სამივე პაპი და სასულიერო ტახტზე მარტინ V აიყვანა. ეკლესიის მთლიანობა აღდგენილი იყო, მაგრამ პაპის ხელისუფლება შეიზღუდა. უზენაესი ხელისუფლება თავად კრებამ იკისრა, რითაც პაპი კონტროლის ქვეშ მოაქცია. შესუსტდა რა პაპის ხელისუფლება სასულიერო სამყაროში, მას ევროპელი საერო ხელისუფალნიც განუდგნენ[10]. რომის პაპის მოკავშირე მხოლოდ ბურგუნდიის ჰერცოგი დარჩა; ისიც იმიტომ, რომ შეპყრობილი იყო სამეფო გვირგვინის დადგმის სურვილით.

რა თქმა უნდა, წმინდა პეტრეს მემკვიდრეები არ შეურიგდებოდნენ ამ გარემოებას, ამ მხრივ საყურადღებოა ბაზელის ყრილობა, სადაც ახალმა პაპმა ევგენი IV-მ გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყო. წარმატებისათვის მას რაიმე პოლიტიკური გამარჯვება ჭირდებოდა. კათოლიკური ეკლესიის მთლიანობა აღდგენილი იყო. რაც თავისთავად უკვე გამარჯვება იყო. ახლა საჭირო იყო ქრისტიანული ეკლესიის მთლიანობის აღდგენა და, რა თქმა უნდა, პაპის პრიმატის ქვეშ. ეს დიდი პოლიტიკური გამარჯვება იქნებოდა, რომელიც გაზრდიდა პაპის ავტორიტეტს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ამრიგად, ევგენი IV-მ ყურადღება დაღუპვის ზღვარზე მისულ ბიზანტიას მიაპყრო. ოსმალთაგან შევიწროებული ბიზანტია იმდენად დასუსტებული იყო, რომ თითქოს მზად იყო დაეთმო კონსტანტინოპოლის პატრიარქის პრიორიტეტი, მაგრამ იყო მეორე მხარეც. საჭირო იყო ბიზანტიის დაცვა. დაცვა იარაღით ხელში ურწმუნო ბარბაროსთაგან. პაპს სამხედრო ძალა არ გააჩნდა და მით უმეტეს ისეთი, რომელიც ოსმალთა შესანიშნავად გაწვრთნილ იანიჩარებს დაუპირისპირდებოდა, მაგრამ ეს ფაქტიც ევგენი IV-ის სასარგებლოდ იყო, ვინაიდან სამხედრო ძალად მას მთელი დასავლეთის გამოყენება სურდა და თუკი პაპი მოახერხებდა დასავლეთ ევროპელ ხელისუფალთა დაინტერესებასა და გაერთიანებას (ეს

---

[9] Грабарь В. Э. Вселенские соборы западно-христианской церкви и светские конгрессы XV века.—В кн. Средние века, М.-Л., 1946, с. 255.

[10] იქვე, გვ. 265.

კი ერთადერთი რეალური საშუალება იყო ბიზანტიისა და მასთან სხვა ორთოდოქსული ეკლესიების შემოერთებისა) ევგენი IV-ს ძველი დიდება დაუბრუნდებოდა.

ამრიგად, ევგენი IV შეუდგა ქრისტიანული საეკლესიო „სხიზმის" გაუქმებას. ამ მიზანს ემსახურებოდა საეკლესიო კრებები ფერარასა და ფლორენციაში. აქვე უნდა ითქვას, რომ ბიზანტიას მხოლოდ თურქთაგან დაცვის მიღების საშუალება ამოძრავებდა და ბიზანტიის დელეგაციამ წამოაყენა პირობა, რომ საეკლესიო კრებას დასწრებოდნენ დასავლეთ ევროპის ხელმწიფენი, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მათი წარმომადგენლები. მაგრამ ევგენი IV-მ ამ პირობის შესრულება ვერ მოახერხა. კრებას მხოლოდ ბურგუნდიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ[11]. ასე რომ, დასავლეთის პოლიტიკურ მესვეურთა დაინტერესება აღმოსავლეთის საკითხებით ვერ მოხერხდა. საბოლოოდ ამ ყრილობაზე გაფორმდა უნია კათოლიკურსა და მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის, მაგრამ მას ფაქტობრივად შედეგი არ მოჰყოლია[12]. არც ერთმა სახელმწიფომ არ მიიღო უნიის პირობები, კიევში კი ხალხმა გააძევა მიტროპოლიტი ისიდორე, რომელმაც ხელი მოაწერა უნიას.

მიუხედავად ფერარა-ფლორენციის კრებისა და უნიის აშკარა კრახისა, ევგენი IV-ის მემკვიდრენი იგივე პოლიტიკას ახორციელებდნენ.

ყოველივე იმ პოლიტიკურ არეულობას, რაც XV საუკუნეში სუფევდა სამოციქულო ტახტის ირგვლივ, იდეოლოგიური ძვრებიც დაერთო.

ჯერ კიდევ სილვესტრ I-ის (314—335) დროიდან რომის პაპები პრეტენზიას აცხადებდნენ როგორც სასულიერო, ისე საერო ძალაუფლებაზე[13], მაგრამ ავინიონის ტყვეობისა და „დიდი განხეთქილების" შემდეგ პაპის ავტორიტეტი დიდად დაეცა. პაპის სასულიერო დიქტატურის დამხობაში დიდი წვლილი მიუძღვით ისეთ მოაზროვნეებს, როგორიც იყვნენ პეტრე აბელიარი და როჯერ ბეკონი; დაბოლოს 1440 წელს ლორენცო ვალამ მეცნიერულად დაასაბუთა, რომ ე. წ. „კონსტანტინეს სიგელი", რომელსაც პაპები ეყრდნობოდნენ, აცხა-

---

[11] ო. ჟ უ ჟ უ ნ ა ძ ე. XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის, — კრებულში: ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1970, გვ. 13.

[12] ქართველმა მიტროპოლიტმა არ მოაწერა ხელი ამ უნიას, მიუხედავად დაჟალებისა, იქვე, გვ. 17—24; У д а л ь ц о в а З. В. Борьба византийских партий на Флорентийском соборе и роль Виссариона Никейского в заключении унии.—„Византийский временник", № 3, 1950, с. 106—132.

[13] Дарственная грамота Константина.—В кн.: Итальянские гуманисты XV века о церкви и религии, М., 1963, с. 334—337.

დებდნენ რა პრეტენზიას საერო ხელისუფლებაზე, ყალბი ყოფილა[14]. ჰუმანიზმი ნელ-ნელა ძალას იკრეფდა და მისი უდიდესი გავლენა „დიდი სხიზმის“ დასასრულს დაემთხვა. კათოლიკური ეკლესიის მესვეურებს ესმოდათ, რომ ასეთ ვითარებაში პაპის საერთაშორისო ავტორიტეტის გაზრდა ან შენარჩუნება შეიძლებოდა მხოლოდ რაიმე დათმობის გზით, პაპის მოდერნიზაციის საშუალებით, და აი, სამოციქულო ტახტზე წმინდა ჰუმანისტებს ვხედავთ — ტომაზო პარენტუჩელის — ნიკოლოზ V (1447—1445) და ენეა სილვიო დე პიკოლომინის — პიუს II (1458—1464). პირველი მათგანი პაპად არჩევამდე ჰუმანიტარული დისციპლინების მასწავლებელი იყო მდიდარი იტალიელების ოჯახებში, მეორე კი — გამოჩენილი მწერალი — ჰუმანისტი. მართალია, ნიკოლოზ V-მ რომში შეიფარა ესპანელი ინკვიზიტორებისაგან დევნილი ლორენცო ვალა, მაგრამ საბოლოო ჯამში პაპად გახდომის შემდეგ როგორც ერთმა, ისე მეორემ ჰუმანისტური გატაცებებიდან მხოლოდ მეცენატური სიყვარული შეინარჩუნეს ანტიკური ძეგლებისა და მათი ძველი მეგობრების მიმართ.

რაც შეეხება პიუს II-ს, პაპად გახდომის შემდეგ, მან უარყო თავისი ძველი ჰუმანისტური შეხედულებანი შემდეგი ცნობილი სიტყვებით: „უარჰყავით ენეოსი, პიუსი მიიღეთ“[15].

როგორც ვხედავთ, ჰუმანისტური მოძრაობა იმ დროს იმდენად დიდი იყო, რომ წმინდა პეტრეს ტაძარშიც კი შეაღწია. ჰუმანისტები თავიანთი შემოქმედების წყაროს ძველი ბერძნული კულტურიდან სეს-ხულობდნენ; მაგრამ მთელ ამ მოძრაობას არ შეეძლო შეეჩერებინა გახრწნის გზაზე დამდგარი ბერძენთა სახელმწიფოს პოლიტიკური აღსასრული.

მსოფლიოს ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობა უჭირავს იმ ძირეულ ცვლილებებს, რაც XV საუკუნის შუაწლებისათვის ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მოხდა. უძველესი ევროპული ცივილიზაციისა და ქრისტიანული კულტურის კერა — ბიზანტიის იმპერია აღიგავა პირისაგან მიწისა და მისი ადგილი დაიკავა ბარბაროსულმა სახელმწიფომ, თანაც მაჰმადის რჯულის მიმდევარმა — ოსმალეთმა, რომელიც თავისი ეშვენივრად ორგანიზებული ლაშქრისა და დამპყრობლური ენერგიით შეპყრობილი სულთნის მეშვეობით მთელი ევროპისათვის სერიოზულ საფრთხედ იქცა.

1453 წლიდანვე, როგორც კი ოსმალებმა კონსტანტინოპოლი აიღეს, ევროპაში ფართოდ გაიშალა მოძრაობა ურჯულო ბარბაროსების

---

[14] Лоренцо Валла, Рассуждение о подложности так называемой дарственной грамоты Константина, там же, с. 139—217.

[15] Итальянские гуманисты XV века о церкви и религии. М., 1963, с. 15.

წინააღმდეგ. მაგრამ საეჭვოა, რომ რომის პაპები, რომლებიც მაღალი კათედრიდან ქადაგებდნენ ომს ურწმუნოთა წინააღმდეგ, ანგარიშს უწევდნენ იმ გარემოებას, რომ ბიზანტიის დაცემაში უდიდესი წვლილი სწორედ ქრისტიან ბარბაროსებს მიუძღვით. 1204 წელს, IV ჯვაროსნული ომის დროს ბიზანტიას საშინელი კატასტროფა დაატყდა თავს, კონსტანტინოპოლი აიღო და გაძარცვა წმინდა ომისათვის შეგულიანებულმა და აბჯარზე ჯვარგამოსახულმა ბრბომ. ამის შედეგად ბიზანტიის იმპერია დაკნინდა, მის ნანგრევებზე აღმოცენდა ლათინთა იმპერია და მხოლოდ 1261 წელს მიხეილ პალეოლოგმა შეძლო აღედგინა ის ნარჩენები, რაც ძველი ბიზანტიისაგან დარჩა. აი, სწორედ ამ საშინელი დარტყმისა და გამუდმებული გარეშე თავდასხმების შედეგად დასუსტებული იმპერია ოსმალთათვის ადვილი ლუკმა შეიქმნა.

1392 წელს ბაიაზეთ I-მა, ილდირიმად (ელვად) წოდებულმა, საბოლოოდ დაიპყრო მაკედონია და ოთხი წლის შემდეგ ბულგარეთი, რის შედეგადაც ბიზანტია ოსმალთა რკალში აღმოჩნდა. 1396 წელს ევროპიდან დაიძრა ჯვაროსანთა დიდი ლაშქარი, მაგრამ კონსტანტინოპოლი ამჯერად დაცემას გადაურჩა არა ჯვაროსნების მეოხებით, რომლებმაც ნიკოპოლთან გამანადგურებელი მარცხი განიცადეს, არამედ თემურლენგის წყალობით, რომელმაც 1402 წელს ანკარასთან დაამარცხა ოსმალები, ხოლო ელვა-ბაიაზეთი კი ტყვედ ჩაიგდო.

1442 წელს მურად II-ის წინამძღოლობით ოსმალებმა კვლავ შეუტიეს კონსტანტინოპოლს. დაიწყო თუ არა ქალაქის ალყა, სულთანი იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო, ვინაიდან ცნობები მიიღო მის სახელმწიფოში შინაშლილობისა და შეთქმულების შესახებ. კონსტანტინოპოლი დაცემას დროებით კვლავ გადაურჩა.

კონსტანტინოპოლში კარგად იცოდნენ, რომ ადრე თუ გვიან ოსმალები კვლავ გამოჩნდებოდნენ მათ ქალაქთან. ამიტომ ხსნის გზების ძიება დაიწყეს. ერთ-ერთი რეალური გზა იყო დასავლეთთან დაკავშირება. ასეთ ვითარებაში ბიზანტიის იმპერატორი თანხმდება ფერარა-ფლორენციის უნიაზე, მაგრამ ხალხმა არ მიიღო ეს გადაწყვეტილება. თითქმის მთელი კლიროსი ბოიკოტს უწევდა კონსტანტინოპოლის პატრიარქსაც. ასე რომ, როგორც ზემოთ ითქვა, იურიდიულად გაფორმებულ დოკუმენტს ფაქტობრივად არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

ევგენი IV-მ 1440 წელს მაინც გამოაცხადა ჯვაროსნული ომი. მან მოახერხა ჯარის თავმოყრა, რომელიც ძირითადად უნგრელებისაგან შედგებოდა. 1444 წელს ვარნასთან ეს ლაშქარი სასტიკად დაამარცხა მურად II-მ. მართალია, ოსმალთა ორი მცდელობა, აეღოთ კონსტანტინოპოლი, უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ მათ მაინც მოამზადეს

ნიადაგი ამისათვის. ბიზანტიის უკანასკნელი კეისრები კონსტანტინოპოლსა და ამის შემოგარენსღა ფლობდნენ. აი რა დარჩა ერთ დროს დიადი ბიზანტიის იმპერიიდან. მხოლოდ ერთი ქალაქი, რომელიც მალე ოსმალთა ხელში აღმოჩნდა[16].

1451 წელს ოსმალთა სულთნის ტახტზე მეჰმედ II ავიდა. მისმა მადლიერმა ქვეშევრდომებმა იგი რამდენიმე მეტსახელით შეამკეს; არც ერთ სულთანს ოსმალთა გვარში არ ჰქონია ამდენი მეტსახელი — ბუიუკ (დიდი), ღაზი (ურწმუნოთა დამმარცხებელი), ფათეჰი (დამპყრობელი). 1452 წლიდან კი იგი შეუდგა თავისი სიყრმის ოცნების აღსრულებას და დაიწყო კონსტანტინოპოლის ბლოკირება. ამ მიზნით მან ბოსფორის ევროპულ მხარეზე ციხესიმაგრე ააგო, ბოღაზ-ქესან, ახლანდელი რუმილი-ჰისარი[17].

ბიზანტია კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. საკუთარი ძალებით ოსმალთა უზარმაზარი და კარგად გაწვრთნილი არმიის წინააღმდეგ გამოსვლა შეუძლებელი იყო. საჭირო იყო დახმარება, რაც მხოლოდ დასავლეთ ევროპას შეეძლო (შეეძლო მხოლოდ თეორიულად, იმიტომ, რომ პრაქტიკულად ასეთი რამ მას არ განუხორციელებია. პოტენციურად ევროპას შესწევდა უნარი თურქების დამარცხებისა, მაგრამ რეალურად არავითარი ზომები არ მიუღია). მაგრამ ამ დახმარებას ევროპა მხოლოდ იმ შემთხვევაში პირდებოდა, თუ კათოლიკობას მიიღებდნენ. რომის პაპები დიდი ხანია, ჯერ კიდევ საეკლესიო განხეთქილებიდან მოყოლებული, ცდილობდნენ დაემორჩილებინათ მართლმადიდებლური სამყარო. 1274 წელს ლიონის კრებაზე გაფორმდა უნია პაპსა და კეისარ მიხეილ VIII პალეოლოგს შორის. ბიზანტიის მოსახლეობამ უარყო იგი და აიძულა მიხეილ VIII-ს ვაჟი — ანდრონიკე II უარეყო უნია ოფიციალურად. 1369 წელს კეისარმა იოანე V-მ აღიარა პაპის უზენაესობა მხოლოდ პირადად და არა მისი ქვეშევრდომებისათვის. იგი იმედოვნებდა, რომ მოგვიანებით მიაღებინებდა მათ კათოლიკობას[18]. როგორც ზემოთ დავინახეთ, ფერარა-ფლორენციის უნიაც უარყვეს კონსტანტინოპოლის მცხოვრებლებმა და ახლა კი პაპი მოითხოვდა ბიზანტიის უკანასკნელ კეისარს — კონსტანტინე XI-ს ხელი მოეწერა ამ უნიის გადაწყვეტილებისათვის.

კონსტანტინოპოლში იმ დროისათვის რამდენიმე დაჯგუფება არსებობდა. ერთი პარტია სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის იღვწო-

---

16 Раснимен С. Падение Константинополя в 1453 г., М., 1983, с. 54—84.

17 ბოღაზ-ქსენ თურქულად სრუტის გადამკრელს, ანუ ყელის გადამკრელს ნიშნავს.

18 Раснимен С. დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

და და ყოველმხრივი წინააღმდეგი იყო დასავლეთთან რაიმე კომპრომისისა. მეორენი დასავლეთთან კავშირს ამჯობინებდნენ; თვლიდნენ, რომ იმპერიის მთავარი მტრები თურქები იყვნენ, რომლებიც სახელმწიფოს საფრთხეს უქმნიდნენ და რომ კათოლიკობის მიღება, თურქულ უღელთან შედარებით, ნაკლები ბოროტება იქნებოდა. მესამენი თურქებთან კავშირის მომხრენი იყვნენ. ეს გამოწვეული იყო პირველ რიგში მოსახლეობის იტალიელებისადმი სიძულვილით და მეორე მხრივ; გლეხობის განწყობილებით, რომლებიც თურქებში თავიანთ განმათავისუფლებლებს ხედავდნენ[19].

კონსტანტინე XI-მ სცადა რაიმე ეღონა; ამ მიზნით მან კავშირი დაამყარა დასავლეთთან და 1452 წლის 12 დეკემბერს კონსტანტინოპოლში წმინდა სოფიის ტაძარში ხელი მოაწერა უნიას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფაქტს აშკარა ოპოზიცია არ მოჰყოლია. კონსტანტინემ უკანასკნელი ღონე იხმარა და დაეთანხმა პაპს მის მოთხოვნაზე. ახლა ჯერი თვით პაპზე მიდგა. მას არა მარტო პირობის შესრულება ევალებოდა, არამედ უკვე გაკათოლიკებული ბიზანტიის ურჯულოთაგან დაცვა მის პირდაპირ ინტერესებში იყო, მაგრამ დასავლეთის ქვეყნებს არავითარი ღონე უხმარიათ კონსტანტინოპოლის დასაცავად. იბრძოდნენ მხოლოდ ვენეციის ხომალდები, რომლებსაც კონსტანტინოპოლში დიდი კოლონია ჰქონდათ და თავიანთ მერკანტილურ ინტერესებს იცავდნენ. მოკლედ რომ ვთქვათ, ქალაქი განწირული იყო. მეჰმედ II-ის უზარმაზარი არმია გარს შემოერტყა კონსტანტინოპოლს, ხოლო 1453 წლის 29 მაისს კი ოსმალები ქალაქში შეიჭრნენ[20]. ჩვენ აქ არ მოვუვებით იმ ხოცვა-ჟლეტის აღწერას, რაც მეჰმედ II-მ იქ მოახდინა, საკმარისია მხოლოდ ითქვას, რომ კონსტანტინოპოლის ოსმალთა მიერ აღების შემდეგ მოსახლეობა იმდენად შეთხელდა, რომ სულთანი იძულებული იყო მის შესავსებად სხვა დაპყრობილი ხალხები დაესახლებინა. ამრიგად, კონსტანტინეს წმინდა ქალაქის, „მეორე რომის" დაპყრობით, მეჰმედ II-მ საბოლოოდ წაშალა ბიზანტიის იმპერია, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ 1453 წელი მთელი სახელმწიფოს დაღუპვის თარიღი არ გახლავთ, არამედ უკვე დიდი ხნის მანძილზე არარსებული იმპერიის დედაქალაქის აღების თარიღი იყო, და ამ იმპერიის საბოლოო ნარჩენების: მორეისა და ტრაპიზონის დაპყრობით უზარმაზარმა ოსმალთა იმპერიამ შთანთქა მართლმადიდებელი სამყაროს თითქმის მთელი სამხრეთი ნაწილი. ახლა ოსმალეთის მეზობლად ერთი მართლმადიდებლური სახელმწიფოღა დარჩა. ეს საქართველო

---

[19] Успенский Ф. И. Очерки из истории Трапезундской империи, Л., 1929, с. 134.

[20] Рансимен С. დასახ. ნაშრომი, გვ. 74—130.

იყო. საბედნიეროდ მისი საბოლოო დაპყრობა ოსმალეთმა ვერ მოახერხა, რაც პირველ რიგში ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის შედეგი იყო და ქართველი პოლიტიკოსების არცთუ გულუბრყვილო პოლიტიკისაც.

კონსტანტინოპოლის დაცემის ამბავი ევროპას გენუელთა ხომალდებმა ამცნეს, რომლებიც მესამე დღეს ცარიელნი დაბრუნდნენ შინ. ბიზანტიის დაცემამ შეძრა მთელი ევროპა, მით უფრო, რომ სერიოზულად ამას არავინ ელოდა. გარდა იმისა, რომ ამ ფაქტმა მძიმედ იმოქმედა იმდროინდელ სატრანზიტო ვაჭრობაზე, მან ერთსულოვანი აღშფოთება გამოიწვია, რასაც აფასებდნენ, როგორც ქრისტიანობის უდიდეს მარცხსა და სირცხვილს. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის ხელმწიფეები აღშფოთებით უსმენდნენ ამბებს კონსტანტინოპოლის დაცემის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ მწერლები თხზავდნენ მწუხრის ელეგიებს, რომ ფრანგმა კომპოზიტორმა გიიომ დიუფემ სპეციალურად ამ ფაქტს სამგლოვიარო საგალობელი უძღვნა და იგი აიტაცა მთელმა ევროპამ, მოქმედებას არავინ აპირებდა. ფრიდრიხ III ღარიბი და უძლური იყო, მას არ გააჩნდა რეალური ძალაუფლება. ასე რომ, ვერც პოლიტიკურად და ვერც ფინანსურად ლაშქრობაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. საფრანგეთის მეფე შარლ VII დაკავებული იყო თავისი სამეფოს აღდგენით და თურქები მისგან ძალიან შორს იყვნენ. ინგლისის მეფე ჰენრი VI ვერაფერს იღონებდა, ვინაიდან ის-ის იყო ჭკუაზე შეცდა და ქვეყანა თეთრი და წითელი ვარდების ბრძოლაში ჩაეფლო. არაგონის მეფე ალფონსი, რომლის იტალიური სამფლობელოები საშიშროების ქვეშ აღმოჩნდნენ, მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელო თავდაცვითი ოპერაციით დაკმაყოფილდა. უნგრეთის მეფე ვლადისლავი დიდი საფრთხის წინაშე იდგა, მაგრამ მას ცუდი ურთიერთობა ჰქონდა ყოფილ რეგენტთან, თავის სარეალთან — იანოშ ჰუნიადისთან. ასეთ ვითარებაში იგი სერიოზულ ზომებს ვერ მიიღებდა. ამრიგად, იმედები ისევ ბურგუნდიის ჰერცოგზე იყო.

პაპი მას წყალობას არ აკლებდა, 1454 წელს ფილიპე კეთილმა ლიეჟში ნადიმი გამართა. სუფრაზე, ძვირფასი ქვებით მორთული ცოცხალი ხოხობი შემოიტანეს, მაშინ, როდესაც სარკინოზის სამოსში ჩაცმული ვინმე აყლაყუდა სტუმრებს სათამაშო სპილოთი ემუქრებოდა. ხოლო ქალად გადაცმული ჭაბუკი ოლივიე დე ლა მარში დედა— ეკლესიის უბედურებებს ასახიერებდა. ეს სპექტაკლი დამთავრდა იმით, რომ დამსწრეებმა ფიცი დადეს აღემართათ ჯვარი, მაგრამ როგორც ცნობილია, ეს უშედეგოდ დამთავრდა. „ხოხობის ფიცი“ (ასე

შეარქვეს ამ პანტომიმას)[21], აქ იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ჩვენი აზრით, იგი გარკვეული კუთხით განაზოგადებს ევროპელთა დამოკიდებულებას აღმოსავლეთში მომხდარი ტრაგედიისადმი. ბურგუნდიის ჰერცოგს კი მართლაც ხშირად გამოუთქვია სურვილი ჯვაროსნულ ომში მონაწილეობისა, მაგრამ საფრანგეთის მეფის შიშით ვერ ტოვებდა თავის სამფლობელოს.

ამრიგად. მიუხედავად იმ დიდი გულისტკივილისა, რაც მომხდარმა კატასტროფამ ევროპაში გამოიწვია, მთელი ევროპა მაინც ერთსულოვანი აღმოჩნდა ბერძნების შეფასებაში, რომლებსაც მხდალებსა და უნიათოებს უწოდებდნენ. მაგალითად, დღესაც კი მოგვეპოვება გერმანელთა განწყობის შესანიშნავი მაგალითი. გერმანულ ენაში სიტყვა Byzantinismus ნიშნავს — ლაქუცობას, თავდრეკილობას, პირმოთნეობას, ისევე, როგორც აქედან ნაწარმოები ზედსართავი — byzantinish[22]. არაა გასაკვირი, რომ ამგვარი რამ მხოლოდ გერმანულმა ენამ შემოგვინახა. აღნიშნულ დროს ხომ სწორედ გერმანია ეცილებოდა ბიზანტიას რომის მემკვიდრეობას და ვფიქრობთ, ამით უნდა იყოს გამოწვეული ისიც, რომ ბიზანტიელთა აუგად მოხსენიება დღევანდელ გერმანულ სალაპარაკო ენაშიც შემორჩა.

კონსტანტინოპოლის დიდი ნაწილი დანგრევას მაინც გადაურჩა. სულთანმა მისი ხელახლა დასახლება ბრძანა, რისთვისაც ტყვეების დიდი ნაწილი დააბრუნეს, მოჰყავდათ ხალხი ლევანტის კოლონიებიდან და ადრიანოპოლიდან. ასე რომ, ქრისტიანული ელემენტი ქალაქში საკმაოდ დიდი დარჩა[23]. ქალაქის მოსახლეობის აღდგენა სულთნისათვის მატერიალური და მორალურ-პოლიტიკური საქმე იყო. მატერიალური თვალსაზრისით მეჰმედ II-ემ ყოველი ღონე იხმარა, რათა ქალაქის შენობები შეენარჩუნებინა და ეს მან კიდეც მოახერხა. შენობები სულთანმა თავის საკუთრებად გამოაცხადა და აკრძალა მათი იავარყოფა.

შევიდა თუ არა კონსტანტინოპოლში, მეჰმედ II-მ წმინდა სოფიის ტაძარში მაჰმადის წესით ილოცა, რის შემდეგაც იგი მეჩეთად გადაკეთდა, მაგრამ ამავე დროს სულთანმა ნება დართო ქალაქში მართლმადიდებლური ღვთისმსახურებისა და თვითონაც კი დაამტკი-

---

[21] Olivier de la Marche, Memoires, Ed. Beaunne and J. d'Arbaumont I—IV, Paris, 1883—1888, V. II, p. 381—382.

[22] G. Wahrig. Deutsches Wörterbuch, Mosaik verlagsgruppe Bertelsmann GMBH. 1930—1981, s. 804.—Большой немецко-русский словарь, М., 1980, т. I, с. 303.

[23] J. W. Zinkeisen, Geschichte des Osmanischen Reiches in Europa, Bd. II, Gotha, 1854, s. s. 3—8. სულთნის ბრძანებით ქალაქში დაბრუნდა 60 000-მდე ტყვედ გაყიდული ბერძენი.

ცა პატრიარქი[24]. ეს იყო გეორგიუს გენადიუსი (სქოლარიუსი), პიროვნება, რომელიც თვალსაჩინო როლს ასრულებდა ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაზე, როგორც უნიის მოწინააღმდეგე. პატრიარქის არჩევისა და ხელთდასხმის ცერემონია ისევე საზეიმოდ ჩატარდა (1454 წ. 6 იანვარი), როგორც კეისრების დროს, თვით სულთანმა მიაცილა პატრიარქი მისთვის გაკუთვნილ პატარა, მაგრამ სილამაზით (წმინდა სოფიოს ტაძრის შემდეგ) მეორე მოციქულთა ეკლესიაში (იგი ორი წლის შემდეგ დაუნგრევიათ და მის ადგილზე მოგვიანებით აშენდა ოსმალთა იმპერიის დამაარსებლის საძვალე)[25]. საპატრიარქო კი პამაკარისტას ქალთა მონასტერში გადაიტანეს.

როგორც დავინახეთ, კონსტანტინოპოლის დაცემას არ მოჰყოლია ბერძენთა სარწმუნოებრივი დევნა, პირიქით, სულთანმა მათ პატრიარქიც კი დაუნიშნა. რასაკვირველია, მეჰმედ II-ის ეს ნაბიჯი არა მისი კაცთმოყვარეობიდან თუ ქრისტეს რჯულის პატივისცემიდან გამომდინარეობდა. სულთანს თავისუფლად შეეძლო საპატრიარქოს გაუქმება, მაგრამ აქ გამოჩნდა გამჭრიახი და მოქნილი პოლიტიკოსი. სულთანმა მშვენივრად უწყოდა მართლმადიდებელთა მტრობა კათოლიკეებთან და რომ ანტიუნიატი გენადიუსის არჩევას ხელი უნდა შეეწყო ამ მტრობის გაღვივებისა და გაგრძელებისათვის, ხოლო გამაჰმადიანების შემთხვევაში ბერძნები ისევე გაკათოლიკებას ამჯობინებდნენ, რაც სულთნისთვის არასასურველი იყო. ამით ბიზანტიელთათვის თურქული უღელი შემსუბუქდა და უფრო ასატანი გახდა, ვიდრე მაგალითად ვენეციელებისა, რომლებიც ბერძენთა სხეულთან ერთად მათ სულსაც დაატყვევებდნენ; სულთანმა კი მათ სულს თავისუფლება მისცა. ამ გამჭრიახი, შეიძლება ითქვას, წმინდა ტაქტიკური ნაბიჯის მეშვეობით სულთანმა იმას მიაღწია, რომ ბიზანტიელმა ბერძნებმა ხელი აიღეს დასავლეთის ორიენტაციაზე საერთოდ და არ შევცდებით თუკი ვიტყვით, რომ სწორედ ქრისტიანობისადმი ასეთმა ლოიალურმა დამოკიდებულებამ გარკვეულ ასპექტში თავისი როლი შეასრულა მეჰმედ II-ის შემდგომ წარმატებებში ევროპაში.

მიუხედავად იმისა, რომ მეჰმედ II-მ პატრიარქს თავისუფლების სიგელი მისცა[26], გეორგიუს გენადიუსის მემკვიდრეების დროს პატრიარქის მდგომარეობა გაუარესდა. ისინი დიდძალ ხარკს უხდიდნენ

---

[24] J. W. Zinkeisen, Geschichte des Osmanischen Reiches in Europa, Bd. II. Gotha, 1854, s. 8.

[25] История человечества, т. V, СПб., 1896, с. 139.

[26] იგი ითვალისწინებდა პატრიარქის განთავისუფლებას სხვადასხვა გადასახადებისაგან და მას ეძლეოდა უფლება თავისი ჩვეულებისამებრ დაენიშნა მემკვიდრე. იხ. J. W. Zinkeisen, დასახ. ნაშრომი, გვ. 10

სულთანს. ეს ერთი მხრივ თავად პატრიარქების ბრალი იყო. ჯერ სიმეონმა გადაიხადა ნებაყოფლობითი საჩუქარი 100 დუკატის ოდენობით, მომდევნომ ორჯერ მეტი და ბოლოს სერბიელმა ბერმა, ვინმე რაფაელმა მიაღწია პატრიარქობას იმ პირობით, რომ 2000 დუკატის გარდა, რასაც იმ დროისათვის ინტრონიზაცია ითვალისწინებდა, ყოველწლიურად იმდენსავეს გადაუხდიდა სულთანს. საბოლოოდ მან ვერ შეძლო ამ თანხის გადახდა, რისთვისაც სულთანმა იგი სატუსაღოში ჩასვა[27]. რაფაელის ამ მოქმედებამ თავისი სავალალო შედეგი მაინც იქონია ინტრონიზაციის საფასურის გადიდებაში. საბოლოოდ, XVI საუკუნის შუაწლებისათვის კონსტანტინოპოლის პატრიარქის წლიური გადასახადი ბრწყინვალე პორტას კარზე 4100 დუკატს უდრიდა[28].

მიუხედავად ყოველივე ამისა, კონსტანტინოპოლში საპატრიარქოს შენარჩუნებას ბიზანტიელი ბერძნებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. პატრიარქის სასახლეში თავს იყრიდნენ ერთ დროს ბრწყინვალე ბიზანტიის სამეფო კარის წარმომადგენლები, კულტურის მოღვაწენი; ასე რომ, პატრიარქი არა მარტო სასულიერო, არამედ გარკვეული კუთხით ერის პოლიტიკური მეთაურიც გახდა.

კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ ბიზანტიის ძველი მეზობლები შიშმა მოიცვა. დღე-დღეზე ელოდნენ ისინი თავიანთ საზღვრებთან მეჰმედ II-ფათეჰსა და მის იანიჩარებს, მაგრამ მალე შეიტყვეს, რომ იგი ადრიანოპოლისაკენ გამგზავრებულა. ამის შემდეგ ამ მცირე სახელმწიფოებმა სულთანთან ელჩები მიავლინეს და გამარჯვება მიულოცეს. ამ უკანასკნელმა კი ხარკის დადებით უპასუხა. პელოპონესის (მორეის) დესპოტებმა, კონსტანტინე XI პალეოლოგის ძმებმა თომამ და დემეტრიუსმა ათი ათასი ოქრო უძღვნეს სულთანს მშვიდობისათვის[29]. ოსმალთა მოხარკეები გახდნენ ქიოსი, ლესბოსი[30], სერბია[31].

სულთანთან მოლაპარაკება არჩიეს გენუელებმაც, რომელთათვის პერას დაკარგვა დიდი მატერიალური ზარალი იყო. ამ მიზნით გენუელებმა ოსმალეთში მიავლინეს ლუკიანო სპინოლა და ბალთასარ მარუფო, მაგრამ ამ მისიამ შედეგი არ გამოიღო. საფიქრებელია — ამბობს გერმანელი ისტორიკოსი ვ. ჰეიდი — რომ სულთანმა კაფასა-

---

27 J. W. Zinkeisen, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

28 იქვე, გვ. 13.

29 იქვე, გვ. 17.

30 W. Heyd, Geschichte des Levantehandels im Mittelalter, Bd. 2, Stuttgart, 1879, s 313.

31 J. W. Zinkeisen, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

თვის გადასახადი მოითხოვა, რაზედაც ელჩებს უფლებამოსილება არ გააჩნდათ[32].

მთელს ევროპაში ბიზანტიის დაცემა ყველაზე უფრო მტკივნეულად ვენეციის სინიორიამ იგრძნო. ვენეციელ ვაჭრებს ბიზანტიის ტერიტორიაზე დიდი კოლონია ჰქონდათ და გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდნენ. ოსმალებმა კი მოკლეს კონსტანტინოპოლის ვენეციელი ბაილო ჯიროლამო მინოტო და დაატყვევეს ხუთასზე მეტი ვენეციელი მოქალაქე. სულ უფრო და უფრო იქმნებოდა იმის საშიშროებაც, რომ მტერი, რომელმაც საკმაოდ ძლიერი ფლოტი შექმნა, დახარბდებოდა ვენეციის სამფლობელოებს საბერძნეთში და მისი მფარველობის ქვეშ მყოფ პოლიტიკურ ერთეულებს.

სენატის საბჭოზე ვენეციის დოჟმა ფრანჩესკო ფოსკარიმ წამოაყენა წინადადება ოსმალთა შემდგომი აგრესიისათვის დაუყოვნებლივი შეტევა დაეპირისპირებინათ და ომის დაწყების საბაბად კონსტანტინოპოლელი ბაილოს სიკვდილი მიიჩნია; მაგრამ საბჭოზე სხვა აზრიც არსებობდა: კონსტანტინოპოლის დაცვის მონაწილემ, ადმირალმა ჯაკოპო ლორედანომ მშვიდობიანი მოლაპარაკებისა და დიპლომატიური ლავირების გზა არჩია. საბჭოზე ამ აზრმა გაიმარჯვა[33].

გადაწყდა გაეგზავნათ ელჩი, რომელიც ტყვეების განთავისუფლებაზე იზრუნებდა. ამით გამოაშკარავდებოდა ოსმალეთის დამოკიდებულება სან-მარკოს რესპუბლიკისადმი. ელჩად არჩეულ იქნა დიპლომატი ბარტოლომეო მარჩელო. ჯაკოპო ლორედანოს კი გაეგზავნა ბრძანება 12 ხომალდით გაემაგრებინა ნეგროპონტე (ევბეა)[34].

სენატის ამ გადაწყვეტილებაში დიდი წვლილი მიუძღვის იმ გარემოებასაც, რომ იმ დროს სინიორია ეწეოდა ომს მილანის ჰერცოგ ფრანჩესკო სფორცასთან. ეს ომი ვენეციელებს უკვე 550 000 დუკატი დაუჯდათ და ამდენად ორ ფრონტზე ბრძოლა მათთვის დიდ მატერიალურ ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული[35].

მარჩელო ადრიანოპოლში ჩავიდა და მუშაობას შეუდგა. 1454 წლის პირველსავე კვირებში მან სულთანთან ერთად საზავო პირობები შეიმუშავა. სულთანი ტყვეების განთავისუფლებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში თანხმდებოდა, თუ გამოსასყიდს მიიღებდა[36]. ამის შემდეგ მარჩელო ვენეციაში დაბრუნდა და ხელშეკრულება სენატს წარუდგინა, მაგრამ ამ უკანასკნელმა მილანის ჰერცოგთან მშვიდობის ჩამოგ-

---

32 W. Heyd, დასახ. ნაშრომი, გვ., 314—315.

33 იქვე, გვ. 316.

34 იქვე.

35 J. W. Zinkeisen, დასახ. ნაშრომი, გვ. 20, 37.

36 იქვე, გვ. 33.

დებამდე რატიფიცირებაზე თავი შეიკავა. ყოველივე აპრილამდე გადაიდო, როდესაც მარჩელო კვლავ მიავლინეს ოსმალეთში. 1454 წლის 18 აპრილს კონსტანტინოპოლში დაიდო ზავი, რომელიც განსაზღვრავდა შემდგომ დამოკიდებულებას სან-მარკოს რესპუბლიკასა და „ბრწყინვალე პორტას“ შორის[37]. ზავის პრობლემები შემდეგი იყო.

1) სულთანსა და სინიორიას შორის მათი ახლანდელი და შემდგომი სამფლობელოების ჩათვლით იქნება მშვიდობა და მეგობრობა, სანამ სან-მარკოს ალამი იარსებებს;

2) ორივე მხარე კისრულობს ვალდებულებას დასაჯოს თავისი ქვეშევრდომები ერთმანეთისათვის მიყენებული ვნებისა და ზარალისათვის;

3) ყველა ქალაქი, სოფელი თუ სიმაგრე, რაც ვენეციის კუთვნილება იყო და სულთნის ხელთ აღმოჩნდა, დაუყოვნებლივ უბრუნდებოდა სან-მარკოს რესპუბლიკას;

4) მეკობრენი და ავაზაკები, რომლებიც თავს შეაფარებდნენ რომელიმე მათგანს, დაუყოვნებლივ უკან ბრუნდებოდნენ ნაძარცვითურთ;

5) თითოეული სახელმწიფოს ქვეშევრდომებს უფლება ეძლეოდათ თავისუფლად ევლოთ მეორის ტერიტორიაზე;

6) ორივე მხარის სავაჭრო ხომალდები კისრულობდნენ ვალდებულებას დაეცვათ ერთმანეთი;

7. ნაქსოსის[38] ჰერცოგი მთელი თავისი ვასალებით შედის ამ ზავის პირობებში და საერთოდ ვენეციელთა თანატოლია;

8) სინიორია ლეპანტოს შემოსავლიდან წლიურად 100 დუკატს უხდიდა სულთანს. სკუტარისა და ალბანეთის ალესიოსათვის კი 136 დუკატს. ამ საერთო თანხას — 236 დუკატს ყოველი წლის თებერვალში სულთნის ხაზინას აბარებდა კონსტანტინოპოლის ვენეციელი ბაილო.

9) გაქცეული მონები უბრუნდებოდნენ ურთიერთს, მხოლოდ თუ რომელიმე ლტოლვილი ოსმალეთში ისლამს მიიღებდა, რესპუბლიკა მის ნაცვლად ღებულობდა ფულად კომპენსაციას 1000 ასპერის ოდენობით, მონა კი თავისუფლდებოდა.

ეს იყო ზავის ძირითადი პირობები. მაგრამ გარდა ამისა, არსებობდა კიდევ 16 დამატებითი მუხლი, რომლებითაც ვენეციელებს

---

[37] ხელშეკრულების ორიგინალი მოყვანილი აქვს Marino Sanuto, Vite dei Dogi, p. 1154—1158. აქედან ‘იხელმძღვანელა და გერმანულად თარგმნა ცინკაიზენმა, იხ. J. W. Zinkeisen, დასახ. ნაშრომი, გვ. 33—37; იხ. ავრეთვე W. Heyd, დასახ. ნაშრომი, გვ. 316—319.

[38] ნაქსოსი (Naxos) — ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდი კუნძული კიკლადებ (საბერძნეთი) არქიპელაგიდან. ნაქსოსზე 1207—1566 წწ. არსებობდა ვენეციის საჰერცოგო.

თავიანთი სავაჭრო უფლებების დაკონკრეტება სურდათ. ჩვენ აქ აღარ მოვიყვანთ ამ მუხლებს, აღვნიშნავთ მხოლოდ იმ ძირითადს, რაც ნათელს ჰფენს ვენეციელთა სავაჭრო პრივილეგიებს ოსმალეთში.

სან-მარკოს რესპუბლიკის მოქალაქენი თურქეთის ტერიტორიაზე გაყიდულ საქონელში 2% ბაჟს იხდიდნენ. საქონელი, რომელიც არ გაიყიდებოდა, ამ ბაჟისაგან თავისუფალი იყო. ბაჟს იხდიდნენ ისინი აგრეთვე ოსმალეთში შეძენილი საქონლის საზღვარგარეთ გატანის შემთხვევაში. შემოსავალი, რასაც კონსტანტინოპოლის პატრიარქი იღებდა ვენეციელთა კუთვნილი ოლქებიდან კეისრების დროს, მას ახლაც რჩებოდა. დამატებითი პირობების უმთავრესი მუხლი იყო, რომ ვენეციელები და ოსმალები არ უნდა მიმხრობოდნენ ერთმანეთის მტრებს და არ დახმარებოდნენ მათ სახსრებით ერთმანეთის წინააღმდეგ[39]. ამ მუხლის შეტანა სულთნის ინიციატივით მოხდა.

ვენეციელებმა მიიღეს უფლება კონსტანტინოპოლში ჰყოლოდათ თავიანთი ბაილო. ბაილოდ დაინიშნა თავად ბარტოლომეო მარჩელო; მას მისცეს ჯამაგირი წელიწადში 1000 დუკატის ოდენობით და დაერთო ნება ჰყოლოდა საკუთარი კაპელანი (კათოლიკე მღვდელი), რომელიც აგრეთვე ჯამაგირს იღებდა. მხოლოდ ბაილოს ხაზინიდან, მისი ჯამაგირი წელიწადში 60 დუკატს შეადგენდა[40].

ვენეციელ კოლონისტებს უფლება ეძლეოდათ თავიანთი ქონების ანდერძით გადაცემისა; თუკი ვინმე ანდერძის გარეშე გარდაიცვლებოდა, მისი ქონება შესანახად ბაილოს ეძლეოდა.

ბაჟი არ ეხებოდა ვერცხლის ზოდებსა და მონეტებს, მაგრამ ამისდა მიუხედავად, ვენეციელი ვაჭრები ამჯობინებდნენ ვერცხლი სულთნისათვის მიეყიდათ. ორპროცენტიანი ბაჟი ეხებოდა აგრეთვე ქრისტიანი მონებით ვაჭრობას, მუსლიმანი მონებით ვაჭრობა კი ვენეციელებს ეკრძალებოდათ. თუ მათ მუსლიმან მონას უპოვნიდნენ, იგი თავისუფლდებოდა, ხოლო ვაჭარი არავითარ ანაზღაურებას არ ღებულობდა[41].

აი, დაახლოებით ის დამატებითი მუხლები, რომლებიც ნათელს ჰფენდნენ ვენეციისა და ოსმალეთის იმდროინდელ ურთიერთობას. ჰ. ჰეიდი ამის შესახებ ამბობს: „...მაგრამ ქაღალდზე ეს ყველაფერი უფრო კარგად გამოიყურებოდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. თურქეთში ხალხიცა და დიდებულებიც ნაკლებად ცივილიზებულნი იყვნენ. ასე რომ, ვენეციელები, რომლებსაც ახლა მათ შორის ცხოვრება უხ-

---

[39] J. W. Zinkeisen, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

[40] იქვე, დასახ., ნაშრომი, გვ. 38.

[41] W. Heyd, დასახ. ნაშრომი, გვ. 317.

დებოდათ, ბერძნებთან ურთიერთობის ადრინდელ ეროს შენატროდნენ"[42].

ჩვენ განგებ შევაჩერეთ ყურადღება ვენეციის რესპუბლიკის ოსმალეთათნ დამოკიდებულებაზე. იმდროინდელი მასშტაბებით ვენეცია უდიდესი საზღვაო სახელმწიფო იყო და მისი ფლოტიც უძლიერესად ითვლებოდა. ამასთან იგი აშკარად დაზარალდა ოსმალთაგან. ამრიგად. ვენეციელები სხვებზე მეტად, თუ რასაკვირველია. არ ჩავთვლით იმ ქვეყნებს, რომლებსაც ოსმალები უშუალოდ ემუქრებოდნენ, იყვნენ დაინტერესებულნი ოსმალეთთან ომით, რაც საბოლოოდ მათ განახორციელეს კიდეც. ჩვენთვის საინტერესოა ვენეციელთა პოზიცია აღნიშნულ პერიოდში, მათი დამოკიდებულება როგორც მეჰმედ II-ისა, ასევე დასავლეთის ჯვაროსნული მოწოდებების მიმართ, ვინაიდან, როგორც დაინტერესებული მხარე, ვენეციელთა პოლიტიკოსები უშეცდომოდ შეაფასებდნენ იმდროინდელ პოლიტიკურ სიტუაციას და აქედან გამომდინარე რაციონალურ ნაბიჯსაც გადადგამდნენ.

ამრიგად, როგორც აღვნიშნეთ, ვენეციელებს, ახალი ზავისდა მიუხედავად, საკმაოდ უჭირდათ ოსმალეთთან ურთიერთობის ნორმალიზება, მით უფრო, რომ თურქთა გამუდმებული ომები ართულებდნენ ვაჭრობას მათთან, ხოლო მეჰმედ II-ის დაუოკებელი დამპყრობლური სურვილები ადრე თუ გვიან განმეორებით კონფლიქტამდე მიიყვანდა საქმეს. გადამწყვეტი ბრძოლა ევროპის უძლიერეს საზღვაო ძალასა და „ბრწყინვალე პორტას" შორის გარდუვალი ხდებოდა, ვინაიდან ამ უკანასკნელს არ აკმაყოფილებდა ხმელეთზე მიღწეული გამარჯვებები და არქიპელაგსა და პონტოზე საზღვაო ბატონობაზე ოცნებობდა. მეჰმედ II ყოველ ღონეს ახმარდა ახალი, ძლიერი ფლოტის შექმნას. ამისათვის მან ხელსაყრელი ადგილი მოძებნა გალიპოლის ახლოს და რათა ამ ადგილისათვის ევროპელებს შეტევა არ მიეტანათ, ქალაქის მისადგომები დარდანელის ზღუდეებით ჩაკეტა, სადაც ჩერდებოდა და მოწმდებოდა ყოველი გემი[43].

ევროპა არ დარჩენილა გულგრილი ოსმალთა ასეთი სამზადისისადმი. რომის პაპები — ნიკოლოზ V, კალიქსტ III და პიუს II მოუწოდებდნენ ევროპელ ხელმწიფეებს ჯვაროსნული ომისაკენ. ამ საქმეში ვენეციის ფლოტს წამყვანი როლი ეკისრებოდა, „მაგრამ ვენეციელები არ იძვროდნენ, რადგანაც განსჯვრიტეს ამ პროექტის ქარაფშუტობა და თავიანთი სავაჭრო ინტერესების კომპრომეტირება არ სურდათ"[44].

---

42 W. Heyd, დასახ. ნაშრომი, გვ. 317.

43 იქვე, გვ. 318.

44 იქვე, გვ. 319.

საბჭოებსა და კონგრესებზე, სადაც ეს პროექტები იხილებოდა, ვენეციელთა წარგზავნილები ან სულ არ ესწრებოდნენ, ან აგვიანებდნენ, ან „არ გააჩნდათ უფლებამოსილება“ ამა თუ იმ საკითხის გადასაწყვეტად, ან კიდევ შეუსრულებელ მოთხოვნებს აყენებდნენ[45].

რაც შეეხება პაპებს, ისინი ამ კონგრესებზე ჭეშმარიტად ტიტანურ ჯაფას ეწეოდნენ, ცდილობდნენ რა დასავლეთის პოლიტიკურ მესვეურთა გაერთიანებას.

შეიტყვეს თუ არა რომში კონსტანტინოპოლის დაცემის ამბავი, პაპმა ნიკოლოზ V-მ გამოსცა ბულა, სადაც მეპმედ II ანტიქრისტეს წინამორბედად გამოაცხადა[46]. ამავე დროს დაიწყო საღვთო ომის ქადაგება ოსმალთა წინააღმდეგ. იგი შენდობას აძლევდა ყველას, ვინც კი პირადად მიიღებდა მონაწილეობას ამ ომში. ნიკოლოზ V-მ ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში მიავლინა ლეგატები (მათ შორის საქართველოშიც). ჯვაროსნული ომისათვის თანხების შესაგროვებლად მან უბრძანა ყველა კარდინალს, შემოსავლის მეათედი შეეწირათ, მაგრამ თანხა ძალიან უმნიშვნელო შეგროვდა. ამავე დროს პაპმა ოსმალეთსა და მათ ქვეშევრდომ მხარეებში სპეციალური ლეგატები გააგზავნა, რომლებიც კონსტანტინოპოლიდან გატაცებულ უძვირფასეს ხელნაწერებს აგროვებდნენ. ამის შედეგად ვატიკანის არქივში უამრავმა ძვირფასმა დოკუმენტმა მოიყარა თავი[47]. ეს იყო ერთადერთი, რაც ნიკოლოზ V-მ მოახერხა. თუმცაღა იმ დროს ცოტანი არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, რომლებიც ბერძნების მიმართ დიდი სიძულვილისა და ზიზღის მიუხედავად თანაუგრძნობდნენ კონსტანტინოპოლის განთავისუფლების იდეას[48].

ბოსნიის დაპყრობის შემდეგ ოსმალები უშუალოდ უნგრეთს მიადგნენ. ასეთ ვითარებაში ცხადია, რომ კოალიციის მოწყობით ყველაზე მეტად უნგრეთი იქნებოდა დაინტერესებული. გარკვეული კუთხით ეს შეიძლება იმპერატორ ფრიდრიხ III-ზეც ითქვას, ვინაიდან ეს მისი ვასალური ქვეყნის ხელყოფა იყო. ასეთ ვითარებაში ფრიდრიხ III-მ გადაწყვიტა გამოეყენებინა რომის საღვთო იმპერიის კეისრის დომინირებული უფლებები ევროპაში და მის გარშემო შეეგროვებინა საღვთო ომისათვის შეკავშირებული ძალები. ამ მიზნით მან ევროპის ხელისუფალნი მოიწვია ყრილობაზე რეგენსბურგში (1454 წ. გაზაფხული).

---

[45] G. Voigt, Enea Silvio de Piccolomini als papst Pius der Zweite und sein Zeitalter, Bd. 2, Berlin, 1862. s. 109, 122, 135, 176, 185. Bd. 3, Berlin, 1863, S. S. 19, 44, 62, 69—71, 74, 76.

[46] J. W. Zinkeisen, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

[47] იქვე, გვ. 45.

[48] იქვე, გვ. 44.

აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ მიუხედავად ასეთი ინიციატივისა, თვითონ იმპერატორი ყრილობაზე არ გამოცხადდა, ვინაიდან ფეოდალური შინაშლილობის გამო ვერ გაბედა ავსტრიის მიტოვება. ელჩობის სათავეში მან დააყენა თავისი ყოფილი მდივანი. სიენის ეპისკოპოსი ენეა სილვიო დე პიკოლომინი (შემდგომში პაპი პიუს II), რომელიც, როგორც იმპერატორის წარმომადგენელი, ყრილობის სათავეში მოექცა. მოწვეული ქვეყნების წარმომადგენლები ნელ-ნელა მოდიოდნენ. ვენეციის (რომელსაც უკვე სულთანთან ხელშეკრულება ჰქონდა დადებული) ელჩებმა გზა ისე განსაზღვრეს, რომ ჯერ კიდევ ბაიერნის (ბავარია) საზღვრებამდე არ იყვნენ მიწეულნი, რომ ყრილობა დამთავრდა. პერსონალურად მას მხოლოდ ფილიპე კეთილი ესწრებოდა, ბურგუნდიის ჰერცოგმა განაცხადა, რომ მიიღებდა მონაწილეობას ლაშქრობაში, თუკი მას სათავეში იმპერატორი ან უნგრეთის მეფე ჩაუდგებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში კი მხოლოდ ჯარს გამოიყვანდა. საბოლოოდ ყრილობა უშედეგოდ დამთავრდა. ერთადერთი, რაც აქ გაკეთდა, ის იყო, რომ ხუთწლიანი ზავი დაიდო ევროპის ყველა სახელმწიფოს შორის[49].

შემდეგი ყრილობა შეიკრიბა იმავე წელს ფრანკფურტში. ფრიდრიხი არც აქ მონაწილეობდა და მის ნაცვლად გერმანიის დელეგაციას ისევ ენეა სილვიო დე პიკოლომინი მეთაურობდა. რაიმე რეალური შედეგი არც ამ ყრილობას მოჰყოლია. დელეგატებმა უნგრეთის მეფეს დაპირება მისცეს, რომ 10 000 ცხენოსნითა და 30 000 ქვეითით დაეხმარებოდნენ, თუ იგი ამდენსავე მებრძოლს გამოიყვანდა. მაგრამ ამ პირობის შესრულებას პირი არ უჩანდა და ამიტომ მოიწვიეს კიდევ ერთი, რიგით მესამე ყრილობა ვინერიშ-ნოიშტადტში (1455 წ. თებერვალი). ყრილობა დაიწყო იმით, რომ ვერაფრით შეთანხმდნენ, თუ ვინ უნდა დამჯდარიყო იმპერატორის სავარძლის მარჯვნივ. ამ აყალმაყალს უდიდესი დრო დაეთმო[50]. ყრილობის მსვლელობის დროს, 24 მარტს რომში გარდაიცვალა პაპი ნიკოლოზ V. ამ ამბავმა დიდი გავლენა იქონია ყრილობის ასევე უშედეგოდ დამთავრებაში.

ამჯერადაც დაპირებებს იქეთ საქმე არ წასულა. არაგონის მეფე ალფონსმა პირობა დადო, რომ 15 ხომალდს მოამზადებდა, მაგრამ უაღრესად ნიშანდობლივია, რომ მოახერხა თუ არა ამ ხომალდების ზღვაზე დაშვება, გენუის წინააღმდეგ დაძრა და მასთან ომს მოახმარა. ახალმა პაპმა კალიქსტ III-მ კი მხოლოდ 16 კატარღის აღჭურვა მოახერხა. რომელთაც უსარდლა აკუილეას პატრიარქი ლუდოვიკო სკარამპი, ხოლო ვენეციელებმა უარი თქვეს ფლოტის გამოყვანაზე. პაპის

---

[49] J. W. Zinkeisen, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

[50] იქვე, გვ. 56.

ესკადრა არქიპელაგში შევიდა და თურქებს საკმაო ზიანი მიაყენა, რის შედეგადაც კუნძულები თასოსი, სამოთრაკია და ლემნოსი კვლავ ქრისტიანებს დაუქვემდებარდნენ (1456 წ.), მაგრამ საერთო წარმატებაზე ლაპარაკი ჯერ ადრე იყო. კუნძულების ადგილობრივი (ბერძნული) მოსახლეობა ლათინებისადმი მტრულად იყო განწყობილი, ისინი ოსმალებს მორჩილებდნენ და დაეხმარნენ კიდევაც პაპის ლეგატების მიერ დატოვებული გარნიზონების განდევნაში[51]. პაპის ესკადრა ეგეოსის კუნძულებთან გაჩერდა, ვინაიდან მცირერიცხოვანი იყო ოსმალთა ფლოტის წინააღმდეგ.

ამრიგად, იმ დროს, როდესაც ევროპას თავად ემუქრებოდა საფრთხე თურქეთის მხრივ, რაც საბოლოოდ 1456 წ. ბელგრადთან ოსმალების გამოჩენაში აისახა, ევროპის ხელისუფალნი ვერ დაირაზმნენ, რათა ერთიანი ძალით მოეგერიებინათ საერთო მტერი. თუმცაღა საერთო მტრად თურქებს, როგორც ჩანს, ყველა არ თვლიდა და ზოგიერთი ხელისუფალი მათ საომარ ძალასა და ფლოტს თავისი მიზნებისათვის გამოსაყენებლად ცდილობდა (მხედველობაში გვყავს მეფე ლუი XI, რომლის შემდეგაც საფრანგეთის ტრადიციულ პოლიტიკად იქცა ოსმალეთთან კავშირი).

მიუხედავად ამ სამი ყრილობის აშკარა კრახისა, ევროპაში ჯვაროსნული სულისკვეთება მაინც არსებობდა და არსებობდა იგი მდაბიო ხალხში, რასაც შესანიშნავად აუღო ალღო მინორიტმა ბერმა იოანე და კაპისტრანომ, რომელმაც უდიდესი ორატორული ნიჭის წყალობით შესძლო საკმაოდ დიდი თანხისა და 70 000 მოლაშქრის შეგროვება. კაპისტრანომ ჯვაროსნები ბელგრადის დასაცავად დაძრა, მაგრამ ბელგრადისათვის ბრძოლაში, რაც უნგრელთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა, ამ არაორგანიზებულ ბრბოს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონია. უნგრელთა გამარჯვებაში უდიდესი წვლილი მათი მხედართმთავრის — ვოევოდას — იანოშ ჰუნიადის შესანიშნავ სტრატეგიულ ნიჭს მიუძღვის.

უფრო ადრე კი, 1445 წელს კალიქსტ III-მ გამოსცა ბულა, რომლითაც მომდევნო წლის 1 მარტიდან აცხადებდა ჯვაროსნულ ომს ოსმალთა წინააღმდეგ. ამას კაპისტრანოს გარდა არავინ გამოეხმაურა. მაგალითად, საფრანგეთის მეფემ თავის ქვეყანაში ამ ბულის გამოქვეყნება აკრძალა. მხოლოდ მოგვიანებით, პაპის დაჟინებითი თხოვნით მან იკისრა მეათედის გადახდა, ხოლო რაც შეეხებოდა ჯვაროსნული ომის მქადაგებლებსა და ლაშქრის შემგროვებლებს, ისინი საფრანგეთში მკაცრად იდევნებოდნენ[52]. მაგალითად, კასტილიის მეფე ჰენრიხ

---

51 W. Heyd, დასახ. ნაშრომი, გვ. 322.

52 J. W. Zinkeisen, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

IV დათანხმდა მხოლოდ მეათედის აკრეფას, ისიც იმ პირობით, რომ შეგროვილი თანხის ნახევარი მას უნდა დარჩენოდა[53]. პორტუგალიის მეფემ ალფონსო V-მ პირობა დადო გემები გამოეყვანა, მაგრამ ნახა რა, რომ სხვა მხრივ არაფერი კეთდებოდა, ისინი ნავსადგურიდან არ დაუძრავს[54].

აღნიშნავს რა ყოველივე ამას, ცინკაიზენი ყურადსაღებ დასკვნას აკეთებს: „ევროპის არც ერთი ქვეყანა არაფერს აპირებდა და თუკი კალიქსტ III თავად იღებდა დახმარებას იმ პატარა ქვეყნებიდან, რომლებმაც ბიზანტიის საკეისროს ნანგრევებზე უმნიშვნელო დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს და თავი გადაირჩინეს, იმაზე ლაპარაკობს, რომ მისი მონდომება საგრძნობლად აღემატებოდა მის პოლიტიკურ მსოფლმხედველობასა და შეგნებას"[55]. ჩვენთვის ამ განცხადებას ის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ცინკაიზენის აღიარებით კალიქსტ III აღმოსავლეთიდან დახმარებას ელოდა. ჩანს, რომ აღმოსავლეთში კავშირი არსებობდა პიუსის პაპად გახდომამდე.

საბოლოოდ, კალიქსტ III-ის ცდებს არავითარი ნაყოფი არ გამოუღია. როგორც აღვნიშნეთ, მის მოწოდებას მხოლოდ იოანე და კაპისტრანო გამოეხმაურა. 1458 წელს კი პაპი კალიქსტ III გარდაიცვალა და თავის მემკვიდრეებს დაუტოვა 16 ხომალდი და 115 000. ზოგი მონაცემებით კი 150 000 დუკატი საღვთო ომისათვის[56].

---

53 J. W. Zinkeisen, დასახ. წაშრომი, გვ. 108.

54 იქვე.

55 იქვე, გვ. 103—109; როგორც ქვემოთ ვნახავთ, ტერმინი — „სპარსეთი" საქართველოს მნიშვნელობით უნდა ვიხმაროთ.

56 იქვე, გვ. 109.

მესამე თავი

მანტუას კონგრესი

როგორც ზემოთ დავინახეთ, ოსმალეთის საკითხს იმდროინდელი ევროპის დღის წესრიგში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ეს ის საკითხი იყო, რომლის გარშემოც ყველა სახელმწიფოს ინტერესების გაერთიანება შეიძლებოდა. თუმცაღა, როგორც ვნახეთ, ასე არ მოხდა, ვინაიდან ევროპის სახელმწიფოებს უფრო სხვა მათთვის მახლობელი პრობლემები ჰქონდათ გადასაჭრელი; და თუკი ფილიპე ბურგუნდიელი იერუსალიმის მეფობაზე ოცნებობდა, იმდენად, რომ ანდერძში მისი გულის იერუსალიმში დაკრძალვა დაიბარა, შარლ VII-სა და ლუი XI-ს სხვა, უფრო რეალური სურვილები და მისწრაფებები ჰქონდათ. მაგრამ, ვიმეორებთ, ოსმალეთის საკითხი იყო ის ერთადერთი რამ, რომლის გარშემოც ევროპის სახელმწიფოთა ინტერესები ერთმანეთს არ უპირისპირდებოდნენ და ამ მხრივ თითქოსდა სასურველ ნიადაგს ქმნიდა ევროპის ქვეყნების დასარაზმავად. წინა თავში განვიხილეთ, თუ რა გაკეთდა ევროპაში ამ მიმართულებით.

აღმოსავლეთის საკითხი — res orientales — ასე ეძახდნენ იმდროინდელი დიპლომატები თურქეთის საკითხს: იქნებიან თურქები გაძევებულნი ევროპიდან თუ სულთანი დაიკავებს ადგილს ევროპის მონარქთა შორის? ვინ ითავებს ამ საკითხის გადაწყვეტას, ვინ იკისრებს ქრისტეს რჯულის მოსისხლე მტრისაგან აღმოსავლეთის დაჩაგრულ მორწმუნეთა განთავისუფლებას?[1] და თუკი ჯვარი საბოლოოდ გაიმარჯვებს ნახევარმთვარეზე, მაშინ ვინ ჩაიგდებს ხელში დაცემულ ბიზანტიასა და მის მემკვიდრეობას?

აი, დაახლოებით ასეთი პრობლემების წინაშე იდგნენ იმდროინდელი პოლიტიკოსები და რაღა გასაკვირია, რომ ამ საკითხების გადაჭრაში თავკაცობას ევროპის ორი იმპერატორი იჩენდა. ერთი იყო

---

[1] J. W. Zinkeisen, დასახ. ნაშრომი, გვ. 247.

საღვთო რომის იმპერიის იმპერატორი, რომელიც აცხადებდა რა პრეტენზიას რომის კეისრების მემკვიდრეობაზე, გარკვეული მხრით ბიზანტიის კეისართა მემკვიდრედაც ითვლებოდა. ასეთ საქმეში მისი მონაწილეობა უაღრესად პრესტიჟული იყო მისთვის, მაგრამ ფრიდრიხ III მხოლოდ ნომინალურად ღებულობდა მონაწილეობას ამ საქმეში, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოკლებული იყო რაიმე რეალურ ძალას. მეორე კი ევროპის სასულიერო იმპერატორი — რომის პაპი იყო. ჩვენ დავინახეთ უკვე, თუ რაოდენ უშედეგოდ დამთავრდა წინამორბედი პაპების ცდები შეეკავშირებინათ თავიანთი სასულიერო მრევლი და ჯვრით ხელში, ჯვრის დასაცავად და ჯვრის კუთვნილის დასაბრუნებლად გაელაშქრათ. მიუხედავად ყოველივე ამისა, კალიქსტ III-მ თავის მემკვიდრეს ხელმოსაწიდი დაუტოვა, რაც გამოიხატებოდა საკმაოდ სოლიდურ თანხასა (115 000 ან 150 000 დუკატი) და 16 ხომალდისაგან შემდგარ ფლოტში, რომელიც სადღაც არქიპელაგში ემალებოდა ოსმალებს.

აი, ასეთ ვითარებაში, 1458 წელს სამოციქულო ტახტზე ადის ახალი პაპი — ღირსშესანიშნავი პიროვნება, ჰუმანისტი, პუბლიცისტი და მწერალი, ისტორიკოსი და პოეტი — ენეა სილვიო ბარტოლომეო დე პიკოლომინი (1405—1464), პაპობაში — პიუს II. 1442 წელს, როდესაც იგი ფრიდრიხ III-ის მდივანი გახდა, პოეტების ხელმწიფედ აღიარეს. 1446 წელს მიიღო სასულიერო წოდება; 1447 წელს ჯერ ტრიესტის, ხოლო 1450 წელს სიენის ეპისკოპოსია, 1456 წ. პაპმა ნიკოლოზ V-მ მას კარდინალობა უბოძა, 1458 წელს კონკლავის მიერ არჩეულ იქნა პაპად.

პიუსის შემოქმედება მრავალმხრივი იყო. მან შთამომავლობას მრავალი საინტერესო ნაშრომი და მხატვრული ნაწარმოები დაუტოვა. მის კალამს ეკუთვნის მრავალი სონეტი, ლექსი, ოდა და სხვა სახის იმ დროს პოპულარული ნაწარმოები, ორი უაღრესად საინტერესო გეოგრაფიულ-ისტორიული ნაშრომი „ევროპა“ და „აზია“. მასვე ეკუთვნის „ბოჰემიის ისტორიაც“[2], მაგრამ პიუს II-ის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები მისი მემუარებია, ე. წ. „კომენტარები“[3], რომლებიც ურიცხვ მასალას შეიცავენ იმდროინდელი ევროპისა და კერძოდ იტალიის ისტორიისათვის.

ჯვაროსნული ომის მოწყობა ოსმალთა წინააღმდეგ მთელი მისი პონტიფიკატის ლაიტმოტივი გახდა. აკი ასე მოკვდა კიდეც, ანკონაში,

---

[2] დაწვრილებით იხ. G. Voigt, Enea Silvio de Piccolomini als Papst Pius der Zweite, Bd II, Berlin, 1862.

[3] Pius II, The Commentaries. N-Y, 1959.

სადაც ჯვაროსანთა სათავეში ვენეციის ხომალდებს უცდიდა კონსტანტინოპოლზე სალაშქროდ.

პიუსი უდიდესი ენერგიით მოეკიდა მისი წინამორბედების საქმეს და შთამომავლობაში საპატივცემულო მეტსახელი დაიმსახურა კიდეც— „ყველაზე მონდომებული ჯვაროსან პაპთა შორის“.

თავისი იდეები პაპმა კარდინალებს გაუზიარა, მაგრამ ენთუზიაზმი ვერ გამოიწვია, ვინაიდან მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დავიწყებული კალიქსტ III-ის მიერ მოწვეული საეკლესიო კრების მარცხი. მიუხედავად ამისა, ახალ პაპს უკან არ დაუხევია და სამზადისს შეუდგა ახალი ყრილობის მოსაწვევად.

როგორც ჩანს, ეს იდეა პიუსისათვის ახალი არ ყოფილა, ვინაიდან ჯერ კიდევ 1454 წელს იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს რეგენსბურგის ყრილობაზე, როგორც ფრიდრიხ III-ის დელეგაციის მეთაური. ამავე დროს, მას კარგად შეუსწავლია საერთო პოლიტიკური ვითარება, ვინაიდან იმავე წელს ერთ-ერთ თავის მეგობარს წერდა, რომ „საღვთო ომში უნგრეთთან, რუსეთთან და გერმანიასთან ერთად შეიძლება იმედი ვიქონიოთ პაპის, ვენეციის, გენუის, ტრაპიზონის კეისრისა და ქართველთა მეფისაო“[4]. კომენტარს არ საჭიროებს ის გარემოება, რომ პაპი კარგად იცნობდა პოლიტიკურ ვითარებას და ხედავდა, რომ ქართველები ოსმალთა აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლით სისხლხორცეულად იყვნენ დაინტერესებულნი. ეძებდა რა მოკავშირეებს, პიუსის ყურადღება სწორედ ისეთ ქვეყნებზე შეჩერდა, რომელნიც ასე თუ ისე მჭიდროდ უკავშირდებოდნენ ბალკანეთზე მომხდარ ცვლილებებს, რუსეთი მართლმადიდებლობის ცენტრის დაკარგვას „განიცდიდა“ და ეს მისია თავად იტვირთა (მოსკოვის მესამე რომად გამოცხადებით — ორი რომი დაეცა, მესამე დგას და მეოთხე კი არ იქნება).

გენუის და ვენეციის რესპუბლიკებმა სავაჭრო კოლონიები დაკარგეს და ამით იზარალეს, საქართველო და ტრაპიზონი კი აშკარა საფრთხის წინაშე იდგნენ, რაც მათ ფიზიკურ ყოფნა-არყოფნასთან იყო დაკავშირებული. ამიტომ ყველაზე მეტად ანტიოსმალურ კოალიციაში სწორედ ეს ქვეყნები იყვნენ დაინტერესებულნი.

ახალი ყრილობის ადგილად ქალაქი მანტუა აირჩიეს, რაც დიპლომატიური მოსაზრებებით იყო განპირობებული. ევროპელმა მონარქებმა განაცხადეს, რომ თუკი პირადად უნდა დასწრებოდნენ ყრილობას, მაშინ იგი ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქის მსგავსად საფრანგეთსა ან გერმანიაში უნდა ჩატარებულიყო. როგორც ვხედავთ, ევროპაში არაფერი შეცვლილა, უცვლელი დარჩა ევროპელთა ამბიციებიც,

---

[4] Der Briefwechsel des Eneas Silvius Piccolomini; Hrsg. R'. Wolkan, III ABT., Bd. I, Wien, 1918, s. 545, 551.

რომელთა ჭიდილი დაიწყო ჯერ კიდევ კრების ადგილის არჩევისათვის. რაღა უნდა ყოფილიყო შემდეგ?

პიუსის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ უკან მაინც არ დაუხევია. მან უარყო ევროპელი მონარქების წინადადება იმ საბაბით, რომ ცუდად იტანდა ალპებზე გადასვლას. ასევე უარყო შეხვედრის ადგილად რომის დანიშვნა, როგორც შორი ქალაქისა ევროპელი მეფემთავრებისათვის, ეს უკვე კომპრომისი იყო. პიუსს სურდა ამ კომპრომისის გზით დაეწყნარებინა ევროპელი ხელისუფალნი, რაც წინაპირობა იქნებოდა კონგრესზე რაიმე ოპტიმალური საერთო აზრის გამოტანისათვის. ამრიგად გადაწყდა, რომ ყრილობა იტალიაში ჩატარდებოდა, ისეთ ქალაქში, რომელიც შორს არ იქნებოდა ალპებიდან. პიუსმა ჯერ ქალაქი ადინა აირჩია, მაგრამ იგი ვენეციის ტერიტორიაზე იმყოფებოდა, ვენეციელებს კი ოსმალეთთან ზავი ჰქონდათ (რომლის ერთი მუხლი ითვალისწინებდა იმას, რომ ვენეციელებს უფლება არ ჰქონდათ ოსმალთა მტრებთან რაიმე კავშირის დამყარებისა) და თუკი კოალიციას ფარულად მიემხრობოდნენ, ამის გამოაშკარავება და მეჰმედ II-თან ურთიერთობის გამწვავება არ სურდათ. საბოლოო არჩევანი მანტუას სამარკგრაფოზე შეჩერდა. პაპმა ევროპის ყველა ხელისუფალს მოუწოდა პირადად დასწრებოდა ყრილობას, ხოლო საფრანგეთის მეფეს ოქროს ვარდი გაუგზავნა, რითაც „შესთავაზა“ დაემსახურებინა „უქრისტიანესის“ ტიტული, რომელსაც ფრანგი მეფეები ლუი IX წმინდის შემდეგ ატარებდნენ[5].

შარლ VII, რომელსაც ასწლიანი ომის დამთავრების შემდეგ თავის სახელმწიფოშიც საკმაოდ ბევრი საქმე ჰქონდა, პაპს შემდეგი პასუხი გასცა, რომ ვინაიდან საკითხი ძალიან სერიოზული იყო, მას დამოუკიდებლად მისი გადაწყვეტა არ შეეძლო, ამიტომ ჯერ თავისთან მოიწვევდა ყრილობას, რომლის გადაწყვეტილებასაც ელჩობის მეშვეობით შეატყობინებდა; ხოლო მანტუაში პირადად გამოცხადების შესახებ კრინტიც არ დაუძრავს[6].

იმპერატორი ფრიდრიხ III და უნგრეთის მეფე მატიაშ კორვინი ერთმანეთთან სისხლისმღვრელ ბრძოლას ეწეოდნენ უნგრეთის ტახტისათვის. პიუსმა ფრიდრიხთან ლეგატი მიავლინა — კარდინალი კარვაიალი, რომელმაც იმპერატორს პაპის დანაბარები გადასცა. მისი სიტყვა დაახლოებით ასე უნდა წარმოვიდგინოთ — უნგრეთი ამჯერად საქრისტიანოს საზღვარი იყო და ოსმალეთის შეტევა პირველ რიგში უნგრელებს უნდა მოეგერიებინათ და თუკი ასეთ ვითარებაში უნგრეთის სამხედრო ძალას გერმანელები დააკავებდნენ, ეს დიდი და-

---

[5] G. Voigt, დასახ. ნაშრომი, Bd III, Berlin, 1863, s. 3--110.

[6] J. W. Zinkeisen, დასახ. ნაშრომი, გვ. 250.

ნაშაული იქნებოდა მთელი ქრისტიანული სამყაროს წინაშე. ფრიდრიხი დათანხმდა და 1459 წლის აგვისტოში ბოჰემიის მეფის გეორგ პოდიერბატის შუამდგომლობით დაუზავდა მატიაშს, მაგრამ იმ პირობით, რომ მანტუაში ორივენი მიავლენდნენ ელჩებს, სადაც უნგრეთის საკითხიც განიხილებოდა[7]. როგორც ვხედავთ, წინდაწინვე დაიძაბა სიტუაცია. ასე რომ, პაპს მანტუაში ქადაგების გარდა მრავალი სხვა საზრუნავიც გამოუჩნდა.

პიუსმა თავისი ლეგატები თითქმის ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში მიავლინა, სადაც ისინი ჯვაროსნულ ომს ქადაგებდნენ და ფულს აგროვებდნენ. აღმოსავლეთის ქვეყნებსა და საქართველოში გაგზავნილ იქნა ლუდოვიკო ბოლონიელი, რომელსაც ევალებოდა ამ ქვეყნებიდან ელჩების წაყვანა იტალიაში. ლუდოვიკოს თავისი ამალა პირდაპირ მანტუაში უნდა ჩაეყვანა. ძნელია იმის ვარაუდი, მოახდენდა თუ არა მანტუას ყრილობაზე რაიმე ზეგავლენას ეს ელჩობა, რომ არ დაეგვიანა. ფაქტი ის გახლავთ, რომ როდესაც ლუდოვიკო პაპის წინაშე წარსდგა, მანტუას ყრილობა უკვე დამთავრებული იყო და საკმაოდ უშედეგოდ. ამის გამო ლუდოვიკოსა და ქართველ ელჩებს ევროპის მეფეებთან კარდაკარ მოგზაურობა უწევდათ. ამრიგად, პიუსი იმედოვნებდა, რომ აღმოსავლეთის კოალიციის წარმომადგენლები ყრილობის მონაწილეებზე დიდ გავლენას მოახდენდნენ; შეიძლება ეს ასეც ყოფილიყო, მაგრამ ლუდოვიკომ დაიგვიანა და პაპმაც... ხელი დაიბანა.

პიუსის ლეგატები, როგორც ვთქვით, ქრისტიან სახელმწიფოებში დაიგზავნენ და იქ პროპაგანდას ეწეოდნენ. ყველა, ვინც ამ საქმისათვის სამ ოქროს გულდენს გაიღებდა, შენდობას მიიღებდა, მაგრამ ენთუზიასტები ცოტანი აღმოჩნდნენ. აღარ იყო ცოცხალთა შორის იოანე და კაპისტრანო, რომელსაც მორწმუნეთა გულებსა და საფულეებზე ესოდენ დიდი გავლენა ჰქონდა. მოკლედ რომ ვთქვათ, პაპის ხაზინაში ფული საკმაოდ ძუნწად იყრიდა თავს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ კონგრესის გახსნის წინა დღეს პიუსმა თავის ლეგატს უნგრეთში უბრძანა მატიაშისათვის განკუთვნილი სუბსიდია — 20 000 დუკატი არ გაეღო, იმ მიზეზით, რომ პაპისათვის ცნობილი გახდა, თითქოს ამჯერად მეჰმედ II უნგრეთის კი არა, საბერძნეთის წინააღმდეგ აპირებდა გალაშქრებას[8].

ვენეციის რესპუბლიკა დილემის წინაშე აღმოჩნდა, გაეგზავნა თუ არა წარმომადგენლები მანტუაში?! ეს საკითხი ვენეციელებს იმ დღიდან აწუხებდათ, რა დღიდანაც ყრილობის მოწვევის ადგილად ქალაქ ადინას კანდიდატურა უარყვეს. საბოლოოდ, როცა მათთვის ცნობი-

---

[7] J. W. Zinkeisen, დასახ. ნაშრომი, გვ. 251.

[8] იქვე, გვ. 253.

ლი გახდა, რომ საფრანგეთის მეფე ელჩობას გზავნიდა, რომ მილანის ჰერცოგი თავად აპირებდა მონაწილეობის მიღებას და იტალიის არც ერთი სახელმწიფო არ გამოაკლდებოდა ყრილობას, გადაწყვიტეს დესპანები გაეგზავნათ. ამ მიზნით მათ ორი წარმოსადეგი და განათლებული მოქალაქე შეარჩიეს. ესენი იყვნენ სან-მარკოს პროკურატორი ორზატო ჯუსტინიანი და სამართლის დოქტორი ლუიჯი ფოსკარინი. რადგან მონაწილეობის მიღება გადაწყვიტეს, სენატმა დაადგინა, რომ სან-მარკოს რესპუბლიკა ყველაზე უფრო ბრწყინვალედ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი მანტუაში. ამიტომ ელჩებს აახლეს ურიცხვი კეთილშობილი ახალგაზრდისაგან შემდგარი ამალა და 500 მხედარი მცველებად[9].

პაპმა რომი 1459 წლის გაზაფხულზე დატოვა და მანტუასაკენ აიღო გეზი. გზად მან გაიარა პერუჯა, სიენა, ფლორენცია, ფერარა. სიენაში მას დიდი ზარ-ზეიმით დახვდნენ. ეს მისი მშობლიური ქალაქი და ყოფილი საეპისკოპოსო იყო. ხალხში ხმა გავრცელდა, პაპი წმ. პეტრეს ტახტის გადმოტანას აპირებსო სიენაში.

ფლორენციაში პიუსს იმპერატორის ელჩები მიეგებნენ და სამოციქულო ტახტი მიულოცეს. აქვე შეიტყვეს, რომ პაპს დიდი პატივით მიუღია „უზურპატორ" მატიაშ კორვინის ელჩები და თვით მატიაში კი უნგრეთის მეფედ უღიარებია.

საქმე ის გახლავთ, რომ მატიაში იანოშ ჰუნიადის ვაჟი იყო. ადრე უნგრეთის ტახტზე ფრიდრიხის ნათესავი — მეფე ლადისლავი იჯდა. მისი სიკვდილის შემდეგ აზნაურებმა მეფედ მატიაში დასვეს. ფრიდრიხი კი აცხადებდა პრეტენზიას უნგრეთზე, როგორც მისთვის ნათესაობით კუთვნილ მამულზე. ამრიგად, სიტუაცია საკმაოდ ჩახლართული იყო.

სიენაში პაპთან მილოცვებით ჩამოვიდნენ ევროპის თითქმის ყველა ხელისუფლების წარმომადგენლები; მათ თურქებთან საომრად მზადებისათვის სურვილი გამოსთქვეს. ბურგუნდიის ჰერცოგის — ფილიპე კეთილის დესპანი იყო არასის ეპისკოპოსი ჟან ჟოფრუა, რომელმაც ჰერცოგის სახელით მზადყოფნა გამოთქვა. ფილიპე კეთილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ. სამეფო გვირგვინზე ოცნებობდა, რასაც ჯიუტი იმპერატორი ძვირად უფასებდა. ფრიდრიხის ამ პოზიციას კი ყოველმხრივ უწყობდა ხელს საფრანგეთის მეფე შარლ VII. კაიზერის გარდა გვირგვინის დადგმა პაპსაც შეეძლო. ჰერცოგმა ელჩების პირით პირობა დადო, რომ პირადად დაესწრებოდა კონგრესს, მაგრამ, როგორც ჩანს, საფრანგეთის მეფეს საკმაოდ ენერგიული ზომები მიუ-

---

[9] J. W. Zinkeisen, დასახ. ნაშრომი, გვ. 253.

ღია, რადგანაც ჯერ კიდევ ჟოფრუას სინეაში ყოფნის დროს ცნობილი გახდა, რომ რაღაც გართულებების გამო ფილიპე კეთილი მანტუაში პირადად ვერ ჩავიდოდა.

1459 წლის 27 მაისს, ხალხის აღტაცებული შეძახილებით პიუს II მანტუაში შევიდა; 1 ივნისს კი დაიწყო სხდომები. თავიდან კონგრესს ბევრი ქვეყის წარმომადგენელი აკლდა. აქ არ იყვნენ არც ისინი, ვისაც ოსმალები უშუალო საფრთხეს უქმნიდნენ: უნგრეთი და ვენეცია. არ იყვნენ არც გერმანიის, საფრანგეთისა და ბურგუნდიის წარმომადგენლები.

პირველნი, ვინც მანტუაში პაპის წინაშე წარსდგნენ, მორეელი პალეოლოგების დესპანები იყვნენ. პელოპონესის ბერძნული სახელმწიფოს დესპოტმა თომამ პაპს საჩუქრად 16 ტყვე თურქი გამოუგზავნა და უმნიშვნელო დახმარება სთხოვა, რადგანაც მისი თქმით, ეს საკმარისი იქნებოდა თურქების დასაშინებლად[10].

აქვე გვინდა მოვიყვანოთ ერთი საინტერესო ეპიზოდი, რომელიც დამახასიათებელია ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქისათვის. იგი საკმაოდ ხატოვნად მეტყველებს იმაზე, თუ რა შემთხვევითი და ავანტიურისტი პირები ხვდებოდნენ ძელიცხოველის დამცველთა და მებრძოლთა რიგებში.

ჯერ კიდევ რომში ყოფნისას, მანტუაში გამგზავრების წინ პაპთან მოსულა ვინმე ჟერარი, ეროვნებით ფრანგი. იგი ითხოვდა ნებართვას, შეექმნა ჯვაროსნული ლაშქარი და მისთვის იესოს საზოგადოება დაერქმია. ასეთივე ცდას მიმართა მან კალიქსტ III-ის დროსაც, მაგრამ ვინაიდან ფულიც ითხოვა, მაშინ უარი უთხრეს. ამჯერად პიუსსაც სურდა ანალოგიურად მოქცეულიყო, მაგრამ კარდინალი ბესარიონი, რომელმაც ამ პიროვნებაში ახალი პეტრე დაინახა, წინ აღუდგა ამას. საბოლოოდ პაპი დათანხმდა, იმ პირობით, რომ თითოეულ მოლაშქრეს საკუთარი სახსრებით ეომა, ერთი წელი მაინც. სამწუხაროდ არ ვიცით, როგორ დამთავრდა ყოველივე; მოგვიანებით კი ცნობილი გახდა, რომ თურმე ეს ჟერარი გაიძვერა ყოფილა. ამას გარდა, ადრე თურმე ბოლონიაში საროსკიპოს მეპატრონეც იყო[11].

საბოლოოდ კარდინალ ბესარიონის თხოვნით მაინც დაირაზმა 300 მხედარი პელოპონესში სალაშქროდ. მათ შორის 100 მხედარი გამოჰყო მილანის ჰერცოგის — ფრანჩესკო სფორცას მეუღლემ ბიანკამ. ეს რაზმი ვინმე ზანონი კრემონელის მეთაურობით მორეაში ჩავიდა, სადაც აქტიური მონაწილეობა მიიღო ქ. მონენბაზიის ან როგორც შემ-

---

[10] Pius II, The Comentaries, N-Y, 1959, p. 121; G. Voigt, დასახ. ნაშრომი, Bd. III, 1863, s. 40—56.

[11] G. Voigt, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

ღეგ დაერქვა, ნაპოლი დი მალვაზიის დაცვაში. მოგვიანებით კი მათივე გავლენით ეს ქალაქი პაპის ვასალი გახდა[12].

ივლისის ბოლოს მანტუაში უნგრეთის ელჩები გამოცხადდნენ, მაგრამ ვინაიდან იმპერატორის წარმომადგენლები ჯერ არ ჩანდნენ, პაპი მათთვის ჩვეული პატივის მიზღვას მოერიდა.

მალე იტალიური პოლიტიკის მთავარი პრობლემაც გამომჟღავნდა. ნეაპოლის მეფე ფერდინანდმა პაპს, როგორც სიუზერენს, ინვესტიტურა და მეფედ კურთხევა სთხოვა. ორივე სიცილიის სამეფო პაპის პირდაპირი ვასალი იყო. იქ ტრადიციულად ანჟუს დინასტია მეფობდა, მაგრამ ნეაპოლმა თავი გაინთავისუფლა. პაპების ტრადიციული პოლიტიკა ანჟუს სახლის მფარველობა იყო. ნეაპოლში კი იმჟამად არაგონელთა ესპანური დინასტია მეფობდა. ალფონსო არაგონელის სიკვდილის შემდეგ ნეაპოლში არეულობა დაიწყო. კალიქსტ III-ემ ალფონსოს ძმის — ხუან არაგონისა და ნავარის მეფის შვილის — დონ კარლოსის კანდიდატურა წამოაყენა, კარდინალები კი მეფედ პედრო ლუის დე ბორჯიას ასახელებდნენ. კალიქსტ III-ის სიკვდილის შემდეგ პრეტენზია ანჟუელებმაც გამოაცხადეს. ტახტზე კი ალფონსოს ვაჟი ფერდინანდი ავიდა და სწორედ მას აღუთქვა პიუს II-მ ინვესტიტურა, რითაც საფრანგეთის უკმაყოფილება გამოიწვია. მანტუაში საფრანგეთის აშკარა ოპოზიცია საკმაოდ კარგად იგრძნობოდა. ელჩები არ ჩანდნენ, რითაც პაპი ფრიად შეშფოთებული იყო. გ. ფოიგტი აღნიშნავს, რომ ნეაპოლის საკითხთან დაკავშირებით პაპმა საფრანგეთის სახით აშკარა მტერი შეიძინა, რომელსაც არ სურდა განსხვავების დანახვა იტალიურ პოლიტიკასა და სარწმუნოების საკითხს შორის.

მანტუაში ჩამოვიდნენ აგრეთვე ელჩები კვიპროსიდან, როდოსიდან, ლესბოსიდან და ილირიის სანაპიროდან. ბოლოს გამოჩნდა ფილიპე ბურგუნდიელის ელჩობაც. თავად ფილიპე კეთილი არ გამოცხადდა, საფრანგეთთან ურთიერთობის გამწვავება მოიმიზეზა[13], ბურგუნდიის წარმომადგენლებს სათავეში კლევის ჰერცოგი ედგათ. ორატორი კი არასის ეპისკოპოსი ჟან ჟოფრუა იყო. პაპმა ისინი უდიდესი პატივისცემით მიიღო და შეიქმნა აზრი, რომ ფილიპე კეთილი გვირგვინს მალე ეღირსებოდა[14].

---

12 G. Voigt, დასახ. ნაშრომი, გვ. 57—58.

13 შარლ VII-ს აუჯანყდა შვილი ლუი და გაიქცა ბურგუნდიაში. ფილიპემ იგი შეიფარა. ამ ნიადაგზე ურთიერთობა საფრანგეთსა და ბურგუნდიას შორის უფრო გამწვავდა. იხ. Pius, II, The Commentaries, p. 125

14 G. Voigt, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.

პაპი გაოგნებული დარჩა, როდესაც ბურგუნდიის ელჩებმა გამოაცხადეს, რომ კოალიციაში მონაწილეობის შესახებ უფლებამოსილება არ გააჩნდათ. მათი მისია მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ პაპისათვის მოესმინათ და ყოველივე თავიანთი ბატონისათვის მოეხსენებინათ. აშკარად ჩანდა, რომ ჰერცოგი ფრხილობდა და საფრანგეთთან ისედაც გართულებული ურთიერთობების უფრო მეტად გამწვავებას ერიდებოდა.

პიუსმა ჰერცოგს ვრცელი წერილი მისწერა, სადაც აფიცებდა მამის სახელს, რომელმაც ძლივს დააღწია თავი ოსმალთა ტყვეობას; გაახსენა ფიცი, რომელიც ფილიპე კეთილმა დადო კონსტანტინოპოლის დაცემისას (როგორც ჩანს, ე. წ. „ხოხობის ფიცზეა" ლაპარაკი). ამაზე ჰერცოგმა უპასუხა, რომ მზად იქნებოდა საბრძოლველად, იმ შემთხვევაში, თუ ევროპის რომელიმე მონარქი ხელმძღვანელობას იკისრებდა. ამჯერად კი წინადადებას იძლეოდა მისი სახსრებით უნგრეთში დამქირავებლები გაეგზავნათ[15]. ბურგუნდიელთა ელჩობის ნაწილი მანტუაში დარჩა, ორნი კი ფრიდრიხ III-ის კარზე გაემგზავრნენ თავიანთი ბატონისათვის სამეფო გვირგვინის მოსაპოვებლად[16].

რამდენიმე დღის შემდეგ მანტუას ეწვია მილანის ჰერცოგი ფრანჩესკო სფორცა, რის შემდეგაც ჩამოვიდა იტალიის ყველა სახელმწიფოს ელჩი. აქ იყო წარმოდგენილი პოლონეთის მეფეც, რომლის ელჩი იყო ვინმე იაკობ სიენენსკი.

მართალია, კონგრესი 1 ივნისიდან მუშაობდა, მაგრამ გახსნის საზეიმო ცერემონიალი ჩატარდა მაშინ, როდესაც ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელი შეიკრიბა. ეს მოხდა სექტემბერში[17].

სხდომა საკათედრო ტაძარში დაიწყო, და დაიწყო ჩხუბით. ვენეციელებს სურდათ სავოიელებზე წინ მსხდარიყვნენ; საქმე იქამდე მივიდა, რომ ორზატო ჯუსტინიანიმ მახვილზე გაიკრა ხელი, მაგრამ მოჩხუბრები პაპის ჩარევამ ჩააწყნარა.

ყრილობა გახსნა პიუს II-მ. სამი საათის განმავლობაში არ იშურებდა იგი ენერგიასა და მჭერმეტყველებას, რათა დამსწრეთა გონებაზე ზეგავლენა მოეხდინა და აენთო მათი გულები საბრძოლო სულისკვეთებით.. თურქებს, მისი აზრით, მხოლოდ 200 000 კაცის გამო-

---

15 G. Voigt, დასახ. ნაშრომი, გვ. 70—74; Pius II, The Commentaries, p. 128. ამას გარდა, კლეევის ჰერცოგმა პირობა დადო თურქების დასაშინებლად უნგრეთში 2 000 კაცი გაეგზავნა.

16 Pius II, The Commentaries, p. 128; G. Voigt, დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

17 ფოიგტი 26 სექტემბერს ასახელებს. იხ. G. Voigt, დასახ. ნაშრომი, გვ. 76—78. ცინკაიზენი თვლის, რომ ეს 9 სექტემბერს მოხდა. იხ. J. W. Zinkeisen, დასახ. ნაშრომი, გვ. 258.

ყვანა შეეძლოთ, ისიც ვისი? „მხდალი ბერძნებისა და არაორგანიზებული აზიატებისა“. სულთნის ლაშქარში ნამდვილ საომარ ძალას მხოლოდ 40 000 იანიჩარი წარმოადგენდა და ესენიც ხომ დაკარგული სულები — ქრისტიანთა შვილები იყვნენ, რომლებიც ქრისტიანული ლაშქრის დანახვაზე დაფრთხებოდნენ და ღმერთის შურისგების შიშით იარაღს ვეღარ აღმართავდნენ[18]. პიუსმა თავისი გამოსვლა დაასრულა ხატოვანი მოწოდებით ყველა ევროპელი ხელისუფალის მიმართ, ღმერთათ იარაღი წმინდა სარწმუნოების დასაცავად.

პაპის შემდეგ წმინდა კოლეგიის სახელით სიტყვით გამოვიდა კარდინალი ბესარიონი და დაადასტურა, რომ კონკლავი პაპს ემხრობოდა ყველა მუხლში. მასვე დაეთანხმნენ სხვა ელჩებიც.

ბოლოს წამოდგნენ უნგრელები და ყრილობას იმპერატორზე ვრცელი საჩივრით მიმართეს. იმ დროს, როდესაც უნგრეთს ეკისრებოდა მისია ოსმალთაგან პირველი დარტყმა მიეღო, ფრიდრიხი მათ ყოველმხრივ ზღუდავდა. ამ განცხადების შემდეგ დარბაზში ისევ ჩხუბი ატყდა. პაპი იძულებული იყო კვლავ ჩარეულიყო. მან განაცხადა, რომ აქ იმისათვის არ შეკრებილან, რათა მართალი და მტყუანი გაერჩიათ; უნგრელებს დახმარება ესაჭიროებოდათ და ისინი მიიღებდნენ ამას, რომ იმპერატორიცა და უნგრეთის მეფეც საკმაოდ კარგი ქრისტიანები არიან და ამ განსაცდელის ჟამს უეჭველად გაუწვდიან ერთმანეთს სამშვიდობო ხელს[19].

პირველი დღის სხდომა ამით დამთავრდა. ყველანი დაიშალნენ იმ აზრით, რომ ომი თურქებთან უეჭველად უნდა დაეწყოთ. შემდეგი სხდომები მიეძღვნა იმის გარკვევას, თუ სად, როდის და რანაირად უნდა ეომათ თურქების წინააღმდეგ. განხილვას პირადად ესწრებოდნენ: მანტუას მარკგრაფი — ლუიჯი გონზაგა, მილანის ჰერცოგი — ფრანჩესკო სფორცა, მონტფერატის მარკგრაფი — ვილჰელმი და სიჯიზმონდო მალატესტა — რიმინის ბატონი და ცნობილი კონდოტიერი.

სხდომა ისევ პიუსმა გახსნა. ამჯერად იგი რამდენიმე კითხვას სვამდა: — სად უნდა ეწარმოებინათ ომი, ხმელეთსა თუ ზღვაზე, თუ ორივეგან ერთდროულად? — რამდენი ხომალდი და მოლაშქრე დასჭირდებოდა ამას? — რომელი ქვეყნებიდან უნდა გაეყვანათ ეს ძალა? — რანაირად უნდა დახმარებოდნენ უნგრეთს, ფულით თუ ჯარით?

პირველმა აზრი გამოთქვა ფრანჩესკო სფორცამ. მისი აზრით, ომი ერთდროულად ხმელეთსა და ზღვაზე უნდა ეწარმოებინათ. ძა-

---

[18] J. W. Zinkeisen, დასახ. ნაშრომი, გვ. 259.

[19] Pius II, დასახ. ნაშრომი, გვ. 137—138.

ლები უნდა განესაზღვრათ მტრის ძალის ოდენობის მიხედვით. მოლაშქრეები იმ ქვეყნებიდან უნდა წამოეყვანათ, რომლებიც უშუალოდ მეზობლობდნენ ოსმალეთს, ვინაიდან ამ ხალხისათვის ოსმალთა საბრძოლო მანერა უკვე ცნობილი იყო. იტალიიდან და სხვა მოშორებული ქვეყნებიდან კი უნგრეთში მხოლოდ ფული უნდა გაეგზავნათ. სფორცა არც ერთ შემთხვევაში არ თვლიდა მიზანშეწონილად უნგრეთში ევროპელთა ჯარის გაგზავნას: ისინი ამ ხალხს არ იცნობდნენ და ამას შეიძლება დიდი უსიამოვნება მოჰყვესო[20].

ჰერცოგის ეს სიტყვა ყველას მოეწონა: გადაწყდა, რომ ომი ხმელეთსა და ზღვაზე ერთდროულად ეწარმოებინათ. ზღვაზე ფლოტი უნდა შემდგარიყო 40 გალერისა და 8 ბარკისაგან, რასაც თურქები აზიური სანაპიროსათვის უნდა მოეწყვიტა. ვენეციელები პირობას დებდნენ, რომ გამოიყვანდნენ 60 გალერას. სამაგიეროდ ზღვაზე მოპოვებული მთელი ნადავლის მიღებას თხოულობდნენ. გარდა ამისა, მათი წინადადებით უნგრეთიდან უნდა დაძრულიყო 50 000 მხედარი და 20 000 ქვეითი, რომელთა დაფინანსება სხვა ქვეყნებს უნდა ეკისრათ[21].

სიჯიზმონდო მალატესტამ სფორცას წინადადებაში ერთი კორექტივი შეიტანა: ვინაიდან თურქების უშუალო მეზობლები — უნგრელები, ვლახელები, სერბიელები, ბულგარელები, ალბანელები და სხვ. დასუსტებულნი იყვნენ და ბრძოლისუნარიან არმიას ვერ წარმოადგენდნენ, ამიტომ ჯარი უნდა გამოეყვანა იტალიას. როგორც პროფესიულმა კონდოტიერმა, მალატესტამ ამით, რა თქმა უნდა. წყალი საკუთარ წისქვილს დაასხა. მისი ლოზუნგი იყო — იტალია გასწევს ომს, სხვები კი ხარჯებს.

ამ მოსაზრების წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა პიუსმა და მართლაც, თუკი იტალიელები თანხებს არ გაიღებდნენ, სხვა ვის შესწევდა უნარი ამოდენა ხარჯები ეკისრა. არც ერთ სახელმწიფოს არ შეეძლო იმხელა თანხის გაღება.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ საერთო გადაწყვეტილება ომის დაწყების თაობაზე მიღებული იყო, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ეწარმოებინათ ბრძოლა, ერთიანი აზრი არ არსებობდა.

ამას დაერთო ერთი უსიამოვნო ამბავიც: ოქტომბრის მიწურულს მანტუაში შეიტყვეს, რომ ჰერცოგმა ჟან დე ანჟუმ მარსელში ფლოტი ააგო, რომელიც ნეაპოლის წინააღმდეგ დაძრა. ასე დაიწყო ეს ომი, რომელმაც „საღვთო საქმეს“ დიდი ზიანი მიაყენა. პიუსმა გადა-

---

[20] J. W. Zinkeisen, დასახ. ნაშრომი, გვ. 262.
[21] G. Voigt, დასახ. ნაშრომი, გვ. 76—78.

წყვიტა ჩარეულიყო, მაგრამ არა როგორც პაპის, არამედ იტალიელი სიუზერენის პოზიციიდან[22].

1459 წლის 16 ნოემბერს მანტუაში საფრანგეთის წარგზავნილებიც გამოჩნდნენ. დეკემბერში კი ფრიდრიხ III-ის ელჩები ჩამოვიდნენ, რათა, როგორც პიუსი ამბობდა, დასწრებოდნენ იმ სპექტაკლს, რომელსაც მას ფრანგები უმზადებდნენ[23].

ნეაპოლის საკითხთან დაკავშირებით კონგრესზე დიდი ბრძოლა წარიმართა. პაპი სიტყვით გამოვიდა. ნეაპოლის საკითხზე ლაპარაკობდა, როგორც სიუზერენი, ხოლო პრაგმატულ სანქციას კი პაპის პოზიციებიდან მიუდგა. მან განაცხადა, რომ თუკი ეკლესია გაითიშებოდა, იგი დაემსგავსებოდა მრავალთავიან ურჩხულს — ჰიდრას და კათოლიკეთა ერთობას საბოლოო აღსასრული დაუდგებოდა[24].

იმ დროს, როდესაც პაპი მაღალი კათედრიდან ჯვრისა და მახვილის აღმართვას ქადაგებდა, აპულიაში გამწვავდა დინასტიური ბრძოლა და საეკლესიო დიდგვაროვნების ნაწილი ანჟუს სახლს დაუკავშირდა.

საფრანგეთის ელჩებმა განაცხადეს, რომ თურქეთთან ომზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნებოდა, სანამ საფრანგეთი საბოლოოდ არ დაუზავდებოდა ინგლისს. პაპმა მათ იმედი მისცა, რომ ინგლისელებს ზავზე დაიყოლიებდა. ამიტომ ყველა მოუთმენლად ელოდა ნისლიანი ალბიონის წარმომადგენლებს.

ინგლისის მეფე ჰენრი VI (1422—1461) სუსტი პიროვნება იყო, რომელიც მთლიანად ცოლის ფავორიტების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამასთან ფსიქიკურად დაავადებულიც იყო. მან ელჩობას სათავეში გრაფი უორჩესტერი ჩაუყენა, მაგრამ ეს უკანასკნელი არ დაემორჩილა თავისი მონარქის გადაწყვეტილებას. ასე რომ, პაპის წინაშე მხოლოდ მაგისტროსები და მღვდლები წარსდგნენ. ამის შედეგად ელჩობა გაუფასურდა.

საბოლოოდ ფრანგმა ელჩებმა პირობა დადეს უნგრეთისათვის საეკლესიო ბენეფიციების მეათედი გაეგზავნათ. ბურგუნდიის ჰერცოგმა კი 6 000 კაცის გამოყვანა იკისრა, მაგრამ არც ერთს პირობა არ შეუსრულებია.

ფოიგტი ამბობს, რომ ფილიპე კეთილი განაწყენებულა პაპზე, ვინაიდან ამ უკანასკნელმა ოფიციალურ დოკუმენტებში იგი საფრანგეთის ვასალად მოიხსენია[25].

---

22 G. Voigt, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.
23 იქვე, გვ. 81.
24 იქვე, გვ. 88.
25 იქვე, გვ. 90—100.

ყოველივე ზემოთქმულის გარდა აღსანიშნავია, რომ მანტუას კონგრესზე მიღებულ იქნა დეკრეტი, რომლითაც პაპმა ევროპის ყველა სახელმწიფოს ჯვაროსნული ლაშქრობის სასარგებლოდ გადასახადი დააკისრა. იგი ითვალისწინებდა შემდეგს: კლიროსს შემოსავლის მეათედი უნდა გადაეხადა, იუდეველებს მეოცედი, ერისკაცებს კი ოცდამეათედი. პიუსს ასევე სურდა დაეკისრებინა მეათედი გერმანიისათვის, მაგრამ ფრიდრიხი შეუვალი დარჩა.

1460 წლის 14 იანვარს გამოქვეყნდა პაპის ბულა, რომლის ძალითაც იგი ომს უცხადებდა ოსმალეთს[26].

ამის თაობაზე გ. ფოიგტი საინტერესო შენიშვნას აკეთებს: „თუკი პაპს ეგონა, რომ გერმანელები 40 000 კაცს გამოიყვანდნენ, ბურგუნდიელები 6 000, უნგრელები 12 000 ცხენოსანსა და ამდენივე ქვეითს, თვით პაპიც აგრეთვე 12 000, ხოლო დანიის, ინგლისისა და შოტლანდიის მეფეებს შერცხვებოდათ და მონაწილეობას მიიღებდნენ, მისი ფანტაზია 100 000-იან ლაშქარს აგროვებდა, თუ არ ჩავთვლით ჯვაროსანთა ბრბოს“[27].

ამრიგად, თვით ფოიგტი იმ აზრს იზიარებს, რომ იმ დროს ევროპის დარაზმვა არა მარტო შეუძლებელი, არამედ ამდაგვარი რაიმეს იმედიც წმინდა წყლის ფანტაზია იყო. ჩვენთვის ამას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ფოიგტი იმ ისტორიკოსთა კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც ლუდოვიკო ბოლონიელის ელჩობას ფალსიფიცირებულად თვლიან.

მანტუაში 1460 წ. 19 იანვარს დიდი ნადიმი გაიმართა; ყველამ დიდი სიამოვნებით მიირთვა მილანის ჰერცოგის მიერ პაპისადმი ძღვნად ბოძებული ხარები. იმავე დღეს გაიმართა საზეიმო ღვთისმსახურება, სადაც პიუსმა კონგრესი დახურულად გამოაცხადა. 20 იანვარს კი მან ქალაქი დატოვა და რომისაკენ გაემართა[28].

ამრიგად, როგორც დავინახეთ, მანტუას კონგრესს ფაქტობრივად შედეგი არ გამოუღია. პაპმა მხოლოდ დაპირებები მიიღო, რომელთა შესრულებასაც არავინ ჩქარობდა. იმის მაგივრად, რომ დასავლეთ ევროპის პოლიტიკური მესვეურები ერთიან ძალად გაერთიანებულიყვნენ, კრებაზე გამოაშკარავდა ის ძირითადი წინააღმდეგობები, რომლებიც იმდროინდელი ევროპის დღის წესრიგში იდგა.

მიუხედავად ამ აშკარა მარცხისა პიუსს ფარ-ხმალი არ დაუყრია და მთელი თავისი ძალები საღვთო ომისკენ წარმართა. მაგრამ ამისათვის უპირველესად საჭირო იყო მატერიალური სახსრები, რაც

---

26 G. Voigt, დასახ. ნაშრომი, გვ. 104—105.

27 იქვე, გვ. 107.

28 J. W. Zinkeisen, დასახ. ნაშრომი, გვ. 267; Pius II, The Commentaries, p. 144—145.

პაპს არ გააჩნდა. კალიქსტ III-ის მიერ დატოვებული თანხები მან უნგრეთს გაუგზავნა[29]. პიუსმა სწორედ ფინანსური დანაკლისის ამოსავსებად შემოიღო დეკრეტი გადასახადების შესახებ, მაგრამ აქაც ფიასკო განიცადა: მოდენის ჰერცოგმა ბორზომ, ეკლესიის ვასალმა, რომელმაც პირველმა მოაწერა ხელი ამ დეკრეტს, უარი თქვა მისი პირობების შესრულებაზე, სანამ სიცილია, მილანი და ფლორენცია მაგალითს არ უჩვენებდნენ. ამაზე პაპი მას ეკლესიიდან განკვეთით დაემუქრა და ცხრადღიანი ვადა დაუდო, მაგრამ ვერაფერს გახდა.

ფლორენციაში ჩასვლისთანავე პაპმა დეკრეტის სანქცია მოითხოვა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჯერ უნდა მომხდარიყო მისი რატიფიცირება სახელმწიფო საბჭოზე. საბჭომ კი სახალხო გადასახადების გადიდებაზე უარი თქვა, თუმცაღა პაპს იმედი მისცა, რომ სამღვდელოების შემოსავლის მეათედს გადაუხდიდა, მაგრამ არც ეს პირობა იქნა შესრულებული[30].

ანალოგიური მარცხი განიცადა პიუსმა ვენეციაშიც, ვინაიდან მშვიდობისმოყვარე დოჟი — პასკუალე მალიპიერო თურქებთან ზავს ამჯობინებდა.

დეკრეტი მხოლოდ ბოლონიაში გამოქვეყნდა, ისიც ცენზურის მკაცრი კონტროლის ქვეშ. ამ დეკრეტის თანახმად იმ პირებს, რომლებიც გადასახადს არ გადაიხდიდნენ, უარს ეუბნებოდნენ აღსარებასა და ზიარებაზე. ამან აღაგზნო მოქალაქეთა იუმორის გრძნობა და ვისაც გადახდა არ სურდა, აღსარებასა და ზიარებაზე თვითონ აცხადებდა უარს[31].

ლუდვიგ პასტორი ამის თაობაზე აღნიშნავს: „მემატიანე, რომელიც ამ ფაქტს გადმოგვცემს, შენიშვნის სახით დასძენს, რომ ფული, რომელსაც პაპი თურქებთან ომის საბაბით აგროვებდა, სრულებით არ იყო ამისათვის განკუთვნილი, რომ ეს იყო წმინდა წყლის ავანტიურა და რომ ბოლონია იყო ერთადერთი ქალაქი, სადაც ამ ცდამ ნაყოფი გამოიღო. თუმცაღა სრულიად საწინააღმდეგოს ვკითხულობთ სხვა ნაშრომში: „ბოლონიაში შეგროვილ იქნა მნიშვნელოვანი თანხა სარწმუნოების დასაცავად“. აქედან ჩანს, რომ მთელი მოსახლეობა არ იზიარებდა პირველი ქრონისტის ანტირომაულ განწყობილებას: უმართებულო იქნებოდა გვეფიქრა აგრეთვე, რომ დეკრეტით გათვალისწინებული გადასახადები სხვაგან არსად მოუთხოვიათ“[32]. იმ ქვეყნებში,

---

29 G. Voigt, დასახ. ნაშრომი, გვ. 641.

30 L. Pastor, Histoire des Papes depuis la fin du Moyen Age, Paris, 1888, p. 230.

31 L. Pastor, დასახ. ნაშრომი, გვ. 231.

32 იქვე.

სადაც ოპოზიცია სუსტი იყო, პაპის გადაწყვეტილება გამოცხადდა და გამოჩნდნენ გადასახადების ამკრეფნი: ნორვეგიაში, შვედეთში. ლიტვაში, გერმანიისა და იტალიის სხვადასხვა სახელმწიფოებში, ინგლისში, შოტლანდიაში, ირლანდიაში, კასტილიის, ლეონისა და არაგონის სამეფოებში.

პაპის ლეგატების ამ მიმოსვლის ერთადერთი პოზიტიური შედეგი იყო ის, რომ კარდინალების — კარვაიალისა და ბესარიონის ბეჯითი მეცადინეობით 1463 წ. საბოლოოდ დაზავდნენ ფრიდრიხ III და მატიაშ კორვინი, მატიაში ცნეს უნგრეთის მეფედ, რაც ამ უკანასკნელს 80 000 დუკატადა და რიგ ტერიტორიულ დათმობებად დაუჯდა.

აშკარაა პიუს II-ის დიდი ღვაწლი დასავლეთ ევროპის ანტიოსმალურ კოალიციაში გაერთიანების მცდელობის საქმეში. არავინ უარჰყოფს მის დიდ მონდომებასა და ჯაფას. მაგრამ არავითარ ლოგიკას არ ექვემდებარება მის მიერ აღმოსავლეთ საქრისტიანოს, კერძოდ ბიზანტიის ძველი ტერიტორიების მის სასულიერო სამფლობელოსთან შესაერთებლად გადადგმული საოცარი, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ფანტასტიური ნაბიჯი; ანდა რისი იმედი ჰქონდა, როდესაც მიჰმედ II-ს ოფიციალური წერილი მისწერა, სადაც გაქრისტიანებისაკენ მოუხმობდა. ეს პიუსის ყოვლად უძლურებას მოწმობს და მისი უკანასკნელი შანსი იყო. იგი ჩაეჭიდა ამ აზრს ისე, როგორც წყალწაღებული ხავსს ეჭიდება ხოლმე...

პაპის ეს წერილი უფრო ვრცელ ტრაქტატს წააგავს რელიგიათა სხვაობის შესახებ, ვიდრე დიპლომატიურ დოკუმენტს. აზრი. რომელიც პიუსმა ამ წერილში ჩააქსოვა. ემყარებოდა იმ მოსაზრებას, რომ ყურანი ქრისტიანობის საბოლოო დამარცხებას არ გულისხმობს. ამავე დროს ვინმე მეცნიერ-ღვთისმეტყველს პონტიფს დაუდგენია პარალელები სახარებისა და ყურანის დოქტრინებს შორის, რასაც ეყრდნობა პიუსი თავის იდეოლოგიურ ჭიდილში მაჰმადის რწმენასთან.

პაპი გამოთქვამს მწვავე სურვილს თვალი აუხილოს ურწმუნო მონარქს: „... თუ შენ ამას გააკეთებ (გაქრისტიანდები — დ. პ.). ჩვენ საბერძნეთისა და მთელი აღმოსავლეთის ხელმწიფეს გიწოდებთ და რაც შენ ამჟამად ძალით მოგიპოვებია და არაკანონიერად ფლობ, შენს უცილობელ საკუთრებად იქცევა... ...ჩვენ მოვუწოდებთ და შენს მხარეზე გადმოვიყვანთ ყველას, ვინც რომაული ეკლესიის უფლებებს იკუთვნებს და რქებს თავიანთი დედის წინააღმდეგ მიმართავს. ჩვენი წინამორბედების — სტეფანეს, ადრიანესა და ლეონის მსგავსად, რომლებიც დასახმარებლად პიპინსა და კარლოს დიდს მიმართავდნენ და თავიანთ განმათავისუფლებლებს საბერძნეთის იმპერიას აძლევდ-

ნენ, ჩვენც ჩვენის მხრივ დაგეყრდნობით და შევძლებთ შენს მიერ გაწეული სამსახური უხვად დავაჯილდოვოთ... რომის ეკლესია და უწმინდესი ტახტი შენ ისეთივე სიყვარულით მიგიღებს, როგორც სხვა ქრისტიან მეფეებს და შეიძლება უფრო მეტითაც, გამომდინარე შენი ძლევამოსილებიდან"[33].

როგორც ვხედავთ, კომენტარი ზედმეტია. პაპი სულთანს ერთგვარ კავშირსაც კი სთავაზობს ორთოდოქსული ეკლესიის და სულთნის მტრების წინააღმდეგ. რას უნდა მივაწეროთ ეს — პიუსის მართლაცდა შეუბღალავ სიწმინდესა თუ საბოლოოდ იმედგაცრუებული კაცის ბოლო გაბრძოლებას, რომლისთვისაც ეს უკანასკნელი საშუალებაა „ბიზანტიური მემკვიდრეობა" თავის სასულიერო იმპერიას შეუერთოს?

პიუსის ბიოგრაფი ფოიგტი ცდილობს დაიცვას იგი და უკეთესს ვერაფერს გვთავაზობს, გარდა იმ ვარაუდისა, რომ ამ ნაბიჯით მას სურდა დაეშინებინა ევროპელი მონარქები და ზემოქმედება მოეხდინა მათზე[34].

ვერაფერს ვიტყვით. ჩანაფიქრი მართლაც გრანდიოზული იყო. ძნელი წარმოსადგენია, თუ რა რეზონანსი მოჰყვებოდა მსოფლიოში იმ ჩანაფიქრს, რომ განხორციელებულიყო, მაგრამ პაპს სულ გამორჩა მხედველობიდან, რომ ეს რეალობას აბსოლუტურად მოკლებული იყო.

მაგრამ მივაზღოთ საზღაური პიუსის ერუდიციას. თავისი წინადადება მან მშვენივრად დაუსაბუთა სულთანს: „ამგვარი კონვერსია არ იქნება ერთადერთი შემთხვევა ისტორიაში: ფრანკები მისდევენ ქლოდვიგის მაგალითს, უნგრელები სტეფანესას, ვესტგოთები — რეკარედისას, ლანგობარდები — აგილულფისას და ბოლოს თვით რომიც ხომ კონსტანტინემ გააქრისტიანა". ღაე, სულთანმა იმ გამოჩენილი ადამიანების მაგალითს მიბაძოს და პიუსი კი მას იმ მაღალ წოდებას მიაკუთვნებს, რომელსაც შეჰპირდა.

ამრიგად, როგორც კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, ჩანაფიქრი საკმაოდ თამამი და დიდი იყო: ქლოდვიგი, რეკარედი, კონსტანტინე და მეჰმედი!.. მაგრამ... სამწუხაროდ, არ ვიცით, თუ რა პასუხი მიიღო მან ამ წერილზე, ჩათვალა თუ არა მეჰმედმა ღირსად გამოხმაურებოდა საძულველ გიაურთაგან ამ უპირველესის თავხედურ გამოსვლას. ერთი

---

33 როგორც ჩანს, პაპს ეს წერილი ტრაპიზონის დაცემის ამბის შეტყობის შემდეგ დაუწერია, 1461 წ. L. Pastor, დასახ. ნაშრომი, გვ. 243; J. W. Zinkeisen, დასახ. ნაშრომი, გვ. 275—276. ეს წერილი პირველად გამოქვეყნდა მეჰმედ II-ის სიცოცხლეში, 1475 წ.: Pii secundi pontificis maximi ad illustrem Mahumetem. Turcum imperatorem epistole Tarvisii, Gerard de Flandria 1475. შემდეგ იგი პაპის წერილთა კრებულში მოხვდა, Epist. № 396.

34 G. Voigt, დასახ. ნაშრომი, გვ. 658.

ჯი ფაქტად რჩება — საბოლოოდ პიუსმა შეაგროვა არაორგანიზებულ ჯვაროსანთა ბრბო და საბერძნეთში გალაშქრებას აპირებდა, მაგრამ 1464 წელს, ანკონაში, მაშინ როდესაც ვენეციელთა ხომალდებს ელოდებოდა, გარდაიცვალა.

ცხადია, რომ პიუსის სიკვდილმა ჩაშალა უკვე დაწყებული ჯვაროსნული ომი. ვენეციის ხომალდები ცარიელნი დაბრუნდნენ შინ, ხოლო ჯვაროსნებმა კი აბჯარი შეიხსნეს და მეზობელი სოფლების ძარცვასა და რბევას მიჰყვეს ხელი.

მაგრამ ეს ყოველივე მოგვიანებით მოხდა. ჯერჯერობით კი მანტუადან გაბრუნებულ პაპს რამდენიმე საინტერესო შეხვედრა ელოდა წინ.



მეოთხე თავი

ლუდოვიკო ბოლონიელის მისია საქართველოში. ქართველი ელჩები ევროპაში

ახლა, როცა ჩვენ უკვე გავერკვიეთ არსებულ სიტუაციაში და პაპის პოზიციაში, შევეხოთ თვით ლუდოვიკო ბოლონიელის საქმიანობას, განვიხილოთ მოღვაწეობა იმ პიროვნებისა, რომელმაც პიუს II-ის წყრომა და ამის გამო, ისტორიკოსების ესოდენი უნდობლობა დაიმსახურა.

ლუდოვიკო წარმოშობით სევერის გვარისა იყო[1], რაც მის წმინდა იტალიურ, რომ არა ვთქვათ რომაულ წარმოშობაზე მიგვითითებს. ლუდოვიკოს წინაპრები ბოლონიაში ცხოვრობდნენ, მაგრამ 1438 წლიდან ფერარაში გადასახლდნენ, სადაც ხე-ტყით ვაჭრობას მოჰკიდეს ხელი. ფერარაში გადასახლების გამო სევერთა გვარის ამ შტოს და ბოლონია, ანუ ბოლონიელნი დაერქვათ. მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც სევერთა გვარი მატერიალურად მომძლავრდა, მათ საშუალება გაუჩნდათ შვილებისათვის განათლება მიეცათ და ეს უკანასკნელნიც დიდ თანამდებობებს აღწევდნენ დ'ესტეს ჰერცოგთა კარზე. ლუდოვიკოს გენეალოგია გამოქვეყნებული აქვს ანჯელო ბარჯელეზი სევერის[2].

ოფიციალურ სარბიელზე ლუდოვიკო ბოლონიელი ჩნდება მაშინ, როდესაც პაპმა (ევგენი IV) ბრძოლა დაიწყო ეკლესიის მთლიანობის აღსადგენად ბაზელის ყრილობაზე (1431).

ლ. ვადინგს ლუდოვიკო პირველად მოხსენიებული ჰყავს იმავე 1431 წელს. აქ ვკითხულობთ, რომ ევგენი IV-მ დაადგინა არსებული-

---

[1] Angelo Bargellesi Severi, Nuovi documenti su fr, Lodovico da Bologna, al secolo Lodovico Severi, Nunzio Apostolico in oriente (1455—1457)—Archivum franciscanum historicum, 69, 1976, p. 3—14.

[2] იქვე, გვ. 13.

ყო ექვსი ფრანცისკანელი ბერისაგან შემდგარი კაპიტული (ბოლონიის ბერ-მამათაგან დამოუკიდებლად). ეს ფრანცისკანელი ბერები განსწავლულნი უნდა ყოფილიყვნენ ღვთისმეტყველებაში. ამ ექვსეულის დანიშნულება იყო შეესწავლათ აღმოსავლეთ ეკლესიის ერეტიკული შეცდომებისაგან განკურნვის საშუალებები, რაც უნდა მომხდარიყო მისი თურქთა ტირანიისაგან განთავისუფლების შემდეგ. პაპის რჩეულნი იყვნენ: იოანე და კაპისტრანო, იაკობ პრიმადიციუსი ბოლოხიელი, იაკობ პიცენუსი მონტე-პრანდოვოდან, ალბერტ სარტეანელი ეტრუსკელი (ტოსკანელი), ბართლომე იანენელი უმბრიიდან და ლუდოვიკო ბოლონიელი (Ludovicus bononiensis), ყოველმხრივ ერუდირებული მეცნიერები[3].

ლუდოვიკოს ასეთ საზოგადოებაში გამოჩენა უდავოდ მის სასარგებლოდ მეტყველებს. იოანე და კაპისტრანო ცნობილი პიროვნება გახდა. როგორც უკვე ვიცით, იგი პაპის დავალებით ჯვაროსნული ომის პროპაგანდას ეწეოდა ევროპაში და როდესაც ოსმალები ბელგრადს მიადგნენ, შეძლო შეეგროვებინა 70 000 მოხალისე და ისინი იანოშ ჰუნიადის მიჰგვარა, ბელგრადთან უნგრელთა გამარჯვების (1456) შემდეგ კი იგი გარდაიცვალა. იმავე წელს უნგრეთის ეკლესიამ იგი წმინდანად გამოაცხადა, კანონიზებულ იქნა მოგვიანებით პაპ ალექსანდრე VIII მიერ. ლუდოვიკო ბოლონიელი, მიუხედავად ფრანცისკანელთა ორდენის წევრობისა, ჩვეულებრივი ადამიანი იყო, რომლისთვისაც ისევე, როგორც, ვთქვათ, თვით რომის პაპისათვის, უცხო არ იყო წარჩინებისადმი სწრაფვა. ამრიგად, თითქოს-და გასაგები უნდა გახდეს ჩვენთვის ლუდოვიკო ბოლონიელის, რომელიც თავის მოძმის ესოდენ აღზევებას მოესწრო, დაუცხრომელი სურვილი გამხდარიყო პატრიარქი, მით უფრო, რომ ამისათვის საკმაო დამსახურება ჰქონდა. მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ ვიტყვით.

1436 წლის ქვეშ ვადინგი წერს — ალბერტ და სარტეანო იერუსალიმში ჩადის ევგენი IV-ის დავალებით, რათა ორგანიზება გაუწიოს აღმოსავლეთის ეკლესიების კათოლიციზმთან შეერთებას. აქედან იგი წერს მოდენის ეპისკოპოსს შიპიონეს, პაპთან დაახლოებულ პირსა და თავის მეგობარს, რათა მას პაპისათვის წარედგინა ლუდო-

---

[3] L. Waddingo, Annales Minorum, t. X, № 5 ის გარემოება, რომ ლუდოვიკოს უკვე 1431 წელს ბოლონიელი ჰქვია, ე. ი. მისი გვარის ფერარაში გადასახლებამდე ბევრად ადრე, იმით აიხსნება, რომ ფრანცისკანელთა წესის მიხედვით ძმობაში შესულნი გვარს ტოვებდნენ და წარმომავლობის მიხედვით იხსენიებოდნენ. ამიტომ Ludovico da Bologna.

ვიკო ბოლონიელი, „ღირსეული და ღვთისმოშიში“ პირი, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა იერუსალიმში[4].

1437 წელს ევგენი IV-მ ბოლონიაში ყოფნისას, სადაც მან დროებით ბაზელის ყრილობა გადმოიტანა, აღმოსავლეთში გააგზავნა სამი ფრანციისკანელი: „ფრანჩესკო ბოლონიელი, ლუდოვიკო იმავე ქალაქიდან და იაკობ და პრიმადიცი“, თან მრავალი წმინდა საჩუქარი და პრივილეგია გაატანა. იმავე წლის 11 ივლისს ისინი გზას გაუდგნენ და მშვიდობიანად იმგზავრეს კაფამდე[5]. ამის შემდეგ ლუდოვიკო კარგა ხანს იერუსალიმის მინორიტთა მონასტერში ცხოვრობდა[6].

აღსანიშნავია, რომ ბრაიერი, რომელიც ხშირად იმოწმებს ვადინგს, არ ახსენებს არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტს.

ყურადღება გვინდა მივაპყროთ იმ გარემოებასაც, რომ ყოველივე ზემოთ მოთხრობილი ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებისათვის მზადების პერიოდია და ლუდოვიკოს აღმოსავლეთში მივლინებაც ნიშანდობლივია.

1437 წლის შემდეგ კი ბოლონიელის შესახებ კარგა ხნის განმავლობაში არა ვიცით რა. ამასობაში ბევრი რამ მოხდა, ოსმალებმა დაიპყრეს კონსტანტინოპოლი და საბოლოოდ აღგავეს პირისაგან მიწისა ბიზანტიის იმპერია. მას შემდეგ პაპების პოლიტიკა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა თურქების წინსვლას, ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ აღმოსავლეთ საქრისტიანოს მიმართ და მის შემოერთებას ცდილობენ, მაგრამ ყოველივე ეს შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მუსლიმანთა შემდგომი დაპყრობების შეჩერების შემთხვევაში.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ფერარა-ფლორენციის უნიის კრახმა გამოიწვია ლუდოვიკოს ერთგვარი უმოქმედობაც. მისი მოღვაწეობისათვის არავითარი რეალური საფუძველი არ არსებობდა. მართალია, კონსტანტინოპოლმა საბოლოოდ აღიარა უნია (1452 წ.), მაგრამ იქ მთავარ როლს კიევის ყოფილი მიტროპოლიტი, კარდინალი ისიდორე ასრულებდა[7].

და აი, 1454 წელს, როდესაც პაპების ინტერესი აღმოსავლეთის ეკლესიისადმი გამოცოცხლდა, ლუდოვიკო ბოლონიელი კვლავ ჩნდება სარბიელზე. აღნიშნული წლის 20 მარტს პაპმა ნიკოლოზ V-მ ლუდოვიკო ბოლონიელს, რომელიც იერუსალიმში ცხოვრობს, პრივილე-

---

[4] L. Waddingo, Annales Minorum, t. X, № 15.

[5] იქვე, ტ. XI, № 6.

[6] A. B Severi, დასახ, ნაშრომი, გვ. 6.

[7] Рансимен С. Падение Константинополя в 1453 году. М., 1983, с. 71—74

გიები და შეღავათები მიანიჭა, რათა გაუადვილოს მოგზაურობა, რომელიც ამ უკანასკნელს სურს ჩაატაროს ეთიოპიასა და ინდოეთში კათოლიკური რწმენის სასარგებლოდ ორი ამხანაგითურთ[8].

ლუდოვიკოს პრივილეგიები შემდეგში გამოიხატებოდა: მას ჰქონდა უფლება გაეცა ეკლესიის წყალობანი, მათ შორის ინდულგენციები იმ პირთათვის, ვინც მას დაეხმარებოდა, შეეძლო შეწირულობათა შეგროვება, ჰქონდა უფლება ეტარებინა ნებისმიერი სამოსი, შეემოსა ფეხთ, მჯდარიყო ცხენზე, მხლებლები აერჩია თავისი შეხედულებისამებრ, შეეძლო მარხვის დროს ეჭამა ხორცი და არავის, არც სასულიერო და არც საერო წოდების პირს არ ჰქონდა უფლება ხელი შეეშალა მისი მგზავრობისა და განზრახვისათვის.

პაპ პიუს II-ის ბრალდებები ლუდოვიკოსადმი იმას ემყარება, რომ მას ევროპაში მოგზაურობისას ცოდვები შეუნდია, რისი უფლებაც თვით ლეგატებსაც კი არ ჰქონდათ, მაგრამ როგორც ვხედავთ, ნიკოლოზ V-მ ლუდოვიკოს ეს უფლებები მიანიჭა, თუმცა კალიქსტ III-მ შემდეგ ჩამოართვა. ერთი სიტყვით, ლუდოვიკოს საქციელი არც თუ ისე უსაფუძვლო იყო. ამასთან უაღრესად საინტერესოა მიზეზი, რომლის გამოც კალიქსტ III-მ მას ჩამოართვა ცოდვების შენდობის უფლება.

მაგრამ მივყვეთ მოვლენათა ქრონოლოგიას. ამ მოგზაურობიდან ბოლონიელი ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა. რომში მას ახალი პაპი დახვდა, კალიქსტ III, რომელიც გამალებული ემზადებოდა ჯვაროსნული ლაშქრობისათვის. „საათობით იჯდა მოხუცი პაპი და უსმენდა ლუდოვიკოს მონათხრობს, სადაც, უნდა ითქვას, ბევრი სიცრუე ერია", ამბობს ამის შესახებ პიუსის ბიოგრაფი ვ. ფოიგტი[9].

ტყუილს უყვებოდა ბოლონიელი პაპს თუ მართალს, არ ვიცით, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ 1455 წლის 11 მაისს კალიქსტ III-მ გამოსცა ბულა, რომელშიც შეიტანა თავისი წინამორბედის ზემოთ ხსენებული ბრძანება და ამით ლუდოვიკოს პრივილეგიები აღმოსავლეთში ხელახლა დაამტკიცა. გარდა ამისა, შეიტანა დამატებაც: ამიერიდან ლუდოვიკოს თავის ამალაში შეეძლო ჩაერთო იმდენი ადამიანი, რამდენსაც საჭიროდ ჩათვლიდა[10]. საყოველთაოდ ცნობილია კალიქსტ III-ის ჯვაროსნული სულისკვეთება. 80 წლის ბერიკაცი ძილსა და კვებაზე ამბობდა უარს, გართული იყო რა საომარი გეგმებით. ცნობილია აგრეთვე, რომ მატერიალურად დიდი სირთულეები ჰქონდა. ამბობენ, ერთხელ მაგიდაზე თავისი წინამორბედის, მეცე-

---

[8] L. Waddingo, დასახ. ნაშრომი, ტ. XII, გვ. 292.

[9] G. Voigt, დასახ. ნაშრომი, ტ. III, გვ. 643.

[10] L. Waddingo, დასახ. ნაშრომი, ტ. XII, გვ. 292.

ნატი ნიკოლოზ V-ის კუთვნილი ძვირფასი სამარილე შეუმჩნეევია. აღშფოთებულს უბრძანებია მისი ზარაფხანაში წაღება. იგი ასევე ემტერებოდა ნიკოლოზ V-ის მიერ შეგროვილი წიგნების ოქროსა და ვერცხლის მოკაზმულობას[11].

ამრიგად, პაპმა კალიქსტ III-მ ლუდოვიკო ბოლონიელს სრული ნდობა გამოუცხადა, მაგრამ აქ გამოვლინდა მინორიტი ბერის ხასიათის საინტერესო დეტალი, რომელიც დაგვეხმარება ამ პიროვნების პორტრეტის წარმოსაჩენად. აქვე გვინდა მივაქციოთ ყურადღება მომხდარი ფაქტის წმინდა აეანტიურულ ხასიათს, მაგრამ მეორე მხრივ, იგი ასევე წმინდა ადამიანური ნაბიჯია. საქმე კი შემდეგში მდგომარეობს:. ისარგებლა რა ზემოთ მოყვანილი უფლებებით,. ლუდოვიკო ბოლონიელმა 1455 წ. 18 ნოემბერს თავის ძმას ფილიპოს, რძალს დოროთეასა და მათ ასულს ლუდოვიკას უფლება დართო აერჩიათ მოძღვაო, რომელიც მისცემდა აღსარებასა და ზიარებას ერთხელ ცხოვრებაში და ასევე სიკვდილის წინ, და ვინაიდან მას შეეძლო ასეთი საბოძვარის გაცემა მხოლოდ იმ პირებზე, ვინც მას რაიმეთი დაეხმარებოდა, ლუდოვიკომაც აღნიშნა, რომ ფილიპოსა და დოროთეას მისი საქმის წინაშე დიდი დამსახურება მიუძღვით[12].

ამრიგად, როგორც დავინახეთ, 1455 წლის ნოემბერში ლუდოვიკო ფერარაში იმყოფებოდა. ამის შესახებ ერთ ვარაუდს გამოთქვამს ლუდოვიკოს შთამომავალი ანჯელო ბარჯელეზი სევერი, რომელიც საკმაოდ სარწმუნოდ მიგვაჩნია.

1455 წლის ოქტომბერში ფერარაში ჰერცოგ ბორზო დ'ესტეს მმართველობის დროს გამოცხადებული იყო შეწირულობათა შეგროვება ჯვაროსნული ომისათვის. შესაძლებელია ლუდოვიკო ფერარაში სწორედ ამიტომ ჩავიდა, შესაძლებელია ქადაგებდა კიდეც.. [13]

ასეა თუ ისე, ჩვენთვის ამ ამბიდან საინტერესოა მხოლოდ ის ფაქტი, რომ ლუდოვიკომ, ასე ვთქვათ „სამსახურებრივი პრივილეგიები ოჯახის საკეთილდღეოდ გამოიყენა". რა თქმა უნდა, ეს თავისთავად მის ავანტიურისტულ ბუნებაზე მეტყველებს. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ გვაძლევს უფლებას ლუდოვიკოს პოლიტიკური თაღლითობა დავწამოთ.

ჩვენ არ ვიცით მაისსა და ნოემბერს შორის მოასწრო თუ არა მან რაიმე მოგზაურობის ჩატარება, მაგრამ სამაგიეროდ 1456 წლის 10 იანვარს ბულით კალიქსტმა ჩამოართვა ლუდოვიკოს ინდულგენცი-

---

[11] A. B. Severi, დასახ. ნაშრომ., გვ. 6.

[12] იქვე, გვ. 15—19.

[13] იქვე.

1. [illegible] [illegible] II



ბურგუნდიის ჰერცოგი ფილიპე კეთილი

3. ფლორენციის დოჟი კოზიმო დე მედიჩი

4. მილანის ჰერცოგი ფრანჩესკო სფორცა

5. რომის პაპი პიუს II

6. საფრანგეთის მეფე შარლ VII

7. ნიკოლოზ კუზანელი



8. სიჯიზმონდო მალატესტა



9. პაპები ავინიონის ტყვეობის დროს

10. [illegible] XI-ის შეკვლა ავინიონში



ჯვარი [illegible] ქართველის წინ [illegible] ოთხი ცოლი [illegible] გმენტი

[illegible] [illegible] [illegible] [illegible]

15. XV საუკ. ქართული მინიატურა

ების გაცემისა და აღთქმების შემსუბუქების უფლებები. მაგრამ დაუტოვა ყველა დანარჩენი[14].

ამრიგად. 1456 წლის დამდეგს ლუდოვიკო გზას გაუდგა. ეთიოპიის ქრისტიან მეფე კონსტანტინე ზარა-იაკობთან (1438—1468) იგი ამჯერად ვერ მოხვედრილა, მაგრამ სამაგიეროდ საქართველოში ჩამოსულა. საიდანაც პაპისათვის წერილები ჩაუტანია[15]. გარდა ამისა, ლუდოვიკომ ჩაიყვანა რვა ეთიოპელი ბერი, რომლებსაც მოუთხოვიათ წმინდა პეტრესა და პავლეს ადგილების მონახულება და მხოლოდ ამის შემდეგ პირდებოდნენ თავიანთ მეფესთან მიყვანას. ლუდოვიკოს პაპისათვის ვრცელი მოხსენება გაუკეთებია, სადაც უთქვამს, რომ სპარსეთსა და საქართველოში მრავალი კათოლიკე შეხვედრია, რომლებიც ფრანკებად იწოდებიან და რომელთა დიდი სურვილი ყოფილა ჰყოლოდათ პატრიარქი. როგორც ქვემოთ დავინახავთ. ტერმინ „სპარსეთის" ცნების ქვეშ მეფე გიორგი VIII-ის უცილობელი სამფლობელო უნდა ვიგულისხმოთ. ხოლო საქართველოს ცნების ქვეშ კი სამცხე-საათაბაგო. დაწვრილებით ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

ლუდოვიკო ბოლონიელი რომში დაბრუნებულა იმავე წლის ბოლოსათვის, ვინაიდან 1456 წ. 1 დეკემბერს პაპი წერს წერილს ეთიოპიის მეფე კონსტანტინე ზარა-იაკობს და ატანს ორ ეთიოპელ ბერს— პავლესა და თედორეს, რომლებიც რომში ლუდოვიკოსთან ერთად იყვნენ ჩასულნი[16].

ამის შემდეგ თითქმის ერთი წლის განმავლობაში ლუდოვიკო ბოლონიელის შესახებ არაფერი ვიცით. არ შეგვიძლია იმის თქმა, გაჰყვა თუ არა იგი ამ ბერებს ეთიოპიაში და იყო თუ არა საბოლოოდ ზარა-იაკობთან. მაგრამ ბურგუნდიაში 1461 წელს ეთიოპიელი ელჩის ჩასვლა გვაფიქრებინებს, რომ ამგვარი ვარაუდი გამორიცხული არ არის.

1457 წ. 19 დეკემბერს კალიქსტ III წერილს წერს „ყოველ ქრისტიანე მორწმუნეთ. რომლებიც ფრანკებად იწოდებიან და რომელნიც სპარსეთსა და საქართველოში ცხოვრობენ":

„დაბრუნდა რა ჩვენი საყვარელი შვილი. წმ. ფრანჩისკეს წესისა ბოლონიელი ლუდოვიკე. რომელიც გასულ წელს თქვენთან იყო ჩვენ

---

[14] B. Bughetti, Nuovi documenti intorno a fr. Lodovico da Bologna. O. F. M. Missionario e Nunzio Apostolico in Oriente (1460—1461). Studi Francescani, ser. 3 a. anno X (XXXV), 1938, p. 129. მას აგრეთვე დაუტოვეს უფლება მხოლოდ 4 მხლებლის წაყვანისა.

[15] L. Waddingo, დასახ. ნაშრომი, ტ. XIII, გვ. 26. Raynaldo O. Annales ecclesiastici, 1457, № 68—69. როგორც ჩანს, ამ წერილების ავტორები საქართველოს მეფე და სამცხის ათაბაგი იყვნენ.

[16] L. Waddingo, დასახ. ნაშრომი, t. XII, p. 420—423; t. VI, p. 301.

ნუნციოდ, მოგვახსენა, რომ რიცხვით მრავალი ერი აღიარებთ ქრისტიანე-კათოლიკე სარწმუნოებას. დიდათ ერთგულნი ხართ სამოციქულო საყდრისა.... რომ სრულიად მისდევთ რომის ეკლესიის დაველრებასა და ჩვეულებას. ამის მოსმენაზედ სიხარულით აღვივსენით... ჩვენმა ნუნციომ მოგვახსენა კვალად ერთი თქვენი სათხოვარი, სახელდობრ: თხოულობთ, თქვენს უფროსად და წინამძღვრად ვისაც თქვენ აირჩევთ ჩვენთაგანს (ევროპელს) ანუ თქვენთაგანს (მანდაურს), დავამტკიცოთ იგი. სიამოვნებით თანხმობას გიცხადებთ იმ პირობით კი, არჩეული პირი პატიოსანი, მეცნიერებასა, წესებსა და ქრისტიანურს ზნეობაში კარგად გაწვრთნილი იყოს და არჩევის შემდგომ, რაც შეიძლოს მალე, წამოვიდეს სამოციქულო საყდრის მოსახილავად... ...და თან წამოიყვანოს რაზდენიმე მანდაური პირიც, რათა უკეთესად გაწვრთნილნი, კეთილი მაგალითებით აღსავსენი და ქრისტიანის სახელსა და სარწმუნოებაზე განმტკიცებულნი გამობრუნდნენ თავიანთ სამშობლოში. გარდა ამისა გავედრებთ ხსენებულ ძმა ლუდოვიკეს, ჩვენს ნუნციოს...“

ეს წერილი მოჰყავს ვადდინგს და გამოცემული აქვს მ. თამარაშვილს[17]. ქართული თარგმანიც მასვე ეკუთვნის[18]. მასვე იხსენიებს ბენვენუტო ბუგეტიც[19]. ამ წერილს ყურადღება მიაქცია გ. ფოიგტმაც[20].

აღსანიშნავია, რომ პაპს აღმოსავლეთის „ფრანკების“ პატრიარქად ასარჩევად რეკომენდაცია ლუდოვიკო ბოლონიელისათვის გაუწევია[21].

ეს გარემოება პიუს II-სა და ე. ბრაიერს დაეჭვების საფუძველს აძლევს. გამოდის რა ამ ცნობიდან, ბრაიერი პაპ პიუსის დახმარებით გვიმტკიცებს, რომ ლუდოვიკომ ყოველივე პირადი მიზნებისათვის გამოიყენა. სურდა რა პატრიარქობა, მის მიერ 1460 წ. ჩაყვანილი ელჩები იყვნენ სწორედ ის „რამდენიმე მანდაური პირი“ და არა სახელმწიფო ელჩები. ჩვენის აზრით, ერთი მეორეს სრულიად არ გამორიცხავს. დასავლეთთან კავშირი ხომ სწორედ სარწმუნოების საფუძველზე ორიელდებოდა. საგულისხმოა, რომ ელოდნენ რა პაპისაგან სარგე-

---

[17] L. Waddingo, დასახ. ნაშრომი., t. XIII, p. 27; M. Tamarati, L'église Géorgienne des origines jusqu'à nos jours. Rome, 1910, p. 453—454.

[18] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 50—51, შეად. გვ. 591.

[19] B. Bughetti, დასახ. ნაშრომი, გვ. 129.

[20] G. Voigt, დასახ. ნაშრომი, გვ. 644.

[21] L. Waddingo, დასახ. ნაშრომი, ტ. VI, p. 387; G. Voigt, დასახ. ნაშრომი, გვ. 644.

ბელს, ქართველებმა, მიუხედავად იმისა, რომ უფლება ჰქონდათ პატრიარქად „თავისიანი“ აერჩიათ, უპირატესობა პაპის წარგზავნილს მიანიჭეს. ეს ერთი მხრივ, ლუდოვიკოს მოღვაწეობის საზღაური იყო, მეორე მხრივ კი პაპის უზენაესობას უსვამდა ხაზს. ესეც არ იყოს-და, კალიქსტის პირობის თანახმად ლუდოვიკოს სულაც არ ჭირდებოდა ტრაპიზონისა და უზუნ-ჰასანის ელჩები. მით უფრო, რომ უზუნ-ჰასანთან კათოლიკობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ამასთან, როგორც ვნახავთ, ბოლონიელს ამგვარი ავანტიურა თავისუფლად შეეძლო მოეწყო 1458 წელს, ე. ი. მაშინ როდესაც საქართველოში ამ წერილის ჩატანის შემდეგ პირველად დაბრუნდა რომში და არ გადაედო ეს საქმე კიდევ რამდენიმე წლით.

აქრიგად, მივყვებით რა მოვლენათა სვლასა და თხრობას, უნდა აღინიშნოთ, რომ შემდეგი ცნობები ლუდოვიკოს შესახებ იმავე წლის მიწურულში გვხვდება. 1457 წლის 2 დეკემბერს ლუდოვიკოს მონათხრობით, რომელიც იმქამად რომში იმყოფებოდა და რომელსაც პაპი „ჩვენ ნუნციოს“ უწოდებს, კალიქსტ III პრივილეგიებს ანიჭებს ვინმე ფრანცისკანელ ბარტოლომეო და ფულგინეოს, რომელიც აღმოსავლეთში დარჩენილა კათოლიკობის ქადაგების მიზნით[22].

14 დეკემბერს პაპმა ბოლონიელს ოფიციალური საშვი უბოძა აღმოსავლეთში სამოგზაუროდ[23].

აი აქ უნდა ჩაჯდეს ქრონოლოგიურად პაპის ქართველი და სპარსი ფრანკებისადმი მიწერილი მიმართვა. 22 დეკემბრით კი თარიღდება კალიქსტ III წერილი დიდი ათაბაგისადმი. ვინაიდან ეს დოკუმენტი ქართული ისტორიოგრაფიისათვის ჯერ კიდევ უცნობი და ამიტომ ჯეროვნად შეუსწავლელია მიზანშეწონილად მიგვაჩნია მთლიანად მოვიტანოთ ტექსტი.

1457 წ. 22 დეკემბერი — პაპ კალიქსტეს პასუხი კეთილშობილ ბატონ გორგონას ქარციხეს ჰერცოგისადმი, რომელმაც მას აპოსტოლური ნუნციოს ლუდოვიკო და ბოლონიას ხელით წერილები (sic!) გამოუგზავნა[24].

---

[22] L. Waddingo, დასახ. ნაშრომი, ტ. XIII, p. 27—28.

[23] B. Bughetti, დასახ. ნაშრომი, გვ. 129.

[24] A. B. Severi, დასახ. ნაშრომი, გვ. 20—22. სეევერიმ ეს დოკუმენტი თავის საგვარეულო არქივში აღმოაჩინა. დაწერილია ლათინურად, ორიგინალურ პერგამენტზე 320×340 მმ. რა თქმა უნდა, ის გარემოება, რომ აღნიშნული წერილი ლუდოვიკოს ოჯახის კუთვნილებად იქცა, სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ იგი, უფრო ზუსტად კი დედანი, ადრესატს არ მიეღოს.

კალიქსტო ეპისკოპოსი, მონა ღმრთისა ძვირფას შვილსა და კეთილშობილ ბატონს გორგონას, ქარცეხის მთავარს, მოკითხვა და აპოსტოლური კურთხევა.

შენი წერილი მოგვართვა საყვარელმა შვილმა ლუდოვიკო და ბონონიამ (sic!) ნეტარი ფრანჩესკოს ორდენის ძმამ, ობსერვანტელმა[25], ჩვენმა ნუნციომ. დიდი სიამოვნებით დავრწმუნდით შენს ერთგულებაში სამოციქულო ტახტისა და ჩვენს — უფლისა იესო ქრისტეს დედამიწაზე მოადგილისა და წარმომადგენლის — მიმართ. ჩვენმა ნუნციომ ისიც მოგვახსენა, თუ რაოდენი მორჩილებით შეხვდი შენ ჩვენს მითითებებსა და შეგონებებს ქრისტეს მიერ ჩვენს უძვირფასეს შვილთან, საქართველოს მეფესთანა და იმ ადგილების სხვა მმართველებსა და ქრისტიან ერებთან მშვიდობის შესახებ. ამ მშვიდობის საშუალებით თქვენ ადვილად შეძლებთ შეუდგეთ ურწმუნო ბარბაროსთა გაწყვეტას, რომლებიც თქვენთან ახლოს ცხოვრობენ. იმავე ნუნციოს მონათხრობიდან შევიტყვეთ შენი პირობა გააგრძელო ომი ყველა ქრისტიანის მტრის — თურქის წინააღმდეგ, რომელსაც, როგორც ამბობ, ბრძოლის ველზე ყოველთვის ამარცხებდი ხოლმე. შენი ეს პირობა ჩვენთვის ძალზე სასიამოვნოა და თუ შენ შენი დაპირების აღსრულებაში სიმტკიცეს გამოიჩენ, რისი იმედიც ჩვენ გვაქვს, ყოვლისშემძლე ღმერთი მტრებზე უფრო დიდ გამარჯვებასა და ალაფს მოგანიჭებს.

ხოლო რაც შეეხება შენთვის ადმირალობის (sic!) ანუ მთავარსარდლობის ბოძებას მთელს სამხედრო ძალებზე, რასაც თქვენი ქვეყნების ქრისტიანები ბარბაროსებზე სალაშქროდ მოაგროვებენ, ჩვენ შენ ამისათვის სავსებით ღირსეულად გთვლით და შენ შეგიძლია მამაშენის მსგავსად მთავარსარდალი იყო. ასე რომ, ჩვენ ამ წოდებას გიწყალობებთ. ოღონდაც თქვენს შორის, იქაური ქვეყნების ქრისტიანებს შორის მშვიდობა და თანხმობა იყოს, რისთვისაც ჩვენ მოგიწოდებთ უფლის მიერ და ღმრთის ნებით უმოკლეს ხანში თქვენი გაერთიანების დიად ნაყოფს შეუერთდება უფრო დიდი, დასავლეთის ქრისტიანთა ძალების მეშვეობით, რომლებიც გაცხარებულნი დაესხმიან თავს თურქებს მეორე მხრიდან, ვინაიდან დასავლეთის ყველა ხელმწიფესა და ხალხს მოეუწოდებთ წერილით, რომლის ასლიც ერთვის, რათა შეიკრიბონ ჩვენთან დედასა ქალაქს რომში და უფლის წინამძღოლობით მონაწილეობა მიიღონ დიდ ლაშქრობაში თურქების გასანადგურებლად. ჩვენის მხრიდან, როგორც მთელმა მსოფლიომ იცის, მცირერიცხოვანმა ქრისტიანებმა ტრანსილვანიის ვოევოდას — იოანე დე ჰუნიადის თავკაცობითა და ღირსეული ძმის ნეტარი ფრანჩესკოს ორდენიდან იოანე და კაპის-

---

25 ობსერვანტები — ბერები, რომლებიც განსაკუთრებულად მკაცრად იცავენ აღთქმასა და სხვა სასულიერო მოვალეობებსა და წეს-ჩვეულებებს.

ტრანოს მეშვეობით დიადი საქმე გააკეთეს. როდესაც ბელგრადთან. უნგრელ ქალაქთან მცირერიცხოვანმა ქრისტიანებმა თურქთა მმართველის მაჰომეტ-ბეის უზარმაზარი ლაშქარი დაამარცხეს და გააქციეს, დახოცეს 80 000 კაცი და ამდენივე ტყვედ ჩაიგდეს, ძნელი წარმოსადგენია, რამდენი აღჭურვილობა, რამდენი ოქრო, ვერცხლი და სხვა სიმდიდრე გადმოვიდა ჩვენს ქრისტიანულ ხელთ. უკანასკნელ დღეებში იგივე მაჰომეტ-ბეიმ გადაწყვიტა დაეპყრო ქრისტიანული პროვინცია — ალბანეთი და იქითკენ თავისი ლაშქრის, რომელიც ბელგრადთან განცდილი ვარცხის შემდეგ ეს-ეს იყო მოსულიერდა, უმეტესი ნაწილი გაგზავნა, მაგრამ მის წინააღმდეგ გაილაშქრა ალბანეთის ქრისტიანმა მმართველმა და ხელმწიფემ — სკანდერბეგმა. მან ღმერთის დახმარებითა და წყალობით საგმირო საქმე მარტომ შეასრულა. თურქებს იმდენად მძიმე მარცხი მიაყენა, რომ მხოლოდ ცოტა მათგანმა გაქცევით თუ უშველა თავს. ამის გარდა, ხსენებულმა სულთანმა დიდი ჯაფითა და ხარჯით აღჭურვა მრავალი ტრირემა თუ გალერა და სხვა ხომალდი, სულ 200-მდე. იმედოვნებდა რა ხმელეთზე განცდილი მარცხის შემდეგ წარმატება ზღვაზე მოეპოვებინა, ეს ფლოტი კუნძულ მითილენის მიმართულებით დაძრა. სადაც მისი ცნობით ქრისტიანები ცოტანი იყვნენ, მაგრამ სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ ჩვენებმა მრავალი მათგანი დახოცეს. ხელთ ჩაიგდეს მათი ხომალდებისა და ტრირემების ნაწილი, ფლოტის დანარჩენი ნაწილი კი აიძულეს უწესრიგოდ გაქცეულიყო შინისაკენ. ასე შეგიძლია წარმოიდგინო, თუ რარიგ მძლავრად გამოვა ეს ახალი ლაშქარი, რომელსაც ვამზადებთ ხსენებული მაჰომეტის წინააღმდეგ... ასე რომ, მთელი შენი ზრახვები, სურვილები და გეგმები ურწმუნოთა განადგურებას მიაპყარი. ისე, როგორც უკვე დაწყებული გაქვს, იმ რწმენით, რომ გამარჯვება შენ და სხვა ქრისტიანებს დაგრჩებათ. ამის შესახებ ბევრის თქმაა საჭირო, რასაც სიტყვიერად გადმოგცემს ჩვენი ნუნციო, რომელსაც საესებით შეგიძლია ენდო.

დაიწერა რომში, წმ. პეტრესთან, უფლისა წელსა 1457 დეკემბრის კალენდებში, ჩვენი პონტიფიკატის მესამე წელს.

როგორც ვხედავთ, წერილის შინაარსი ჩვენთვის უინტერესო არ არის. ჯერ ერთი, ეს პასუხია ყვარყვარე ათაბაგის წერილებზე პაპისადმი. ამ დოკუმენტის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თუ რა ხასიათის წერილები მიუწერია ყვარყვარეს პაპისათვის. ის გარემოება, რომ მას ადმირალობა ანუ აღმოსავლეთის ქრისტიანთა გაერთიანებული ლაშქრის სარდლობა უნდა, სწორედ რომ ისეთი პიროვნების ხასიათ-

შია, როგორიც იყო „საქართველოს ათაბაგი და სამცხისა სპასალარი ჯაყელ-ციხისჯუარელი პატრონი ყუარყუარე II“. ამასთან ათაბაგსა და სპასალარს ჭეშმარიტად მთავარსარდლობა ეკუთვნის. სავალალოდ ყვარყვარე II-ის დაუოკებელი პატივმოყვარეობა კარგად არის ცნობილი საქართველოს ისტორიაში. ასე რომ, ეს ადგილი, ჩვენი აზრით, ყვარყვარეს წერილის „ნამდვილობის“ სასარგებლოდ მეტყველებს.

ყურადღებას იპყრობს ისიც, თუ რარიგ დაინტერესებულია პაპი მისი ომში ჩაბმით. იგი ვრცლად მოუთხრობს მას დასავლეთის ქრისტიანთა საბრძოლო წარმატებებზე. დაბოლოს, ლუდოვიკო ბოლონიელი მისი უსაზღვრო ნდობით სარგებლობს.

ამრიგად, ამ დოკუმენტიდან თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი პასუხია ყვარყვარე ათაბაგის „ჭეშმარიტ“ წერილზე. სხვა მხრივ, ლუდოვიკოს საკმაოდ კარგად უნდა სცნობოდა დიდი ათაბაგი პირადად და მისი სახელოს არსი, ამგვარი სიყალბე რომ შეეთხზა. აქედან გამომდინარეობს კიდევ ერთი დასკვნა: თუკი ლუდოვიკო 1456 წ. პირადად იყო სამცხეში და ათაბაგის წერილი ჩაიტანა რომში, რა შეუშლიდა ხელს 1459 წელსაც მისულიყო ჯაყელთა კარზე, მით უფრო, რომ პაპისაგან სწორედ იქ იყო მივლენილი?

ჯერჯერობით კი, 1457 წლის 30 დეკემბერს, ე. ი. აღნიშნული წერილის დაწერიდან ერთი კვირის თავზე კალიქსტ III-მ ლუდოვიკო აღმოსავლეთში გასამგზავრებლად მოამზადა. კვლავ დაუმტკიცა ძველი პრივილეგიები და ახლებიც დაუმატა: „მას ეძლეოდა უფლება თავისი შეხედულებისამებრ გამოეყენებინა თავისი ორდენის ძმები, ეთიოპიასა და ინდოეთში დაეარსებინა მონასტრები“[26].

როგორც ვხედავთ, უფლებები უტოლდება პატრიარქისას. ყოველ შემთხვევაში, გარკვეული ძალაუფლება აღმოსავლეთში მცხოვრებ ფრანცისკანელებზე ლუდოვიკოს აშკარად ჰქონდა.

ლუდოვიკო ბოლონიელიც კიდევ ერთხელ გაუდგა აღმოსავლეთის გზას.

ამასობაში გარდაიცვალა კალიქსტ III და კონკლავმა პაპად ენეა სილვიო დე პიკოლომინი (პიუს II) აირჩია. 1458 წლის 19 აგვისტოს იგი სამოციქულო ტახტზე ავიდა. ლუდოვიკო კი, როგორც ჩანს, აღმოსავლეთიდან 1458 წლის სექტემბრის ბოლოსათვის დაბრუნებულა, ვინაიდან 4 ოქტომბერს პაპი მას სწერდა და უწონებდა ნამოღვაწარს. ლუდოვიკოს დამსახურება იმაში ყოფილა, რომ მან შეაკავშირა და უნიაზე დაითანხმა შემდეგი მღვდელმთავრები: ანტიოქიაში სამი პატრიარქი (1. აღმოსავლეთ-ბერძნული ეკლესიის, 2. მარონიტების, 3. სო-

---

[26] L. Waddingo, დასახ. ნაშრომი, ტ. XIII, გვ. 26. ეს ადგილი დედანში ცოტა გაუგებარია (... აეგო ორდენის სახლები).

მეხთა, ბაბილონელთა და ქალდეველთა); ალექსანდრიის იაკობიტი პატრიარქი; იერუსალიმის მართლმადიდებელი პატრიარქი და ქართველთა კათალიკოსი, მათთან შეკავშირებულნი ყოფილან: „მეფე სპარსთა“, მეფე ქართველთა, მეფე მეგრელთა და ტრაპიზონის კეისარი. აგრეთვე „სპარსეთის“ ერი[27].

აქვე ლუდოვიკოს დაუმტკიცეს პრივილეგიები. 11 ოქტომბერს მისცეს წერილი ორდენის გენერალ-ქორეპისკოპოსთან —ბაპტისტა დე ლევანტოსთან. პაპი უბრძანებს მას ყველაფერში დაეხმაროს ლუდოვიკოს[28], მაგრამ იქამდე 5 ოქტომბრის ბულით ლუდოვიკო ბოლონიელი ოფიციალურად დაამტკიცეს აღმოსავლეთის კათოლიკეთა პატრიარქად[29]. ამასთან, პიუსმა ქართველ და სპარს კათოლიკებს თავისი წინამორბედის წერილები გაუმეორა. აქ ლაპარაკია კალიქსტ III-ის წერილზე, სადაც იგი პატრიარქად არჩევის რეკომენდაციას აძლევს ლუდოვიკოს[30].

ამრიგად, ლუდოვიკო ბოლონიელი დაამტკიცეს პატრიარქად. ამის გამო ბრაიერი წერს: „ლუდოვიკოს პრივილეგიები, როგორც აპოსტოლური ნუნციისა, დაადასტურეს და სპარსეთსა და საქართველოს ქრისტიან „ფრანკებს“ უბრძანეს იგი აერჩიათ in vestrum omnium caput-ად. სწორედ 1458 წლის 5 ოქტომბრის ამ ბულამ, როგორც ჩანს, გაამხნევა ლუდოვიკო, რათა მოგვიანებით პიუსისათვის მიეყენებინა ასეთი დიდი გასაჭირი ბერის ზუსტ სასულიერო სტატუსთან დაკავშირებით“[31].

ასეა თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება, რომ 1458 წლის 5 ოქტომბერს პაპმა პიუს II-მ ოფიციალური ბულით მინორიტი ძმა ლუდოვიკო ბოლონიელი დაამტკიცა ქართველი და „სპარსი“ კათოლიკების პატრიარქად. თვითონ ემზადებოდა რა მანტუას კონგრესისათვის, ლუდოვიკო აღმოსავლეთში მიავლინა უკვე, ვიმეორებთ, ოფიციალურად პატრიარქის ტიტულით (ამას იმიტომ ვიმეორებთ, რომ ბრაიერის გამოკვლევა სწორედ იქიდან იწყება, რომ ყვარყვარესა და გიორგის წერილებში ლუდოვიკო პატრიარქად იხსენიება. ეს გარემოება ბრაიერს აფიქრებს და აეჭვებს; თუმცაღა, როგორც ვხედავთ, ამისათვის არავითარი საფუძველი არა აქვს. ყვარყვარეცა და გიორგიც ლუდოვიკოს იმ ტიტულით იხსენიებენ, რაც მას პაპმა უბოძა, ხოლო რაც შე-

---

[27] L. Waddingo, დასახ. ნაშრომი, ტ. XIII, გვ. 60, cap. XI. შეადარე ვ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51, 592.

[28] L. Waddingo, დასახ. ნაშრომი, ტ. XIII, გვ. 60, cap. XII.

[29] A. Bryer, დასახ. ნაშრომი, გვ. 180.

[30] A. Bughelti, დასახ. ნაშრომი, გვ. 130.

[31] A. Bryer, დასახ. ნაშრომი, გვ. 180—181.

ეხება გამოთქმას — „ჩვენმა პატრიარქმა“, იმაზე მიგვითითებს. რომ გიორგიცა და ყვარყვარეც მზად იყვნენ ეცნოთ ლუდოვიკო თავიანთ პატრიარქად, უფრო სწორედ კი, მზად იყვნენ მიეღოთ კათოლიკობა, მაგრამ ამაზე ქვემოთ).

მაშ ასე. პაპმა ლუდოვიკო აღმოსავლეთში მიავლინა, რათა მანტუას კრებაზე მას აღმოსავლეთელ მოკავშირეთა ელჩები ჩამოეყვანა, რაც პიუსისათვის გარკვეული მნიშვნელობის ფაქტორი უნდა ყოფილიყო დასავლეთის მეფე-მთავართა ჯვაროსნულ ომში დასაყოლიებლად. თუ რა შედეგი გამოიღო ხსენებულმა კონგრესმა მანტუაში, უკვე ვიცით. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ ლუდოვიკომ დაიგვიანა და რომში მაშინ ჩავიდა, როცა კონგრესი დამთავრებული იყო და ამდენად პიუსის თვალში ყოველგვარი ინტერესი და მნიშვნელობა დაჰკარგა. მაგრამ ეს მოგვიანებით მოხდა, ჯერჯერობით კი მანტუას ყრილობის შედეგებზე შეეჩერდეთ.

მანტუაში განცდილი ფიასკოს შემდეგ გაწბილებული პაპი უკან გაბრუნდა და გზაში თავის მშობლიურ ქალაქსა და ყოფილ ეპარქიაში— სიენაში შეჩერდა. აქ მის წინაშე წარსდგა ანტიოქიის საპატრიარქოს არქიდიაკონი, სირიელი აზნაური მოზეს გილბეტი, კაცი ფრიად განსწავლული აღმოსავლურ ლიტერატურაში. იგი ჩამოსულა იერუსალიმის, ანტიოქიისა და ალექსანდრიის მართლმადიდებელი პატრიარქების სახელით, აგრეთვე ყარამანიის ბატონ იბრაჰიმ ბეგისა და აღმოსავლეთის სხვა მმართველების სახელით. ისინი პაპს თხოვდნენ თურქთა უღლისაგან განთავისუფლებას, რის საფასურადაც თანხმობას აცხადებდნენ ფერარა-ფლორენციის უნიის პირობებზე. 1460 წლის 21 აპრილს შეადგინეს აქტი, რომლის ძალითაც მათ პაპის ქვეშევრდომობა მიიღეს. ეს საბუთი ინახება პაპების საიდუმლო არქივში პატრიარქებისა და ხელმწიფეების წერილებთან ერთად, თარგმნილი ლათინურ ენაზე[32].

პაპი ამით დაკმაყოფილდა და მეტი არაფერი იღონა. მას თურმე ეჰვი შეეპარა წერილების ნამდვილობასა და გილბეტის პიროვნებაში. თუმცაღა არსებობს მისივე 1458 წლის 1 სექტემბრით დათარიღებული წერილი და საშვი მოზეს გილბეტისათვის, ანტიოქიის არქიდიაკონისათვის აღმოსავლეთში სამოგზაუროდ[33]. ამას გარდა, 1459 წლის 16

---

[32] L. Pastor, დასახ. ნაშრომი, გვ. 233—34, Archives secretes des Papes arm. IV, caps. III, n° 1, f° 22; f° 23.

[33] L. Waddingo, დასახ. ნაშრომი, ტ. XIII, გვ. 60, cap. 10; M. L. von Pragenau, Ludwig von Bologna, Patriarch von Antiochien, Mitteiungen des Instituts fur cesterreichische Ceschichtsforschung, XXII Band, Innsbruck, 1901, s. 290.

ოქტომბერს პაპმა წერილი მისწერა იბრაჰიმ ბეგს, ყარამანიის მთავარს, და კოალიციაში მონაწილეობა შესთავაზა[34].

როგორც ვხედავთ, ლუდოვიკო ბოლონიელი პირველი არაა, რომელშიც პიუსს ეჰვი შეეპარა. როგორც ჩანს, ეს ნაცადი ხერხი იყო. მოზეს გილბეტი თავად პიუსის მიერ აღმოსავლეთში მივლენილი წარმატებას აღწევს, კათოლიკობის მიღებაზე თანხმდება მაჰმადიანი იბრაჰიმიც, მაგრამ პიუსი მათ არ ენდობა... უნდა ვიფიქროთ, რომ პიუსის ამგვარ განწყობილებას ამინდი მანტუას კონგრესის კრახმა შეუქმნა.

ახლა კი ყურადღება ისევ ბოლონიელ ბერს მივაპყროთ. სამწუხაროდ, არც ერთი ქართული წყარო მისი საქართველოში მოღვაწეობის შესახებ არ მოგვეპოვება; ასე რომ, ამის თაობაზე არაფრის თქმა არ შეგვიძლია, თუმცა ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება: კერძოდ 1457—61 წლებში საქართველოს ისტორიაში არ არის ფიქსირებული არც ერთი შინა ბრძოლა, რაც იმ ეპოქაში საკმაოდ მრავლად ხდებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს დროებითი მშვიდობა უკვე დაშლის გზაზე დამდგარ ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის სწორედ ლუდოვიკოს მისიასთან დაკავშირებით ქართველ მოღვაწეთა შეთანხმების შედეგი უნდა იყოს. როგორც ჩანს, ლუდოვიკო ჩვენში საკმაოდ შეყოვნებულა, ვინაიდან იტალიის გზას დაახლოებით 1460 წლის დასაწყისში დაადგა. ლუდოვიკო იტალიიდან 1458 წლის ბოლოსათვის გამოვიდა და როგორც ვხედავთ, ერთ წელზე მეტი დაჰყო საქართველოში. ეს იმაზე მიგვითითებს, რომ მას ჭეშმარიტად საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მეფესა და განდგომილ მთავრებთან. მათ დაზავებასა და შეკავშირებასაც ხომ დრო უნდოდა...

ამრიგად, ლუდოვიკო ბოლონიელი საქართველოდან 1460 წლის დამდეგს გავიდა და გეზი დასავლეთისაკენ აიღო. თან წაიყვანა საქართველოს მეფის, ყვარყვარე ათაბაგის, ტრაპიზონის კეისრის, უზუნ-ჰასანისა და კილიკიის სომხეთის ხელმწიფის ელჩები.

მათი მარშრუტი ასეთი იყო: გაიარეს კოლხეთი, „სკვითების ქვეყანა", დონისა და დუნაის გავლით ჩავიდნენ უნგრეთში[35], სადაც ისინი მიუღია უნგრეთის მეფეს, ზემოთ დასახელებული იანოშ ჰუნიადის ვაჟს — მატიაშ კორვინს. უნგრეთის წარმომადგენლებს ჯერ კიდევ მანტუაში განუცხადეს, რომ ქართველები ჯვაროსნულ ომში დიდძალი ლაშქრით აპირებენ მონაწილეობის მიღებასო. ამით აღფრთოვანებულ უნგრეთის მეფეს 40 000 კაცის გამოყვანა უკისრია[36].

---

[34] J. W. Zinkeisen. დასახ. ნაშრომი, გვ. 343—344.

[35] ელჩების მაშრუტი იხ. Pius II. The Commentaries, p. 182.

[36] ლ. ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, თბ., 1980, გვ. 21.

უნგრეთიდან ლუდოვიკო და მისი მხლებლები გერმანიისაკენ დაიძრნენ და 1460 წლის ოქტომბერში ვენაში რომის საღვთო იმპერიის იმპერატორის ფრიდრიხ III-ის (1452—1493) წინაშე წარსდგნენ.

გ. ფოიგტი აღნიშნავს, რომ ელჩებს 150 000-ანი არმია უთხოვიათ. იმპერატორი დათანხმებულა, რომ თურქებთან ომში ძლიერ ჯარს გამოიყვანდა. აუდიენციის დროს გასაოცარი ამბავი მომხდარა: „სპარსი ელჩი" (აქ გიორგი VIII-ის დესპანი იგულისხმება) დაიხარა და უნდოდა იმპერატორისათვის ფეხზე ეკოცნა; როდესაც განცვიფრებულმა ფრიდრიხ III-მ იგი წამოაყენა, ელჩმა განაცხადა, რომ ეს მათი წესია და სხვაგვარად თავის ბატონს ვერ დაენახვებოდა[37].

ეს მართლაც საოცარი ფაქტია. რამდენადაც ვიცით, ქართველებს წესად არასოდეს ჰქონიათ მეფისათვის ფეხზე ამბორი. ეს უფრო უზუნ-ჰასანის წარმომადგენლისათვის იქნებოდა დამახასიათებელი. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, „სპარსი ელჩი" — ქართველთა მეფის გიორგი VIII-ის ელჩია. ამდენად ამ გარემოებას, თუ აქ რაიმე უზუსტობა არ არის, ერთი ახსნა შეგვიძლია მოვუძებნოთ.

რომის საღვთო იმპერიის იმპერატორები მსოფლიოს მპყრობელებად და ევროპის სიუზერენებად ითვლებოდნენ. ადრეულ შუა საუკუნეებში მათი სიუზერენიტეტი პრაქტიკულად ხორციელდებოდა (იმპერატორს შეეძლო ევროპის ნებისმიერი მონარქიისათვის გვირგვინის დადგმაც და წართმევაც), XV საუკუნისათვის კი ეს მხოლოდ ფორმალურ ინსტიტუტს წარმოადგენდა. „გერმანელი ერის" იმპერატორებს ძველი რომის კეისრებისაგან სახელთან ერთად (caesar-იდან, გერმანული kaiser) მრავალი ტრადიციაც ჰქონდათ ნასესხები; მათ შორის ისეთი ცერემონიალი, როგორიც იმპერატორისათვის ფეხზე კოცნა იყო. ვფიქრობთ, რომ „სპარსი ელჩის" ამგვარი მოქმედების მიზეზი სწორედ აქ უნდა ვეძებოთ.

ამასთანავე, „სპარს ელჩს" ახასიათებენ, როგორც „ლამაზი", მაგრამ მოძველებული მანერების მქონეს". არაა ვასაკვირი, საქართველოში არ სცოდნოდათ, რომ ამგვარი ტრადიციები ევროპაში დიდი ხანია მივიწყებული ჰქონდათ. ამით შეიძლება აიხსნას ფრიდრიხის გაოცებაც. მაგრამ აქვე იბადება კითხვა, თუ რატომ მოიქცა ასე გიორგი VIII-ის ელჩი, თანაც განუცხადებია, რომ ეს მათი წესი იყო. ამ ფაქტის გარკვევაში ერთი გარემოება დაგვეხმარება. ინგლის-საფრანგეთის ასწლიანი ომის დაწყებისას, როდესაც ინგლისის მეფემ ედუარდ III-მ საფრანგეთის ტახტზე პრეტენზია გამოაცხადა, იგი ჩავიდა იმპერატორ ლუდოვიკო IV ბავარიელთან და სთხოვა მისთვის საფრანგეთის ტახტი დაემტკიცებინა. ლუდოვიკომ დაკმაყოფილა მისი თხოვ-

---

37 G. Voigt, დასახ. ნაშრომი, გვ. 646.

ნა, მაგრამ სამაგიეროდ მოსთხოვა ფეხზე ეკოცნა. აი, უაღრესად საყურადღებოა პასუხი, რომელიც მას ედუარდ III-მ გასცა: „ინგლისის მეფე მირონცხებული მონარქია და ამიტომ არ ემორჩილება იმპერატორს ისეთ დონეზე, როგორც არამირონცხებული“[38].

როგორც ვხედავთ, თვით ევროპის მეფეებიც კი ყოფილან ვალდებულნი იმპერატორისათვის ფეხზე ეკოცნათ. ამრიგად, ქართველი ელჩის ეს მოქმედება იმაზე მიგვანიშნებს, რომ მას სურდა ხაზი გაესვა იმპერატორის უზენაესობისათვის და შეესრულებინა მისი მოვალეობა „domini mundi“-ს წინაშე.

ელჩების ვენაში ყოფნის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცით. ვიცით მხოლოდ ის, რომ 1460 წელს, 17 ოქტომბერს იმპერატორმა მათი თანდასწრებით შეადგინა წერილები „სპარსთა მეფესა“ და ყვარყვარე ქართველთან:

1460 წლის ოქტომბრის 17— იმპერატორ ფრიდრიხ III-ის წერილი მეფე გიორგი VIII-სადმი ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

17 ოქტომბერი 1460

ფრიდრიხი და ა. შ. უგანათლებულეს ხელმწიფეს, გიორგის, ალექსანდრეს ძეს, სპარსეთისა და სხვათა მეფეს, ჩვენს უძვირფასეს მეგობარს სალამსა და განუწყვეტლივ მზარდი სიყვარულის გრძნობას უძღვნის.

უგანათლებულესო ხელმწიფევ, უძვირფასესო მეგობარო!

თქვენი მოციქული, გამოჩენილი ნიკოლოზ თბილელი (Nicola de Thyfflisus) წრფელი სიხარულით ვიხილეთ და ყურადღებითაც ეუსმინეთ მას, ვინაიდან თქვენი მხრივ დაწესებული მისი ელჩობა ჩვენთან თქვენი საბოძვარითურთ, რომელსაც რომის წმინდა ეკლესიასა და მორწმუნე ქრისტიანთ დახმარების ნიშნად უძღვნით მძვინვარე მტრის— თურქის წინააღმდეგ, დამსახურებულად იმედით მოსავს ჩვენს რწმენასა და ქრისტიან ხალხს. მეტად სასიამოვნოა ამდაგვარი ფრიად სასარგებლო შემწეობანი აღმოსავლეთის ერისაგან სამოციქულო სავანისა და საკრებულოსადმი ჩვენი უწმინდესი პაპის ელჩთა, სხვა კათოლიკურ სამეფოთა და წმინდა საგამგებლოს წარმომადგენელთა თანდასწრებით: იგი ხელს შეუწყობს განზრახული საეკლესიო და საერო ლაშქრობის მოწყობას თურქთა წინააღმდეგ. უჭვიც არ გვეპარება, რომ სხვა ერთგულნი და აღთქმის დამდები ქრისტიანები აღდგებიან ჩვენი რწმენის

---

[38] Таубе М. История зарождения современного международного права, СПб., 1894, с. 187.

დასაცავად, მტრის დასამარცხებლადა და გასაძევებლად. კონსტანტინოპოლის უბედურების დღიდან მოყოლებული ჩვენ ზრუნვითა და პატრონობით ერთგულად ვუწყობთ ხელს ძლიერი მხედრობის შექმნას ქრისტიანი ხალხის გასამარჯვებლად. შრომითა და ღვთის შეწევნით სამოციქულო ადგილის, თქვენი და სხვათა დახმარებით მუდამ ვიზრუნებთ იმისათვის, რაც ქრისტიან მეფეთ უნდა შეასრულონ თავისი ძალებით.

დაე, მფარველობა გაეწიოს თქვენს სანაქებო წარმოწყებას, იზარდოს და აღსრულდეს იგი ჩვენი ქრისტიანობის სანუგეშოდ.

შედგენილია ვენას, 17 ოქტომბერს 60.

როგორც ჩანს, ანალოგიური წერილი ფრიდრიხ III-ს ყვარყვარე ათაბაგის მისამართითაც მოუმზადებია, ვინაიდან იმავე გვერდზე ვკითხულობთ: ბრწყინვალე ყვარყვარე ქართველს... ჩვენთვის (ან ჩვენგან) (duci nobis sincere dilecto) გულრწფელად რჩეულ წინამძღოლს.

იმავე დროს იმპერატორმა შეადგინა ეპისტოლე პაპის სახელზეც და როგორც ჩანს, იგი ლუდოვიკოსა და მის მხლებლებს გაატანა.

1460 წელი — პიუს II-სადმი მიწერილი
იმპერატორ ფრიდრიხ III-ის წერილის ფრაგმენტი

უნეტარესო მამაო, უფალო თაყვანსაცემო! ელჩნი ანუ მოციქულნი წარჩინებულთა, სპარსთა მეფისა და საქართველოს მთავრისა — ღვთისნიერი ძმის ლუდოვიკო ბოლონიელის — მცირე ძმათა ორდენის წმინდა მამის — სანდო პირის მეშვეობით გულთბილად მივიღეთ არამარტო საქმის სიახლის გამო, არამედ კათოლიკური რწმენისათვის მეტად სასარგებლო და მარჯვე შემთხვევისათვის, რაც მათ, ღვთის რწმენით გახარებულებს, არცთუ მცირე შეწევნად მოაქვთ. ამის გამო ბევრითად გთხოვთ, რამდენი ელჩი, ანუ მოციქულიც კი იქნება, ლუდოვიკოს მეშვეობით მიიღოთ, რომელიც თავის საქმეს ერთგულად ასრულებს. იგი უნდა ეცადოს, რათა არ დაკარგოს ამ ელჩთა ღვაწლი, რომლებიც განუწყვეტელ აღთქმას დებენ და ნუგეშს წმინდა ღვთისმშობლის ეკლესიის მეშვეობით პოულობენ... (დანარჩენი აკლია)[39].

---

39 ზემოთ ხსენებული დოკუმენტები, შედგენილი ლათინურ ენაზე, დაცულია ავსტრიის ფინანსთა სამინისტროს არქივში, D. 43, fol. 141. გამოქვეყნებულია Archiv für Kunde osterreichischer Geschichts-Quellen, Bd. XI, Wien, 1853. გვ. 156. წერილების ქართული თარგმანი შესრულებულია თსუ კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გაძგის, პროფესორ აკაკი ურუშაძის მიერ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

როგორც აღნიშნული დოკუმენტებიდან ჩანს, ფრიდრიხი საკმაოდ სერიოზულად ეკიდებოდა ლუდოვიკო ბოლონიელსა და მის მიერ ჩაყვანილ ელჩებსაც. გიორგი მეფის დესპანს ზეპირი მოხსენება გაუკეთებია იმპერატორისათვის და ქართველთა მეფის წერილი არ გადაუცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა ვიფიქროთ, ფრიდრიხი ამას უყურადღებოდ არ დატოვებდა. გარკვეულად ჩვენ იმის აღდგენაც შეგვიძლია, თუ კერძოდ. რა უთქვამს ნიკოლოზ თბილელს იმპერატორისათვის. როგორც ჩანს, ლაპარაკი ყოფილა ქართველთა მიერ კათოლიკური სარწმუნოების მიღებაზე. დაბოლოს, ყურადღებას იპყრობს მინაწერი, სადაც ყვარყვარე არის ხსენებული. აქ დიდი ათაბაგი „გულწრფელად რჩეულ წინამძღოლად“ იხსენიება, რაც ჩვენის აზრით, იმაზე მიგვითითებს, რომ იმპერატორი ინფორმირებული იყო ყვარყვარეს სურვილის შესახებ ყოფილიყო აღმოსავლეთის ქრისტიანთა გაერთიანებული ლაშქრის „ადმირალი“ და ისიც თავის წერილში მას ოფიციალურად წინამძღოლის ტიტულით მიმართავს.

ვენიდან ელჩები ვენეციაში ჩასულან, სადაც სენატმა ისინი დიდის პატივით მიიღო. ამის თაობაზე პაპი წერს: „ამან გამოიწვია ის, რომ ისინი შემდგომში ნამდვილ ელჩებად მიიღეს. ვინაიდან ვენეციას საკუთრო ურთიერთობა ჰქონდა აღმოსავლეთთან“[40]. ე. ი. აღმოსავლეთთან ურთიერთობაში გამოცდილ ვენეციელებს მათში აღმოსავლეთის ჭეშმარიტი შვილები შეუცნიათ და მათი ამ „რეკომენდაციით“ შემდეგ იხელმძღვანელა პაპმაც. არ გავაზვიადებთ თუ ვიტყვით, რომ ამ შემთხვევაში პიუსი თითქოსდა ცდილობს თავი გაიმართლოს და მთელი პასუხისმგებლობა ვენეციის სენატს დააკისროს...

ელჩების ვენეციაში ყოფნის შესახებ არაფერი ვიცით გარდა იმისა, რომ „ქართველმა ელჩმა“, ე. ი. ყვარყვარეს წარგზავნილმა ვენეციის დოჟს თავისი პატრონის ეპისტოლე გადასცა. ეს უაღრესად საინტერესო დოკუმენტი საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის ჯერ კიდევ უცნობია და ამიტომ მიზანშეწონილად ვთვლით სრულად მოვიყვანოთ მისი ტექსტი[41].

1460 წ. — საქართველოს მთავრის (ჰერცოგის) წერილი ვენეციის დოჟს, თურქების წინააღმდეგ ლაშქრობის მოწყობის შესახებ

---

[40] P i u s, II. The Commentaries, p. 182.

[41] B. B u g h e t t i, დასახ. ნაშრომი. გვ. 130—131. დედანი ინახება მილანის არქივში, Archivo di Stato di Milano (-ASM), Archivo Sforzesco, Venezia, cart 352. წერილს არა აქვს თარიღი და თარგმნილია იტალიურად. ყვარყვარეს ეს წერილი, როგორც ჩანს, ვენეციის დოჟის ეპისტოლეს პასუხი უნდა იყოს. ვინაიდან ამ უკანას-

უბრწყინვალეს და უგანათლებულეს ხელმწიფეს პასხალიუს მალი-პიეროს, ვენეციის ჰერცოგს და სხვ. მე, ყვარყვარემ, საქართველოში ქარციხეს ჰერცოგმა, ამას წინათ პაპის წერილი მივიღე მისი ელჩის, ძმა ლუდოვიკო ბოლონიელის ხელით, სადაც ნათქვამია, რომ პაპი თქვენთან: ფრანკებთანა და ლათინებთან ერთად ჩავიდა ქალაქ მანტუაში, რათა მოგეთათბიროთ ჩვენი სარწმუნოებისათვის ღირსეულ და სასარგებლო საქმეზე, რომელიც ურწმუნოთა გასანადგურებლად არის მიმართული. ამან მე და ჩემი ბარონები ძალზე გაგვახარა და რათა თქვენთან შევთანხმდე და შევიტყო, თუ რა მოიმოქმედეთ და რაზე შეთანხმდით ამ კრებაზე, მე ვაგზავნი ჩემს მოციქულს თქვენს ბრწყინვალებასთან და პაპთან რომში.

ამისათვის გთხოვთ, კეთილი ინებოთ და შემატყობინოთ, თუ რა ღონეს ხმარობთ კონსტანტინოპოლის დასაბრუნებლად, რათა მე ჩემის მხრივ, ჩემი ვალის მოხდა შევძლო. დაე, ცნობილი იყოს თქვენი ბრწყინვალებისათვის, რომ მე შევურიგდი მეფე გიორგის, განსვენებულ ალექსანდრეს შვილს, ბაგრატს საქართველოში ქუთაისის მეფეს და ბედიანს, ხანს ლიპარიტს (de la Chan de li Partia), მთელი სამეგრელოს ბატონს — ხსენებული ელჩის, ძმა ლუდოვიკო და ბოლონიას სიტყვით, რომელმაც პაპის მითითება გადმომცა.

დაე, ასევე ცნობილი იყოს თქვენი ბრწყინვალებისათვის, რომ ჩვენ, აქაურმა მაცხოვრებელმა ყველა ქრისტიანმა ხელშეკრულება დავდეთ ურწმუნოთა წინააღმდეგ მთელი ჩვენი ძალების ერთობლივი გამოყენების შესახებ. როდესაც თქვენი ბრწყინვალება და პაპი შეგვატყობინებენ დროს, დღესა და საათს გალაშქრებისათვის. ჩვენ მზადა ვართ და შეგვიძლია თქვენი ნებისმიერი ბრძანება ავასრულოთ, რასაც თქვენ ელჩების მეშვეობით შეგვატყობინებთ.

დაე, ცნობილი იყოს თქვენი ბრწყინვალებისათვის, რომ ჩვენ გთავაზობთ შემდეგს: მე, ყვარყვარე, გამოვიყვან 20 000 კაცს მეტწილად ცხენოსანს, მეფე გიორგი პირობას იძლევა 40 000 კაცისა გურულებთანა (guglie) და აფხაზებთან (avogasti) ერთად, რომელნიც სამართლიანად ითვლებიან მის ქვეშევრდომებად და ამჯერად კი იკისრეს მასთან ერთად ურწმუნოთა წინააღმდეგ გაელაშქრათ. ბედიანი, სამეგრელოს ბატონი, ქუთაისის მეფე ბაგრატთან ერთად პირობას დებენ გამოიყვანონ იმდენივე ჯარისკაცი, როგორც მეფე გიორგი, ძე ალექსანდრესი. იმპერატორი ტრაპეზუნდისა, მისი სიძე უზუნ-ჰასანი და ბერდებეკ არმენიელი დამოყვრდნენ და შეგვპირდნენ მოგვცენ გზა ხმე-

---

კნელს ლუდოვიკო ბოლონიელისათვის აზრის ქრისტიან მთავრებთან წერილები გაუტანია. იხ. N. Yorga, Geschichte des Osmanischen Reiches, Gotha, 1909, s. 97.

ლეთსა და ზღვაზე და მთელი თავიანთი ძალებით ჩვენთან ერთად მათი მტრების — ოტომანი თურქების წინააღმდეგ გამოვიდნენ.

ასე რომ, ღმერთის წყალობით ვიმედოვნებთ დავიპყროთ ანატოლია, თქვენ ბრწყინვალებას კი გთხოვთ, კეთილი ინებოთ და მთელი ძალები კონსტანტინოპოლის აღებას მოახმაროთ.

გაახლებთ ჩემს ელჩს, რომელიც მოგითხრობთ იმ საქმეებზე, რომლებიც ჩვენ ზემოხსენებული პაპის ელჩთან ერთად მოვიმოქმედეთ.

ამით ყველაფერი. დაე, გწყალობდეთ უფალი.

დაიწერა ქარციხეს და გამოგეგზავნათ თქვენ.

როგორც ვნახეთ, ეს დოკუმენტი უაღრესად საინტერესოა საქართველოს ისტორიისათვის. ჯერ ერთი ის, რომ მასში ცოტათი განსხვავებული რიცხვებია მოცემული აღმოსავლეთის ლაშქრისა, ვიდრე სხვა ცნობილ წყაროებში, მათ შორის ყვარყვარეს წერილში ბურგუნდიის ჰერცოგისადმი; მეორე ის, რომ აქ ჩანს იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური დაქსაქსულობაც, რაც საბოლოოდ 1490 წელს დაკანონდა. აქედანვე გამომდინარე შეიძლება შევაფასოთ ანტიოსმალური კოალიციის მნიშვნელობა საქართველოსათვის, რაც წარმატების შემთხვევაში საქართველოს გაერთიანების ერთადერთი რეალური საშუალება იყო.

რასაკვირველია, ეს წერილიც შეიძლება ლუდოვიკოს მიერ შეთხზულად და ფალსიფიცირებულად მივიჩნიოთ, მაგრამ ყოველივე ზემოთქმულის გარდა მხედველობაში გვაქვს ბოლონიელის ადრინდელი ურთიერთობა ათაბაგთან, ის გარემოება, რომ იგი განსხვავდება სხვა, პაპის არქივში დაცული დოკუმენტებისაგან, ამ მოსაზრებას გამორიცხავს.

ვენეციიდან ელჩები ფლორენციისაკენ გამგზავრებულან, სადაც 14 დეკემბერს ქალაქის საბჭოს წინაშე აუდიენცია მიიღეს. ჩვენს ხელთ არის ის ფლორენციული დოკუმენტები, სადაც აისახა ლუდოვიკო ბოლონიელისა და მისი ამალის ფლორენციაში ყოფნა[42].

„აღნიშნულ დღეს ფლორენციის სენატის წინაშე წარსდგნენ ტრაპიზონის კეისრის, დიდი სომხეთის მეფის (აქ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, საქართველოს მეფე გიორგი VIII იგულისხმება — დ.პ.) და საქართველოში ქარციხის მთავრის ელჩები ძმა ლუდოვიკო ბოლონიელთან ერთად. ტრაპიზონის კეისრის ელჩმა მიქაელ ალიგიერიმ სენატს ჯერ სარეკომენდაციო წერილი გადასცა, შემდეგ კი ვრცელი მოხსენება გაუ-

---

[42] G. Müller. Documenti sulle relazioni della citta Toscane coll' Oriente cristiano e coi turchi fino all'anno MD XXXI, Firenze, 1879, p. 185, 188—189.

კეთა. მიქაელ ალიგიერი ლათინურად ლაპარაკობდა. მან მოუთხრო ფლორენციელებს ლუდოვიკოს მოღვაწეობაზე აღმოსავლეთში. ლუდოვიკოს შეუკავშირებია აღმოსავლეთის მმართველები. ზოგი მათგანი, მართალია, მტრობდა ერთმანეთს, მაგრამ პაპის ავტორიტეტითა და ლუდოვიკოს მითითებით დაზავებულან და ხელშეკრულება დაუდვიათ, რომელსაც შეუერთდა ვინმე ძლევამოსილი თურქი, მთიანი ოლქის მფლობელი და დიდი თურქის დაუძინებელი მტერი. მათ სურთ დაიწყონ ომი, მაგრამ ეს საქმე გადასდეს იქამდე, სანამ არ მიავლენდნენ ელჩებს პაპთან და დასავლეთის სხვა მმართველებთან. დიდი თურქის მტერი, ძლევამოსილი თურქი მიემხრო კავშირს თავის მოწინააღმდეგე ქრისტიანებთან იმის გამო, რათა მათ შფოთს ხელი არ შეეშალა ასეთი დიდი საქმისათვის"[43].

დაახლოებით ასე ჟღერდა ტრაპიზონელი ელჩის მოხსენება. ასეთივე ხასიათის სიტყვები სხვა ელჩებსაც წარმოუთქვამთ.

როგორც ვხედავთ, სავსებით რეალური სურათია. ძლევამოსილი თურქი — უზუნ-ჰასანი, ხოლო დიდი თურქი — ოსმალეთის სულთანი. საინტერესო განცხადებაა, რომ უზუნ-ჰასანი ქართველთა ხელშეკრულებას შეუერთდა იმის გამო, რომ კავშირი უფრო მყარი ყოფილიყო. ჩვენ არაფერი ვიცით ამ ხელშეკრულების შესახებ და არა იმიტომ, რომ იგი არ დადებულა, არამედ იმ სავალალო მიზეზით, რის გამოც არ დაგვრჩა არც ერთი რაიმე პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტი იმ დროისა. პირიქით, საქართველოს იმდროინდელი ისტორიის აღდგენას სწორედ ევროპული წყაროების იმედით ვაპირებთ, ჩვენ კი გვეუბნებიან, რომ ისინი ყალბია და თაღლითების მიერაა შეთხზული. რაც არ უნდა თაღლითი და გაიძვერა ყოფილიყო ალიგიერი (რაც, თავის მხრივ, დიდი კითხვის ნიშნის ქვეშა დგას), მას კარგად უნდა სცოდნოდა საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა, ვინაიდან თაღლითები ხშირ შემთხვევაში იძულებულნი არიან სიმართლე ლაპარაკონ, რათა დამალონ თავიანთი სახე. ფლორენციელები აღმოსავლეთთან საკმაოდ მჭიდრო ეკონომიკურ კავშირში იყვნენ, ამიტომაც ადვილად შეეძლოთ ყოველგვარი სიცრუის მხილება. ასე რომ, ალიგიერის ეს სიტყვები სავსებით სანდოდ უნდა ჩავთვალოთ. დაბოლოს, ჩვენთვის ხომ საკმაოდ კარგად არის ცნობილი ის გავლენა, რაც ქართველ პოლიტიკოსებზე ყოველთვის ჰქონდა ე. წ. „უცხო ნათესავს", „უცხო თესლს". ამრიგად, უზუნ-ჰასანის „ავტორიტეტული" ჩარევა ქართველ მეფე-მთავართა დროებით და არამყარ ზავში სარწმუნოდ მიგვაჩნია.

---

[43] G. Müller, დასახ. ნაშრომი, გვ. 188.

მაგრამ მივყვეთ მოვლენათა სვლას. სენატს ელჩების თხოვნაზე, ომში ჩაბმულიყვნენ, თანხმობა განუცხადებია. ფლორენციელი სენიორები არავისთან ომობდნენ იმჟამად: ამიტომაც ძალ-ღონეს არ დაიშურებდნენ, რომ მოქცეულიყვნენ ისე, როგორც ეს რესპუბლიკას შეჰფერის.

მეორე დღეს ფლორენციელებმა აღნიშნულ მთავრებთან წერილების ტექსტი შეადგინეს.

ა) ტრაპიზონის იმპერატორს

უდიდესი სიხარულით მოვისმინეთ თქვენი ელჩის მოხსენება, რომელიც გამოგზავნილ იქნა იმ მეფისა და ხელმწიფის მიერ, რომელსაც ყველა ქრისტიანი უნდა ეთაყვანოს და უყვარდეს მისი სიმამაცისა და უდიდესი მონდომების გამო ქრისტიანების ხსნის საქმეში; და ვინაიდან მან მოგვიწოდა ქრისტიანული სარწმუნოების, რომელსაც ჩვენ ყოველთვის დიდი სიბეჯითით ვიცავთ, ხსნისა და დიდებისაკენ, ჩვენ უზენაეს პონტიფიკოსსა და სხვა ქრისტიან ხელმწიფეებთან ერთად არ დავაყოვნებთ მონაწილეობის მიღებას ასეთ აღსანიშნავსა და მხსნელ საქმეში, რომელიც კათოლიკური სარწმუნოების ასამაღლებლადაა მიმართული. ამიტომ, თქვენო უდიდებულესობავ, გულითად მადლობას გიძღვნით თქვენი ელჩის მეშვეობით შემოთავაზებული მეგობრობისა და თქვენს სამეფოში კეთილად მიღების პირობის გამო.

15. დეკემბერი, 1460;

ბ) დიდი სომხეთის მეფეს იგივე ხასიათისა და შინაარსის წერილი[44].

გ) საქართველოში ქარციხის ბატონს

ქებათა ქებას გიძღვნით, თქვენო აღმატებულებავ. თქვენი ელჩისაგან შევიტყვეთ, რომ თქვენ შეუთანხმდით სხვა აღმოსავლეთელ ქრისტიანებს, რათა გაილაშქროთ ქრისტეს სახელის გადასარჩენად და სადიდებლად. ასევე უდიდეს მადლობას გწირავთ იგივე ელჩის მეშვეობით დიდსულოვნად შემოთავაზებული მეგობრობისათვის, რომლის ღირსადაც გვყოფთ.

აღნიშნული თვის 15[45].

ეს დოკუმენტები ინახება ფლორენციის არქივში და რა თქმა უნდა. ოფიციალური წერილების პროექტებს წარმოადგენენ.

---

44 როგორც ჩანს, მიულერმა არა სცნო საჭიროდ ამ წერილის ტექსტის მოყვანა.

45 წერილები გამოქვეყნებული აქვს მიულერს. იხ. G. Muller, დასახ. ნაშრომი, გვ. 189.

იმავე დღეს ფლორენციელებმა ერთი წერილი კიდევ შეადგინეს. იგი პაპის მისამართით იყო: „ჩვენს ქალაქში ჩამოვიდნენ აღმოსავლეთელი ადამიანები, რომლებიც თავს უწოდებენ თავიანთი მეფეების ელჩებს თქვენს უწმინდესობასთან. მათთან ერთად არის ორი სასულიერო პირი (ლუდოვიკოს თანამგზავრი ყოფილა ზემოთ ხსენებული ბარტოლომეო ფულგინეო — დ. პ.)[46], წმინდა ფრანჩესკოს ორდენიდან. მათმა მხლებლებმა გვთხოვეს სარეკომენდაციო წერილი თქვენს უწმინდესობასთან. ჩვენ მათ რეკომენდაციას ვუწევთ, როგორც ღირსეულ და შესანიშნავ ადამიანებს, თუმცაღა რეკომენდაციას ისინი სრულებითაც არ საჭიროებენ"[47].

ამრიგად, ფლორენციის სენატმა ლუდოვიკოს ამალას მაღალი შეფასება მისცა. როგორც ვხედავთ, აქაც ისევე, როგორც ფრიდრიხის წერილში, პაპისადმი არაფერია ნათქვამი მათ თაღლითობაზე; იმაზე, რომ ისინი ფულს თხოულობდნენ, თუ სხვა სახის დამამცირებელ ნაბიჯებს დგამდნენ; პირიქით, ისინი არიან „ღირსეული და შესანიშნავი ადამიანები", რომლებიც „არავითარ რეკომენდაციას არ საჭიროებენ".

ყოველივე ამის შემდეგ ლუდოვიკომ სტუმრები რომის გზას გაუყენა. 1460 წლის 20 დეკემბერს ისინი „სამარადისო ქალაქში" შეეიდნენ.

„ელჩები თავიანთი ჩაცმულობითა და მანერებით იმდენად საოცრად გამოიყურებოდნენ, რომ ყველა მათზე ხელით უთითებდა, ხოლო ბავშვების დიდი ჯგრო კი უკან მისდევდა ყიჟინით"[48] — ასე გვიხატავს მათ რომში ჩასვლას პაპი პიუს II. 26 დეკემბერს, ღამით, კათოლიკური დღესასწაულის დროს, პაპმა ისინი ღია კონსისტორიუმში მიიღო.

რომში ელჩობა შემდეგი შემადგენლობით ჩავიდა:

„დავითმა, ტრაპიზონის იმპერატორმა — მიქაელ ალიგიერი (გამოგზავნა);

გიორგიმ, ალექსანდრეს შვილმა, სპარსეთის, დიდი სომხეთისა და მცირე იბერიის მეფემ — ნიკოლოზ თბილელი;

ჰასანმა, იმპერატორის სიძემ, მესოპოტამიის მეფემ, ქრისტიანთა მეგობარმა, მაგრამ არაქრისტიანმა, რომლის მამა იყო ყარაიულუქ თურქმანი — მაჰმუდ თურქმანი;

გორგორამ, დიდი იბერიის ჰერცოგმა, გაზაბეკის შვილმა — ქალადან ქარციხელი;

---

[46] B. Bughetti, დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

[47] იქვე.

[48] Pius II, The Commentaries, p. 182.

ურთუბეკმა, მცირე სომხეთის მთავარმა — მორატ სომეხი"[49].

პიუსი მოგვითხრობს: „სპარს ელჩს თავი გადაპარსული ჰქონდა გარდა თმის პატარა წრისა, ჩვენი ბერების მსგავსად; მესოპოტამიელს იგივე, მხოლოდ თავის კორტოხზე თმის პატარა ბუჩქი ჰქონდა დატოვებული, ისე როგორც, თვით მათივე სიტყვით, წარმართი ქურუმები ატარებდნენ ხოლმე ქუდებზე... აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი მათგანი დღეში 20 ფუტ ხორცზე მეტს ჭამდა ხოლმე"[50].

ფოიგტი აზუსტებს ამ მონაცემებს და მოგვითხრობს, რომ 20 ფუტ ხორცს ყვარყვარეს ელჩი შეექცეოდა ხოლმე[51].

ელჩებმა პაპს სიტყვით მიმართეს. ჩვენ აქ ამ სიტყვას მთლიანად არ მოვიყვანთ. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ მათ სცოდნიათ პაპის მანტუაში გამგზავრების ამბავი და ინფორმირებულნი იყვნენ ყრილობის მიზნების შესახებ. ამისათვის აღმოსავლეთში ხსენებულ მეფე-მთავრების გარდა შეკავშირებულან:

„ბენდია (ბედიანი), სამეგრელოს და აფხაზეთის მეფე (Rex);

პანკრატიუსი — იბერთა, რომლებიც ახლა გიორგიანებად იწოდებიან;

მანია, გურიის მარკიზი;

ისმაილი, სინოპისა და კასტემონის მთავარი, რომლის მამა იყო სპედიარი;

ფაბია ან რაბია, ანაკოფიის მთავარი;

ყარამანი, კილიკიის ბატონი"[52].

მათ პაპს 120 000-ანი ლაშქარი შესთავაზეს და ამასთან სთხოვეს, დაემტკიცებინა ლუდოვიკო აღმოსავლეთის კათოლიკეთა პატრიარქად[53].

პაპმა უპასუხა, რომ მანტუაში ძალი და ღონე არ დაუშურებია დასავლეთელთა გასაერთიანებლად, მაგრამ მისი ცდა ამაო გამოდგა. ამისათვის ელჩები თავად უნდა გამგზავრებულიყვნენ საფრანგეთსა და ბურგუნდიაში, ვინაიდან ამ ორი სახელმწიფოს მონაწილეობის გა-

---

49 Pius II, დასახ. ნაშრომი, გვ. 182; L. Waddingo, დასახ. ნაშრომი, გვ. 153.

50 Pius II, დასახ. ნაშრომი, გვ. 182.

51 G. Voigt, დასახ. ნაშრომი, გვ. 645.

52 Pius II, დასახ. ნაშრომი, გვ. 182—183; L. Waddingo, დასახ. ნაშრომი, ტ. XIII, გვ. 153; მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 61—62, შეადარე გვ. 597—598.

53 ასეთი საპატრიარქო იმ დროს ანტიოქიისა იყო, რომელიც, როგორც წესი, ფრანცისკანელთათვის იყო განკუთვნილი.

რეშე თურქებთან ომის წარმოება წარმოუდგენელი იქნებოდა. ელჩები დათანხმებულან, ოღონდ სამგზავრო ფული უთხოვიათ[54].

აი. კიდევ ერთი საბაბი პიუსის „ევვიანობისათვის". ელჩებს მისთვის სამგზავრო ფული უთხოვიათ, „რასაც მხოლოდ მაწანწალები ჩადიან ხოლმე".

ჯერ ერთი, როგორც ვნახეთ, მათ სხვაგან არსად ამგვარი რაიმე არ ჩაუდენიათ, და, როგორც ვნახავთ, საფრანგეთში პირიქით უარიც კი თქვეს ფულზე. „მაწანწალები", რა თქმა უნდა, ამას არ იზამდნენ. ამრიგად, მათ ფული მხოლოდ პაპს სთხოვეს, რაც, თავის მხრივ, კიდეც საკითხავია, მაგრამ ამაში არაფერია საძრახისი. როგორც ვიცით, შუა საუკუნეებში ელჩები და სხვა სახის პოლიტიკური წარმომადგენლები იყვნენ თავიანთი სენიორებისა და შეფების კმაყოფაზე და ეს არავითარ სირცხვილად არ ითვლებოდა.

ამრიგად, პიუსის დაეჭვება ამ ფაქტის გამო სუსტი არგუმენტია ელჩობის ფალსიფიკაციის სასარგებლოდ.

მაგრამ ელჩებს არამარტო სამგზავრო თანხა უთხოვიათ, არამედ, კიდევ ერთხელ ითხოვეს ლუდოვიკოს აღმოსავლეთის კათოლიკეთა პატრიარქად დანიშვნა.

1461 წლის 9 იანვარს პაპმა გამოსცა ბულა, რომლის ძალითაც ლუდოვიკო ბოლონიელი კიდევ ერთხელ დაინიშნა ანტიოქიის პატრიარქად, მაგრამ ამ ბულას ძალა არ ექნებოდა იქამდე. სანამ ლუდოვიკოს დასავლეთის ვოიაჟი წარმატებით არ დაგვირგვინდებოდა და პაპი არ დააზუსტებდა ახალი საპატრიარქოს საზღვრებს[55].

აქამდე თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ პაპის ეს საქციელი მის „დაეჭვებაზე" მეტყველებს. საინტერესოა ამ ბულის პირობები: პირველი — ახალი მისია უეჭველად წარმატებით უნდა დასრულდეს და მეორე — უნდა დადგინდეს საპატრიარქოს საზღვრები; სხვა სიტყვებით, შევლენ თუ არა საქართველოსა და ტრაპიზონის საპატრიარქოები მის შემადგენლობაში, ე. ი. მიიღებენ თუ არა ისინი კათოლიკობას. პაპის თამაში აშკარაა. სურდა რა გაენაღდებინა აღმოსავლეთის ორთოდოქსული ეკლესიის გაკათოლიკება, თავის მხრივ არავითარი ვალდებულებების შესრულება არ უნდოდა, თუმცაღა ასეთი სურვილის არქონას ვერ დავწამებთ; უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ არ შეეძლო. დიახ, მანტუაში საკმაოდ ნათლად გამოჩნდა, რომ დასავლეთის გაერთიანება მეჰმედ II-ის წინააღმდეგ წმინდა წყლის მისტიკა იყო. ამრიგად, პიუს II-მ პასუხისმგებლობა მოიხსნა და მთლიანად ლუდოვიკო ბოლონიელს გადაულოცა. მას უნდა ემო-

---

54 Pius II, დასახ. ნაშრომი, გვ. 183.

55 B. Bughetti, დასახ. ნაშრომი, გვ. 130.

გზაურა, ამჯერად დასავლეთში, ქართველი ელჩების თანხლებით და უნდა გაეკეთებინა ის, რაც ვერ შეძლო თვით პაპმა, ე. ი. შეეკავშირებინა და დაეინტერესებინა ევროპელი ხელისუფალნი. წარმატების შემთხვევაში ანტიოქიის საპატრიარქოს მიიღებდა, ხოლო წარუმატებლობა კი მთლიანად მისი ბრალი იქნებოდა. მეორე მხრივ კი მოლაპარაკებიდან არსაიდან ჩანს, რომ ქართველები ფერარა-ფლორენციის უნიაზე თანხმდებოდნენ. ისინი მხოლოდ „კათოლიკური სარწმუნოების დიდებისათვის" აპირებდნენ ბრძოლას. ამ დიპლომატიური კატა-თაგვობანას შედეგი იყო ასეთი ორაზროვანი ბულის გამოცემა პაპის მიერ. საბოლოოდ, როგორც ვთქვით, ვერც ერთი პირობა ვერ შესრულდა. არც დასავლეთის გაერთიანება მოხერხდა, ვინაიდან ამას „მატყუარა" და „გაიძვერა" ბერი ცდილობდა და არც ქართველებსა და ტრაპიზონელებს მიუღიათ კათოლიკობა, ესეც იმიტომ, რომ „ელჩები ნამდვილები არ იყვნენ". ყოველივე ამის სავალალო შედეგი იყო ქართველ მეფე-მთავართა მიერ ისედაც არამყარი ზავის დარღვევა, რამაც საბოლოოდ ქვეყანა დაშლამდე მიიყვანა.

ამრიგად, როგორც უკვე ვთქვით, შექმნილ ვითარებაში პიუსისათვის თავისი საერთაშორისო პრესტიჟის დასაცავად აღმოსავლეთის ქვეყნების თვალში, რა თქმა უნდა, ყველაზე რაციონალური გამოსავალი ელჩობის უარყოფა იქნებოდა, რაც მან არ დააყოვნა კიდეც. ლუდოვიკო ბოლონიელი „Persona non grata"-დ" გამოაცხადა, ხოლო ელჩობა კი ფალსიფიცირებულად.

მაგრამ პიუს II-ის ყველა „ეჭვს" მისთვის მაინც ხელი არ შეუშლია იმაში, რომ ლუდოვიკოსა და სხვა ელჩებისათვის საკმაოდ კარგი სარეკომენდაციო წერილები მიეცა დასავლეთში სამოგზაუროდ. პაპმა მათ მისცა საშვები და სარეკომენდაციო წერილები ფლორენციის სინიორიასთან, ბურგუნდიის ჰერცოგთან და დასავლეთის სხვა მმართველებთან[56].

ფლორენციის სინიორიას პაპი სწერდა: „...როდესაც ჩვენ ღვთის წყალობით ჩვენს წინამორბედთა ჯაფა და ღვაწლი ვითავეთ და მანტუაში ჩავედით ... იგივე ძმა ლუდოვიკო აღმოსავლეთში გავგზავნეთ, რათა მას იქაური ქრისტიანები თურქთა წინააღმდეგ საბრძოლველად გაეერთიანებინა, თანაც დავაიმედეთ, რომ ჩვენის მხრივ ევროპაში საქმე არ შეფერხდებოდა. გაემგზავრა რა აღმოსავლეთში, ლუდოვიკომ კეთილსინდისიერად შეასრულა ყველაფერი, რაც კი დავაბარეთ. იმისათვის, რომ ჩვენ ჩვენს აპოსტოლურ ტახტზე აღნიშნულ მეფეთა

---

[56] იხ. B. Bughetti, დასახ. ნაშრომი, გვ. 130; G. Müller, დასახ ნაშრომი, გვ. 185; L. Waddingo, დასახ. ნაშრომი, გვ. 155—156. პაპის წერილები დათარიღებულია 1461 წლის 13 იანვრით.

და ხელმწიფეთა სრული მორჩილება უკეთ შეგვეტყო, მან იზრუნა, რომ მასთან ერთად გამოეგზავნათ მოციქულები: მიხეილი — ტრაპიზონის იმპერატორისაგან; ნიკოლოზი — სპარსეთის მეფისაგან; კოსოდამი — საქართველოს ჰერცოგისაგან; მაჰმუდი — მესოპოტამიის სულთნის ასამბეკისაგან; მორატი — არმენიის ბატონ ვერთებეკისაგან. მათ ჩამოგვიტანეს წერილებიც, რომლებიც ჩვენი სურვილების აღსრულებას ასაბუთებენ და გამოხატავენ მათი ხელმწიფეების მზადყოფნას სულთნის დასაღუპავად"...[57]

სამწუხაროდ, პაპის მიერ მიღებული წერილები თვით პაპმა არ შემოგვინახა. მან რატომღაც მიზანშეწონილად ჩათვალა თავისი ლიტერატურული მემკვიდრეობისათვის დაერთო აღნიშნულ მეფე-მთავართა წერილები ბურგუნდიის ჰერცოგისადმი, საკუთარი კორესპონდენცია კი არა...

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხსენებული დოკუმენტებიდან შეგვიძლია დაახლოებით წარმოვიდგინოთ, თუ რაზე იყო ლაპარაკი პაპისადმი განკუთვნილ წერილებში. შეგვიძლია თამამად დავასკვნათ, რომ ლაპარაკი იყო კათოლიკობის მიღებაზე, თუ არა და რა სურვილი უნდა ჰქონოდა პაპს ოსმალთა დამარცხების გარდა; თანაც აღმოსავლეთის მეფე-მთავართა პაპისადმი სრული მორჩილებაც სხვას არაფერს უნდა ნიშნავდეს.

ელჩებს პაპის ეს წერილი პირადად ჩაუტანიათ ფლორენციაში და განუცხადებიათ, რომ მიუხედავად იმისა, რომ პაპი სიცილიის ომით იყო დაკავებული, იგი აპირებდა გაეკეთებინა უფრო მეტი, ვიდრე ეს მანტუაში ითქვა და თუ საჭირო იქნებოდა, საკუთარი სისხლიც კი დაეღვარა. ელჩების მოწოდებას (კოალიციაში ფლორენციის რესპუბლიკაც შესულიყო) პასუხი გასცა ბრწყინვალე სინიორმა, სამართლის გონფალონიერმა პიეტრო და კოზიმო დე მედიჩიმ: „... ხოლო რაც შეეხება თვით ფლორენციელებს, ისინი ყველაფერს იღონებენ, რასაც კი საჭიროდ მიიჩნევენ თავიანთი ღირსების დასაცავად და ლაშქრობაში მიიღებენ მონაწილეობას სხვა ქრისტიანებთან ერთად, რადგან მხოლოდ მათ არ ძალუძთ ასეთი ომის სიმძიმე აიტანონ; მაგრამ ზუსტი პასუხის გაცემა ამ წუთში შეუძლებელია, ვინაიდან მათ არ შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღება ამ საკითხის ქალაქის საბჭოზე გან-

---

57 G. Müller, დასახ. ნაშრომი, გვ. 185. მიულერი 1460 წლით ათარიღებს ამ წერილს, რაც კალენდრის სხვაობითაა გამოწვეული რომსა და ფლორენციას შორის. ფლორენციაში ახალ წელს გაზაფხულზე ზეიმობდნენ.

ხილვის გარეშე, ხოლო მისი მოწვევა კი ასეთ მოკლე ხანში ძნელია...“[58] ეს მოხდა 3 თებერვალს[59].

ფლორენციის სენატისაგან ესოდენ დაიმედებულნი და სარეკომენდაციო წერილით აღჭურვილნი[60], ელჩები გზას გაუდგნენ.

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ ლუდოვიკო ბოლონიელი და მისი მხლებლები მილანში ჩასულან, სადაც მიღებულ იქნენ ჰერცოგ ფრანჩესკო სფორცას კარზე. ლუდოვიკოს მილანის ჰერცოგზე საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია, და სფორცა აქტიურად შუამდგომლობდა პაპის წინაშე მისი პატრიარქად დანიშვნისა და ხელთდასხმის გამო.

ქვემოთ მოვიყვანთ მონაკვეთებს მილანის ჰერცოგის წერილებიდან. აქედან საკმაოდ კარგად ირკვევა, რომ ლუდოვიკო არ იყო კმაყოფილი 9 იანვრის ბულით და გარკვეული ეჭვებიც კი ჰქონდა.

1461 წლის 13 მარტს ფრანჩესკო სფორცა წერდა თავის ელჩს რომში, ოტონ კარეტოს: „აქ მოვიდა ღირსი ბატონი, ძმა ლუდოვიკო და ბოლონია, ანტიოქიის პატრიარქი, ბატონ პაპის ელჩი, სხვა აღმოსავლეთელ ელჩებთან ერთად. კერძოდ: გრაფი მიხეილი, ტრაპიზონის იმპერატორის ელჩი, ნიკოლო კონსული, სპარსეთის მეფის ელჩი, მაჰუმედი — მესოპოტამიის მეფის ელჩი, კასტოდენი — საქართველოს ჰერცოგის ელჩი და მორატი — მცირე არმენიის ბატონის ელჩი...

...ჩვენ ისინი დიდი სიამოვნებითა და პატივით მივიღეთ, მივუალერსეთ და ვუპასუხეთ, რომ ჩვენის მხრივ უნარი შეგვწევს შევასრულოთ ყველაფერი, რაც კი საჭირო იქნება ამ წმინდა საქმის წამოწყების საკეთილდღეოდ. ყოველივე ამას ძმა ლუდოვიკო მოახსენებს მის უწმინდესობას თავის წერილში და ჩვენც, ჩვენის მხრივ, თავად მივწერთ მის უწმინდესობას. ამ წერილს იხილავთ დანართში, მაგრამ წვრილმანებს არ შევეხებით.

ჩვენ ვთხოვთ მის უწმინდესობას ორი ბულის გამოქვეყნებას ლუდოვიკოსათვის. ერთს პატრიარქობის შესახებ, ხოლო მეორეს კი მისი ხელთდასხმის შესახებ, რათა მან შეძლოს ატაროს მანტია და მისი ღირსების სხვა ნიშნებიც...

...შეეცადეთ არაფერი გამოგრჩეთ, ვინაიდან ჩვენთვის არაფერია ასე სასურველი, რადგანაც ამ ღირსი სასულიერო პირისადმი მისი

---

58 G. Müller, დასახ. ნაშრომი, გვ. 188—189.

59 მიულერს 15 დეკემბრისა და თებერვლის ამბები ერთად მოჰყავს, თუმცა იქაც ჩანს, რომ ელჩები ფლორენციაში მეორედ ჩასულან და ამჯერად კი პაპის შონახულების შემდეგ. ზუსტი თარიღი, 3 თებერვალი დაადგინა ბუგეტიმ. იხ. B. Bughetti, დასახ. ნაშრომი, გვ. 136.

60 B. Bughetti, დასახ. ნაშრომი, გვ. 137.

არაჩვეულებრივი სიქველისა, განათლებისა და ზნის გამო ისეთი სიყვარულით გავიმსჭვალეთ, რომ მამად მივიჩნიეთ... ძმა ლუდოვიკო წერს პაპს იმის შესახებ, რაც ჩვენ მათ ვუპასუხეთ; ვინაიდან მან (ე. ი. პაპმა — დ. პ.) წერილობითი პასუხი გვთხოვა, ჩვენც ასე მოვიქცევით. თქვენ კი გიგზავნით ასლს"[61].

იმავე დღით არის დათარიღებული მილანის ჰერცოგის წერილი კარდინალ სან პეტრო ად ვინკულასთან (ნიკოლოზ კუზანელი), პიროვნებასთან, რომელსაც, როგორც რომის გუბერნატორს, უშუალოდ ეხებოდა პატრიარქობის საკითხები, სადაც ეკითხულობთ: „...და ვინაიდან დიდად დავალებულნი ვართ ბატონ ძმა ლუდოვიკოსაგან, რომელიც გამოირჩევა არაჩვეულებრივი განსწავლულობითა და შეუბღალავი ცხოვრებითა და ზნით. ამასთან ეს დანიშვნა ჩვენი წამოწყების ავტორიტეტის ასამაღლებლად უდავოდ სასარგებლო იქნება. ვინაიდან რაც უფრო დიდი ღირსებითა და წონით გამოვა მორწმუნე ხალხების წინაშე, ქრისტიანობის მტრების, თურქების წინააღმდეგ ბრძოლის წამომწყები, მით უფრო გაუადვილდება მას ამ ხალხების აღფრთოვანება. ამიტომ, უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო უსამღვდელოესობავ, რათა ინებოთ და ამ საქმის სასარგებლოდ გამოხვიდეთ პაპის წინაშე... ვინაიდან ჩვენ გავიმსჭვალეთ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით პატრიარქის მიმართ. ჩვენთვის ძალიან სასიამოვნო იყო მისი ჩამოსვლა აღმოსავლეთელ ელჩებთან ერთად და ჩვენ მათი მოგზაურობის საქმეები გულთან ახლოს მიგვაქვს"[62].

იგივე თხოვნით მიმართავს სფორცა პიუს II-საც იმავე 13 მარტით დათარიღებულ წერილში. თავისი თხოვნის საბოლოო არგუმენტად შემდეგი მოსაზრება მოჰყავს: „...ჩემთვისა და ნებისმიერთათვის, ვინც ამ საქმეში გაერკვევა, ცხადი გახდება, რომ ასეთი ბულები სასარგებლოა და საჭირო წამოწყების წარმატებისათვის, რათა ქრისტიანი ხელმწიფეები და ხალხები წმინდა ლაშქრობისადმი უფრო ძლიერად აღფრთოვანდნენ"[63].

როგორც ვხედავთ, კომენტარი ზედმეტია. ფრანჩესკო სფორცა, შეიძლება ითქვას, ერთადერთი იტალიელი ხელისუფალი იყო, რომელსაც მართლაც „გულთან ახლოს მიჰქონდა" ურჯულო თურქთა წინსვლა. ეს რომ მართლაც ასეა, ერთი გარემოებაც დაგვისაბუთებს.

როდესაც 1459 წელს კარდინალ კარვაიალის დიდი მეცადინეობით იკრიბებოდა რაზმი მორეელ პალეოლოგებისათვის გასაგზავნად, სწორედ ფრანჩესკო სფორცას მეუღლის — ბიანკას დამსახურება

---

61 B. Bughetti, დასახ. ნაშრომი, გვ. 138—139.

62 იქვე, გვ. 139—140.

63 იქვე, გვ. 140.

იყო, რომ ეს მცირე (300-კაციანი) რაზმი მართლაც შეგროვდა. მათ შორის 100 მებრძოლი თავისი ამუნიციით თვით ბიანკას მიერ იყო აღჭურვილი.

ამრიგად, მილანის ჰერცოგი ანტიოსმალური კოალიციით დაინტერესებული პირი და საღად მოაზროვნე თანამედროვეა განხილული ამბებისა, რომლის შეფასებასაც ჩვენთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

სფორცას ამ წერილებს კიდევ ის მნიშვნელობა ენიჭება, რომ აქ პირველად შეგვხვდა ელჩების ტიტულები, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

მილანიდან კი მისიამ გეზი პირდაპირ საფრანგეთისაკენ აიღო. საფრანგეთსა და ბურგუნდიაში მათი მოგზაურობის შესახებ ოდნავ განსხვავებული ცნობები მოგვეპოვება. დე ბარანტე მოგვითხრობს: „ეს იყო მეტად საინტერესო სანახაობა, ელჩები გამოირჩეოდნენ განსხვავებული, ძალზე უჩვეულო ჩაცმულობითა და მანერებით. ლუიმ ჩამოიყვანა დავით კომნენოსის — ტრაპიზონის იმპერატორის ელჩი, სპარსეთის, საქართველოსა და სომხეთის მეფის, იოანე პრესვიტერის, მცირე სომხეთის ბატონის ელჩები. მესოპოტამიის სულთანმაც კი (soudan), რომელიც ურწმუნო იყო, გამოგზავნა თავისი ელჩი. ვინაიდან თვითონ თურქთა მტერი იყო. ყველაზე გასაოცარი იყო ქართველთა ელჩი. იგი ძალზე დიდი იყო. მისი თმა ორი ტონზურით გვირგვინდებოდა, ატარებდა საყურეებს და წვერი გაპარსული ჰქონდა. მიუხედავად ამისა, მშვიდი (სათნო) გარეგნობისა იყო. ძალზე ბევრს ლაპარაკობდნენ აგრეთვე მაჰმადის თაყვანისმცემელზეც, რომელიც ქრისტიანებში ერია. მასზე ამბობდნენ, რომ ეს არის პატარა თურქი და სურს ომი დიდ თურქთანო. მცირე სომხეთის ბატონის ელჩი, ამტკიცებენ, კარგი ასტროლოგი ყოფილა. მთელი ელჩობის სახელით ლუიმ საზეიმო სიტყვა თქვა. საფრანგეთის არმიის დიადი საქმეების ხსოვნა აღმოსავლეთში ჯერ კიდევ იმდენად ძლიერი იყო, რომ საფრანგეთის ალამი და მეფის თავკაცობა ამ საქმეში უფრო მეტად ფასეული იქნებოდა, ვიდრე 100 000 მებრძოლი.

მეფემ დაამოწმა თავისი კეთილგანწყობა ამ შორეული ქვეყნების ხალხისადმი, იზეიმეს სამეფო კარის ყველა სენიორთან ერთად...“[64].

ფილიპე კეთილის მემატიანე ჟაკ დიუ კლერკი შემდეგ ცნობებს გვაწვდის:

„1461 წელს, მაისის თვეში საფრანგეთის მეფის — შარლის წინაშე წარსდგნენ უცხო და შორეული ქვეყნების ელჩები, რომლებიც

---

[64] De Barante, Histoire des Ducs de Bourgogne de la maison de Valois, t. II, Bruxelles, 1838, p. 179.

მოსულები იყვნენ ქრისტიანული სამყაროდან, ჩაცმულნი და დახურულნი ძალზე უჩვეულო მანერით და უჩვეულო სანახავნი.

მივუყვეთ ელჩთა სახელებს:

პირველი იყო ანტიოქიის პატრიარქი, ეწოდებოდა ძმა ლუი დე ბოლონია, იყო კორდელიერი, ჰგავდა კეთილშობილ პრელატს, ატარებდა კორდელიერთა სამოსს და სრულიად არ იცოდა ლათინური, მაგრამ ლაპარაკობდა ბერძნულად და ცოტა იტალიურად, იყო დოქტორი და ელჩობის თავი.

აგრეთვე იყო რაინდი, სახელად მიქაელი, რომელიც იყო ტრაპიზონის იმპერატორის წარგზავნილი, იყო მშვენიერი რაინდი, დიდი და საპატივცემულო, ჭკვიანი და კარგი შინაარსის ადამიანი.

აგრეთვე იყო სხვა რაინდიც, სახელად მეტრ ნიკოლი, წარმოგზავნილი ელჩად სპარსთა მეფის მიერ. იგი იყო ლამაზი კაცი, ახოვანი, ძველებური და მშვენიერი მანერებით.

ავრეთვე იყო ერთი რაინდი, სახელად მეტრ კასტოდინესი, საქართველოსა და მესოპოტამიის მეფის ელჩი. იყო ჩინებული კაცი, ჩინებული მანერებით, დიდი და მსხვილი, კეფის ტონზურაზე ორი გვირგვინი ჰქონდა, ორი საყურე ყურებში, იყო ქოსა, როგორც ყმაწვილი ან ქონდრისკაცი; მაგრამ მიუხედავად ამისა, შესახედავად მშვიდი და სათნო.

აგრეთვე იყო კიდევ ერთი ელჩი, სახელად მაჰონი, რომელიც იყო მცირე თურქთა ელჩი დიდი თურქების წინააღმდეგ. მცირე თურქებს სურდათ ქრისტიანებთან ერთად გაელაშქრათ დიდი თურქების წინააღმდეგ და ისინი ამისათვის 50 000 კაცს გამოიყვანდნენ.

აგრეთვე იყო ერთი რაინდი, სახელად მამარტი; იგი სომეხთა მეფის ელჩი იყო, მხიარული, ჭკვიანი და კეთილშობილი კაცი, გამოირჩეოდა სხვადასხვა სახის ინსტრუმენტზე დაკვრის ოსტატობით.

აგრეთვე იყო სხვა რაინდიც, სახელად მესირ ჰანსი, რომელიც იყო იოანე პრესვიტერის ელჩი, გასაოცრად დიდი სწავლული და ჩინებული ასტროლოგი.

ელჩები 17 თვის განმავლობაში მოდიოდნენ და წარსდგნენ საფრანგეთის სამეფო კარის წინაშე. საფრანგეთის მეფეს ყველა მეფეთა შორის უქრისტიანესი უწოდეს. აღნიშნეს და გადასცეს იმპერატორთა, მეფეთა და ზემოაღნიშნულ თურქთა დანაბარები; კერძოდ კი ის, რომ მათ შეეძლოთ მეფისათვის მათი ხალხი და წინამძღოლი გამოეგზავნათ, რათა ეწარმოებინათ ბრძოლა ზემოთ მოხსენებული დიდი თურქების წინააღმდეგ. მეფემ უპასუხა, რომ არაფერი იცის ამის

შესახებ, მაგრამ ისინი კი კარგად მიიღო და დიდი ზარ-ზეიმით ნადიმი გაუმართა"[65].

ქალაქ გენტის ქრონიკამ ამ ამბის შესახებ ჯი შემდეგი ცნობები შემოგვინახა:

„საფრანგეთის მეფესთან მოვიდნენ ყველაზე უფრო საოცარი და საკვირველი შესახედაობის ელჩები, რაც კი ოდესმე უნახავთ. ისინი მოვიდნენ საქრისტიანოს უშორესი და უცხო ქვეყნებიდან. მათ შორის იყვნენ თურქებიც; ასევე სარკინოზთაგან. აი, ამ ელჩების სახელები:

ანტიოქიის პატრიარქი, სახელად ძმა ლუდოვიკო ბოლონიელი. იგი ფრანცისკანელი იყო, საპატივცემულო პრელატი და მოკრძალებული პიროვნება.

იგი ობსერვანტელ ფრანცისკანელთა სამოსსა და მოკაზმულობას ატარებდა; იგი ლათინურად კარგად ვერ ლაპარაკობდა, უფრო ბერძნულად და ცოტა იტალიურად. იგი თვალსაჩინო მეცნიერი და ელჩობის თავი იყო.

შემდეგ რაინდი, სახელად მინჰერ ნიკლესი, სპარსეთის მეფის ელჩი, რომელიც მოხუცი კაცი იყო, დიდი და ლამაზი, წარმოსადეგი. იერისა.

შემდეგ რაინდი, სახელად მინჰერ მიხელი. ტრაპიზონის კეისრის ელჩი, რომელიც მშვენიერი რაინდი იყო, დიდი კეთილშობილი; ბრძენი და ლამაზი ზნის კაცი. იგი ძალიან კარგადა და გასაგებად ლაპარაკობდა იტალიურად.

შემდეგ რაინდი, სახელად კასტოდენი, საქართველოსა და მესოპოტამიის მეფის ელჩი, რომელიც იშვიათად უცხო მოვლენა იყო. მას უჩვეულო მანერები ჰქონდა, იყო დიდი და სქელი, თავის ტონზურა ორი გვირგვინითა და ორი საყურით ყურებში, წვერი და პირისახე ანთარს მიუგავდა, მაგრამ სათნო შესახედავი იყო.

შემდეგ რაინდი, სახელად მონრატი, სომხეთის ელჩი, კეთილშობილი პიროვნება; უკრავდა სხვადასხვა საკრავზე და ლამაზი შესახედავი იყო.

შემდეგ რაინდი, სახელად მაჰონი, მცირე თურქების ელჩი, რომელიც დიდი თურქის წარმომადგენელი იყო.

შემდეგ რაინდი, სახელად ჰანზე, იოანე პრესვიტერის ელჩი. იგი იყო ასტრონომიის დიდი მცოდნე, მეცნიერი.

შემდეგ ყველა ეს ზემოთ ჩამოთვლილი ელჩები მოვიდნენ საფრანგეთის მეფის სანახავად, რათა უმაღლეს უქრისტიანეს მეფეთა მეფისათვის მოხსენება გაეკეთებინათ. მათ მოიტანეს კეისრის, მეფეებისა და თურქების წერილები, რომელთაგანაც გამოგზავნილი იყვ-

---

[65] Jacques du Clercq. Les Memoires, p. 172.

ნენ; თხოვეს მეფეს თავისი და მისი ხალხის ნიშანი გაეგზავნა, რათა დაემარცხებინათ დიდი სულთანი და დაეტყვევებინათ იგი, რადგანაც მათი თქმით, ფული საკმაო ჰქონდათ და სხვა არაფერი სურდათ გარდა იმისა, რომ საფრანგეთის მეფე და მისი სახელი დახმარებოდათ, ვინაიდან, მათი თქმით, საფრანგეთის მეფის ნიშანი უფრო მეტ დახმარებას გაუწევდა, ვიდრე 90 000 კაცი"[66].

როგორც ვხედავთ, ევროპული წყაროები განსხვავებულ ცნობებს გვაწვდიან ელჩების შესახებ, ზოგ შემთხვევაში კი აშკარად შეცდომებსაც უშვებენ, მაგრამ ყოველივე ამაზე საგანგებოდ ქვემოთ გვექნება საუბარი.

შარლ VII-ს მონახულების შემდეგ ლუდოვიკომ თავისი მხლებლები ბურგუნდიაში გადაიყვანა. აქ ისევ წყაროებს უნდა მივმართოთ.

დე ბარანტე: „ისინი ბურჟიდან ბრიუსელში გაემგზავრნენ, სენტ-ომერში კი ნახეს ბურგუნდიის ჰერცოგი". ამ დროს ფილიპე კეთილს სტუმრად ჰყავდა ოქროს საწმისის ორდენის გენერალი[67].

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამავე დროს ბურგუნდიის ჰერცოგთან იმყოფებოდა კარდინალი ბესარიონ ნიკეელი[68]. მაგრამ მოდით ყურადღება ისევ დე ბარანტეს დავუთმოთ: „შაბათს, 23 მაისს 1461 წ. სადილობის ჟამს ელჩები ქალაქში (ე. ი. სენტ-ომერში) შევიდნენ და ამავე საღამოს 8 საათისათვის წარსდგნენ ბურგუნდიის ჰერცოგის წინაშე შემდეგი შემადგენლობით: მონსენიორი ძმა ლუი ანტიოქიისა და აღმოსავლეთის ყველა ერის პატრიარქი და ჩვენი წმინდა მამის — პაპის ორატორი.

მონსენიორი მიშელი, გრაფი (conte palatin) ალშიერი, მონსენიორ დავითის, ტრაპიზონის იმპერატორის ორატორი.

ნიკოლა, კონსული, სპარსეთის მეფის, გიორგის — ალექსანდრეს შვილის ორატორი.

მაჰუმედი, თურქი, მესოპოტამიის მეფის — ასამბეკის ორატორი.

კუოსკუოდამი, გორგორას — საქართველოს ჰერცოგის ორატორი.

მორატი, ბერდებეკის — მცირე სომხეთის ბატონის ორატორი.

ელჩებმა ქება-დიდება შეასხეს ბურგუნდიის ჰერცოგს, უწოდებდნენ რა სახელოვანსა და სახელგანთქმულს მთელს ზღვის იქეთა მხარეში. ლუიმ მას შემდეგი სიტყვებით მიმართა: „აქ არიან მოგვები,

---

[66] Degboek de- Gentsche Collatie..., p. 441—442.

[67] G. Voigt, დასახ. ნაშრომი, გვ. 648.

[68] M. L. von Pragenau, Ludwig von Bologna, Patriarch von Antiocien, Mitteilungen des instituts für oesterreichische Geschichtsforschung, Band. XXII, Innsbruck, 1901, s. 292.

ჩამოსულნი აღმოსავლეთიდან იმ ვარსკვლავისაკენ, რომელიც მათ უნახავთ დასავლეთში, ე. ი. თქვენსკენ, ვისი ძალაუფლებაც დღეს ისე ბრწყინავს აღმოსავლეთის ნაპირებამდე, რომ უნათებს იქაურ ხელმწიფეებსა და ერებს და მათ ჰეშმარიტი ხატისაკენ წარმართავს". ჰერცოგმა ისინი მდიდარი დაპირებებით აავსო, დაარწმუნა თავის სურვილებში, რომ შურს იძიებდა ქრისტიანული სარწმუნოებისათვის და შეპირდა, რომ თუ მეფე (ე. ი. შარლ VII) უზრუნველჰყოფდა მის სამფლობელოებს შშვიდობით, იგი სიამოვნებით მიიღებდა მონაწილეობას[69].

დიუ კლერკი ბურგუნდიის ამბებს ასე მოგვითხრობს: „შემდეგ ელჩები ჩავიდნენ ბრიუსელში ფილიპე ბერგუნდიელთან, რომელმაც ისინი ასევე ძალიან კარგად მიიღო. მათ საპატივცემულოდ ზეიმი გამართა და მიართვა ძვირფასი საჩუქრები. როდესაც ელჩებმა თავიანთი ჩანაფიქრი შესთავაზეს, პასუხად იგივე მიიღეს: მე არაფერი ვიცი ამის შესახებ"[70].

ელჩებმა ჰერცოგს წერილები გადასცეს: გიორგი VIII-სა, ყვარყვარე ათაბაგისა, ტრაპიზონის კეისრისა და პაპისა[71].

1461 წლის 4 ივლისს ლუდოვიკო და მისი მხლებლები ოთხი დღით ესტუმრნენ ქ. გენტს. ამის თაობაზე გენტის ქრონიკა მოგვითხრობს: „შაბათს საღამოს 1461 წ. 4 ივლისს ზემოთ ჩამოთვლილი შვიდი ელჩი გენტში მოვიდა. მათ დაათვალიერებინეს ხელოვნების ნიმუშები, ქალაქის საბჭოს შენობაში გააცნეს გენტის პრივილეგიები, ასევე დაათვალიერებინეს მთელი ქალაქი. მათ საპატივცემულოდ მოაწყვეს ტურნირი წყალზე ხიდებს შორის კორტე-ლეიში. გათამაშდა ქალაქის მიერ დაწესებული ჯილდოები. ზეიმი დიდებული იყო. ელჩები ცხოვრობდნენ იაკობ ვან ვესის ფუნდუკში „ოქროს თავი" (Gulden Hooft) ბურგშტრასზე; აქ ისინი თავს თავისუფლად გრძნობდნენ, ვინაიდან ჩვენმა ძლევამოსილმა სენიორმა (ე. ი. ბურგუნდიის ჰერცოგმა) გამცილებლად თავისი რაინდი გამოაყოლა. ოთხშაბათს, 8 ივლისს გამცილებლებთან ერთად მათ ქალაქი დატოვეს"[72].

როგორც ვხედავთ, აღნიშნული წყაროები საკმაოდ განსხვავებულ ცნობებს გვაწვდიან, როგორც ელჩობის შემადგენლობაზე, ასე-

---

[69] De Barante, დასახ. ნაშრომი, გვ. 179—180.

[70] Du Clercq, დასახ. ნაშრომი, გვ. 172.

[71] ვ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 596—597, შეად. 59—60 და 594—595, შეად. 57—58; A. Bryer, დასახ. ნაშრომი, გვ. 196—198; ი. ბერაძე, ჯვარსნულ ლაშქრობასა და ანტიოსმალურ კოალიციებში საქართველოს მონაწილეობის შესახებ, „მაცნე", № 4, 1965, გვ. 63; L. Waddingo, დასახ. ნაშრომი, ტ. XIII, p. 155.

[72] Dagboek der Gentsche Collatie,..., p. 443.

ვე მათ ქცევასა და მისიის შედეგებზე. რაც შეეხება ელჩობის შემადგენლობას, როგორც ვთქვით, ამაზე ქვემოთ საგანგებოდ შევჩერდებით. ამ ეტაპზე კი ჩვენთვის საინტერესოა, რომ დე ბარანტე და დიუკლერკი განსხვავებულ ცნობებს გვაწვდიან შარლ VII-სა და ფილიპე კეთილის პასუხების შესახებ. პირველი ამბობს, რომ ორივემ ელჩები დაპირებებით აავსეს, მეორეს თქმით კი საფრანგეთის მეფესა და ბურგუნდიის ჰერცოგს გადაჭრით უარუყვიათ ყოველივე, მაგრამ ასე იყო თუ ისე, ფაქტი ის გახლავთ, რომ ლუდოვიკო ბოლონიელის დასავლეთში მოგზაურობას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. არც საფრანგეთის მეფეს და არც ბურგუნდიის ჰერცოგს არავითარი ინტერესი არ გამოუჩენიათ; ყოველ შემთხვევაში, არავითარი ზომები არ მიუღიათ ოსმალო თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად.

გენტიდან გამობრუნებული ელჩები საფრანგეთში ჩავიდნენ (უნდა ვივარაუდოთ, ისევ ბურგუნდიის გზით), სადაც მოხუცი შარლ VII-ის სიკვდილის ამბავი დახვდათ. ამავე დროს დაესწრნენ ლუი XI-ის კორონაციას[73], რაც 1461 წ. 15 აგვისტოს მოხდა რეიმსში.

საფრანგეთიდან მისიამ გეზი იტალიისაკენ აიღო და 1461 წლის 27 ოქტომბერს ბურგუნდიის ჰერცოგის წარმომადგენლის თანხლებით ისინი მილანში ჩავიდნენ[74]. მეორე დღესვე ფრანჩესკო სფორცამ შეადგინა წერილები: ორი რომში თავისი ელჩის, ოტონ კარეტოს, ხოლო ერთი პაპის სახელზე.

თავის ელჩს იგი სწერდა: „აქ დაბრუნდნენ ძმა ლუდოვიკო და ბოლონია, ანტიოქიის პატრიარქი და სხვა ბერძენი (ფრანჩესკო სფორცას, როგორც ჩანს, მხედველობაში აქვს მართლმადიდებელი — დ. პ.) და თურქი (მუსულმანი — დ. პ.) ელჩები... ისინი აქ გუშინ ჩამოვიდნენ ბურგუნდიის ჰერცოგის ელჩებთან ერთად. მათ მოგვახსენეს, თუ რა კეთილგანწყობით მიიღეს ისინი ორივე სენიორმა და დარწმუნდნენ მათ კეთილგანწყობაში წმინდა ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად, ისევე, როგორც ამაში დარწმუნდება მისი უწმინდესობა და თქვენც ამას მათგან შეიტყობთ... იგივეს ვწერთ მის უწმინდესობას, რისი ასლიც ერთვის. ამასთან შეთანხმებით თქვენც მის უწმინდესობასთან ილაპარაკებთ იმას, რასაც საჭიროდ მიიჩნევთ. ამრიგად, ღირს პატრიარქსა და ელჩებს თქვენ ყოველგვარ დახმარებასა და სამსახურს გაუწევთ, რაც კი საჭირო იქნება წმინდა ლაშქრობის განსახორციელებლად“[75].

---

73 Pius II, დასახ. ნაშრომი, გვ. 183.

74 B. Bughetti, დასახ. ნაშრომი, გვ. 140.

75 იქვე, გვ. 141.

მეორე წერილში იგივე ელჩის მიმართ, რომელიც იმავე რიცხვით, 28 ოქტომბრითაა დათარიღებული, ვკითხულობთ: „... ძმა ლუდოვიკო და ბოლონიამ, ანტიოქიის პატრიარქმა მოგვახსენა, რომ მოციქულმა, რომელმაც მოგიტანათ ჩვენი წერილები მისი პატრიარქობის შესახებ, რითაც დაკავებულია წმინდა პეტრეს კარდინალი ად ვინკულა, თქვენთან კარგი მიღება ვერ პოვა, რასაც მასთან (ე. ი. პატრიარქთან — დ. პ.) ერთად ძნელად ვიჯერებთ. ყოველ შემთხვევაში გთხოვთ და გავალებთ, ამჯერად ისინი კარგად მიიღოთ, ისე, რომ სტუმრებმა თქვენ კეთილად მოგიხსენიონ. განსაკუთრებული ყურადღება ბატონ. პატრიარქის საქმეებს დაუთმეთ, რათა მან გაიგოს, რომ მე და თქვენ გვსურს ვემსახუროთ"[76].

იმავე დღით დათარიღებულ წერილში სფორცა პაპს წერდა შემდეგს:

„...დაბრუნდნენ რა საფრანგეთის მხარეებიდან ლუდოვიკო და ბოლონია — ანტიოქიის პატრიარქი და სხვა აღმოსავლეთის ქვეყნების ელჩები ბრწყინვალე და ძლევამოსილი ბურგუნდიის ჰერცოგის ელჩებთან ერთად, რომლებიც გუშინ ჩამოვიდნენ ჩემთან, მოგვახსენეს, რომ ბრწყინვალე და უქრისტიანეს საფრანგეთის მეფე ლუი XI-ის მიერ კეთილადა და პატივით იქნენ მიღებულნი; და რომ მათი დელეგაცია ხელმწიფეების მიერ კეთილგანწყობით იქნა მიღებული: ასე რომ, ეს ხელმწიფეები მზად არიან მონაწილეობა მიიღონ ლაშქრობაში მძვინვარე თურქების წინააღმდეგ... ყოველივე ამის შესახებ მე მათ დაწვრილებით მოვეთათბირე და განვუცხადე, რომ არა მარტო ვაპირებ შევასრულო ყოველივე, რაც კი მანტუაში თქვენ უწმინდესობასა და მთელს წმინდა კრებას შევპირდი, არამედ დღითიდღე სულ უფრო დიდი სურვილი მეღვიძება, როგორც ამას თავად პატრიარქი და ჩემი ელჩი, ბ-ნი ოტო მოგახსენებენ. ამრიგად, აქ კიდევ ერთხელ შევჩერდები უმდაბლეს თხოვნაზე თქვენს უწმინდესობისადმი, რაც თუმცა ზედმეტად მიმაჩნია, დაეხმაროთ ამ ელჩებს, რათა მათ თავიანთი წამოწყების წარმატებით დაგვირგვინება შეძლონ"[77].

ამგვარი წერილებით აღჭურვილნი. ლუდოვიკო და მისი მხლებლები გაემგზავრნენ რომს, სადაც 20 ნოემბერს ჩავიდნენ.

იმავე დღით (20 ნოემბრით) არის დათარიღებული ოტონ დე კარეტოს წერილი თავის პატრონთან: „...ღირსი ბ-ნი ძმა ლუდოვიკო და ბოლონია, ანტიოქიის პატრიარქი, ჩამოვიდა და თქვენი ბრწყინვალების წერილები გადმოგვცა. მე იგი პატივით მივიღე და ჩემი სამსახური შევთავაზე. შეეუსრულე ყველაფერი, რაც კი აქამდე უთხოვ-

---

[76] B. Bughetti. დასახ. ნაშრომი, გვ. 141—142.

[77] იქვე, გვ. 142—143.

ნია. იგი ამბობს, რომ ჩვენი ბატონის (ე. ი. პაპის — დ. პ.) პასუხისდა მიხედვით მომმართავს და მეც მზადა ვარ შევასრულო ყველაფერი, რასაც თქვენი ბრწყინვალება მიბრძანებს"[78].

მისიის რომში ჩასვლიდან კი იწყება უკეღმართობა. პაპმა ისინი ცივად მიიღო.

ლუდოვიკოსა და სხვა ელჩების ევროპაში მოგზაურობის დროს პაპს ფრანცისკანელზე ბევრი ამბავი შეუტყვია. ლუდოვიკოს მისი ბრძანება დაურღვევია და თავს თურმე პატრიარქად ასაღებდა. ამასთან ცნობილი გახდა, რომ უნგრეთსა და გერმანიაში ცოდვები შეუნდია, რისი უფლებაც თვით ლეგატებსაც კი არ ჰქონდათ[79]. ყოველივე ამის გამო რომში მათ ამჯერად ძველებური მიღება ვეღარ პოვეს. პაპი, მართალია, უკვე ელჩების ნამდვილობასაც ეჭვობდა, მაგრამ ამის გადაჭრით მტკიცება არ შეეძლო და ამიტომაც მისცა მათ უკან დასაბრუნებელი ფული[80]. ლუდოვიკო მათთან ერთად გაემგზავრა და ვენეციაში ეკურთხა კიდეც. როდესაც ეს პაპმა შეიტყო, ვენეციის პატრიარქს ბოლონიელის დატყვევება უბრძანა, მაგრამ ეს უკანასკნელი დოჟმა .გააფრთხილა და გაქცევის საშუალება მისცა[81]. აქ იკარგება სხვა ელჩების კვალიც.

ამრიგად, ყოველივე ზემოთ მოთხრობილმა პაპი პიუს II იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ელჩები, რომლებიც ლუდოვიკო ბოლონიელმა ევროპაში ჩაიყვანა, არ იყვნენ ოფიციალური სახელმწიფო წარმომადგენლები და რომ ყოველივე ეს ლუდოვიკოს ავანტიურა იყო, რათა გამხდარიყო ანტიოქიის (ე. ი. აღმოსავლეთის ქრისტიანთა) პატრიარქი.

თავისი შეხედულების საარგუმენტაციოდ მას შემდეგი მოსაზრებები მოჰყავს: ჯერ ერთი, რომ ელჩებს ტონზურები ჰქონდათ, რაც იმას აფიქრებინებს, რომ ისინი უბრალოდ ქართველი კათოლიკები იყვნენ, რომლებიც გამორჩენის მიზნით შეუერთდნენ ლუდოვიკოს; მეორე ის, რომ თურმე ფულს თხოულობდნენ ყველგან, სადაც კი ჩავიდოდნენ. ყოველივე ამისათვის სასურველი ფონის შესაქმნელად კი პიუსი მოგვითხრობს, რომ ქართველი ელჩი დღეში 20 ფუთ ხორცს ჭამდა, რაც, რა თქმა უნდა, ზომიერების მოყვარე ევროპელთათვის აშკარად არასასურველ შთაბეჭდილებას ქმნის.

რა შეგვიძლია დავუპირისპიროთ ამ არგუმენტებს?

რაც შეეხება ტონზურებს — მართალია, არ არსებობს არავითარი ეთნოგრაფიული მონაცემი იმისა, რომ ქართველებს, თუნდაც კათო-

---

[78] B. Bughelli, დასახ. ნაშრომი, გვ. 143.

[79] Pius II, დასახ. ნაშრომი, გვ. 183.

[80] იქვე, გვ. 184.

[81] იქვე.

ლიკებს (მხედველობაში გვყავს საერო პირები) ოდესმე ტონზურები ეტარებინათ; და პიუსის დებულებაც სწორედ იმაშია, რომ მათი საერო წოდებებისდა მიუხედავად ტონზურები ჰქონდათ, რაც იმას აფიქრებინებს, რომ აღმოსავლეთელი ელჩები გადაცმული კათოლიკე მღვდლები თუ ბერები იყვნენ. მაგრამ აქვე გვინდა მოვიშველიოთ პაპის თანამედროვეთა და თანამემამულეთა ცნობები ქართველების შესახებ. ჯოსაფატ ბარბარო და ამბროჯო კონტარინი, ვენეციელი დიპლომატები, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გადმოგვცემენ, რომ ქართველებში თურმე ამგვარი ტონზურები მასობრივად იყო გავრცელებული და სწორედ საერო პირთა შორის[82]. ყურადსაღებია აგრეთვე ჟან რიშარის აზრიც. მსჯელობს რა ამ საკითხზე, იგი აღნიშნავს, რომ თათრული მოდის მიხედვით იმ დროს ტონზურებს პოლონეთშიაც იპარსავდნენო[83].

ამრიგად, პაპის ეს ბრალდება შეგვიძლია სავსებით უკუვაგდოთ. პიუსის შემდეგი თეზისია — ელჩებს თურმე მისთვის სამგზავრო ფული უთხოვიათ და სხვაგანაც, სადაც კი ჩადიოდნენ, მათხოვრობდნენო.

აღსანიშნავია, რომ როდესაც ელჩებმა პაპს მოახსენეს, რომ აღმოსავლეთის გაერთიანებული ლაშქარი 120 000 კაცს ითვლიდა, პიუსმა განაცხადა, რომ ამხელა ჯარის შენახვა მისთვის შეუძლებელი იქნებოდა[84], თუმცაღა მოლაპარაკებიდან არსაიდან ჩანს, რომ ელჩებს მისთვის ეთხოვოთ კავშირისათვის მატერიალური დახმარება გაეწია. ყურადსაღებია აგრეთვე, რომ ჩვენთვის ცნობილ ყველა დოკუმენტში არსად არის ხსენებული ელჩების მიერ ფულის თხოვნის პრეცენდენტი. პირიქით, ყველგან მათ ახასიათებენ, როგორც უაღრესად საპატივცემულო პირებს, ხოლო ჭ. გენტის ქრონიკაში კი პირდაპირ ნათქვამია, რომ მათ საფრანგეთის მეფისათვის უთქვამთ, ფული საკმაო გვაქვსო.

ამრიგად პიუსი, როგორც აღწერილი ამბების უშუალო მოქმედი პირი, ტენდენციურია და მისი ბრალდება კრიტიკას ვერ უძლებს.

დაბოლოს, პაპის მთავარი თეზისის შესახებ — ლუდოვიკოს ეს მისია ინსცენირებული ჰქონდა, ვინაიდან ჯერ კიდევ კალიქსტ III-მ

---

[82] Барбаро и Контарини о России, Л., 1971, с. 160, 215. ბარბარო წერს, რომ ქართველები ან თმას მოკლედ იკრიჭავენო, ან კიდეე კათოლიკე ბერების მსგავს ტონზურებს ატარებენო. კონტარინიმ კი მეგრელთა ტონზურები მინორიტი ბერების თმის ვარცხნილობას შეადარა.

[83] J. Richard, La Paraute et les missons d'Orient au moyen âge, XIII-e—XV-e siècles, Rome, 1977, p. 276.

[84] G. Voigt, დასახ. ნაშრომი, გვ. 647.

თავის წერილში ქართველ კათოლიკებს ურჩია პატრიარქად მისი არჩევა, მაგრამ ამის შემდეგ ლუდოვიკო რომში დაბრუნდა და წერილებიც ჩაიტანა. ასე რომ, სრული საშუალება ჰქონდა ინსცენირება მაშინვე მოეწყო. ელჩები კი მხოლოდ მაშინ ჩაიყვანა, როდესაც ამაზე პიუსის საგანგებო განკარგულება ჰქონდა. აშკარაა, რომ ბოლონიელს ქართველ პოლიტიკოსებთან საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ პაპის ეპვები აღძრა იმ გარემოებამ, რომ ლუდოვიკოს უნგრეთსა და გერმანიაში ცოდვები შეუნდია, რისი უფლება კი თვით ლეგატებს არა აქვთ. აქ პიუსი აშკარა წინააღმდეგობაში ვარდება. საგულისხმოა, რომ 1458—60 წლების მოგზაურობაში ლუდოვიკო ოფიციალურად პატრიარქის ტიტულით გაემგზავრა, რასაც 5 ოქტომბრის ბულა გვიდასტურებს. ასე რომ, როგორც პატრიარქს, სრული უფლება ჰქონდა ცოდვების შენდობისა. აქედან მოდის ქართველი მეფისა და მთავრის წერილებში მისი პატრიარქად ხსენებაც. რაც შეეხება ცოდვების შენდობას, ეს კი ლუდოვიკოს მხოლოდ რომის პაპის ნახვის შემდეგ აეკრძალა, ისევე, როგორც თავის პატრიარქად ხსენება; მაგრამ ვიმეორებთ, რომ იქამდე, ე. ი. საქართველოში, უნგრეთსა და გერმანიაში მოგზაურობის დროს მას ყველა უფლება ჰქონდა. ამიტომაცაა რომ, პაპის ეს არგუმენტი სწორედ მის ტენდენციურობაზე მიგვითითებს.

ე. ბრაიერი თავის მტკიცებებში ლუდოვიკოს ავანტიურისტობისა და ელჩების არაავტენტურობის შესახებ უფრო შორს მიდის. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ თუმცა იგი მშვენივრად იცნობს კონტარინის ნაშრომს, სულ არ აქცევს ყურადღებას მის ცნობებს ქართველთა თმის ვარცხნილობის შესახებ. ეხება რა ლუდოვიკოს პიროვნებას, ინგლისელი მეცნიერი აღნიშნავს, რომ მიუხედავად დოქტორის წოდებისა, მას დავიწყნია ლათინური, მაგრამ ჯერ კიდევ დასადგენია, იცოდა თუ არა მან ეს ენა საერთოდ, ვინაიდან ბერისათვის სულ არ იყო აუცილებელი მისი ცოდნა. რაც შეეხება დოქტორობას, წყაროებიდან აშკარად ჩანს, რომ მას ცოდნია ბერძნული და სხვა აღმოსავლური ენები, რაც იმ დროს „დოქტორობისათვის“ სავსებით საკმარისი იყო.

ანგარიშგასაწევია ის ვარაუდიც, რომ ლუდოვიკო განზრახ ლაპარაკობდა მხოლოდ ბერძნულად, რაც ელჩებისათვის გასაგები იქნებოდა და ერიდებოდა ლათინურადა და იტალიურად ლაპარაკს მათი თანდასწრებით.

კიდევ ერთი ფაქტი, თუკი ლუდოვიკო ასეთი ხელაღებული თაღლითი იყო, რატომ შეიწუხებდა თავს მისი გაფრთხილებითა და გაპარებით ვენეციის დოჟი?

დაბოლოს, ე. ბრაიერის აზრით, ლუდოვიკოს ასეთი დემარში იყო მიზეზი იმისა, რომ მეჰმედ II-მ გაამახვილა ყურადღება ტრაპიზონზე და აიღო იგი[85].

ჩვენ ვერც ამ დასკვნას დავეთანხმებით, ვინაიდან იგი აშკარად არამეცნიერულია.

როგორც ცნობილია. ოსმალთა ტრაპიზონზე გალაშქრების მიზეზი იყო ის, რომ კეისარმა დავით კომნენოსმა სულთანს უარი უთხრა წლიური ხარკის გადახდაზე, რაც, ჩვენის აზრით. საკმაოდ კარგად ასაბუთებს, რომ ტრაპიზონის გარშემო რაღაც კოალიცია იქმნებოდა, ვინაიდან ძლიერი მოკავშირეების გარეშე კეისარი ვერ გაბედავდა ამგვარი ნაბიჯის გადადგმას.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ დასავლეთ ევროპაში გავრცელებული შეხედულება ლუდოვიკოსა და მის მიერ ჩაყვანილი ელჩების შესახებ და ყველა ეჭვი მათი ნამდვილობისა საფუძველს მოკლებულია, და ჩვენის აზრით, ამ საკითხის გარკვევაში დაგვეხმარება ლუდოვიკო ბოლონიელის შემდგომი მოღვაწეობა.

1465 წლის 10 აგვისტოს ლუდოვიკო ბოლონიელი ჩასულა ყირიმის ხან ხაჯი-გირეისთან, როგორც საღვთო რომის იმპერატორისა და პაპის პავლე II-ის ელჩი, მას ყირიმის ხანისათვის გადაუცია ბრძანება დაეწყო ომი ოსმალეთის წინააღმდეგ[86]. ხაჯი-გირეის იგი პოლონეთის მეფე კაზიმირთან გაუგზავნია, რომელსაც, როგორც ლიტვის დიდ მთავარს, მასზე გავლენა ჰქონდა. ლუდოვიკო გაემგზავრა პოლონეთში და მეფის წინაშე იშუამდგომლა. აქ იგი კვლავ ანტიოქიის პატრიარქის სახელით გვევლინება[87]. კაზიმირი არ იყო დაინტერესებული ამგვარი შორეული ექსპედიციით, ვინაიდან მრავალ თავის სირთულესთან ერთად ეწეოდა ომს გერმანულ ორდენთან და პასუხი რაიხსტაგის გადაწყვეტილებების შეტყობამდე გადასდო. რაიხსტაგი შეიკრიბა 1466 წლის მარტში ქ. პეტრიკაუში (პიოტრკოფში). როგორც ჩანს, მთელი ამ ხნის განმავლობაში ლუდოვიკო პოლონეთში დარჩენილა, ვინაიდან 1467 წლის ივლისში დანიის მეფე ხრისტიანი. რომელიც ებრძოდა კარლოს კნუტსონს, თხოვნით მიმართავს „იმპერატორისა და პაპის პავლე II-ის (1464—1471) ლეგატს პოლონეთში, ლუდოვიკოს, ანტიოქიის პატრიარქს“, რათა მას ხელი შეეშალა მეფე კაზიმირისა და ქ. დანციგისათვის დახმარებოდნენ მის მოწინააღმდეგეს[88].

---

85 A. Bryer, დასახ. ნაშრომი, გვ. 195.

86 M. L. von Pragenau, დასახ. ნაშრომი, გვ. 293.

87 იქვე.

88 იქვე, გვ. 293—294.

1468 წელს ლუდოვიკო დანიაში ჩადის, საიდანაც უბრძანებს უფსალას კაპიტულს 22 ივლისს კალმარში ელჩები გაეგზავნა, რათა იქ ზავი დაედოთ[89]. ამ დროს ერთ-ერთ თავის წერილში სვანტე ნილსონ სტურესადმი[90] ლუდოვიკო თავს „მთელი ევროპის პატრიარქს" უწოდებს[91], რაც მიგვითითებს იმაზე, რომ მან გადაამეტა თავის კანონიერ უფლებებს. მაგრამ ვინაიდან აღნიშნული წყარო უშუალოდ არ გაგვაჩნია, დასკვნების გაკეთებას მოვერიდებით.

1468 წლის შემდეგ ლუდოვიკოს კვალი გვეკარგება. იგი ჩნდება მხოლოდ 1471 წელს რომში, ჩადის პაპთან პავლე II (1464—1471) და ჩააქვს წერილი უზუნ-ჰასანისაგან. ახსოვდა რა წინანდელი მიღება, ლუდოვიკო ამჯერად კარგად მოემზადა. მან რამდენიმე კეთილშობილი გენუელი წარადგინა იმის მოწმედ, რომ მათ ნამდვილად ნახეს, თუ როგორ მისცა მას წერილი უზუნ-ჰასანმა. ყურადსაღებია ლუდოვიკოს კიდევ ერთი წინდახედული ნაბიჯიც. მან იმაზეც იზრუნა, რომ წერილები წინარე შემთხვევებისამებრ მის შეთხზულად არ გამოეცხადებინათ და ამისათვის წარადგინა კაფას ნოტარიუსის წერილობითი ჩვენება, რომ წერილები იტალიურად კაფას ეპისკოპოსმა თარგმნა. ლუდოვიკოს წარუდგენია აგრეთვე სხვა დამამტკიცებელი საბუთებიც[92].

1471 წელს ვენეციასა და რომში კიდევ ერთხელ ჩნდება საქართველოსა და უზუნ-ჰასანის ელჩობა შემდეგი შემადგენლობით: აზიმამეტი ანუ ჰაჯი-მაჰმადი, მორალო, ნიკოლო და ჩეფარსა[93]. ჩვენ აქ არ მოვყვებით ამ ელჩობის განხილვას, რომელიც, აქვე უნდა ითქვას, სათანადოდ შესწავლილი არ არის, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ აღმოსავლეთელი ელჩების ეს სახელები საოცრად ემთხვევა 1461 წ. ლუდოვიკოს მიერ ევროპაში ჩაყვანილი ელჩების სახელებს. მაგალითად: აზიმამეტი ანუ ჰაჯი მაჰმადი და მუჰამედი; მორალო და მორატი; ნიკოლო და ნიკოლოზი; ჩეფარსა და ქასადანი, კუოსკუოდამი ანუ იგივე ფარსადანი. ამრიგად, 1471 წელს ელჩებში ევროპელებმა სახეცვლილება მხოლოდ ფარსადანის სახელს მისცეს, მაგრამ ამ სახელს ისედაც, როგორც ვნახეთ, ევროპაში ყველგან თავისებურ ინტერპრეტაციას აძლევდნენ.

---

89 M. L. von Pragenau, დასახ. ნაშრომი, გვ. 294.

90 სვანტე ნილსონ სტურე — შვედი პოლიტიკური მოღვაწე, რეგენტი, შვეციაში მეფე იოანეს მიწვევის 1497 წ. ერთ-ერთი ინიციატორი. გარდ. 1512 წ.

91 M. L. von Pragenau, დასახ. ნაშრომი, გვ 294.

92 იქვე.

93 ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან XV ს-ის 70-იან წლებში, „მაცნე", № 3, 1971, გვ. 79.

ამრიგად, ის გარემოება, რომ ათი წლის შემდეგ, ე. ი. 1471 წ. ევროპაში აღმოსავლეთის მოკავშირეთა ელჩების იგივე შემადგენლობა ჩადის, ჩვენი აზრით, კიდევ ერთხელ ადასტურებს 1461 წლის ელჩობის ნამდვილობას. ამის სასარგებლოდ ორი გარემოება მეტყველებს. ჯერ ერთი, რომ ელჩების თვითმარქვიობის შემთხვევაში, ლუდოვიკო თავად მოერიდებოდა იგივე შემადგენლობის ევროპაში ჩაყვანას და მეორე ისაა, რომ 1471 წლის მოლაპარაკებანი საკმაოდ მაღალ დონეზე მიმდინარეობდა და ამჯერად არავის გამოუთქვამს ეპვი ელჩობის აუტენტურობაში.

უნდა ვიფიქროთ, რომ 1471 წლის ელჩობა ევროპაში ლუდოვიკოს ჩასვლის შემდეგ ჩავიდა, ე. ი. ბოლონიელი მაინც განერიდა მათ საზოგადოებაში გამოჩენას, რათა რაიმე მიზეზი არ ვიეცა „ეპვიანი" ევროპელებისათვის.

ამ ელჩებს პაპმა პავლე II-მ თავისი წარმომადგენელი, ფრანცისკანელი ბერი, შეტად ჭკვიანი პიროვნება (Persona molta intelligente) გააყოლა[94].

ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ეს ლუდოვიკო ბოლონიელი იყო. მაგრამ სამაგიეროდ მოგვეპოვება ოფიციალური დოკუმენტი, რომ ახალმა პაპმა სიქსტ IV-მ (1471—1484) ლუდოვიკო ბოლონიელი „ანტიოქიის ფრანკთა პატრიარქად" დაამტკიცა.

1472 წ. 20 თებერვალს ლუდოვიკოს თხოვნით სიქსტ IV აქვეყნებს და ამტკიცებს პიუს II-ის ბულას, რომლის ძალითაც ლუდოვიკო ინიშნება ანტიოქიის პატრიარქად.

„სიქსტი და სხვ. შემდგომი ხსოვნისათვის.

ჩვენი გაგებით, უნდა მივისწრაფვოდეთ, რათა ყველას თავისი მიეზღოს. ამისათვის ჩვენ გავეცით ბრძანება სიტყვა-სიტყვით გადაეწერათ ნეტარხსენებული პაპის, პიუს II-ის, ჩვენი წინამორბედის ერთი დოკუმენტი, რომელიც ნაპოვნია მის რეესტრებში, იმასთან დაკავშირებით, რაც ღირსი ძმა ლუდოვიკო ბოლონიელის, ანტიოქიის პატრიარქის პეტიციაშია მითითებული იმ ერის საპატრიარქოსთან დაკავშირებით, რომელსაც აღმოსავლეთში ფრანკებს უწოდებენ. პატრიარქი ლუდოვიკო საჭიროებს ამ დოკუმენტს თავისი უფლებების დასაცავად. იგი მოყვანილია ქვემოთ:

პიუსი, ეპისკოპოსი, მონა ღმრთისა, ღირს ძმას ლუდოვიკო და ბოლონიას, მინორიტების წესისას.

„ნეტარი პეტრეს წმ. სახარების აღთქმით განსწავლულნი" და სხვ. (რაც პიუსის საიდუმლო წიგნში ბულების შესახებ სწერია, რომლებიც დაამტკიცა პაპის მდივანმა ლუცენმა), (ამ მდივნის წიგნები

---

[94] E. Cornet, Le guerre dei veneti nell'Asia, Vienna, 1856, p. 31.

ახლა დაკარგულია — დ. პ.) თარიღით რომი, წმ. პეტრესთან, უფლისა წელსა 1460, იანვრის იდების 5 დღესა, მისი პონტიფიკატის III წელს.

„შემდეგ... ხსენებულს ეძლევა უფლება ზუსტად ისეთივე მრწამსისა, სადაც და რა დროსაც, სასამართლოსა თუ სხვა ადგილას, არ უნდა იყოს გამოცხადებული ეს შინაარსი, დაე იყოს იგი ურყევი ისე, როგორც შეინახება ხსენებულ ორიგინალში, თუ ის იქნება გამოცხადებული; და არავინ და ა. შ., და თუკი ვინმე და ა. შ.

გაცემულია რომს, წმ. პეტრესთან, უფლისა წელსა 1460, იანვრის იდების მე-5 დღეს, ჩვენი პრონტიფიკატის მესამე წელს". (სამწუხაროდ, ვატიკანის რეგისტრებში მეტი არაფერი არ არის. რაღა თქმა უნდა, რომ ორიგინალში სრული ტექსტი იქნებოდა — დ. პ.).

„რათა ამ ბულის შინაარსი ფაქტს ამტკიცებდეს, ჩვენ აპოსტოლური ძალაუფლებით ვადგენთ, რომ მან ყველაფერში შეინარჩუნოს ძველი ძალა, როგორც ზემოხსენებულმა დოკუმენტმა.

გაცემულია რომში, წმ. პეტრესთან, უფლისა წელსა 1471, მარტის კალენდების XI დღესა, ჩვენი პონტიფიკატის 1 წელს"[95].

როგორც ვხედავთ, სიქსტ IV-ის ბულა დაიწერა 1471 წელს, როდესაც ლუდოვიკო რომში იყო; გამოქვეყნდა ერთი წლის შემდეგ და იმავე წელს ლუდოვიკომ მიიღო საშვი. როგორც აპოსტოლურმა ნუნციომ რიგ ქვეყნებში სამოგზაუროდ.

1472 წ. 12 აპრილი

სიქსტი და სხვ. ყველასა და ყოველივე მორწმუნე ქრისტიანს, ვისთანაც ეს წერილი მიაღწევს

რადგანაც ჩვენ პირადად ვაგზავნით ჩვენს ძმას ლუდოვიკოს, ანტიოქიის პატრიარქს ზოგიერთ ქვეყანაში მრავალმნიშვნელოვანი და რთული საქმეებისათვის, გვსურს რა, რომ პატრიარქი თავისი მხლებლებით, ამხანაგებით, მსახურებით, ცხენებით, ბარგითა და ქონებით გზაში სრული უშიშროებითა და კარგი მიღებით სარგებლობდეს, მოგიწოდებთ და მოვითხოვთ ყველა თქვენთაგანისაგან და ქრისტიანული სარწმუნოების ყველა თაყვანისმცემლისაგან, რომ თქვენ უფლება მისცეთ ხსენებულ პატრიარქს მისი მხლებლებით, ამხანაგებით, ქვეითი და ცხენოსანი მსახურებით, ცხენებით, ბარგითა და ქონებით გაიაროს, გაჩერდეს. დაბრუნდეს თავისუფლად. ისე, რომ ჩვენი სამოციქულო ტახტისადმი პატივისცემის გამო არ დაადოთ რაიმე ბაჟი, პენი და სხვა სახის გადასახადი, რაც მიღებულია ნებისმიერ თქვენს ტერიტორიაზე: უღელტეხილზე, ნავსადგურებში, ხიდებსა თუ სხვა ადგილებ-

---

[95] B. Bughetti, დასახ. ნაშრომი, გვ. 144—145.

ზე გავლისას. თანაც თავი შეიკავეთ და შეძლებისდაგვარად შეაკავეთ სხვებიც მისთვისა და მისი მხლებლებისათვის რაიმე ზარალის მიყენებისაგან. პირიქით, ხსენებული პატრიარქი და მისი მხლებლები მეგობრულად მიიღეთ, თუ მათ მოუწევთ გავლა თქვენს მიწა-წყალზე. იზრუნეთ მათ უშიშროებაზე და მიეცით საშვი. მიაზღვეთ ყველა საჭირო მომსახურება, რისთვისაც თქვენი ერთგულება აპოსტოლური ტახტის მიერ მაღალ შეფასებას მიიღებს.

გაცემულია რომს, წმ. პეტრესთან, უფლისა 1472, აპრილის იდეების წინ, ჩვენი პონტიფიკატის პირველ წელს[96].

ამრიგად, პაპმა ლუდოვიკო ოფიციალურად პატრიარქად სცნო და რაღაც დავალებაც კი მისცა. ამ საშვით აღჭურვილი ლუდოვიკო ბოლონიელი გერმანიაში მიემგზავრება. იქიდან კი. ქ. ტრევიდან ბურგუნდიაში ჩადის ახალ ჰერცოგ შარლ მამაცთან. 1473 წლის 13 ნოემბერს ჰერცოგმა მას გადასცა 405 ლივრი, რისი ხელწერილიც ლუდოვიკომ მას დაუტოვა. ჰერცოგმა ასევე ბოლონიელს მრჩევლის წოდება უბოძა და დავალებაც მისცა უზუნ-ჰასანთან, სადაც ლუდოვიკო გამგზავრებას აპირებდა[97]. ბურგუნდიიდან ლუდოვიკო ვინმე ანსელმო ადორნოს საზოგადოებაში გაემგზავრა. მაგრამ ეს უკანასკნელი პოლონეთში დარჩენილა[98]. ამრიგად, ლუდოვიკო კიდევ ჩასულა პოლონეთში.

ამის შემდეგ ბოლონიელს უკვე უზუნ-ჰასანის კარზე ვხედავთ. ამ დროს იქ ყოფილა ვენეციის ელჩი ამბროჯო კონტარინი, რომელსაც 1475 წლის 31 მაისს ძველ ჰამადანთან შეხვედრია „ვინმე ბერი ლუდოვიკო ბოლონიელი ექვსი ცხენოსნის თანხლებით, რომელიც თავს ანტიოქიის პატრიარქს ეძახდა და ამბობდა, რომ იყო გამოგზავნილი ელჩად ბურგუნდიის ჰერცოგისაგან". უზუნ-ჰასანს კონტარინისთვის უკითხავს, იცნობდა თუ არა იგი ბატონ პატრიარქს[99].

ამ გარემოებას ბრაიერი დამატებითი ეჭვების საფუძვლად ძიიჩნევს: „არ არსებობს ჩანაწერი, რომ ბურგუნდიის ახალ ჰერცოგს იგი ოდესმე თავის ელჩად დაენიშნოს ანდა რაიმე კონტაქტი ჰქონოდეს უზუნ-ჰასანთან. მიუხედავად ამისა, ლუდოვიკო ჰერცოგ შარლთან დაბრუნეს და თან გაატანეს წერილი, რომელიც შეიძლება მის სიცოცხლეში პირველი ნამდვილი წერილი ყოფილიყო"[100].

---

96 B. Bughetti, დასახ. ნაშრომი, გვ. 145—146.

97 J. Richard, დასახ. ნაშრომი, გვ. 276.

98 იქვე, გვ. 278.

99 Контарини А. Путешествие к персидскому шаху Узун-Гасану, Библиотека иностранных писателей о России, отд. I, т. I, СПб., 1836, с. 59—60.

100 A. Bryer, დასახ. ნაშრომი, გვ. 195.

ჯერ ერთი, როგორც ზემოთ ვნახეთ, არსებობს ჩანაწერი ბურგუნ-დიის ჰერცოგის შარლ მამაცის მიერ ლუდოვიკოს ელჩად დანიშვნის შესახებ და მეორეც, უზუნ-ჰასანის შეკითხვა სულაც არ მოწმობს იმას, რომ, როგორც ბრაიერი ამბობს, მას ლუდოვიკო პირველად მხოლოდ ახლა ენახოს. ჩვენის აზრით, უზუნ-ჰასანს უფრო მეტი უფლება ჰქონ-და დაეჭვებულიყო ლუდოვიკოში, ვიდრე პაპს, ვინაიდან მისი წამო-წყება კრახით დამთავრდა თვით ლუდოვიკოს იტალიელი პატრონის გამო. უზუნ-ჰასანის შეკითხვა სწორედ იმას უნდა მივაწეროთ, რომ კონტარინისაგან, როგორც ბოლონიელის თანამემამულისაგან, სურდა შეეტყო, თუ რამდენად სანდო პირი იყო იგი. ამითვე უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ ლუდოვიკოს მოხსენების დროს, დაუყოვნებლივ დაე-წყო ომი თურქების წინააღმდეგ, უზუნ-ჰასანს სიცილი მოერია.

ლუდოვიკო ბოლონიელს აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს ხელმწი-სათვის ბურგუნდიის ჰერცოგისაგან მდიდარი საჩუქრები მიურთმევია: სამი ოქროს ფარჩის ხიფთანი, სამი ალისფერი ხავერდისა და სამიც იისფერი მაუდისა. ამის შემდეგ უზუნ-ჰასანმა ლუდოვიკოსა და კონ-ტარინის თავის მხრივ ხალათები უბოძა და ფულიც აჩუქა[101]. 26 ივ-ნისს კონტარინიმ და პატრიარქმა გამოსამშვიდობებელი აუდიენცია მიიღეს. უზუნ-ჰასანმა მათ გადასცა წერილები და თითოეულს თავი-სი ელჩი გააყოლა. 28 ივნისს მათ დასტოვეს უზუნ-ჰასანის კარი მოს-კოველ ელჩ მარკო როსოსთან ერთად[102]. სომხეთზე გავლისას ისინი მიიღო ეპისკოპოსმა და საშუალება მისცა კათოლიკური წირვის მო-სმენისა[103].

12 ივლისს მგზავრები თბილისში ჩამოსულან (კონტარინი რა-ტომღაც მას მდინარე ტიგროსზე მდებარედ მიიჩნევს), გაჩერებულან რომელიღაც კათოლიკე სომეხის სახლში. კონტარინი ასე აგვიწერს თბილისს: „ტიფლისი ცნობილი იყო თავისი სიდიდითა და სიმდიდრით, მაგრამ ახლა სულ დანგრეულია, თუმც ის უბნები, რომლებიც დან-გრევას გადაურჩა, საკმაოდ მჭიდროდაა დასახლებული“[104]. თბილისში მათ მრავალი კათოლიკე უნახავთ.

15 ივლისს ქალაქი დატოვეს და 18-ში კი სამეგრელოს საზღვარ-თან შეხვდნენ მეფე ბაგრატ VI-ს. ბაგრატ მეფეს ელჩები სუფრასთან

---

[101] А. Контарини. დასახ. ნაშრომი, გვ. 60, 62; როგორც ეხედავთ, ვენე-ციის ოფიციალური დიპლომატი თავისი მოკავშირისაგან ფულად საჩუქარს იღებს და ამ გარემოებას სულაც არ თვლის დამამცირებლად. ეს კიდევ ერთხელ გვიმ-ტკიცებს იმას, რომ იმ დროს ფულის მიღება რანგით უფროსისაგან არ ითვლე-ბოდა საძრახისად.

[102] იქვე, გვ. 66—67.

[103] იქვე.

[104] იქვე, გვ. 67.

ძიუპატიქებია. კონტარინი უკმაყოფილოდ აგვიწერს ამ სუფრას. მას არ მოსწონებია არც საჭმელი და არც ნადიმი: „ქართველები ბევრს სვამენ, მკლავის სიგრძე უცნაური მოგრძო ჭიქები აქვთ. ვინც მეტს დალევს, მათთან პატივისცემით სარგებლობს. როდესაც ჩვენ დალევაზე უარი ვთქვით, გავიმართლეთ რა თავი იმით, რომ ჩვენს შორის თურქები (ე. ი. უზუნ-ჰასანის ელჩები) იყვნენ, რომლებიც ღვინოს საერთოდ არ სვამენ და მათ წინაშე უხერხული იქნებოდა, ეს მათ აშკარად არ მოეწონათ"[105].

22 ივლისს მგზავრები სამეგრელოს საზღვრებს მიადგნენ, სადაც შეხვედრიათ ქართველი „კაპიტანი" თავისი რაზმით. იგი გაგზავნილი იყო სამეგრელოში, რათა იქ წესრიგი დაემყარებინა ბედიანის გარდაცვალების შემდეგ[106].

25-ში კი ელჩები სამეგრელოში ჩასულან ბედიანის დასთან მარეხთან (Maresca). კონტარინი მოგვითხრობს: „მან კარგად მიგვიღო და დაგვაპურა. მეორე დღეს გადავწყვიტეთ მისთვის საჩუქარი გაგვეკეთებინა 20 ოქროს ოდენობით, მაგრამ როდესაც ეს გაიგო, შეგვავიწროვა და ცხენზე ორი ოქრო გადაგვახდევინა ისე, რომ მადლობლები ვიყავით განგებისა, რომ მთლად არ გავუყვლეფივართ"[107].

27 ივლისს კონტარინი, ბოლონიელი და მარკო როსო ფაზისში ჩავიდნენ, სადაც კაფას დაცემის ამბავი შეიტყვეს. ასე რომ. ეს გზა მათთვის დახურული აღმოჩნდა. ამან შეცვალა მათი მარშრუტი, ლუდოვიკომ განაცხადა, რომ გაბედავდა ჩერქეზეთზე გადასვლას, ვინაიდან ეს გზა მისთვის უკვე ნაცნობი იყო. 6 აგვისტოს პატრიარქი კონტარინის ეწვია, ბოდიში მოუხადა და გზას გაუდგა. კონტარინი ამას ნაწყენი კილოთი გვიყვება. იგი ბევრს ეხვეწა ლუდოვიკოს, არ მიეტოვებინა იგი, მაგრამ მან „უგულობა" გამოამჟღავნა და მიატოვა ვენეციელი ელჩი.

ბრაიერისათვის ეს გარემოება კიდევ ერთხელ იძლევა საშუალებას ლუდოვიკოს მიმართ სკეპტიკური აზრების გამოთქმისა, მაგრამ აქ არაფერია არც საკვირველი და არც საძრახისი. ყოველ მათგანს თავისი მიზნები და დავალებები ჰქონდა და კონტარინის ნაწყენი კილო მხოლოდ და მხოლოდ იმითაა განპირობებული, რომ ლუდოვიკო მისი თანამემამულე იყო. სხვა მხრივ, იგი არავითარ პრეტენზიას არ აცხა-

---

[105] Контарини А. დასახ. ნაშრომი, გვ. 68.
[106] იქვე, გვ. 69.
[107] იქვე, გვ. 70.

დებს მარკო როსოს შიმართ, რომელმაც კონტარინი მეორე დღეს დატოვა და გაემგზავრა „გორგორაზე" გავლით[108].

როგორც აღვნიშნეთ, ე. ბრაიერი ამ ფაქტს საეჭვოდ მიიჩნევს და აქ ამთავრებს თხრობას ბოლონიელ ბერზე. მისი თქმით ლუდოვიკო გაიძვერულად გაეპარა კონტარინის, განუცხადა რა, რომ მოსკოვში მიდიოდა. თუმცაღა, ამბობს ბრაიერი, ლუდოვიკოს მოსკოვში ყოფნაზე არაფერია ცნობილი. „ეს თაღლითი უბრალოდ შეშინდა და სადღაც მიიმალა"[109].

ბირმინჰემის უნივერსიტეტის პროფესორისადმი მთელი ჩვენი პატივისცემისდა მიუხედავად უნდა შევნიშნოთ, რომ აქ მან აშკარა დაუდევრობა გამოიჩინა. ვინაიდან კონტარინის თხზულება (რომელსაც იგი საკმაოდ ხშირად იმოწმებს) ცოტათი რომ გადაეფურცლა, უთუოდ წააწყდებოდა კიდევ ერთ ცნობას...

ჩვენ აქ არ მოვყვებით იმ თავგადასავლების აღწერას, რაც მარტოდ დარჩენილ კონტარინის გადახდა. ჩვენთვის საინტერესო ის გარემოება გახლავთ, რომ 1475 წლის 1 ნოემბერს იგი შემახაში შეხვდა მარკო როსოს და ერთად გაემგზავრნენ მოსკოვის დიდ მთავართან. 1476 წლის 26 სექტემბერს ისინი მოსკოვში ჩავიდნენ, ხოლო 27-ში კი კონტარინი ივანე III-ის წინაშე წარსდგა[110]. აქ კონტარინის შეუტყვია, რომ ლუდოვიკო ბოლონიელი მოსკოვის დიდ მთავარს საპყრობილეში ჩაუსვამს, როგორც მატყუარა, მაგრამ კონტარინისა და მარკო როსოს შუამდგომლობით იგი გაანთავისუფლეს[111]. როგორც ვხედავთ. კიდევ ერთი და საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტი ლუდოვიკოს საწინააღმდეგოდ.

ივანე III-მ ლუდოვიკო პირველად ნახა და საპყრობილეში ჩაგდო. მას რომ ბოლონიელთან ადრე რაიმე ურთიერთობა ჰქონოდა, მაშინ ეს მოქმედება ასე თუ ისე გასაგები იქნებოდა, მაგრამ ლუდოვიკოს იქამდე რუს ხელმწიფესთან არავითარი საქმე არ ჰქონია და უნდა ვიფიქროთ, რომ არც დიდ მთავარს სმენია ოდესმე მისი სახელი. მაშ რაში უნდა იყოს საქმე?

როგორც ვთქვით, 27 სექტემბერს კონტარინის აუდიენცია მიუღია ივანე III-თან. საუბრის დროს მოსკოვის მთავარს რამდენჯერ-

---

108 Контарини А. დასახ. ნაშრომი, გვ. 71—72. უნდა ვივარაუდოთ, რომ მარკო წავიდა გორგორას სამფლობელოებზე გავლით, ანუ სამცხე-საათაბაგოს გზით. აქ კონტარინი მისდაუნებურად ლუდოვიკოს სასარგებლოდ ლაპარაკობს. ის ფაქტი, რომ ჩერქეზეთის გზა მისთვის უკვე ცნობილი იყო, კიდევ ერთხელ გვისაბუთებს, რომ იგი საქართველოში ადრეც ყოფილა.

109 A. Bryer. დასახ. ნაშრომი, გვ. 195.

110 Контарини А. დასახ. ნაშრომი, გვ. 78; 104—105.

111 იქვე, გვ. 117.

მე უკმაყოფილება გამოუთქვამს ვენეციელი ელჩის — იოანე ბატისტა ტრევიზანოს მისამართით. სამწუხაროდ, კონტარინი არ გვიყვება, თუ რით იყო უკმაყოფილო ივანე III, მაგრამ კონტარინის თხზულების რუსულად მთარგმნელს კი ამის შესახებ ვრცელი შენიშვნა გაუკეთებია.

როდესაც ივანე III-მ სოფიო პალეოლოგის შერთვა გადაწყვიტა, იტალიაში თავისი ელჩი — ივანე ფრიაზინი მიავლინა. იგი ჩასულა რომში და პაპთან (რომელთანაც სოფიო იზრდებოდა) მოლაპარაკების შემდეგ ვენეციაში წასულა. ვენეციის დოჟი აღფრთოვანებულა მოსკოვის მთავრის სიდიადით და მისი მონღოლებთან ურთიერთობა ხელსაყრელად ჩათვალა. ამ მიზნით მან ფრიაზინთან ერთად რუსეთში იოანე ბატისტა ტრევიზანო მიავლინა, რომელსაც ევალებოდა რუსებისა და მონღოლების ანტიოსმალურ კოალიციაში ჩაბმა. მოსკოვში ჩასვლისას ფრიაზინმა დაარწმუნა ტრევიზანო, ივანე III-ისათვის არც წერილები და არც საჩუქრები არ გადაეცა და თვითონ კისრულობდა ტრევიზანოს ურდოში მოგზაურობის ხარჯებს. სოფიო-პალეოლოგისა და მისი ამალის ჩასვლის შემდეგ ტრევიზანოსა და ფრიაზინის ოინები გამოაშკარავდა. ივანე III-მ ფრიაზინი კოლომნაში გადაასახლა და ბორკილები დაადო. ტრევიზანოც დააპატიმრეს და მისი სიკვდილით დასჯა უნდოდათ, მაგრამ იგივე სოფიოს ამალის წევრების შუამდგომლობით გაანთავისუფლეს. ამის შემდეგ ივანე III-მ ვენეციაში ივანე ფრიაზინის ძმისშვილი ანტონ ფრიაზინი გაგზავნა საჩივრით ტრევიზანოზე. ანტონმა სხვათაშორის განაცხადა, რომ ვენეციის ელჩები მოტყუებით და უკითხავად დაიარებიან დიდი მთავრის სამფლობელოებში[112].

ჩვენის აზრით, ლუდოვიკო ბოლონიელის დაპატიმრებაც სწორედ ამ ინციდენტის გამოძახილი უნდა იყოს. ასეა თუ ისე, საბოლოოდ 1477 წელს კონტარინიმ და ლუდოვიკომ მოსკოვი დატოვეს, თუმცა პატრიარქს არც ამჯერად მოსურვებია კონტარინისთან ერთად მგზავრობა. ისინი კვლავ დაცილდნენ ერთმანეთს.

რომში ჩასვლისას ლუდოვიკომ ახალი დავალებები მიიღო. 1477 წელს 27 ნოემბერს პაპმა სიქსტ IV მისცა მას საშვი აღმოსავლეთის ქვეყნებში სამოგზაუროდ[113], 31 დეკემბერს კი დასავლეთშიც[114]. აქ ლუდოვიკო კვლავ ანტიოქიის პატრიარქის ტიტულით გვეელინება. აქედანვე ირკვევა, რომ უზუნ-ჰასანთან მას პაპის დავალებით უმოგზაურია და ახალ მოგზაურობაში კი ამჯერად 12-კაციანი ამალა მიჰყავდა.

---

[112] Контарини А. დასახ. ნაშრომი, გვ. 188—190.
[113] A B. Severi დასახ. ნაშრომი, გვ. 11—12.
[114] B. Bughetti, დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

ამრიგად, კიდევ ახალი დავალება. ლუდოვიკო იმპერატორ ფრიდრიხ III-სთან გაემგზავრა. აღსანიშნავია, რომ გარდა ოფიციალური დიპლომატიური დავალებისა, ლუდოვიკოს, ასე ვთქვათ, შინაური მისიაც ჰქონდა დაკისრებული ბოლონიელ უხუცესთაგან. მას უნდა ეშუამდგომლა იმპერატორის წინაშე, რათა იმპერატორს გაენთავისუფლებინა უსამართლოდ ციხეში ჩასმული ბოლონიელი აზნაური ჩეზარე მალვეცი[115].

ასე გადის ჩვენი თვალთახედვიდან ეს დაუღალავი ადამიანი, მებრძოლი თურქთა წინააღმდეგ კოალიციის შექმნისა და თავისი კუთვნილი საპატრიარქოსათვის. უნდა ვიფიქროთ, იგი ისევ აღმოსავლეთისაკენ გაუდგა გზას.

კიდევ რამდენიმე სიტყვა ლუდოვიკოს პატრიარქობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ 1457—70 წლებში ანტიოქიის პატრიარქი იყო ვინმე გიომ დე ლა ტური[116]. როგორც ჩანს, ამ გარემოებამ გარკვეული გავლენა იქონია ლუდოვიკოს კანდიდატურის უარყოფაზე. სიქსტ IV-ს კი საშუალება მიეცა ლუდოვიკო ეცნო პატრიარქად მხოლოდ 1471 წელს, ე. ი. უნდა ვიფიქროთ გიომ დე ლა ტურის გარდაცვალების შემდეგ და ბოლოს, პეტრუს ბოსხინუსი თავის ტრაქტატში ანტიოქიის პატრიარქების შესახებ ასახელებს ლუდოვიკო ბოლონიელს ანტიოქიის ტიტულარულ კათოლიკე პატრიარქთა შორის[117].

მაგრამ, უდავოდ, ეს ყველაფერი არ ჰფენს ნათელს საბოლოოდ „აღმოსავლეთის ფრანკთა“ ამ პატრიარქის ბედსა და პიროვნებას. როგორც ეს მართებულად აქვთ აღნიშნული პრაგენაუსა და ბუგეტის, „ამ არაჩვეულებრივი ბედის მქონე პიროვნების ისტორია უფრო დეტალურ გამოკვლევას იმსახურებს. ამგვარი მუშაობა არ დარჩებოდა უშედეგო სხვადასხვა არქივებში და პირველ რიგში, რა თქმაუნდა, ვატიკანის არქივში“. აი, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი ლუდოვიკო ბოლონიელის შესახებ დაბეჯითებითი ცოდნის მიღება. ჯერჯერობით ერთის თქმა შეგვიძლია; იგი აშკარად რაღაც მაღალი ინტრიგებისა და თამაშის მსხვერპლი შეიქმნა, რის შედეგადაც სახელი გაუტყდა იმდენად, რომ ხუთასი წლის შემდეგაც ზოგი მკვლევარი მას ულაპარაკოდ თაღლითად მიიჩნევს.

ეს დაუღალავი ადამიანი თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში იღვწოდა დასავლეთსა და აღმოსავლეთის შეკავშირებისათვის და ერთიანი ძალით მძვინვარე საერთო მტრის დამარცხებისა-

---

115 A. B. Severi დასახ. ნაშრომი, გვ. 11—12.

116 J. Richard, დასახ. ნაშრომი, გვ. 277.

117 Boschinus Petrus, Tractatus hist, Crist, de Patriarchis Antiochenis, Venezia, 1748, p. 142.

თვის, მაგრამ სამწუხაროდ, პოლიტიკურმა სიტუაციამ არ განაპირობა მისი სურვილის აღსრულება.

ლუდოვიკო ბოლონიელი მრავალი, ჯერ კიდევ უცნობი საინტერესო ამბის მონაწილე იქნება, ვინაიდან, ვიმეორებთ, ორმოცდაათი წლის მანძილზე არ ხდებოდა არაფერი დასავლეთის გაერთიანებისა და აღმოსავლეთთან კავშირის დამყარების ირგვლივ, სადაც ამ ფრანცისკანელ ბერს, პატრიარქს საპატრიარქოს გარეშე თავისი მოკრძალებული წვლილი არ შეეტანოს.

მეხუთე თავი

აღმოსავლეთელი მოკავშირეების წერილებისა და მათი ელჩების ვინაობის შესახებ

ჩვენი კვლევა არ იქნებოდა სრული, თუ საგანგებოდ არ განვიხილავდით ელჩების მიერ ევროპაში ჩატანილ წერილებს და არ შევეცდებოდით აღმოსავლეთელი მოკავშირეებისა და მათი ელჩების ვინაობის დადგენას.

ამრიგად, პირველ რიგში ყურადღება წერილებს დავუთმოთ.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული საკითხის მკვლევართა შორის არავის უცდია საფუძვლიანად ხსენებული დოკუმენტების ურთიერთდაპირისპირება და ამის ნიადაგზე რაიმე დასკვნის გაკეთება. ერთადერთი მკვლევარია ენტონი ბრაიერი, რომელმაც სცადა მეცნიერულად შეესწავლა ეს დოკუმენტები, მაგრამ ამჟღავნებს რა ტენდენციურობას, ბრაიერი არასწორ დასკვნამდე მიდის. როგორც ჩანს, ინგლისელი მეცნიერი, მოეკიდა რა ამ საქმეს, წინდაწინვე იმ წინასწარგანწყობით იყო გამსჭვალული, რომ ლუდოვიკო ბოლონიელი თაღლითია, ხოლო მის მიერ ჩაყვანილი ელჩობა ფალსიფიცირებული. ამიტომაც ყველა ნიუანსი მან ამის დასამტკიცებლად მიიჩნია და საბოლოოდ თავისთვის სასარგებლო დასკვნებს აკეთებს. მოკლედ რომ ვთქვათ, ბრაიერს აღნიშნული წერილები მხოლოდ ცალმხრივად აქვს ვანხილული, თუმცაღა ცდილობს ობიექტური იყოს.

ე. ბრაიერი ჯერ ქართველი მეფისა და ათაბაგის წერილებს იხილავს (მისთვის ცნობილია მხოლოდ მათი წერილები ბურგუნდიის ჰერცოგისადმი): „ეს წერილები, ამჟღავნებენ საქართველოს პოლიტიკური ვითარების ღრმა ცოდნას, მაგრამ ნათელია, რომ ორივე წერილი დაწერილია ერთი და იგივე პირის მიერ. ისინი იწყება იმის აღწერით, თუ ლუდოვიკო ბოლონიელმა — „ჩვენმა პატრიარქმა“ — როგორ დაამშვიდა მოშუღლე საქართველოს სამეფოები, ჩამოთვლილია ლაშქრის რაოდენობა, რომლის საბრძოლველად გამოყვანა.

„შეეძლოთ აწ გაერთიანებულ სახელმწიფოებს... ბროსეს აზრით, ეს წერილები ისეთსავე სტილშია დაწერილი, როგორც მრავალი საეკლესიო დოკუმენტი (კათოლიკური — დ. პ.)... ის, რომ ეს წერილები ლუდოვიკოს კარნახითაა დაწერილი, აშკარად ჩანს იმ უზარმაზარი პოლიტიკური როლის გამო, რომელსაც მას საქართველოში ანიჭებდნენ... ჩვენ იმაშიც უნდა შევთანხმდეთ, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომი ლათინური ტექსტები არ წარმოადგენენ ქართული ორიგინალების თარგმანებს; ყოველ შემთხვევაში, ეს ძლიერ რედაქტირებული ვერსიებია"[1].

რაც შეეხება იმ თეზისს, რომ ორივე წერილი ერთნაირად იწყება და ერთი და იგივე პიროვნების მიერაა დაწერილი, ჩვენ ამას ვერ გავიზიარებთ; და მართლაც, რა უნდა მიეწერათ გიორგი მეფესა და ყვარყვარე ათაბაგს ევროპელებისათვის, თუ არა ის ამბები, რაც მათ ქვეყანაში გაკეთდა ანტიოსმალური კავშირისათვის. ლუდოვიკოს პატრიარქად მოხსენიება კი, როგორც უკვე ვნახეთ, იქიდან მოდის, რომ თავის ამ მოგზაურობაში ბოლონიელი ოფიციალურად პაპის მიერ დამტკიცებული ტიტულით გაემგზავრა, ხოლო ქართველთა მიერ მისი „ჩვენ პატრიარქად" აღიარება იმითაა განპირობებული, რომ ამით ისინი აღიარებდნენ კათოლიკური ეკლესიის პრიმატს (მხოლოდ ეს ფარულად ხდებოდა). ქართველ პოლიტიკოსებს არ სურდათ რაიმე ვალდებულებების აღება, სანამ საერთო მტერს არ დაამარცხებდნენ, ლუდოვიკო ბოლონიელი აქ შირმის როლს ასრულებდა და, როგორც ვნახეთ, პაპის რისხვაც სწორედ მას დაატყდა თავს.

ბროსეს აზრით, ეს წერილები ისეთსავე სტილშია დაწერილი, როგორც სხვა საეკლესიო დოკუმენტები. აქედან გამომდინარე, ბრაიერის აზრით, ისინი ლუდოვიკოს კარნახითაა დაწერილი, თუმცაღა თვითონ აღიარებს, რომ ეს ორიგინალების თარგმანები კი არა, არამედ მათი ძლიერ რედაქტირებული ვერსიებია.

ის გარემოება, რომ წერილების სტილი სხვა კათოლიკური დოკუმენტების სტილსა ჰგავს, ჭეშმარიტად იმაზე მიგვითითებს, რომ ისინი ძლიერ რედაქტირებულია და რედაქტირებულია სწორედ პაპის კანცელარიაში და არა ლუდოვიკოს მიერ. სხვა მხრივ, რაში უნდა დასჭირვებოდა ბოლონიელს მათი რედაქტირება?

უაღრესად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ პიუს II თავის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში შემოგვინახა ეს წერილები, განკუთვნილი ბურგუნდიის ჰერცოგისადმი და არა მისი პირადი კორესპონდენცია.

---

[1] A. Bryer, დასახ. ნაშრომი, გვ. 184.

ჩვენ მიერ მიკვლეული და ზემოთ მოყვანილი წერილი ყვარყვარე ათაბაგისა ვენეციის დოჟისადმი, როგორც ეს აქ მოტანილი ტექსტიდან ჩანს, საკმაოდ განსხვავდება ბრაიერის მიერ განხილული წერილებისაგან[2].

აღსანიშნავია, რომ აქ ლუდოვიკო ბოლონიელი ნახსენებია მხოლოდ როგორც პაპის ელჩი და არა როგორც პატრიარქი. ლუდოვიკოს რომ ეს წერილიც შეეთხზა, ალბათ არ გამოტოვებდა საშუალებას კიდევ ერთხელ პატრიარქის ტიტულით წარმოჩენილიყო.

განაგრძობს რა მსჯელობას ამ საკითხის ირგვლივ, ბრაიერი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ტრაპიზონის კეისრის წერილს ფილიპე ბურგუნდიელისადმი (მას იქვე მოჰყავს წერილის ტექსტიც):[3] „ეს ყველაზე გრძელი და დეტალური წერილია ამ სამიდან. სტილისტურად ის არ განსხვავდება სხვა წერილებისაგან, რომლებიც ქართველი მმართველების მიერ იყო დაწერილი. იგი ისე ჰგავს დავითის ნამდვილ ნაწერს, როგორც დანარჩენები მათი ვითომდა ავტორების ნაწერებს. ეს წერილი დანარჩენებისაგან მაინც განსხვავდება ორი რამით. პირველი ისაა, რომ მასში მოცემულია მცირე სომხეთის მმართველის ლაშქრის განსხვავებული რიცხვი და იგი დათარიღებულია 1459 წლის 22 აპრილით... მეორე, და ყველაზე თვალსაჩინო განსხვავება ისაა, რომ მასში ლუდოვიკო ბოლონიელი სულ არაა მოხსენიებული, მაშინ, როდესაც სხვა წერილები სავსეა მისი ქებით"[4].

ყოველივე ამის შემდეგ ბრაიერი განაგრძობს გამოკვლევას. იგი წერს, რომ არის რამდენიმე ნიშანი (წერილის სტილის გარდა) იმისა, რომ ეს დოკუმენტი არაა ბერძნული ორიგინალის თარგმანი. აქ დავითი ნახსენებია, როგორც „ტრაპიზონის იმპერატორი". ასე უწოდებენ მას მხოლოდ პაპისა და კერძოდ იტალიური დოკუმენტები და ასეთნაირად იგი არასდროს უწოდებს თავის თავს. აქ ბრაიერს ტრაპიზონის კეისართა სრული ტიტული მოჰყავს[5]. იგი ბურგუნდიის ჰერცოგს შეპირებია იერუსალიმის მეფის გვირგვინს, რაც რეალურად არ შეეძლო განეხორციელებინა და არც 30 ხომალდი გააჩნდა მაშინ. ყოველივე ამან ბრაიერი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ეს წერილი შეიძლებოდა მიქელ დ'ალიგიერის შეეთხზა..., ვინაიდან მან ლათინური იცოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბრაიერი აშკარად ტენდენციურად და წინასწარგანწყობით უდგება კვლევის საგანს; და ვინაიდან თავიდანვე ეძებს იმას, რაც მას უნდა, პოულობს კიდეც; მაგრამ ჭეშმარიტება მოითხოვს, რომ ყოველივე ეს ობიექტურად შეფასდეს. ბრაი-

---

2 შეადარე მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 57—60.

3 A. B r y e r, დასახ. ნაშრომი, გვ. 196—198.

4 იქვე, გვ. 186—187.

5 იქვე, გვ. 196.

ერის პოზიციის უარყოფას ჩვენ ცნობილი ფრანგი მწერლის ა. ფრანსის სიტყვებით დავიწყებთ: „ყველაზე სარწმუნოდ სწორედ ის დოკუმენტი გამოიყურება, რომელიც ყალბია“.

წერილში დავითი ნახსენებია, როგორც ტრაპიზონის კეისარი, ე. ი. იმ ტიტულით, როგორც მას იტალიური დოკუმენტები უწოდებენ. ჩვენი აზრით, ეს კიდევ ერთხელ და საკმაოდ დამაჯერებლად მიგვითითებს სწორედ იმაზე, რომ წერილმა პაპის კანცელარიაში განიცადა რედაქტირება. ჩვენს წყაროებში მრავალი პიროვნების სახელია დამახინჯებული და ეს, რა თქმა უნდა, სწორედ მთარგმნელებისა და გადამწერების ბრალი უნდა იყოს. რაც შეეხება ალიგიერის, თუ ის მოკიდებდა ხელს ყალბი წერილის შეთხზვას, უნდა ვიფიქროთ, ყველაფერს გაითვალისწინებდა, რომ მისთვის ზედმეტი დამაჯერებლობა მიეცა.

რაც შეეხება კეისრის პირობას ფილიპე კეთილისათვის იერუსალიმის მეფობა ებოძა, ეს ჯერ ერთი, თურქების საბოლოო განადგურების შემდეგ უნდა მომხდარიყო და მეორე მხრივ კი აშკარა დიპლომატიური ხერხია ბურგუნდიის ჰერცოგის დასაინტერესებლად. იგივე უნდა ვთქვათ ტრაპიზონის საზღვაო ძალების აშკარა გაზვიადების გამოც.

რაც შეეხება განსხვავებებს; თარიღი 22 აპრილი იმას მიგვანიშნებს, რომ ლუდოვიკო ჯერ ტრაპიზონში ყოფილა და აქედან წამოსულა საქართველოში. ამრიგად, თარიღის განსხვავება უფრო წერილის ნამდვილობის სასარგებლოდ გამოდგება, ვიდრე პირიქით.

კილიკიის სომხეთის ჯარების განსხვავებული რიცხვი არაფერს ნიშნავს. პირიქით, ფალსიფიკაციის შემთხვევაში ალიგიერიცა და ბოლონიელიც იზრუნებდნენ იმაზეც, რომ ციფრები დამთხვეოდა ერთმანეთს.

მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ განსხვავება მარტო ურთუბეკუსის ჯარის რაოდენობაში როდია. ამ ციფრების ნათლად დანახვისათვის ვენეციის დოჟისადმი ყვარყვარეს მიერ გაგზავნილ წერილს მოვიშველიებთ.

ყვარყვარე ათაბაგის წერილი ვენეციის დოჟისადმი:

„მე, ყვარყვარე, გამოვიყვან 20 000 კაცს, მეტწილად ცხენოსანს, მეფე გიორგი 40 ათასს გვპირდება გულიებთანა და ავოგასტებთან ერთად... ბენდიანი, სამეგრელოს ბატონი, ქუთაისის მეფე ბაგრატთან ერთად გვპირდებიან გამოიყვანონ იმდენივე, რამდენსაც მეფე გიორგი, ტრაპიზონის იმპერატორი თავის სიძე თურქ უზუნ-ჰასანთანა და ბერდებეკ არმენიელთან ერთად დამოყვრდნენ და დაგვპირდნენ, რომ გზას მოგვცემენ“.

ყვარყვარე ათაბაგი თავის წერილში ბურგუნდიის ჰერცოგისადმი მხოლოდ თავისი ლაშქრის რაოდენობას — 20 000 მხედარს ასახელებს.

გიორგი მეფის წერილი ბურგუნდიის ჰერცოგისადმი:

„მე თვითონ პირადად 40 000 კაცით უნდა წავიდე, დავით ტრაპეზუნტის იმპერატორი შეგვპირდა და მზად აქვს 30 ხოპალდი 20 000 კაცით; სამეგრელოს მეფე ბენდია მზად არის მთელის თავისი ჯარით; ყვარყვარე, საქართველოს მთავარი, თვით მოდის 20 000 ცხენოსნით; ანაკოფიის მთავარი რაბია შემოგვპირდა წამოსვლას მთელი თავისი ძმებით, თავადებით და მთელის თავისის მხედრობით; მცირე სომხეთის ბატონი ბერდებეკი ჩვენის ლაშქრობისათვის შემოგვპირდა 20 000 კაცს“.

ტრაპიზონის კეისრის წერილი ბურგუნდიის ჰერცოგისადმი:

„მე ოცდაათი ბირემითა და 20 000 კაცით; გიორგი სპარსთა მეფე მზად არის 60 000 კაცით; ყვარყვარე საქართველოს მთავარი 20 000 ცხენოსნით; ბენდიანი, სამეგრელოს მეფე თავისი ვაჟით გამოიყვანს 60 000 კაცს, რაც მისთვის იოლი იქნება. რაბია მისი ძმებითა და ბარონებით 30 000 კაცს. ჯიქებისა და ალანების ერი დაგვპირდნენ გამოვიდნენ სპარსთა მეფის დროშის ქვეშ. დარდაბეკი, მცირე სომხეთის ბატონი, გამოიყვანს 10 000 კაცს, ჩემი ნათესავი ასამბეკი კი, როგორც ვთქვი, მონაწილეობას მიიღებს თვითონ 50 000 კაცის სათავეში“.

როგორც ვხედავთ, ეს რიცხვები საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან და არა მარტო დავით კომნენოსის ეპისტოლე, სადაც ურთუბეკუსის ჯარის გარდა გიორგი მეფის ჯარის რაოდენობაც შეცვლილია, არამედ ოთხივე დოკუმენტი სხვადასხვა რაოდენობას ასახელებს. უფრო ახლოს არიან ერთმანეთთან ყვარყვარე ათაბაგისა და გიორგი მეფის მონაცემები, დავით კომნენოსი კი განსხვავებულ რაოდენობას ასახელებს.

ვიმეორებთ, ეს ფაქტი სრულებითაც არ მოწმობს წერილების ფალსიფიკაციას. პირიქით, მ. ალიგიერი, რომლის მთელი დანაშაული იმაშია, რომ ლათინური იცოდა, მოჰკიდებდა რა ხელს ამგვარი სიყალბის შეთხზვას, იმაზეც იზრუნებდა, რომ ამგვარი ლაფსუსები არ გაპარვოდა. მით უმეტეს, რომ გვერდით ჰყავდა სხვა „ყალბი წერილების ავტორი“ — ლუდოვიკო ბოლონიელი.

სულ სხვა საკითხია, თუ რამდენად რეალურ სურათს შეესაბამება მოყვანილი მონაცემები. სამწუხაროდ, ჩვენ არ გაგვაჩნია არავითარი დოკუმენტი თუ დემოგრაფიული მასალა იმ დროს ქართველთა

მოსახლეობის რაოდენობისა და ლაშქრის ოდენობის შესახებ. არაფერი შეგვიძლია ვთქვათ არც ტრაპიზონის საომარ ძალებზე, გარდა იმისა, რომ 30 ხომალდი მართლაც გადაჭარბებულად გვეჩვენება. სამაგიეროდ, ჩვენ შეგვიძლია გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ უზუნ-ჰასანის ძალაზე. 1477 წელს საქართველოში შემოსევისას თეთრბატკნიანთა ხელმწიფეს 40 000 კაცი ახლდა[6].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, უზუნ-ჰასანის ჯარის ოდენობა საკმაოდ ზუსტად არის შეფასებული.

დაბოლოს, მსჯელობს რა დავით კომნენოსის წერილის შესახებ, ბრაიერი ამბობს, რომ აქ სულ არაა ნახსენები ლუდოვიკო ბოლონიელი, მაგრამ ეს მთლად მართალი არ არის. მართალია, იგი. პატრიარქად არ არის ნახსენები და არც მისი სახელი იხსენიება. მაგრამ „პაპის ელჩი", რომელმაც გაგვაგებინა თქვენი და პაპის მანტუაში გამგზავრება", სხვა არავინაა, თუ არა ლუდოვიკო. როგორც ზემოთ ვნახეთ, იგი არც ყვარყვარეს ვენეციის დოჟისადმი მიწერილ წერილშია. პატრიარქად ნახსენები. ლუდოვიკო პატრიარქად მხოლოდ ორ წერილში იხსენიება — გიორგი მეფისა და იგივე ყვარყვარე ათაბაგის წერილებში ბურგუნდიის ჰერცოგისადმი. ჩვენის აზრით, ეს გარემოება განსაკუთრებულ ყურადღებასა და ახსნას საჭიროებს. ბრაიერის კონცეფციას რომ მივყვეთ, ასეთ შემთხვევაში გამოვა, რომ ყვარყვარეს წერილი ვენეციის დოჟისადმი არც ლუდოვიკოს მიერაა შეთხზული (ვინაიდან აქ იგი პატრიარქად არ იხსენიება) და არც ალიგიერის მიერ (ვინაიდან იგი მხოლოდ ტრაპიზონის ამბებით იყო დაკავებული). მაშ ვისი დაწერილია იგი?

დოკუმენტების შედარებით თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ პირველი სამი, ანუ ბურგუნდიის ჰერცოგისადმი განკუთვნილი წერილები სტილისტურად განსხვავდება მეოთხის — ვენეციის დოჟის სახელზე გაგზავნილისაგან, რის საფუძველზეც მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ მათ, ე. ი. პირველმა სამმა დოკუმენტმა. აშკარა რედაქტირება განიცადა სწორედ პაპის კანცელარიაში.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ე. ბრაიერის დასკვნა წერილების ფალსიფიკაციის შესახებ არაობიექტურია და კრიტიკას ვერ უძლებს.

ახლა განვიხილოთ კავშირში შემავალი მეფე-მთავრებისა და მათი ელჩების ვინაობა. თავდაპირველად ცოტა ხნით ისევ ლუდოვიკო ბოლონიელს დავუბრუნდეთ.

---

6 რ. კიკნაძე, საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV ს-ის II ნახევარში. — საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის „შრომები", VII, თბ., 1964, გვ. 119—123.

ევროპული წყაროები მას, როგორც ვნახეთ, პატივცემულ პრელატადა და დოქტორად იხსენიებენ, მაგრამ რამდენიმე შემთხვევაში საოცარ ცნობას გვაწვდიან.

დიუ კლერკი ამბობს, რომ ლუდოვიკომ სრულიად არ იცოდა ლათინური, მაგრამ ლაპარაკობდა ბერძნულად და ცოტა იტალიურად.

გენტის ქრონიკაში ნათქვამია, ლუდოვიკო ბოლონიელი ლათინურად კარგად ვერ ლაპარაკობდა, უფრო ბერძნულად და ცოტა იტალიურად.

წყაროების ეს ცნობა ბრაიერმა ისევ თავის სასარგებლოდ გამოიყენა, რათა დაემტკიცებინა ბოლონიელის თაღლითობა.

ჩვენ ამ ფრანცისკანელი ბერის ცხოვრების თითქმის ყველა ცნობილი ეპიზოდი განვიხილეთ. 1431 წელს ევგენი IV-მ შეადგინა ღვთის მეტყველებაში განსწავლული 6 ბერისაგან შემდგარი კაპიტული, სადაც ლუდოვიკოც შედიოდა. ძნელი საფიქრებელია, რომ პაპის მიერ რჩეულ ამგვარ განსწავლულ პირს არ სცოდნოდა ლათინური. დაბოლოს, როგორც ვიცით, ლუდოვიკო იტალიელი იყო და ის ფაქტი, რომ წყაროები მის მიერ იტალიურის ცუდად ცოდნას აღნიშნავენ, ერთობ საკვირველია, ლუდოვიკოს ხანგრძლივ მოგზაურობებში მართლაც შეიძლებოდა დავიწყნოდა ლათინური, მაგრამ მშობლიური ენა? ამრიგად, ამ წყაროების ეს ცნობა გადასინჯვას მოითხოვს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საფუძველს მოკლებული არ არის ვარაუდი, რომ ლუდოვიკო განზრახ ერიდებოდა ელჩებთან ერთად ბერძნულის გარდა სხვა ენაზე ლაპარაკს.

ახლა განვიხილოთ აღმოსავლეთელი მოკავშირეებისა და მათი ელჩების ვინაობა იმ სიის მიხედვით, რომელიც ლ. ვადინგოს მოჰყავს[7].

1. დავით ტრაპიზონელი — ტრაპიზონის უკანასკნელი კეისარი, დავით დიდი კომნენოსია, კალოიოჰანესის (იოანე IV) ძმა და მემკვიდრე. მისი ელჩია მიქელ დე ალიგიერი. თვით კომნენოსის წერილში იგი მოხსენიებულია, როგორც კეისრის ელჩი და დიდებული მიქაელ დე ალგეორი. ი. ბერაძეს მოჰყავს ამ წერილის ტ. ევანგელდისეული გამოცემა[8], სადაც ტრაპიზონის ელჩი მოხსენიებულია „მიქაელ დალგეორგი". ამის გამო ი. ბერაძე ასკვნის, რომ ეს გიორგის ძეს უნდა ნიშნავდესო. მაგრამ ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ იმ დროს მამის სახელით მარტო მეფეებსა და მთავრებს იხსენიებდნენ ხოლმე. გარდა ამისა, არსებობს არაერთი წყარო, სადაც ეს პიროვნება მოხსენიებულია, როგორც მიქელ დე ალიგიერი და დანტეს შთამომავალი. შიპიონე ამირატო წერს: „იგი იყო ერთი ამ ელჩთაგანი (რომლე-

---

7 L. Waddingo, დასახ. ნაშრომი, გვ. 153.

8 ი. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

ბიც ჩამოყვნენ ლუდოვიკო ბოლონიელს), დანტე ალიგიერის შთამომავალი, იმიტომ იყო, რომ ფლორენციაში სიამოვნებით მიიღეს"[9].

ზოგ წყაროში, მაგალითად, დე ბარანტე, რომელიც ქ. იპრის არქივის ცნობას ეყრდნობა, ალიგიერის conte palatin-ის ტიტულით იხსენიებს; რაც ირონიას იწვევს ევროპელ მეცნიერებში, მაგრამ ეს ტიტული კიდევ ერთხელ ასაბუთებს, რომ ალიგიერი ტრაპიზონის კეისრის კარისკაცი იყო[10].

აღსანიშნავია, რომ დასავლეთევროპელი მეცნიერები ერთხმად უცხადებენ ნდობას ალიგიერის; აღნიშნავენ, რომ იგი ყველაზე რეალური პირი იყო ლუდოვიკოს ამალაში, ვინაიდან მან 1460 წლის 15 დეკემბერს ფლორენციაში, როგორც კომენოსის ელჩმა, ხელი მოაწერა სავაჭრო ხელშეკრულებას ფლორენციასთან. მაგრამ ამავე დროს ისინი ერთგვარ უნდობლობასაც იჩენენ. საქმე ისაა, რომ არსებობს ცნობა, რომლის თანახმად 1470 წელს მიქაელ ალიგიერის უმოგზაურია შავ ზღვაზე მდებარე ზოგ ფაქტორიაში, როგორც ტრაპიზონელ დიდვაჭარს და ეს მაშინ, როცა ტრაპიზონი უკვე დაპყრობილი ჰქონდათ ოსმალებს[11], მაგრამ აქ გასაკვირი არაფერია. დამოუკიდებლობის დაკარგვის მიუხედავად ტრაპიზონის მოსახლეობაში არსებობდა მებრძოლი სული და არც ვაჭრობა იყო აკრძალული. მიქაელ ალიგიერის ეს საქციელიც სწორედ ამის გამოვლინებად უნდა ჩავთვალოთ. ჭეშმარიტად, მეტად გასაკვირი იქნებოდა ალიგიერი თურქი ვაჭრის როლში რომ გამოსულიყო.

ამასთან, 1470 წელი ის პერიოდია, როდესაც განახლდა ანტიოსმალური კავშირი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, და მომდევნო 1471 წელს კი, როგორც ვიცით, ქართველებს ტრაპიზონის განთავისუფლებაც კი უცდიათ[12].

2. გიორგი — ალექსანდრეს შვილი, სპარსეთის, დიდი სომხეთისა და მცირე იბერიის მეფე.

---

[9] Scipione Ammirato, Istoria Fiorentine, Firenze, 1641, p. 90. „Era uno de detti ambasciatori (venuti con Ludovico da Bologna) de discendenti del Poeta Dante Alignieri; perche fu da Fiorentini volontieri veduto e accarezzato".

[10] ბიზანტიის იმპერიაში სახელმწიფო და კარის მოხელენი ატარებდნენ ტიტულს Palatin და მათ შორის ყველაზე გავლენიანი იყო Comes Palatinus ანუ იგივე Conte Palatin. ევროპელ მეცნიერთა სკეპტიკური ტონი. რომ ლუდოვიკომ ალიგიერი Conte Palatin-ადაც კი გამოაცხადა, ალბათ იმას ნიშნავს, რომ ისინი მას პალატინის ბორცვის (ძვ. რომში) გრაფად თვლიდნენ. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ეს ასე არ არის. იხ. Палатин, Большая Энциклопедия, т. 14, СПб., 1904, с. 615.

[11] W. Heyd, დასახ. ნაშრომი, გვ. 364.

[12] ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV ს-ის II ნახევარში და XVI ს-ში, თბ., 1981, გვ. 16.

სპარსეთში მეფედ არც გიორგი და არც ალექსანდრე არასდროს ყოფილან. ამას გარდა, ყველა საბუთიდან ირკვევა, რომ ეს „სპარსთა მეფე" ქრისტიანი ყოფილა. ამრიგად, აქ უეჭველად ლაპარაკია ალექსანდრე I-ის შვილზე, ერთიანი საქართველოს უკანასკნელ მეფე გიორგი VIII-ზე (1446—1466). გაუგებარია, თუ რატომ ფიგურირებს ჩვენს წყაროებში გიორგი მეფე ასეთი უჩვეულო ტიტულით; იმიტომ, რომ თავის სიგელებში იგი თავს არასდროს უწოდებს „სპარსეთის, დიდი სომხეთისა და მცირე იბერიის მეფეს", არც ევროპული წყაროებიდან ჩანს, რომ ევროპელებს ოდესმე ამ კონკრეტული შემთხვევის გარდა საქართველოსათვის სპარსეთი, ხოლო ქართველი მეფისათვის კი „სპარსთა მეფე" ეწოდებინათ. ამის თაობაზე ივ. ჯავახიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ქართველი მეფის ამგვარი ტიტულატურა წერილის მთარგმნელისა და გადამწერის ბრალი უნდა ყოფილიყო[13].

მაგრამ ივ. ჯავახიშვილის განკარგულებაში იყო მხოლოდ ის წყაროები, რაც მ. თამარაშვილს ჰქონდა გამოქვეყნებული, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვატიკანის არქივში მოძიებული მასალები. ის გარემოება, რომ გიორგი VIII „მეფე სპარსთას" სახელით გვხვდება ჩვენ მიერ მოყვანილ სხვა ევროპულ წყაროებშიც, უნდა ვიფიქროთ, გამორიცხავს იმ მოსაზრებას, რომ ყოველივე გადამწერთა ბრალი უნდა ყოფილიყო.

აქვე გვინდა ყურადღება მივაპყროთ ერთ გარემოებას.

ჩვენთვის ცნობილ წყაროებში ტერმინი „სპარსეთი" და „სპარსთა მეფე" იმ მნიშვნელობით, როგორც ამ ცალკეულ შემთხვევაში გვხვდება, პირველად მაშინ ჩნდება, როდესაც ლუდოვიკო ბოლონიელმა კალიქსტ III-ს მოახსენა, რომ „სპარსეთსა" და „საქართველოში" (წაიკითხე გიორგი VIII-სა და ათაბაგის სამფლობელოებში) შეხვედრია მრავალი კათოლიკე. ამის შემდეგ კალიქსტიც წერს წერილს „სპარს" და „ქართველ" კათოლიკებს, რომლებიც ფრანკებად იწოდებიან.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ გიორგი VIII-ის წოდებულების შესახებ ევროპაში იმთავითვე დამახინჯებული ინფორმეცია გავიდა დე მის მატარებლად ლუდოვიკო ბოლონიელი უნდა ჩავთვალოთ. აქ იბადება კითხვა — საკუთარი ინიციატივით მოქმედებდა ლუდოვიკო თუ არა?

ჩვენ დავრწმუნდით, რომ ელჩების მიერ ევროპაში ჩატანილი წერილები ნამდვილი წერილებია და არა ფალსიფიცირებული არც ლუდოვიკოსა და არც ვინმე მისი ამალის წევრის მიერ. აქ კი ყველგან: თვით გიორგის წერილში, ყვარყვარეს წერილში ფილიპე ბურ-

---

13 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბ., 1967, გვ. 66—67.

გუნდიელისადმი და ტრაპიზონის კეისრის წერილში გიორგი „სპარსთა“ მეფედ იხსენიება. „სპარსთა მეფეს“ უწოდებს მას ფრიდრიხ III-ც. ამავე ტიტულით იხსენიება იგი სხვა ევროპულ წყაროებშიც. განსხვავებას გვაძლევს მხოლოდ ყვარყვარეს წერილი ვენეციის დოჟისადმი და ფლორენციის სენატის ცნობები და მისი საპასუხო წერილიც. პირველ შემთხვევაში გიორგი იხსენიება მხოლოდ მეფედ, ალექსანდრეს შვილად, მეორე შემთხვევაში კი ივი დიდი სომხეთის მეფის ტიტულით გვეელინება. როგორც ვხედავთ, გიორგის „ევროპული ტიტულატურა“ დარღვეული არ არის.

ამრიგად, შევთანხმდით რა იმაში, რომ აღნიშნული წერილები ნამდვილია და ავტორების მიერ დაწერილი, შეიძლება ერთი დასკვნა გავაკეთოთ, რომელსაც, მართალია, მხოლოდ ვარაუდების გარემოში მივყავართ...

კერძოდ — ლუდოვიკოს საქართველოში მშვიდობა დაუმყარებია და მოქიშპე მეფე-მთავრები დაზავებულან, ხელშეკრულებაც კი დაუდევთ. ჩვენ იქიდანაც უნდა ამოვიდეთ, რომ გიორგი ერთიანი საქართველოს მეფედ მხოლოდ ნომინალურად ითვლებოდა. აღნიშნული წერილებიდან საკმაოდ კარგად ჩანს, რომ ფაქტობრივად ქვეყანა დაშლილი და დანაწევრებული იყო.

ამრიგად, შეთანხმდნენ რა ქართველი პოლიტიკოსები შეკავშირებაზე და ევროპაში ელჩების გაგზავნაზე, როლებიც გაინაწილეს. ყველაზე მერყეევი მდგომარეობა, როგორც ჩანს, გიორგი მეფეს ჰქონდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ფაქტობრივად იგი მხოლოდ ქართლსა და კახეთს ფლობდა, აქედანაც არის „მცირე იბერიის მეფის“ ტიტული: მაგრამ ევროპელთა წინაშე წამდგარ ელჩებს ქართველი მეფე-მთავრები იმ ტიტულით უნდა მოეხსენიებინათ, რის მიღებასაც იმედოვნებდნენ საერთო გამარჯვების შემდეგ. ვიმეორებთ, თუკი ბედიანისა და საქართველოს „ჰერცოგის“ მდგომარეობა ასე თუ ისე გარკვეული იყო, გიორგი მეფის შესახებ ამის თქმა არ შეგვიძლია. განუდგნენ რა ხელქვეითები და მანაც დაჰკარგა მათი დამორჩილების იმედი (სხვა მხრივ ისინი არც დაზავდებოდნენ. უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველი მთავრების მეფისაგან დამოუკიდებლობა ამ ხელშეკრულების უმთავრესი პირობა იყო), გიორგიმ თვალი ფაქტობრივად არარსებულ სპარსეთს მიაპყრო და სპარსეთის გარკვეული ტერიტორიების შემომტკიცება სურდა. ამ საქმეში, არც დადიანი და არც ყვარყვარე წინ არ დაუდგებოდნენ. ამრიგად, საერთო შეთანხმებით გიორგი VIII ქართველმა მოღვაწეებმა ევროპელთა წინაშე სპარსეთის მეფედ მონათლეს. სხვა საკითხია, თუ როგორ უყურებდა ამ ამბავს უზუნ-ჰასანი. ყოველ შემთხვევაში, ევროპულ წყაროებში უზუნ-ჰასანი ფიგურირებს, როგორც მესოპოტამიის, ხან კი როგორც „ერთი მთიანი ოლქის“ ბატონი. ამ-

რიგად, ევროპაში თეთრბატკნიანთა სახელმწიფოს ბელადი არავითარ პრეტენზიას არ აცხადებს სპარსეთის შაჰობაზე.

რაც შეეხება სომხეთს, აქ საკითხი უფრო რთულია. აღნიშნულ პერიოდში სომხებს თავიანთი სახელმწიფოებრიობა არ ჰქონიათ. ყარა-ყოიუნლუსა და აყ-ყოიუნლუს თურქმანული ურდოების ბრძოლის დროს სომხეთი სწორედ ძირითად არენასა და მიზანს წარმოადგენდა. ამ ბრძოლაში გარდატეხა რომ სწორედ მაშინ დაიწყო, როდესაც უზუნ-ჰასანმა ჯეჰან შაჰს XV ს-ის 50-იან წლებში წაართვა სომხეთის დიდი ნაწილი და ქურთისტანი[14].

ჩვენ შეგვიძლია ორი ვარაუდის წამოყენება. პირველი, რომ სომხეთის გარკვეული ნაწილი ქართველი მეფის ხელში გადმოვიდა და მეორე, რომ იმედოვნებდნენ რა ქრისტიან მოკავშირეებზე, გიორგი მათი დახმარებით სომხეთის შემომტკიცებას აპირებდა. ასეა თუ ისე, უზუნ-ჰასანის ელჩს არავითარი პროტესტი განუცხადებია ევროპაში გიორგი VIII-ის „დიდი სომხეთის" მეფის ტიტულით მოხსენიების გამო. შესაძლოა, გიორგისა და უზუნ-ჰასანს შორის გარიგებაც იყო და გამარჯვების შემთხვევაში სომხეთის ნაცვლად უზუნ-ჰასანი ოსმალთა რიგ ტერიტორიებს მიიღებდა... მით უმეტეს, რომ, როგორც გიორგი მეფის ბურგუნდიის ჰერცოგისადმი გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, ბრუსას დაპყრობაზე ოცნებობდა.

გიორგი მეფის ელჩი ყოფილა ვინმე ნიკოლოზი. ყველა წყაროში იგი თბილელად იხსენიება. მხოლოდ ერთგან, 1461 წლის 13 იანვარს პიუს II-ის მიერ ლუდოვიკო ბოლონიელისადმი გაცემულ რწმუნებულების სიგელში იგი იხსენიება, როგორც Nicolas Gabrielis.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია თამარაშვილის აზრი, რომ ნიკოლოზი თბილელ ეპისკოპოსად უნდა ჩავთვალოთ, თუმცაღა თვით მ. თამარაშვილს გამოთქმული აქვს ვარაუდი, რომ თბილელი (Tephelum) თბილისში დაბადებულს ნიშნავს, მაგრამ სამუშაო ჰიპოთეზად ნიკოლოზის ეპისკოპოსობა არჩია[15]. არც ერთი ჩვენთვის ცნობილი წყარო არ გვაძლევს უფლებას ნიკოლოზი სასულიერო წოდებას მივაკუთვნოთ. პირიქით, აღნიშნული წყაროები მას საერო რაინდულ წოდებას მიაკუთვნებენ. ამავე დროს ყველა ელჩი წარმომავლობის მიხედვითაა მოხსენიებული. ამრიგად, ტერმინი (Tephelum) ნიკოლოზის წარმომავლობაზე, მის თბილისელობაზე მიგვანიშნებს და არა სახელოზე — თბილელზე.

---

[14] Петрушевский И. П. Государства Азербайджана в XV в.—„Сборник статей по истории Азербайджана", вып. I, Баку, 1949, с. 168.

[15] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 62—63.

ნიკოლოზის შესახებ ლ. პასტორი წერს: „პაპების საიდუმლო არქივში[16] მე აღმოვაჩინე შემდეგი გამოუქვეყნებელი მონაკვეთი: „სპარსთა მეფის თბილისის ქვეყანაში ნიკოლოზ თბილისელი დაინიშნა ელჩად, მაშინ, როდესაც შენ სპარსთა მეფისაგან ქრისტიანული ბრწყინვალე რწმენისათვის ჩვენთან გამოგზავნილი იყავი...“[17]. სამწუხაროდ, არა ჩანს არც ამ სტრიქონების ავტორი და არც ადრესატი.

ამრიგად, ნიკოლოზი დაინიშნა baiulus-ად. ლათინურში baiulus ნიშნავს ფოსტალიონს, ამბის მიმტანს, მაგრამ შუა საუკუნეებში ბევრი სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა: „უფლისწულის აღმზრდელი“ (უპირატესად ბიზანტიაში); იტალიური სავაჭრო ფაქტორიების ვაჭართა წინამძღოლი — იტალიურად bailo — კოლონიის უფროსი მოსამართლე; „მეფის დაახლოებული პირი“, დაახლოებით იგივეა, რაც სახლთუხუცესი საქართველოში, მაგრამ ამავე დროს სასამართლო, პოლიტიკური და ადმინისტრაციული ხელისუფლების წარმომადგენელი; პირი, რომელიც ერთდროულად არქიეპისკოპოსის ძალაუფლების წარმომადგენელი და ადმინისტრაციული საკითხების აღმსრულებელია.

თარგმნისას ჩვენ პირველ ვარიანტზე შევჩერდით, ვინაიდან ნიკოლოზი ელჩი იყო, მაგრამ ეს არცერთ შემთხვევაში არ გამორიცხავს სხვა ვარაუდებსაც.

დაბოლოს, ორ შემთხვევაში პირდაპირ ნიკოლოზის ტიტულიც არის მოხსენიებული. ფრანჩესკო სფორცა წერილში თავის ელჩთან რომში ნიკოლოზს კონსულად იხსენიებს. ასევე იხსენიებს მას ფლამანდიური ქალაქის — იპრის არქივის ცნობა, რომელიც მოჰყავს დე ბარანტეს, შუა საუკუნეებში ტერმინს — კონსული დასავლეთ ევროპაში ქალაქის მუნიციპალური საბჭოს მაგისტრატის მნიშვნელობით ხმარობდნენ.

აღსანიშნავია, რომ გენტში ყოფნისას ელჩებს საგანგებოდ ქალაქის პრივილეგიები გააცნეს და ქრონიკაშიც ნიკოლოზი ელჩებს შორის პირველი იხსენიება. ყველა დანარჩენ შემთხვევაში მას ალიგიერის შემდეგ ასახელებენ. შესაძლებელია გენტის ეს დამოკიდებულებაც ნიკოლოზისადმი მისი თანამდებობით აიხსნებოდეს.

---

[16] Archives secretes des Papes, Reg. 479, f. 65.

[17] Nicolaum Tiphlo constituitur baulus in civitate Tiphli regis Persarum, cum tu a charis in christo filio nostro rege Persarum, illustri pro causis fidei christiane ad nos missus etc. Dat. Romae, 1460; L. P a s t o r, დასახ. ნაშრომი, გვ. 235.

ჩვენში კი, რამდენადაც ვიცით, მაგისტრატის შესაბამისი თანამდებობა არ არსებობდა. ამდენად ნიკოლოზი შეიძლება თბილისის მოურავად ან ამირად ჩავთვალოთ[18].

3. ასამი, იმპერატორის სიძე, მესოპოტამიის ბატონი, არაქრისტიანი, მაგრამ ქრისტიანთა მეგობარი — აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს მბრძანებელი ჰასან ბეგი (უზუნ-ჰასანია). უზუნ-ჰასანს ცოლად ჰყავდა დავით კომნენოსის ძმის იოანე IV-ის ასული. ჩვენი წყაროები მას ერთხმად ყარაიულუქის შვილად მიიჩნევენ. მეცნიერებაში მიღებულია აზრი, რომ ყარაიულუქი მისი ბაბუა იყო[19]. ჩვენის აზრით, ეს მონაცემები გადასინჯვას მოითხოვს.

მისი ელჩი ყოფილა მაჰმუდ თურქმანი.

4. გორგორა, იბერიის დიდი საჰერცოგოს ბატონი — საქართველოს დიდი საჰერცოგო სამცხე-საათაბაგოა, გორგორა კი „ნიზამ-ალ-მულქის მიმდევარი", „საქართველოს ათაბაგი და სამცხისა სპასალარი ჯაყელ-ციხისჯუარელი პატრონი ყუარყვარე" გახლავთ. ინტერესს იწვევს მისი მამის სახელი — გაძაბეკი (Gazabecchi). ქართულ ისტორიოგრაფიაში ყვარყვარე II-ის ვინაობა დღემდე მთელი სიზუსტით დადგენილი არ არის. ვახუშტის მიხედვით იგი იყო აღბუღას ბიძა[20]. ამ შემთხვევაში იგი ივანე ათაბაგის ძმა და ბექა II-ის შვილია. ბ. ლომინაძე თვლის, რომ ვახუშტი ცდება და ყვარყვარე არის აღბუღას ძმა და ივანეს შვილი[21]. ჩვენის აზრით, გაძაბეკი ყვარყვარეს მამის სახელი კი არა, წოდების მაჩვენებელი უნდა იყოს და ათაბაგის დამახინჯებული ვარიანტი.

უნდა აღინიშნოს, რომ, ევროპული წყაროები ზოგ შემთხვევაში ყვარყვარესაც და მის ელჩსაც უზუნ-ჰასანსა და მის დესპანში ურევენ. საერთო მიღებული წესით, ყვარყვარე საქართველოს ჰერცოგია და მის ელჩს ორი ტონზურა აქვს, ატარებს საყურეებს და არა აქვს წვერი. უზუნ-ჰასანი კი მესოპოტამიის მბრძანებლად გამოდის, მაგრამ დიუ კლერკი ცოტათი განასხვავებს ამ მონაცემებს. იგი წერს: „იყო ერთი რაინდიც, სახელად მეტრ კასტოდინესი, საქართველოსა და მესოპოტამიის მეფის ელჩი..." უზუნ-ჰასანზე კი ამბობს, რომ იგი იყო მცირე თურქი, რომელსაც სურდა ომი დიდ თურქთან. დაახლოებით ასეთსავე ცნობას იძლევა გენტის ქრონიკაც. ქ. იპრის არქივი კი ისე-

---

18 ქართული შუასაუკუნოვანი ქალაქების სტრუქტურის შესახებ. იხ. Месхиа Ш. Города и городской строй феодальной Грузии, Тбилиси, 1959, с. 65—86.

19 Босворт Э. Мусульманские династии, М., 1971, с. 223.

20 ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 283—84.

21 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 734.

ვე, როგორც ვადინგი, ყვარყვარეს მხოლოდ საქართველოს მთავრად, ხოლო უზუნ-ჰასანს მესოპოტამიის მეფედ იხსენიებს.

ყვარყვარე ათაბაგის ელჩი ყოფილა ვინმე „ქასადან ქარცეხამი“ (Cassadan Carcecham). რაც შეეხება სახელს — ქასადანი, ვფიქრობთ, სწორი უნდა იყოს მ. თამარაშვილისა და კ. კეკელიძის მოსაზრება, რომ ეს ფარსადანის დამახინჯებულ ვარიანტად უნდა ჩაითვალოს[22]. ათაბაგის წერილები დაიწერა Carcecche-ში (ქარცირე ანუ ახალციხე)[23]. აქედან გამომდინარე Carcecham უნდა წავიკითხოთ არა როგორც ყორჩიხანი, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა[24], არამედ როგორც ქარციხელი ან ახალციხელი.

5. მცირე ანუ კილიკიის სომხეთის მთავარი ჩვენს წყაროებში სხვადასხვანაირად იხსენიება; მისი ვინაობის დადგენა ვერ შევძელით; მისი ელჩი ყოფილა ვინმე „მორატი“. როგორც ჩანს, ეს ის სომეხი ვაჭარია, რომელიც 1474 წელს კონტარინის შეხვედრია კაფაში[25].

6. დაბოლოს, ლუდოვიკოს ამალის კიდევ ერთი წარმომადგენლის შესახებ. ვადინგოს ანალებში იგი არ ჩანს; სამაგიეროდ მას იხსენიებენ ბურგუნდიისა და ფლამანდური წყაროები. ეს გახლავთ იოანე პრესვიტერის ელჩი, სახელად ჰანზე. აღსანიშნავია, რომ აქაც აღნიშნული წყაროები მას ურევენ სომეხ ელჩში.

დე ბარანტე გადმოგვცემს, რომ სომეხი ელჩი კარგი ასტროლოგი ყოფილა. ამ კერძო შემთხვევის გარდა მორატი ყველგან ხასიათდება, როგორც ყველა სახის საკრავზე დაკვრის ოსტატი, ასტროლოგად კი ჰანზეა ცნობილი.

აი, რას წერს ამის თაობაზე ე. ბრაიერი: „სწორედ ამ ეტაპზე, ლუდოვიკოს ელჩთა რომში მიღების შემდეგ დაიწყო საქმეების გაუარესება. კომპანია ცირკს დაემსგავსა, რომელსაც ლუდოვიკო სასახლიდან სასახლეში დაატარებდა. ფრანგებსა და ბურგუნდიელებს ეს სანახაობა ალბათ მანდევილის ზღაპრების განსახიერება ეგონათ და არა მარტო ყვარყვარეს ელჩმა გამოაჩინა თავისი ნებით ორმაგი ტონზურა მცირე სომხეთის დესპანის მუსიკის აკომპანიმენტის ქვეშ, უფრო მეტიც, როცა ისინი, პარიზში 1461 წლის ადრეულ მაისში, შარლ VII-ის სასახლეს მიადგნენ, ლუდოვიკომ ამას საბოლოო და ყველაზე უფრო ეფექტური სანახაობა დაუმატა — თვით იოანე პრესვიტერის წარ-

---

22 მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 61; კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

23 მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 596, შეადარე გვ. 59.

24 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბ., 1967, გვ. 72.

25 Скржинская Е. Барбаро и Контарини о России, Л., 1971, с. 213.

მომადგენელი. ეს კაცი, სახელად ჰანზე, იყო საოცრად დიდი სწავლული, მისი განსაკუთრებული და დამახასიათებელი განათლება იყო ასტროლოგიის ღრმა ცოდნა. სწორედ აქედან იწყება ელჩთა რეალურობაში ეჭვის შეტანა; მაგრამ მიქაელ ალიგიერი ჯერ კიდევ ფიგურირებს მათ შორის და შარლ VII პატივს სცემს კომპანიას"[26].

როგორც ვხედავთ, ჭეშმარიტად დიდი ხელოვანის დაწერილია, არც ენაწყლიანობა აკლია და არც ფანტაზია, მაგრამ ყველაზე უფრო გასაოცარია ის დიდი მეცნიერული აღმოჩენა, რასაც ჭეშმარიტად ვერ დავუკარგავთ ინგლისელ მეცნიერს. თურმე ნუ იტყვით და შარლ VII მიქელ ალიგირეის ადრეც იცნობდა. მისი ვინაობის დამადასტურებელი ცნობა მიუღია და ტრაპიზონელი დიდგვაროვანის ხათრით უთმენდა თაღლითების მთელ ბანდას, რომლებიც ცეკვა-თამაშით აგროვებდნენ ფულს...

ის გარემოება, რომ ბოლონიელი იძულებული იყო საფრანგეთსა და ბურგუნდიაში წასულიყო, როგორც ვიცით, პაპის ინიციატივა იყო, მაგრამ ბრაიერის ეს მოსაზრება ნათლად გვაჩვენებს, თუ რაოდენ არასოლიდურ დასკვნამდე შეიძლება მიიყვანოს კაცი წინასწარგანწყობამ და ტენდენციურობამ.

იოანე პრესვიტერის ელჩის გამოჩენა ბრაიერს შოკში აგდებს. ალბათ იმიტომ, რომ იგი მითიური პიროვნებაა. ეს მართლაც ასეა. დასავლეთში პრესვიტერ იოანეზე არაერთი მითი იყო გავრცელებული. ეს ქრისტიანი ხელმწიფეა, რომელიც მაჰმადიანთა გარემოცვაში ცხოვრობს და ცეცხლითა და მახვილით ინარჩუნებს ქრისტიანულ სარწმუნოებას. ეს მითი ევროპაში ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქაში გავრცელდა და უნდა ვიფიქროთ, რომ გარკვეულად დავით აღმაშენებლის დიდი წარმატებების გამოძახილია. მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ XV საუკუნეში ევროპაში პრესვიტერ იოანეს სახელით ეთიოპიის ქრისტიან მეფეს იცნობდნენ[27] და არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ლუდოვიკოს ზარა-იაკობის ელჩი ხლებოდა.

რაც შეეხება კავშირის სხვა წევრებს, მათაც ვადინგის სიის მიხედვით განვიხილავთ.

ბენდია — სამეგრელოსა და აფხაზეთის მეფე — ლიპარიტ დადიანი (1414—1470) უნდა იყოს ანუ იგივე ბედიანი.

პანკრატიუს იბერიელი (იბერიელები ახლა გიორგიანებად იწოდებიან), როგორც ჩანს, იმერეთის ერისთავი ბაგრატია, შემდგომში მეფე ბაგრატ VI.

---

26 A. Bryer, დასახ. ნაშრომი, გვ. 190.

27 Zarnke, Der Priester Johann, Leipzig, 1876—79; Oppert, Der, Priester John in Sage und Geschichte, Berlin, 1870.

-მანია გურიის მარკიზი — სხვა არავინაა, გარდა გურიის მთავრისა გურიელისა. როგორც ჩანს, მას მამია რქმევია. როგორც ცნობილია, პირველი მამია გურიელი მთავრობდა 1512—1534 წლებში, მაგრამ ჩვენი საბუთიდან ჩანს. რომ გურიის მთავრად ჯერ კიდევ XV საუკუნეში ყოფილა ვინმე მამია. ის გარემოება, რომ საქართველოს ისტორიაში გურიის დამოუკიდებელ მთავართა შორის პირველი მამია XVI საუკუნეში იხსენიება, უნდა ვიფიქროთ, იმის მაჩვენებელია, რომ XV საუკუნის შუა ხანაში გურია არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ სამთავროს და ან იმერეთის მეფეს, ან კიდევ დადიანს ემორჩილებოდა. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ევროპაში მამია გურიელი დადიანისა და ბაგრატის მოკავშირედ და არა ვასალად იხსენიება, გურიის სამთავროს დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის შედეგი უნდა იყოს.

ისმაილი, სინოპისა და კასტემონის მთავარი, რომლის მამა იყო სპედიარი — სინოპის მუსულმანი გამგებელი კასტამინუს ისმაელ ისფენდიარ ოღლუბეი უნდა იყოს.

ფაბია, ანაკოფიის მთავარი — მარი ბროსეს აზრით, აფხაზეთის მთავარი შერვაშიძეა[28]. როგორც ვიცით, არც აფხაზეთი ყოფილა დამოუკიდებელი სამთავრო და სამეგრელოს შემადგენლობაში შედიოდა და აფხაზეთის მთავრის მოკავშირეთა რიცხვში დასახელება კიდევ ერთხელ მოწმობს იმდროინდელი შინააშლილობის ზომებს.

ყარამანი — კილიკიის ბატონი — ყარამანიის (მცირე აზიაში) მმართველი იბრაჰიმ ბეგი ანუ იგივე თაჯ-ად-დინ იბრაჰიმი (1424—63) გახლავთ[29]. ეს ის პიროვნებაა, რომელმაც მოზეს გილბეტის პირით პიუს II-ეს კათოლიკობაზე თანხმობა განუცხადა დახმარების მიღების პირობით.

---

[28] M. Brosset, Additions et eclaircissements à l'histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'en 1469, St-Petersbourg, 1851, გვ. 408—410.

[29] Босворт К. Э. Мусульманские династии, М., 1971, с. 183.

დასკვნა

XV საუკუნეში საქართველოში ძირეული გარდაქმნები მოხდა. ერთ დროს ერთიანი, მძლავრი და მსოფლიო მნიშვნელობის სახელმწიფო, რომელიც XII—XIII სს. კავკასიის გამაერთიანებლის როლში გამოდიოდა, XV საუკუნეში ეკონომიკურად დაცემული და პოლიტიკურად დაშლილი ქვეყანა იყო. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში მყოფი ქვეყნის თავდაცვითი პოტენციალი ბევრად შემცირებული იქნებოდა.

ამ დროს ოსმალთა აგრესიული სახელმწიფო გაძლიერდა იმდენად, რომ 1453 წელს საბოლოოდ მოსპო ბიზანტიის იმპერია. ეს იყო შედეგი იმ წინდაუხედავი პოლიტიკისა, რომელმაც ბიზანტიელებს ერთ დროს შეაფარებინა თავიანთ ტერიტორიაზე შუა აზიიდან ლტოლვილი თურქული ტომები. მეჰმედ II-ის დროს ოსმალთა იმპერიამ დიდ ძლიერებას მიაღწია. იგი საშიში გახდა როგორც მცირე აზიისა და კავკასიისათვის, ასევე აღმოსავლეთ ევროპისათვის, რომლის დაპატრონებასაც თავგამოდებით ცდილობდა სულთანი. ოსმალეთი საშიში შეზობელი იყო არა მარტო დამპყრობლური ჟინით შეპყრობილი სულთანის გამო, რომლის მეტსახელი ფათეჰი (დამპყრობელი) სწორად ახასიათებს მას, არამედ მთელი სახელმწიფოს აშკარად აგრესიული იდეოლოგიისა და სოციალურ-ეკონომიკური წყობის გამო. და როდესაც ოსმალებმა მეთოდურად და საბოლოოდ შთანთქეს ბიზანტიის იმპერია, საშიშროება ყველასათვის ნათელი შეიქმნა, უპირველესად კი ქართველი მეფე-მთავრებისათვის, რომლებიც გართულნი იყვნენ ერთმანეთთან კინკლაობით.

ასეთ ვითარებაში გამოჩნდა ლუდოვიკო ბოლონიელი და გაისმა მისი მოწოდება თურქებთან ერთიანი ძალით ბრძოლის შესახებ. ქართველი პოლიტიკოსები არ შეიძლება არ გამოხმაურებოდნენ ამას, ვინაიდან გაერთიანებული ძალებით სულთნის დამარცხების პერსპექტივა ერთადერთი საშუალება იყო რთული საშინაო და საგარეო მდგომარეობიდან თავის დაღწევისა და საქართველოს ოდინდელი ძლიერების აღორძინებისა.

ამგვარი ალიანსი მისწრება იქნებოდა ევროპისა და პირველ რიგში ბალკანეთის ქვეყნებისათვის, რომელთათვის ოსმალეთის საშიშრო-

ება კარზე იყო მომდგარი. მაგრამ როგორც გამოირკვა, დასავლეთ ევროპის არც ერთი ქვეყანა არ იყო დაინტერესებული თურქებთან ომით. თვით ვენეციაც კი, რომელიც მატერიალურად ყველაზე უფრო დაზარალდა, სულთანთან მოლაპარაკების გზას დაადგა. ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც თურქეთის საკითხით ჭეშმარიტად დაინტერესებული იყო, რომის პაპი გახლდათ. კოალიციის შექმნაც სწორედ მისი იდეა იყო. საქმე ის არის, რომ პაპებმა დაჰკარგეს რეალური ძალაუფლება დასავლეთ ევროპაზე და რათა გამოსულიყვნენ ამ კრიზისიდან, გავლენის ახალი სფეროს მოპოვება სჭირდებოდათ. ამისათვის კი იდეალური იყო ე. წ. „ბიზანტიური მემკვიდრეობა“. რომელსაც აშკარა საფრთხე ემუქრებოდა. პაპის ანგარიში მარტივი იყო. იგი დახმარების ხელს გაუწვდიდა ჩაგრულ „ძმებს“, მაგრამ ამის საფასურად ორთოდოქსები „ჭეშმარიტ რწმენაზე“ უნდა მოქცეულიყვნენ: დახმარების ხელის გაწვდენას კი პაპი დასავლეთ ევროპის საომარი ძალების საშუალებით აპირებდა. ასე რომ, წარმატების შემთხვევაში ორ კურდღელს მოჰკლავდა. თუ ევროპის გაერთიანებას მოახერხებდა, თავისთავად მისი ავტორიტეტი მხოლოდ მოიგებდა, ხოლო თუ „ბერძნების მიმდევრებს“ კათოლიკობაზე დაითანხმებდა, მისი სასულიერო იმპერიის საზღვრები გაფართოვდებოდა; აღმოსავლეთის ქვეყნების პოზიცია თავიდანვე გარკვეული რომ ყოფილიყო, პაპი იქ თავის ნუნციოს აგზავნის, რომლის მიზანია მართლმადიდებლები არა მარტო დაითანხმოს კათოლიკობის მიღებაზე, არამედ აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ურთიერთშეთანხმებაც დადოს. ბუნებრივია, რომ პაპის ინტერესი ძირითადად საქართველოსა და ტრაპიზონის სახელმწიფოებისაკენ იყო მიმართული, ვინაიდან ბიზანტიის შემდეგ ორთოდოქსის ბურჯნი ეს სახელმწიფოები იყვნენ. ამავე დროს საქართველოში კათოლიკები, „ფრანკები“ ცხოვრობდნენ, რაც მისი აზრით, საქმეს აადვილებდა.

მაგრამ... პაპის ამ თამამ და შორსმჭვრეტელ ჩანაფიქრს განხორციელება არ ეწერა. პაპის უძლურება გამოაშკარავდა მანტუას კონგრესზე: ევროპის დარაზმვა ვერ მოხერხდა. აღმოსავლეთის ქვეყნები კი გაერთიანდნენ. კავშირში ქრისტიანების გარდა მუსულმანი სახელმწიფოებიც შევიდნენ და რომში გაერთიანებული ელჩობა მიავლინეს. პაპი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. თუკი დასავლეთში მისი ძალაუფლება ფიქტიური იყო და ეს არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა, აღმოსავლეთის ქვეყნებში პაპის აშკარა უძლურება მისი ავტორიტეტის დაცემას მოასწავებდა. ...და მანაც თავი დაიზღვია... იმით, რომ ელჩობა ფალსიფიცირებულად გამოაცხადა, ხოლო რათა ამ განცხადებით საბოლოოდ არ გაეფუჭებინა ურთიერთობა აღმოსავ-

ლეთთან, ავანტიურის მიზეზად ლუდოვიკო ბოლონიელი დაასახელა. ამრიგად, ლუდოვიკო ბოლონიელი — ევგენი IV-ის მიერ აღმოსავლეთის საკითხებისათვის არჩეული „ერთ-ერთი განსწავლული ბერი“, ნიკოლოზ V-ისა და კალიქსტ III-ის ნუნციო პიუს II-ისთვის განტევების ვაცი აღმოჩნდა.

პიუს II-ის ეს პოზიცია კარგად ჩანს მის მემუარებში და ევროპელ ისტორიკოსთა დამოკიდებულება ამ წყაროსადმი მათი უსაზღვრო ნდობით არის განპირობებული. წყაროებისა და ლიტერატურის გულდასმით შესწავლისას აშკარად ჩნდება ამგვარი პოზიციის სრული უსაფუძვლობა.

АНТИОСМАНСКАЯ КОАЛИЦИЯ ЕВРОПЕЙСКИХ СТРАН И ГРУЗИЯ В 60-Х ГОДАХ XV ВЕКА

Резюме

В XV веке в Грузии произошли значительные изменения. Будучи в прошлом единым и сильным государством, которое в XII—XIII веках выступило в роли объединителя всего Кавказа, Грузия в XV веке переживала экономический и политический упадок, в результате которого во второй половине XV столетия оказалась раздробленной на отдельные царства и владетельные княжества. Понятно, что в таких условиях резко был сокращен и потенциал обороноспособности страны. Появившаяся на международной арене огромная агрессивная Османская империя создала для Грузии новую угрозу.

В середине XV века Османское государство настолько усилилось, что в 1453 году окончательно уничтожило Византийскую империю. При султане Мехмеде II, в результате роста экспансионистских устремлений, Турция стала опасной силой на международной арене для стран и народов как Малой Азии и Кавказа, так и Центральной и Восточной Европы. Османская империя создавала угрозу соседним странам не только благодаря завоевательским страстям, которыми был обуреваем султан Мехмед II, получивший прозвище Фатих (Завоеватель), но и агрессивной идеологией всего государства, всей сущностью его социально-экономического строя. И когда Османская империя методично и окончательно поглотила Византийскую империю, турецкая опасность для многих стран стала очевидной. Ее сознавали и государственные деятели Грузии, которые были глубоко втянуты во внутреннюю межфеодальную борьбу.

В 1459 г. в Грузии, находившейся в трудных условиях, появился представитель римского папы — Лудовико да Болонья с предложением образовать союз восточных государств и примкнуть к антиосманской коалиции стран Западной Европы для совместной борьбы с Турцией. Естественно, что грузинские государственные деятели не могли не откликнуться на этот призыв римского папы,

так как перспектива разгрома Османской империи совместными усилиями стран Европы и Ближнего Востока представлялась выходом из тяжелого внутреннего и внешнеполитического положения.

Посылая своих послов в Европу вместе с Лудовико да Болонья и послами Трапезундской империи, государства Ак-Коюнлу и Киликийской Армении, грузинские государственные деятели постарались изучить реальную обстановку и выразить свою готовность начать переговоры по конкретным вопросам организации совместной борьбы с Османской империей.

Альянс европейских и ближневосточных государств для борьбы с Турцией в Европе особенно желательным представлялся в первую очередь странам Балканского полуострова, испытывавшим на себе всю тяжесть турецкого ига. Однако на деле ни одно из западноевропейских государств не проявило реальной заинтересованности в борьбе с Турцией. Даже Венеция, потерпевшая наибольший материальный ущерб, встала на путь соглашений с Османской империей. Единственный, кто серьезно был заинтересован в решении турецкого вопроса, это римский папа, которому и принадлежала сама идея создания антиосманской коалиции. Потеряв свою былую власть в Европе, римские папы, чтобы выйти из кризисного положения, старались добиться внушительной политической победы, каковой и считали осуществление идеи отвоевания у турок Константинополя, чем предполагали достичь двух целей: с одной стороны, в случае объединения западноевропейского воинства под предводительством папы восстановилась бы его власть над разбежавшейся паствой, а с другой — в случае завоевания так называемого «византийского наследства» расширились бы границы духовной империи католицизма, что представляло предмет особой заботы римских пап, добивавшихся унии с представителями восточнохристианских стран.

С целью выяснения позиции ближневосточных стран папа (сперва Каликст III, а затем Пий II) направил к ним своего нунция Лудовико да Болонья, которому было поручено не только склонить эти страны к принятию католицизма, но и привлечь их к совместному выступлению против Турции. Естественно, что в данном случае особое внимание римского папы привлекали Грузия и Трапезундская империя как страны, которые после Византийской империи на Ближнем Востоке создавали основу жизнедеятельности православия. В то же время папа, учитывая, что в Грузии проживали «франки» (католики), надеялся с их помощью облегчить осуществление своих намерений.

Однако воплотить в действительность свои далеко идущие планы папа не сумел. Его бессилие воочию проявилось на конгрессе в Мантуе. Поднять западноевропейские страны на борьбу с Турцией папе не удалось. Восточные же страны, вдохновившись идеей организации совместной борьбы с Османской империей объединились. В их союз, помимо христианских стран, входило и мусульманское государство Ак-Коюнлу. Они направили в Европу объединенное посольство. Папа оказался в затруднительном положении. Выполнить своих обещаний он не мог. И если фиктивность власти папы в Европе ни для кого не представляла секрета, то теперь демонстрация явного бессилия в странах Ближнего Востока предвещала полное падение его авторитета, и поэтому папа решил застраховаться тем, что объявил послов восточных стран подставными лицами, а чтобы этим поступком окончательно не испортить своих отношений со странами Востока, обвинил во всем Лудовико да Болонья, приписав ему фальсификацию посольства. Таким образом, Лудовико да Болонья, «один из образованных монахов», избранный папой Евгением IV для деятельности в странах Востока, а Николаем V и Каликстом III определенный нунцием в эти страны, для папы Пия II стал козлом отпущения.

Данная позиция Пия II хорошо видна в его мемуарах. Европейские историки, повторившие версию, высказанную Пием II, исходят из некритического отношения к его мемуарам как к первоисточнику, проявляя беспредельное доверие к непогрешимости папы.

Доскональное изучение первоисточников и литературы позволяет сделать вывод о несостоятельности мнения, высказанного Пием II и принятым за истину некоторыми историками. Грузинское посольство в Европу в 1460—1461 годах следует считать действительным, причины же его неудачи нужно искать в отсутствии реальной возможности у западноевропейских стран в тот период вести совместную борьбу против Османской империи.

THE ANTI-TURKISH COALITION OF EUROPEAN COUNTRIES AND GEORGIA IN THE 1460 S

Summary

Many important changes took place in Georgia in the 15th century. Having been a united and powerful state, which in the 12th-13th centuries emerged as a unifier of the entire Caucasus, in the 15th century Georgia experienced economic and political decline as the result of which in the second half of the 15th century it disintegrated into separate kingdoms and sovereign principalities. Naturally enough in these conditions the defence capability of the country was drastically reduced. The vast aggressive Ottoman empire that appeared on the international scene posed a new threat for Georgia.

In the middle of the 15 th century the Ottoman state became so powerful that in 1453 finally destroyed the Byzantine empire. Under Mohammed II, as the result of the growth of her expansionist policy, Turkey became a dengerous force on the international scene as for the countries and peoples of both Asia Minor and the Caucasus, as well as Central and Eastern Europe.

The Ottoman empire created a threat to the neighbouring countries not only owing to the aggressive aspiration of sultan Mohammed II, acquiring the nickname Fatikh (Conqueror), but also to the aggressive ideology of the entire state—to the whole essence of its socio-economic system. And when the Ottoman empire methodically and ultimately conquered the Byzantine empire, the Turkish danger became obvious for many countries. Georgian statemen who were deeply involved in the inter-feudal struggle, also realized this danger.

In 1459 Ludovico da Bologna, a representative of the Pope, appearled in Georgia—the country being in difficult conditions with the proposal of creating an alliance of western states and joining the West European anti-Turkish coalition for a joint struggle against Turkey. Naturally, Georgian statesmen could not but respond to

this call of the Pope, as the prospect of crushing the Ottoman empire by joint efforts of european countries and Asia Minor, appeared to be a way out from the grave inner and foreign political situation.

Sending their ambassadors to Europe together with Ludovico da Bologna and the ambassadors of the Trebizonds empire, the states of AK koyunlu and Zesser Armenia, Georgian statesmen tried to study the real situation and express their readiness to start nagotiations on concrete aspects of organizing a joint struggle against the Ottoman empire.

An alliance of European and Eastern states for the struggle against Turkey appeared to be most desirable for the countries of the Balkan Peninsula that experienced the burden of the Turkish yoke. However, not a single Western country showed any real interest in the struggle against Turkey. Even Venice, that had suffered the most material losses took the path of coming to terms with the Ottoman empire. The only person, who was seriously interested in resolving the Turkish question, was the Pope to whom the idea of creating an anti-Turkish coalition belonged. Having lost their past authority in Europe, the Popes—in order to extricate themselves from the crisis situation—sought to achieve an imposing political victory, which, in their view, would be the retrival of Constantinople from the Turks: by this they intended to achieve two objectives: on the one hand, in case of unifying of West-European armies under the Pope's leadership his authority over the scattered flock would be restored and, on the other hand—in case of the conquest of the so-called „Byzantine legacy" the beundaries of the spiritual empire of Catholicism would be extended, which was the object of the Pope's special concern seeking to attain a union with the representatives of the Eastern Christian countries.

In order to clarify the position of the Near Eastern countries the Pope (first Calixtus III, and then Pius II sent to them his nuncio Ludovico da Bologna, who was entrusted not only with the task of winning those countries over to Catholicism, but also of drawing them into a joint campaign against Turkey. Naturally, in this case Georgia and the Trebizond empire attracted the Popes's special attention, for these were the countries that, after the Byzantine Empire created in the Near East the basis for the vitalactivity of Orthodoxy. At the same time, the Pope, taking into ac-

caunt that „Franks" (catholics) resided in Georgia, hoped to facilitate the materialization of his intentions,

However the Pope failed to implement his fargoing plans. His weakness was manifested clearly at Council in Mantua. The Pope failed to rouse the West European countries for the struggle against Turkey. The eastern countries, however, inspired by the idea of organizing a joint struggle against the Ottoman empire, became united. Besides Christian countries, their alliance was also joined by the Moslem state of AK Koyunlu. They sent to Europe a joint embassy. The Pope found himself in an embarrassing situation. He could not carry out his promises. And if in Europe the fictitions nature of the Pope's power was an open secret, now the demonstration of such weakness in the countries of the Near East heralded a complete fall of his authority; that is why the Pope decided to insure himself by declaring the ambassadors of Eastern countries as dummies, and in order to avert a final breach of his relations with the Eastern countries by this act he put all the blame on Ludovico da Bologna, charging him with the falsification of the embassy. Thus, Ludovico da Bologna „One of the most well-educated monks", chosen by Pope Eugenius IV for work in the Eastern countries, and by Nicolas V and Calixtus III appointed as nuncio in these countries, became Pope Pius II,s scapegoat.

This position of Pius II is clear from his memoirs. European historians, repeating the version expressed by Pius II, proceed from an uncritical attitude towards his memoirs—as a primary source, showing infinite faith in the Pope's infalliability.

A thorough study of The sources and literature allow to conclude the untenability of the view expressed by Pius II and taken for granted by some historians. The Georgian embassy to Europe in 1460—1461 should be considered real, while the causes of its failure ought to be sought for in the lack of real ability of West European countries of the period in question to carry on a joint struggle against the Ottoman Empire.

შინაარსი

შესავალი 3

პირველი თავი

საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა XV საუკუნის შუა წლებში
და მისი მცირეაზიელი მოკავშირეები 15

მეორე თავი

დასავლეთ ევროპის ქვეყნები XV საუკუნის შუახანისათვის და მათი პოლიტიკა
მახლობელ აღმოსავლეთში კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ 36

მესამე თავი

მანტუას კონგრესი 59

მეოთხე თავი

ლუდოვიკო ბოლონიელის მისია საქართველოში. ქართველი ელჩები ევროპაში 76

მეხუთე თავი

აღმოსავლეთელი მოკავშირეების წერილებისა და მათი ელჩების ვინაობის
შესახებ 126

დასკვნა 142

Антиосманская коалиция европейских стран и Грузия в 60-х годах
XV века (резюме) 145

The Anti-Turkish Coalition of European Countries and Ceorgi in the 1460
s (Summary) 148

Давид Георгиевич Пайчадзе

АНТИОСМАНСКАЯ КОАЛИЦИЯ ЕВРОПЕЙСКИХ СТРАН И ГРУЗИЯ В 60-Х ГОДАХ XV ВЕКА

(на грузинском языке)

«МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1989

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3948

გამომცემლობის რედაქტორი ელ. ქაჯაია
მხატვარი ნ. მელაძე
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი გ. გრძელიშვილი
გამომშვები ლ. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 17.8.1988; ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.2.1989;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 10.0;
პირ. საღ. გატ. 10.38; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7.83;
უე 02238; ტირაჟი 3600; შეკვეთა № 2645.

ფასი 1 მან. 60 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19